კვირის პალიტრა

ფეხი

N36 (221) 2/IX.-8/IX.2004.

ფასი 60 თ.

1168
2004

ვის რა როდის რატომ ვაჩუქოთ საჩუქარი

„...გახსოვდეს შენი მადლიერი ეროსიო, მითხრა და სურათი მოგცა... მას შემდეგ 25 წელი გავიდა“

ა უნდა ვიცოდეთ ანგელოზების შესახებ – ანგელოზთა ცხრა დასი

ინგა გრიგოლია: „ეს სამარცხვინო ფაქტია – ... დაქალის შეყვარებული შემიყვარდა“

„ზურას გათენებამდე არავინ გაუღვიძებია, მარტო იყო გარდაცვლილ დედასთან“

№18(78) 2.IX-15.IX 2004

ოჯახის მეუღლეები

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

მთავარი თემა: შვებულების შემდეგ

ფული და ავადმყოფობა

ზღვისა და მთის დაავადება

ჰიპოგონია – დაავადება თუ სიმპტომი?

ლამბლიოზი – როგორ დავიცვათ პატარა

პროგრამა საქმიანი მამაკაცებისთვის

სისტემური წითელი მგლურა

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

№36 (221)
2 - 8 სექტემბერი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ჩვენი ოქრო – ჩვენთან! 3
ერთი კითხვა 4
ექსპერტი
ცხინვალის კონფლიქტი: „დაკონსერვება“, უკუსვლა თუ მზადება „ნახტომისთვის“?.. 5
ექსპედიცია
ბებერი ტაო, ბასიანის ველი და ტაძრის ეზოში მოწყობილი ავტოსადგომი 7
სასიძო
გურა მენთეშაშვილის რესტორნული გამოსვლა, ინსტრუმენტული მიგნება და ქიმიურად დახვეული თმა 9
საპატარძლო(ები)
„ძმები ვართ და დებს ცოლად ხომ ვერ მოვიყვანთ?!.“ 12
კრიმინალი
ტრაგედია ოჯახში – საკინებელში ჩაცხრილული ბავშვების და მათი მშობლების გვამები იპოვეს 14
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
ნამდვილი ამბავი
მეოთხე ტყუპისცალი... 18
თემა
საჩუქარი – ვის, რა, როდის და რატომ უნდა ვაჩუქოთ 20
საზოგადოება
„რომ გავიზრდები, ჩემს შვილს ბავშვთა სახლში არ ჩავაბარებ...“ 24
გზავნილები
„მე და ჩემი მეგობრის ქმარს ერთმანეთი შეგვიყვარდა“ 27
ჯანმრთელობა
- გულის იშემიური დაავადება 30
- შეამოწმეთ მუხრუჭები და ხერხემალი 32
ფსიქოლოგიური ეტიუდები
როგორია ქალი და როგორია მამაკაცი 33
ტაძარი
ანგელოზთა ცხრა დასი 34
აღმოჩენა
- შავკანიანი ქრისტე ლონდონის სარდაფში აღმოაჩინეს 35

საჩუქარი: ვის, რა, როდის და რატომ უნდა ვაჩუქოთ

რა როლი აკისრია საჩუქარს ადამიანების ურთიერთობებში? როდის და ვის უნდა მივართვათ საჩუქარი? რა უნდა გავითვალისწინოთ საჩუქრის შერჩევისას? ამ ერთი შეხედვით მარტივ კითხვებს ჩემი რესპონდენტები განსხვავებულად პასუხობენ.

20

„ერთადერთ ღამეს დამრთო ნეგა დავრჩენილიყავი – ის ბოლო ღამეს...“



– მე და დედა ვგავართ ერთმანეთს ხასიათით... ვეუბნებოდი ხოლმე – მიამიტი ხარ, ყველაფერს ზედმეტად განიცდი-მეთქი... ახლა, ჩემს თავს რომ ვაკვირდები, ვხვდები: მეც ასეთი ვარ... პირადი ცხოვრება ვერ აიწყო, თეატრით ცხოვრობდა. თეატრიდან კი, ბოლოს, ბევრი გულისტკენა ჰქონდა...

46

„...დაქალის შეყვარებული შეიყვარდა – ეს მართლაც საყარცხვინო ფაქტი იყო“

– არ ვიცი, როგორ ვახერხებდი ერთდროულად კარგად სწავლასაც და პაემნებზე სიარულსაც. ქართულის მასწავლებლის მეშინოდა, ბევრ დავალებას გვაძლევდა ხოლმე და ხშირად, ბიბლიოთეკებში ვიჯექი. მერე მოვდიოდი შინ, ვიპრანჭებოდი და გავდიოდი. მამაჩემის ფაქტორიც უნდა გამეთვალისწინებინა...

54

ტრაგედია ოჯახში – საკინებელში ჩაცხრილული ბავშვების და მათი მშობლების გვამები იპოვეს

სამართალდამცავები ამბობენ, რომ მსგავსი სისასტიკის მომსწრენი არასდროს გამხდარან. ბოროტმოქმედებმა მთელი ოჯახი და კიდევ – ორი სტუმარი – სულ შვიდი ადამიანი ამოხოცეს, დამნაშავეები (თუ დამნაშავე – ეს ჯერ კიდევ დასადგენია) ღამით დაესხნენ მათ თავს და ავტომატით პირდაპირ საწოლებში, მძინარეები ჩაცხრილეს...

14

● ნუთუ, ეს მართლა იოანე ნათლისმცემლის სამყოფელი იყო?!. 35
მსოფლიო თამაშები 36
სპორტული მოზაიკა 37
ვარსკვლავი
განრისხებული იზაბელ აჯანი ექსსაყვარელს თათხავს 38
ბომონდი 40
რომანი
რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
მოგონება
„ერთადერთ ღამეს დამრთო ნება დავრჩენილიყავი – მის ბოლო ღამეს...“ 46
ტკივილი
გიორგი აჩბას თბილისში დედა ჰყავს, სოხუმში კი – მამის სული... 48
მოგზაურის დღიურები
იმ შენობის ძირას, სადაც „თავისუფლების დეკლარაცია“ ინახება, მაწანწალები თავშესაფარს იწყობენ 50
ავტო 53
პირველი პაემანი
„...დაქალის შეყვარებული შემიყვარდა – ეს მართლაც სამარცხვინო ფაქტი იყო“ 54
ტესტი
ერთგული მკითხველი 55
დიზაინერი
თამადობაში გამობრძმედილ დიზაინერს მაჭანკლობაც ეხერხება 56
ფენომენი
ენის გასატეხით დაწყებული „წაღმა-უკუღმა“ სიყვარული 59
ჰოროსკოპი
კვირის (6-12 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
ვის მეტად აწევს მხრებზე ოჯახის ტვირთი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

იმ შენობის ძირას... მაწანწალები თავშესაფარს იწყობენ...



მამაკაცებს – მამაკაცი, ხოლო ქალებს ქალი პოლიციელები უფათურებდნენ ხელებს. როცა მორიგ შემოწმებაზე გავედით, ჩემი ჭკუით, ხერხი ვიხმარე და ქალ პოლიციელს, რომელიც სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა მომხიბვლელი გარეგნობით, წინ დავუდექი.

50

განრისხებული იზაბელ აჯანი ექსსაყვარელს თათხავს

იზაბელ აჯანი, ცნობილია, როგორც საკმაოდ კაპასი ქალბატონი. მაგრამ მაინც არავინ ელოდა, თუ ის საკუთარ ინტიმურ ცხოვრებას ქვეყნიერებას მოჰფენდა. მისი განშორება კომპოზიტორ ჟან-მიშელ ჟართან, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, თანაც – იზაბელისთვის არცთუ ისე მომგებიანი რაკურსით...

38

რატომ არ მოჰყავს ცოლი ზალიკო ბერგერს?

– ადამიანი თავისი ნაკლის გამო დაკომპლექსებული არ უნდა იყოს. არსებობს რაღაც ტექნოლოგიები – მაგალითად, თუ „კუპალნიკს“ რეზინისგან დაამზადებენ, მან შეიძლება სილუეტი სხვანაირად გვიჩვენოს. სიმსუქნის დასაფარავად სხვა ელემენტებიც არსებობს...

56

მტაცებლის ინსტინქტი

– კი, ბატონო, მითხარი, ვინ დავიფიცო და მაშინვე დავიფიცებ! – სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნა კახამ.

– შენი შვილი დაიფიცე!.. – მეგი თავადაც კი ვერ მიხვდა, ეს სიტყვები მის ბაგეებს როგორ მოსწყდა და თავზარდაცემული, მაშინვე ფანჯრისკენ შებრუნდა.

42

ჩვენი ოქრო – ჩვენთან!



ნამეტანი კაი მოფიქრებაა ეს ოლიმპიადა: მთავარი თურმე მონაწილეობაა, თორემ მოიგებ თუ არა, ან რომელი ქვეყნის სახელით მოიგებ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია... ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიური თამაშების ავტორი ბერძნები ასე გვიმტკიცებენ.

კი, აბა ბიჭო, დაგიჯერეთ იმ წუთში!.. ჩვენს პრეზიდენტს მოატყუებენ ეგენი?! კაცი, რაც კაბინეტშია, ორი იმდენი თვითმფრინავშია და ფეხდაფეხ დასდევს მსოფლიოში მიმოფანტულ ნიჭიერ ქართველებს – სამშობლოსკენ ჰერი-ჰერიო!.. ახლა რომ ნახა, რაც ათენში მოხდა, მთლად გადაირია:

– რაიო?! უცხო ქვეყნების სახელით მონაწილეობენ ქართველები და მოპოვებულ ოქროს მედლებს სხვის ყულაბაში ყრიანო?! – შეკაზმა „Ту-154“, უთენია აფრინა საბერძნეთში. ემიგრანტი ქართველი ოლიმპიელების მოსათაფლად მორიგი თამაში მოიფიქრა, უფრო სწორად – ბავშვობაში ნათამაშები გაიხსენა – „ჩემი ოქრო – ჩემთან!“ – და ისეთი „რეჩი“ დაახეთქა ათენის ქართულ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომ ხალხი კი არა, მაგიდაზე დამაგრებული მიკროფონებიც კი, „გულწასული“ ცვივოდა ძირს.

ჩვენმა ენაწყლიანმა მერცხალა პრეზიდენტმა პირობაც დადო, რომ საქართველოში არც ერთ ქვეყანაზე ნაკლები პირობები არ იქნება სპორტული მოღვაწეობისთვის და ეს სრული ჭეშმარიტებაა: ჯერ პირველი და უმთავრესი ავიღოთ – ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც სწორედ ოლიმპიური მედლების მფლობელებისთვის შევიდა პარლამენტში დასამტკიცებლად, თორემ ძველი კანონების თანახმად, თურმე ოქროს მედალი საგადახადოს მიჰქონდა, ყუნწი – დღგს და ჩემპიონს მხოლოდ ყელზე ჩამოსაკიდებელი ლენტიღა რჩებოდა.



რაც შეეხება სავარჯიშო პირობებს, ამაში საქართველოს მართლაც რომ ბადალი არ ჰყავს. მაგრამ ვინ გიმადლის?! გარბიან უცხოეთში – იქ უკეთესი „ტრენერები“ არიანო... სასაცილოა პირდაპირ! რა „ტრენერი“, რის „ტრენერი“, როცა აქ თვითონ ხელისუფლებაა შენი „ტრენერი“. ა, ბატონო, თუ არ გჯერათ: მსოფლიო გადაირია, ბატუტზე ხტომაში გერმანიას ოქრო ქართველმა ანა დოღონაძემ მოუტანაო!.. გეკითხებით – რაა ამაში გასაკვირი? შე დალოცვილო, თბილისის ქუჩებში მანქანით რომ გაივლი (არაფერს ვამბობ რაიონებსა და სოფლებზე), იმოდენა ორმოებია, რომ მანქანაში ზიხარ თუ ბატუტზე ხტუნავ, ვერ გაიგებ. სამ-ოთხ ყირამალას აკეთებ და მაინც ბორბლებით ეშვები; ჰოდა, ქართველი რომ არ გამხდარიყო ჩემპიონი, საცოდაობა არ იქნებოდა?!

გნებავთ, ქალთა ძიუდო ავიღოთ, ახლა რომ ტიტინებენ ჩვენი კომენტატორები – სპორტის ეს სახეობა არაა ჩვენთან გავრცელებული და იმიტომ წავიდა თეა დონღუზაშვილი რუსეთშიო... რას ჰქვია, „არაა გავრცელებული“?! ქართველი დიასახლისი რომ ოთხი ჩანთით და რვა პარკით „დაგრუზული“ მოდის ბაზრიდან და სამი თვის სამყოფი ხორაგი მოაქვს სახლში (იმიტომ, რომ არ იცის, კიდევ როდის გალღვება ქმრის სამსახურში გაყინული ხელფასი), მერე ასე დატვირთული ავტობუსში რომ შეეკვეხება ან მეტროს ვაგონში შეანგრევს დაკეტილ კარს და ათასნაირ მოგვერდს აკეთებს, რომ სკამზეც დაჯდეს, – ეს ყველაფერი ძიუდო არაა?!.

ჭიდაობის აკვანი ხომ საქართველოშია დარწეული და ისაა: ჩვენთან სიკვდილამდე ჭიდაობს ხალხი. აბა, ერთი გახედეთ პენსიის რიგებს, როგორ ოსტატურად ჭიდაობენ ჩვენი პენსიონერები – ნამდვილ ფალავნებსაც კი შეშურდებათ. ჩვენი დოხტურიშვილიც, ვინ იცის, რამდენჯერაა ბავშვობაში ნაჭიდავები პურისა და ნავთის რიგში. მისი ოქროს მედალი კი, ვიღაც უზბეკ მწვრთნელს მიეწერა დამსახურებად.

ასე რომ, თუ სიმართლე გაინტერესებთ, სწორედ ჩვენი მთავრობის მიღწევაა, „მამლუქი“ ქართველების ოლიმპიური მედლები და არა იმ მწვრთნელების, სხვისი ნაღვაწით რომ „მარიაჟობენ“.

P.S. – ჭიჭიკია, რაფერი ათლეტური აღნაგობა გოუხდა შენს ცოლს...

– დამანებე თავი, თუ ძმა ხარ, დევიღუპე კაცი, მგონი!

– რეიზა, ბუჯო?.. რა მოხდა მაგისთანა?!

– რა მოხდა და ამ ოლიმპიადის შემხედვარემ, ძიუდოში დეიწყო ვარჯიში... ლეიბს ტატამად იყენებს და მე – სპარინგპარტნიორად.

პროვოკატორი

გამოდის, რომ მსხვილი საწარმოები ხალხს ძარცვავენ...

— ენერგეტიკის სფეროს ექსპერტების განცხადებით, სემეკის (ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის) მიერ მსხვილ საწარმოებზე არაკანონიერად დაწესებული შეღავათიანი ტარიფის გამო, მოსახლეობა ზარალდება, სემეკი კი ტარიფის გადახედვას არ აპირებს...

დავით ეგრალიძე, *მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი:*

— სემეკმა სატარიფო დოკუმენტები განზრახ ისე შეადგინა, რომ ენერგეტიკაში გაუთვითცნობიერებელ ადამიანს სატარიფო აფერის აღმოჩენა გაუჭირდეს. მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ისეთ გიგანტურ დაწესებულებებში, როგორებიცაა „ფერო“, „ჭიათურმანგანუმი“, „საქართველოს რკინიგზა“ და სხვა ორგანიზაციები, შეღავათიან თანხებს იხდიან. ეს არის სრული უკანონობა, რადგან ე.წ. შეწონილ ტარიფზე დაბალი ტარიფის დაწესება არ შეიძლება. ეს თავადაც კარგად იციან. მაგრამ სემეკმა თავის უფლებამოსილებას გადააბიჯა და ამის შედეგად, გენერაციის, დისპეტჩერიზაციის და გადაცემის ლიცენზიანტებს სერიოზული ზარალი მიადგათ. ეს ზარალი კი, ისევ რიგითი მომხმარებლის დასაფარავია. პროკურატურაში ამ საკითხზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას და გაირკვეს — თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ხომ არ აქვს ადგილი. იმ შემთხვევაში, თუკი მსხვილ საწარმოებს შეღავათები გაუუქმდებათ, ჩვენი გამოთვლით, მოსახლეობისთვის საშუალო შეწონილი ტარიფი 13-ის ნაცვლად, 8 თეთრი გახდება. როცა ტარიფის თითქმის განახევრების საშუალება არსებობს, უკიდურესად გაჭირვებულმა ადამიანებმა, რატომ უნდა იხადონ საწარმოების მიერ დაგროვილი დავალიანება?.. იმედი მაქვს, სანამ საქმეში პროკურატურა ჩაერევა, სემეკის ხელმძღვანელობა მიხვდება საკუთარ შეცდომებს და 13-თეთრიან ტარიფს 8 თეთრამდე შეამცირებს. ■

„ლარის გამყარების საფუძველი არ არსებობს“

— თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დოლარის კურსი კვლავ დაეცა. როგორ ახსნით ლარის გამყარებას და რა ნიშნულამდე შეიძლება ჩამოვიდეს დოლარის კურსი?

დემურ გიორხელიძე, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— როცა ეკონომიკის მინისტრის პოზიცია საერთოდ გაუგებარია, როცა ფინანსთა მინისტრი მხოლოდ შემოსავლებზე ფიქრობს, ქვეყანაში ეკონომიკურ სტაბილურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ლარის კურსის გამყარების რეალური საფუძველი არ არსებობს. საქართველოში ეკონომიკური აქტივობა დაცემულია, მოთხოვნა დოლარზე — შემცირებული და არ არსებობს რაიმე საბაზრო მექანიზმი, რომელიც ვალუტის თავისუფალ კურსს დაარეგულირებდა. ამ პრობლემების პირისპირ მდგომ ეროვნულ ბანკს, ფულადსაკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენების გარდა, სხვა გზა არ რჩება. იგი იძულებულია, გააგრძელოს ვალუტის ინტენსიური შესყიდვის პრაქტიკა, რადგან ეროვნული ფულის მასა მკვეთრად რომ არ გაიზარდოს, დოლართან მიმართებაში ლარის მაღალი კურსი უნდა დაფიქსირდეს. ამის მისაღწევად, ხელოვნური ჩარევაა საჭირო. შემოტანილი ვალუტა არ გამოიყენება პირდაპირი ინვესტიციისთვის, რათა ლარის კურსზე დაწოლა მინიმალური იყოს. ასეთ შემთხვევაში, ყველაზე მეტად ზარალდება ეროვნული მეწარმე, რომელსაც საგარეო-ეკონომიკური კავშირები აქვს. თუმცა, ეს პროცესი დიდხანს ვერ გაგრძელდება. საქართველოს არა აქვს იმხელა რესურსი, რომ ლარის კურსის გამყარება დიდხანს გააგრძელოს. ■

„საკანონმდებლო ორგანოს ნაცვლად მივიღეთ სანოტარო კანტორა“

— როგორც თავად აცხადებთ, პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქციის შექმნა უკვე გადაწყვეტილია. რატომ არ ასახელებთ იმ დეპუტატებს, რომლებიც ძიძიგური-დავითაშვილის ფრაქციაში შევლენ?

ზვიად ძიძიგური, *პარლამენტის წევრი:*

— ოპოზიციური ფრაქციის ჩამოყალიბებაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს. დღეს ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. საკანონმდებლო ორგანოში უნდა არსებობდეს ფრაქცია, რომელიც კონიუნქტურის მიუხედავად, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას დააფიქსირებს. ამჟამად პარლამენტი თავის მთავარ, მაკონტროლებელ ფუნქციას ვერ ასრულებს, რაც მის ქმედუნაურიანობაზე აისახება. ჩემი აზრით, თავად უმრავლესობა უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ არსებობდეს განსხვავებული აზრი, ხისტი პოზიციაც. ჩვენ საკანონმდებლო ორგანოს ნაცვლად მივიღეთ სანოტარო კანტორა, რომელიც ბეჭედს უსვამს მთავრობის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ჩვენი ფრაქცია პარლამენტში თავისუფალ სიტყვას ააჟღერებს. რაც შეეხება ჩვენ გარშემო შემოკრებილ დეპუტატებს — ზოგი, უმრავლესობის წარმომადგენელია, ზოგი — დამოუკიდებელი დეპუტატი, არიან სხვა ფრაქციის წევრებიც, მაგრამ მათი გვარების დასახელებისგან მაინც თავს შევიკავებ, მათზე ზეწოლა რომ არ განხორციელდეს. შეიძლება მათ მიმართ გადაბირების ჩვეული მექანიზმიც ამუშავდეს, თანამდებობების შეთავაზებითა და სხვა საშუალებებით... როცა ფრაქცია ჩამოყალიბდება, მისი წევრების ვინაობაც მაშინ გაცხადდება, მანამდე პარლამენტარებთან კონსულტაციები გრძელდება — რასაკვირველია, იმათთან, ვისთვისაც ჩვენი მოსაზრებები მისაღებია. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

„მინისტრების კარუსელი კიდევ დატრიალდება“

— გენშტაბის უფროსის გათავისუფლების შემდეგ, გავრცელებული ინფორმაციით, ძალოვანი უწყების სხვა მაღალჩინოსნებიც მის ბედს გაიზიარებენ, რამდენად რეალურია ასეთი პროგნოზი?

დავით ბერძენიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— გენშტაბის უფროსის თანამდებობაზე გივი იუკურიძეს დიდხანს რომ არავინ გააჩერებდა, ეს მისი დანიშვნის მომენტიდანვე ნათელი იყო. ის გახლდათ გარდამავალი ფიგურა, რომელიც დასავლეთში განათლებამიღებულ კადრს უნდა შეეცვალა. თუმცა საერთოდ, რაში დასჭირდათ გენშტაბის უფროსად ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მთავარი სამხედრო ინსპექტორის დანიშვნა, ძნელი სათქმელია. ის კარგად გამოიყენეს და მერე ხელები შეაწმინდეს. მაგრამ ცხინვალთან დაკავშირებით იუკურიძის მისამართით საყვედურების თქმა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას უფრო ჰგავს, რადგან ყველა ნეგატიური თუ პოზიტიური სვლა, რომელიც ცხინვალთან დაკავშირებით დაფიქსირდა, მხოლოდ საკაშვილის ანგარიშზე უნდა ჩაიწეროს. ყველაფერზე პასუხისმგებელი სწორედ პრეზიდენტია. მოსახლეობა მას მოსთხოვს პასუხს — ხალხს ძალოვანი უწყების ხელმძღვანელთა კარუსელი ნაკლებად აინტერესებს. არ გამოვრიცხავ, რომ მიმდინარე პროცესების პარალელურად, ახლო მომავალში მინისტრების შეცვლაც მოხდება. როგორც ჩანს, ძალოვანი უწყების ხელმძღვანელები პრეზიდენტის აღფრთოვანებას ვეღარ ახერხებენ. ვნახოთ, ვის დატოვებს და ვის დაითხოვს მესამე წრეზე დატრიალებული კარუსელი...

■

ცხინვალის რეგიონში უკიდურესად გამწვავებული ვითარების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ტაიმ-აუტი აიღო. პრეზიდენტის განცხადებით, კონფლიქტის დარეგულირების საქმეში პირველ შედეგებს უკვე მივაღწიეთ: ერთი მხრივ, რუსეთმა ვერ შეძლო, ფართომასშტაბიან ომში საქართველოს ჩათრევა, მეორე მხრივ კი, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ქართველი სამშვიდობოები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. რა მოხდა გუშინ და როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები იმ პირობებში, როცა როკის გვირაბთან მომდგარი, რუსეთის სამხედრო ტექნიკა კვლავ საბრძოლო მზადყოფნაშია?.. როგორც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს, ამ ეტაპზე უმთავრესი, ცხინვალის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაა, რომელიც რუსეთისთვის ხარაკირის ტოლფასი იქნება...

ცხინვალის კონფლიქტი:

„დაკონსერვება“ უკუსვლა თუ მზადება „ნახტომისთვის“?..

ხათუნა მაღრაძე

— ყველაზე დადებითი შედეგი, რომელიც პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ გამოიკვეთა, ისაა, რომ ქართული სოფლების მოსახლეობაში გაჩნდა იმედი. მათ აღარ აქვთ იმის განცდა, რომ თბილისში ეს ადამიანები არავის სჭირდება. ადგილობრივ მოსახლეობაში განელდა აპათია, გულგატეხილობა. მათ დაინახეს, რომ საქართველო ისეთი აღარ არის, როგორიც 10 წლის წინ იყო, რომ ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელსაც მობილიზებული ჯარი და ეროვნული ღირსების შეგრძნება აქვს. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ მიღწევებს შორის, რომლებიც ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლების აქტივში შეიძლება ჩაიწეროს.

— თქვენი აზრით, მზად იყო თუ არა საქართველოს ხელისუფლება იმ პროცესებისთვის, რომლებიც ცხინვალში განვითარდა?

— დღეს, როცა ცხინვალის მოვლენების შეფასებისას, პერსპექტივის დანახვას ვცდილობ, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ მოვლენების განვითარება ადეკვატურად შეაფასა. ხელისუფლება მზად უნდა ყოფილიყო რუსეთის მხრიდან ღია აგრესიის შემოტევისთვის. მაშინ, როცა ერგნეთში გადაიკეტა კოკოითის რეჟიმის „ჟანგბადის წყარო“, ჩვენ სრული საფუძველი გვქონდა გვევარაუდა, რომ სწორედ ისე განვითარდებოდა მოვლენები, როგორც განვითარდა. მე მაოცებს ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებები: სისხლი იღვრება, ომში გვითრევენ, მთავარია მშვიდობაო, — და ა.შ. დავანებოთ თავი პაციფიზმს, რადგან მას ყოველთვის ომი მოჰყვება. წავიდეთ, ბუჩქებში დავიმალოთ, გვირტყან და მოვითმინოთ, ოღონდ სისხლი არ დაიღვაროსო, — ასეთია პაციფისტთა განცხადებების ქვეტექსტი. რეალური მშვიდობისმოყვარეობა კი, ომისათვის მუდმივი მზადებაა. ერგნეთის გადაკეტვის შემდეგ, კოკოითი ან დათმობაზე უნდა წასულიყო და საქართველოში ერთ-ერთ გავლენიან პოლიტიკოსად ქცეულიყო, ან საველე მეთაურად დარჩენილიყო. რუსეთმა მას საველე მეთაურობა უბრძანა...

— ...და კონკრეტული დავალებებიც მისცა, არა?

— ეს იყო ფართომასშტაბიან ომში საქართველოს ჩათრევა, რომელიც როკის გვირაბთან დაბანაკებულ სამხედროებს უნდა განეხორციელებინათ, რასაც აუცილებლად მოყვებოდა ქართული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გამოძევება. კოკოითის ოცნებაა, სამაჩაბლოში ისეთი დემოგრაფიული სურათი შეიქმნას, როგორიც დღეს აფხაზეთშია. მაგრამ მსოფლიო არ მისცემს რუსეთს ფართომასშტაბიანი ომის დაწყების უფლებას.

— თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობა კონფლიქტის გამწვავების პარალელურად, საკმაოდ თავშეკავებული განცხადებებით შემოიფარგლებოდა...

— როცა სხვადასხვა ქვეყნის ლიდერი რუსეთს მოუწოდებდა, ყოფილიყო უფრო კორექტული სამაჩაბლოსთან მიმართებაში, ეს უკვე ბევრს ნიშნავდა. ჩვენ ხომ არ

უცხო ქვეყნის ომში თუნდაც ერთი ჯარისკაცის დაღუპვა ევროპული ქვეყნებისთვის ტრაგედიაა, რუსეთის ხელისუფლებისთვის კი, ერთბაშად 1000 ჯარისკაციც რომ დაეხოცოს, ეს მხოლოდ სტატისტიკა იქნება...

გვაქვს სრული ინფორმაცია იმაზე, თუ რაზე საუბრობს კოლინ პაუელი თავის რუს კოლეგასთან პირისპირ შეხვედრის დროს. რუსეთის პოზიციიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს, მსოფლიოს სერიოზული მხარდაჭერა აქვს.

— სამაგიეროდ, რუსეთის მხიდან სერიოზული მხარდაჭერა აქვს სეპარტისტულ რეჟიმს, რომელიც პუტინმა სოჭში ხაჯინბასთან შეხვედრისას დააფიქსირა.

— კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომს ვერ წამოიწყებს. თუმცა ხაჯინბასთან შეხვედრის შემდეგ გამიჩნდა ეჭვი, რომ რუსეთი მორიგი პროვოკაციისთვის ემზადება. პუტინი ჩადის სოჭში, ხაჯინბასთან გულისამაჩუყებლად საუბრობს, უცებ ინტერესდება იმით, თუ რას ჭამენ სეპარატისტები, უძილობა ხომ არ აწუხებთ? — და ეს მაშინ, როცა რუსეთის მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი — 40 მილიონი ადამიანი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა!.. რუსეთის ტელევიზიით გაიჟღერა ცნობამ: მთიელ ხალხთა კონფედერაცია კვლავ არსებობსო!.. როგორც გვახსოვს, ამ კონფედერაციის წევრები აფხაზეთის ომის დროს, ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ. შეიძლება ამ განცხადების მიღმაც, გარკვეული მინიშნება იმალებოდეს. თუმცა, ქართულ არმიას 5-10-ათასიანი კრიმინალურ-ბანდიტური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა არ გაუჭირდება. საქართველოს არმია დღითი დღე ძლიერდება. ერაყსა და ავღანეთში მიღებული გამოცდილების შემდეგ, საქართველოში სულ სხვა შემართების მეომრებად ბრუნდებიან. რუსულ პრესაში რომ აქვეყნებდნენ სურათებს — 10 წლის წინ ცხინვალის მოედანზე იარაღაყრილი ქართველი მეომრები როგორ ეყარნენ მუხლებზე დამხობილები ხალხის დასანახავად — ეს აღარასოდეს გამეორდება. დღეს ჩვენ სხვა ქვეყანა ვართ — ეს კარგად ჩანს სპორტშიც, კულტურაშიც, არმიის მომზადებასა და მოსახლეობის განწყობაშიც.

— ბატონო სოსო, ქართული პოლიტიკური სპექტრი პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებდა. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოში თავისი ვიზიტი ახლა შეუძლებლად მიიჩნია. თქვენი აზრით, მაინც შედგება ეს შეხვედრა?

— მე მგონი, შედგება. როგორც სააკაშვილი, ასევე პუტინი, საკუთარ გამოსვლებში ერიდებიან პიროვნულ კრიტიკაზე გადასვლას. პუტინს პირადად სააკაშვილი არ გაუკრიტიკებია; როგორც ჩანს, სააკაშვილთან შესახვედრად ყველა ხიდს არ წვავს. ჩვენი პრეზიდენტიც დიპლომატიურად თავშეკავებულია პუტინთან მიმართებაში. ეს ფაქტორი, მათ შორის კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელების შესაძლებლობას ტოვებს. თუმცა, პრეზიდენტების შეხვედრა წლის ბოლომდე ალბათ ვერ მოხერხდება.

— მანამდე, მიხეილ სააკაშვილი ეუთოს ეგიდით საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას გეგმავს...

— ამ კონფერენციით, კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია მოხდება, რისიც ყველაზე მეტად ეშინია რუსეთს. ამიტომაც ვერ ფარავს აგრესიულ განწყობას რუსეთის ისტებლიშმენტი. თვით გამოცდილი დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც კი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავშეკავებულობით, ისეთ განცხადებებს აკეთებს, ლამისაა, ჟირინოვსკიში ამერიოს... აცხადებს — კონფერენცია რა საჭიროა? ოთხმხრივი კომისიაც წარმატებით მუშაობსო!.. სულ ცოტა, ძმები გრიმების პერსონაჟი უნდა იყო, რომ ასეთი რამ თქვა. რუსეთმა მშვენივრად იცის, რომ საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვეული 55 ქვეყნიდან 40 მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ცხადია, არ სურთ, ხარაკირი გაიკეთონ... თუმცა სამწუხაროდ, მოსკოვის გავლენა მსოფლიოში ჯერ კიდევ დიდია. ამიტომ, არაა გამორიცხული, რომ მათ კონფერენციის ჩაშლაც კი სცადონ. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავშეკავებისა და სიმტკიცის გამოცდა უკვე ჩააბარა და დამარცხებულის პოზიციას არ შეურიგდება.

— თქვენი აზრით, როგორი იქნება ხელისუფლების შემდეგი ნაბიჯი? ცხინვალის კონფლიქტი გარკვეული ვადით ხომ არ „დაკონსერვდება“?

— „დაკონსერვება“ გამორიცხულია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყო და ახლა უკან დახევა წარმოუდგენელია. სიტუაციის გამწვავებას ქართული მხარე არ შეეცდება, მაგრამ აქტიური თავდაცვისთვის მუდამ მზად უნდა იყოს. გარდა ამისა, ძალზე დროულად მიმაჩნია რეზერვისტთა ინსტიტუტის შემოღება. უნდა ვიზრუნოთ სოციალურ სფეროზე და გამოვიყენოთ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსი და ქართველი მოსახლეობის სურვილი — მთელი საქართველოს ტერიტორია ერთიან იურიდიულ-სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს. მანამდე, საქართველომ არ უნდა იჩქაროს დაგომისის შეთანხმების დენონსაცია. კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოები აუცილებლად გავლენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს „პარტიზანული“ გადაწყვეტილება. გაეროს უშიშროების საბჭოში მიღებულ რეზოლუციაში, რუსი სამშვიდობოების როლი დადებითადაა შეფასებული. მათ მშვენივრად იციან, თუ რას აკეთებენ ცისფერჩაფხუტიანები საქართველოში, მაგრამ ევროპის არც ერთ ქვეყანას არ სურს, კონფლიქტის ზონაში თავისი ჯარის ჩაყენება. რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც სულ არ ადარდებს თავისი ჯარისკაცების სიცოცხლე. უცხო ქვეყნის ომში თუნდაც ერთი ჯარისკაცის დაღუპვა ევროპული ქვეყნებისთვის ტრაგედიაა, რუსეთის ხელისუფლებისთვის კი, ერთბაშად 1000 ჯარისკაციც რომ დაეხოცოს, ეს მხოლოდ სტატისტიკა იქნება... ამიტომ, სანამ ცისფერჩაფხუტიანების რეალურ შემცვლელებს არ ვიპოვით, რუსეთის ჯარის გაყვანა არ უნდა ვიჩქაროთ, თორემ სამშვიდობო კონტინგენტის გარეშე დარჩენილი კონფლიქტის ზონა გაცილებით დიდ პრობლემად შეიძლება გადაიქცეს, ვიდრე ის დღესაა. ■

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
ქარ-ფანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
ფილ: გლადიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.



ბებერი ქალი, ბასიანის ველი და

ტაძრის ეზოში მოწყობილი ავტოსადგომი

ნათია ქივიძე

როგორც „გზის“ წინა ნომერში მოგითხრობდით, სულ ცოტა ხნის წინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსების ექსპედიციასთან ერთად ტაო-კლარჯეთში საქართველოს ძველი ეკლესია-მონასტრების მოსანახულებლად წავედი. გარდა ჩვენი სიმდიდრეების დათვალიერებისა, ისტორიკოსები პროფესიას არ ივიწყებდნენ, ისტორიულ წყაროებს ჩაჰკირკიტებდნენ და რამდენიმე სასარგებლო აღმოჩენაც გააკეთეს.

ბასიანის ველი, სადაც 1202 წელს ბასიანის ბრძოლა მოხდა. ე.წ. პროვინციაა და ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე არაქსის სათავეებთან მდებარეობს. საბჭოთა ისტორიკოსების კვლევის თანახმად, 1202 წელს რუმის სულთანმა რუქნადინმა შავი ზღვისპირეთის ხელში ჩაგდება და აღმოსავლეთში გაბატონება დაისახა მიზნად. მან ერზინკის, აბულისტანის, ბირიტის, ერზრუმისა და შამის (სირია) მფლობელებთან ერთად დაახლოებით 40000-იანი ჯარით საქართველოზე გამოილაშქრა. ბოლოსტეკს (ჰასანყალა) მოსულმა რუქნადინმა თამარ მეფეს მოციქულის პირით დანებება მოსთხოვა. გაურკვეველია რომელი მხრიდან, მაგრამ ქართველთა ჯარი ღამით მტერს თავს მოულოდნელად დაესხა და გამთენიისას უკვე მათ ბანაკში შეიჭრა. საბჭოთა ისტორიკოსები კვლევის საფუძველზე ვარაუდობდნენ, რომ ეს ბრძოლა ამ ვრცელი ველის სამხრეთ ნაწილში, მდინარე არაქსის მარჯვენა ნაპირზე გაიმართა, მაგრამ ჩვენი ექსპედიციის შედეგად, ეს ისტორიული ვერსია მცდარი აღმოჩნდა.

ჯაბა სამუშია *(ისტორიკოსი, ექსპედიციის ხელმძღვანელი):*

— მოგეხსენებათ, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის სარფის გზა საკმაოდ მოგვიანებით გაიხსნა, ტაო-კლარჯეთი კი ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამიტომ საბჭოთა ისტორიის ბევრი მკვლევარი ამ ველზე საერთოდ არ ყოფილა და ეს ადგილი არ უნახავს. ბასიანის ველი ორ ნაწილად, ზემო და ქვემო ბასიანად იყოფა.

აქამდე ვარაუდი იყო, რომ ბრძოლა ქვემო ბასიანზე, მინჯიკერდის მიდამოებში გაიმართა. დღეს კი თამამად და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს ბრძოლა ზემო ბასიანში გაიმართა. ბრძოლის ლოკალიზებას ჩვენ ზემო ბასიანის ჩრდილო-აღმოსავლეთის სექტორით ვახდენთ. ამის საფუძველს გვაძლევს ციხის გეოგრაფიული მდებარეობა. ციხე, რომელშიც დაბანაკებული იყო რუქნადინი, ხოლო გარშემო მისი ლაშქარი, აბსიანის ცენტრშია. როგორც ჩანს, ქართველები მტერს ან ქვემო ბასიანიდან მიეპარნენ, ან იმიერ ტაოდან გადმოვიდნენ. ამწუთას ჩვენ ამ ველზე ვდგავართ და ყოველივე ამის წარმოდგენა თვალნათლივ შეიძლება. მომავალში შეიძლება ჩვენი ეს მოსაზრებაც უარყონ და სხვა ვარაუდიც გამოითქვას, რადგან ისტორიული მეცნიერება ყოველთვის ვითარდება.

მოგვიანებით, ჩვენი ექსპედიცია ქალაქ ერზრუმის მუზეუმს ეწვია, რათა მოგვენახულებინა ის ქართული ქვები, რომლებიც შარშან ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელმა ოშკის ტაძარში აღმოაჩინა. მუზეუმის დირექტორმა დარბაზში კი შეგვიშვა, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, ქვები იქ არ აღმოჩნდა. მოგვიანებით დირექტორმა აგვიხსნა, რომ ის ქვები უზუნდერეს ჟანდარმერიამ დააკავა და ახლაც ჟანდარმერიის ეზოში ინახება. რა თქმა უნდა, მაშინვე უზუნდერეს ჟანდარმერიას ვეწვიეთ. ქვების სანახავად ეზოში კი შეგვიშვეს, მაგრამ მათი გადაღების საშუალება არ მოგვცეს. უფრო მეტიც — ჟანდარმებმა ჩვენ გარშემო წრე შეკრეს და ზედმეტი მოძრაობაც კი აგვიკრძალეს... იქიდან, რა თქმა უნდა, ოშკის ტაძრის მოსანახულებლად წავედით. როგორც მოგეხსენებათ, ეს ტაძარი მეათე საუკუნის ძეგლია. მის აღმშენებლებად დავით კურაპალატი და ბაგრატ ერისთავთერისთავი მოიხსენიება. ეს უკანასკნელი ადარნასე კურაპალატის შვილი გახლდათ. იგი გიორგი მერჩულეს მიერ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია, როგორც ეკლესიების მშენებელი, საღმრთო წიგნების მაძიე-

ტაძრის დასავლეთის კედელზე „ფეშენებელური“ საპირფარეშო გაუმართავთ, ეკლესიის რიკულებიანი შესასვლელი კი, ავტოსადგომად გამოუყენებიათ

ბელი. ოშკის დამფუძნებლებთან ერთად დიდი კედლის წარწერაში კიდევ ვინმე გრიგოლია მოხსენიებული. მუხლმოდრეკილი, ხელებაპყრობილი გრიგოლი ტაძრის სამხრეთ გალერეაში, რელიეფიან ბოძზე, მავედრებელი კომპოზიციის ქვეშაა გამოსახული. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, შესაძლებელია, იგი გრიგოლ ღვთისმეტყველის ზოგიერთი ნაწარმოების მთარგმნელი, ისტორიაში ცნობილი გრიგოლ ოშკელი იყოს.

ოშკის ტაძარი დღეს ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. ჩამონგრეულია თითქმის მთელი გუმბათი, განადგურებულია ფრესკები, ქვებზე წმინდანების გამოსახულებები კი ვიღაცის სასტიკი ხელით არის ამოჩიჩქნილი. ტაძრის დასავლეთის კედელზე „ფეშენებელური“ საპირფარეშო გაუმართავთ, ეკლესიის რიკულებიანი შესასვლელი კი, ავტოსადგომად გამოუყენებიათ. დასავლეთის კედელს დიდი ბოსელი აკრავს. იქვეა მეჩეთიც. ის კედელი კი, საიდანაც ზემოთ აღნიშნული ქვებია ამოღებული, ტაძრის შესასვლელს ეკუთვნოდა.

ჯაბა სამუშია:

– ხელმარჯვნივ, საკურთხევლის მხარეს იყო ძველი მეჩეთის კედელი, რომელშიც ჩაყოლებული იყო ორი დიდი ქვა. დროთა განმავლობაში კედელს მარცხენა მხარე ჩამოენგრა და ძველი ქართული წარწერა გამოჩნდა. ჩვენმა ექსპედიციამ ეს წარწერა აქ 2003 წელს იხილა. მაშინ აგვისტო იყო. ოქტომბრის დასაწყისში მე აქ კვლავ ჩამოვედი და ქვის მეორე მხარე, რომელიც საგულდაგულოდ იყო შელესილი, გამოვათავისუფლე. სამწუხაროდ, მაშინ ჩვენ იმის დრო არ გვქონდა, რომ ეს ქვა საფუძვლიანად შეგვესწავლა, მხოლოდ ის დავაფიქსირეთ, რომ კედელში ჩაყოლებულ ორივე ქვაზე მშვენიერი ძველი ქართული წარწერები იყო და ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა ჩვენი ერისთვის. ამის შესახებ თბილისში ჩემს კოლეგებსაც ვუამბე. მათ შორის იყო პროფესორი ვალერი სილაგავაც. მე და ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა ბუბა კუდავამ გადავწყვიტეთ, კვლავ ჩამოვსულიყავით აქ და ქვები დეტალურად შეგვესწავლა. მაგრამ ჩვენზე ადრე აქ ბატონი ვალერი ჩამოვიდა, ქვები გამოათავისუფლა და მოხდა უდიდესი აღმოჩენა, რომელსაც არავინ ელოდა. ამ ქვების უკანა მხარეს, რომელიც კედელში იყო ჩაყოლებული, გამოჩნდა გამოსახულებები: ერთ ქვაზე – იესო ქრისტე და ბაგრატ ერისთავთერისთავი, ხოლო მეორეზე – ღვთისმშობლისა და დავით კურაპალატის გამოსახულება. მოგეხსენებათ, ოშკში სხვა გამოსახულებებიც იყო, მაგრამ ისინი საგულდაგულოდაა განადგურებული. ამ ქვებზე კი მთლიანი ხელშეუხები გამოსახულებები ვიხილეთ. რა თქმა უნდა, ეს აღმოჩენა ძალიან კარგია, მაგრამ სიფრთხილე გვმართებდა, რადგან ქვების გამოთავისუფლებისას, კედელი ჩამოინგრა, რამაც აქაურებს მისცა საბაბი, ემტკიცებინათ რომ ჩვენ მათ კულტურას ვანგრევთ... თქვენი თვალით ნახეთ, რომ ეს ქვები უზუნდერეს პოლიციაშია გადატანილი, რადგან მათი ვერსიით, ქართველებს მათი მოპარვა უნდოდათ...

ამწუთას ჩვენ ამ ველზე ვდგავართ და ყოველივე ამის წარმოდგენა თვალნათლივ შეიძლება (ბასიანის ველი)

— როგორც აქ შევიტყვეთ, ეს ქვები ერზრუმის მუზეუმში უნდა გადაიტანონ. არსებობს თუ არა იმის პერსპექტივა, რომ ეს ქვები საქართველოში ჩამოიტანონ?

– არა. საქართველოში ეს ქვები ვერასოდეს მოხვდება. ისინი აუცილებლად ერზრუმის მუზეუმში მოთავსდება. მაგრამ თუ ჟანდარმერიის ეზოში დიდხანს გააჩერებენ კლიმატური ზემოქმედების გამო შეიძლება გაფუჭდეს კიდეც...

ჩვენმა ექსპედიციამ მოინახულა ხახული, იშხანი, ბანა, არტანუჯი, ტბეთი, ერთი დღე კი, მთლიანად ხანძთას დავუთმეთ, რადგან ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა გადაწყვიტეს, რომ ეს ძეგლი დაესუფთავებინათ. რა თქმა უნდა, ამ საქმიანობაში ჟურნალისტებიც აქტიურად ვმონაწილეობდით.

გოგონები მონასტერში ამოსულ ბალახს ვუმკლავდებოდით, ბიჭებმა კი ჩამონგრეული სვეტი შეამაგრეს.

■





ჩემი „სასიძო-საპატარძლოებისგან“ რა არ მსმენია, მაგრამ ის, რაც დღევანდელმა რესპონდენტმა, ჯგუფ „სთეისის“ წევრმა ზურა მენთეშაშვილმა მითხრა, ღმერთმანი, პირველად გავიგონე: თურმე, ქალის მოსატაცებლად რის ვაი-ვაგლახით მოგროვილი ფულით მასა და მის პარტნიორებს პირველი სიმღერა ჩაუწერიათ და... მიუძღვნეს... თუმცა, ეს უმჯობესია მისი მონათხრობიდან შეიტყოთ. ინტერვიუდან იმასაც გაიგებთ, თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩვეულებრივ კვახს...

ზურა მენთეშაშვილის რესტორნული გამოსვლა, ინსტრუმენტული მიგნება და ქიმიურად დახვეული თმა

მარი ჯაფარიძე

— ზურა, გაგვაცანი შენი ოჯახი.

— ჩემი წინაპრები გურჯაანის რაიონში, სოფელ მუკუზანში ცხოვრობდნენ. მამის მხრიდან კახელი ვარ, დედა კი მეგრელი მყავს, გალელია და ჩემთვის დღემდე გაუგებარია, თუ როგორ იპოვეს ერთმანეთი... მყავს ძმა, რომელიც ჩემზე 6 წლით უმცროსია, თითქმის ჩემი გაზრდილია და...

— ...ძალიან ამაყობს თავისი გამზრდელი, პოპულარული ძმით, ხომ?

— კი, რამდენჯერმე წამოსცდა, რომ ეამაყება... მისი პატარაობა კარგად მახსოვს. ხელში აყვანის უფლებასაც კი

ახლა კი ახალ ინსტრუმენტს ვიგონებ...

არ მაძლევდნენ ხოლმე. ერთხელ, ჩუმად „დავითრიე“, გულში ჩავიხუტე, მაგრამ მოუხერხებლად მეჭირა, ხელი კისერში წავუჭირე და კინაღამ დავახრჩვე... ახლა კი უკვე „გე-პე-ის“ სტუდენტია.

— შენ რამდენი წლის ხარ?

— 23-ის.

— დაგვიხასიათე საკუთარი თავი.

— ვარ ძალზე გულჩათხრობილი და ბუზღუნა. ისეთ უმნიშვნელო რაღაცებზე ვბუზღუნებ ხოლმე, რომ გაგიკვირდებათ. ოჯახში ძალზე აუტანელი ვარ. არ მიყვარს ლაპარაკი. როცა შინ ვარ, სულ ჩუმად ვარ და ხმას არ ვიღებ. თუ რამეს მკითხავენ, პასუხს თავს ვარიდებ, რადგან ყოველდღე ერთი და იგივეს ლაპარაკი მომწყინდა. ჩემს თავს იმაში ვადანაშაულებ, რომ ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ფორმა ვერ მოვძებნე... ძალზე მიზანდასახული ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიო. ჯიუტიც ვარ, მაგრამ — გარკვეულ ეტაპამდე: თუ ძალზე „რქიან“ ადამიანს დავეჯახები, მაშინ ვთმობ ჩემს პოზიციას, მართალიც რომ ვიყო, რადგან ვიცი, მაინც ვერ გავაგებინებ და აზრი არა აქვს მასთან სიჯიუტეს.

— იოლად ბრაზდები?

— თქვენ წარმოიდგინეთ, საერთოდ ვერ ვბრაზდები. ერთადერთი, რამაც შეიძლება, წონასწორობიდან გამომიყვანოს, ეს არის შეურაცხყოფა. ასეთ დროს ვცდილობ, მუშტი-კრივს თავი ავარიდო. გავეცლები და მერე ისე მოვიქცევი, რომ ამ ადამიანს სინდისის ქენჯნა შეაწუხებს, მოვა და ბოდიშს მომიხდის. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე მქონია და დავრწმუნდი, რომ ჩემი მეთოდი უფრო ამართლებს, ვიდრე ჩხუბი და მუშტი-კრივი.

— კახელი კაცი ხარ და ალბათ, გინება გჩვევია...

— ცხონებული ბიძაჩემი იგინებოდა ძალზე ხშირად და კარგად გამოსდიოდა, უხდებოდა კიდეც. მაგრამ მე არასოდეს ვიგინები. ასე გამზარდეს. თანაც, წინათ ძალზე ეკლესიური ვიყავი. როცა ქუჩაში ვინმეს ცუდი სიტყვა წამოსცდებოდა, მივუბრუნდებოდი და ვეტყოდი — ღმერთმა შეგინდოს-მეთქი!.. ახლა ისეთი რელიგიური აღარ ვარ, მაგრამ მაინც არ ვიგინები.

— რამ გამოიწვია შენში ეს ცვლილება?

— იცით, ადრე გარემოცვა მყავდა ასეთი — ყველა ეკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა, მარხულობდა... შემდეგ ჩემი ცხოვრება სხვა გზით წავიდა, ის ადამიანებიც აღარ არიან ჩემ გვერდით. ერთი რამის იმედი მაქვს: ალბათ, ისევ

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

დადგება ის დრო, როცა ეკლესიაში შესვლა მომინდება. რამდენჯერმე ვცადე, მივედი ეკლესიაში, მაგრამ მივხვდი, რომ ამას იძულებით ვაკეთებდი, ჩემს თავს ვაიძულებდი, ამიტომ აზრი არ ჰქონდა. თუ შიგნიდან არ მოდის სურვილი, ჯობს, საერთოდ არ მიხვიდე იქ...

— დაოჯახებას თუ აპირებ ახლო მომავალში?

— ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული — სიყვარული უნდა მეწვიოს. ერთხელ, შინ გამაბრაზეს და მამაჩემს ვუთხარი: არც ცოლს მოვიყვან და არც შვილები მეყოლება ოდესმე-მეთქი, — და კინაღამ გაგიჟდა...

— შეყვარებულობისას როგორი ხარ ხოლმე?

— მაშინ მუსიკასთან უფრო ახლოს მივდივარ, ყველა ჩემი განცდა მელოდიაში გადადის. შესაძლოა, უბრალო შემთხვევამ ახალი მუსიკა დამაწერინოს. ამ ცოტა ხნის წინ, ბათუმში ვიყავი. მეგობრები დილის 4 საათამდე შევყევით საუბარს. შემდეგ, მე და ერთი ბიჭი მაღაზიაში წავედით, რაღაცების საყიდლად. მაღაზიის კართან მოხუცი კაცი იდგა, ჯოხზე დაყრდნობილი და საწყალს, ასე, ფეხზე მდგარს ჩასძინებოდა. ჩვენი ხმა რომ გაიგონა, წელში გასწორდა და ხელი გამოიშვირა, მოწყალების სათხოვნელად. ბუნებრივია, ძალზე შემეცოდა და ცოტაოდენი ფული მივეცი. მოხუცმა დამლოცა და თბილზე თბილი სიტყვები მითხრა. ამან ჩემზე ისე იმოქმედა, რომ უკან მიბრუნებულმა, ახალი მელოდია დავწერე... მელოდიას ფერებით ვხედავ ხოლმე. სევდიან მელოდიას — მოყვითალო, ნარინჯისფერი, მხიარულ მელოდიას მთელი ფერთა გამა აქვს...

— „იავნანა“ რა ფერისაა?

— „იავნანა“ ნაცრისფერია.

— ჰო-ო, საკმაოდ დიდი ფანტაზიის უნარი გქონია...

— კი. ახლა ვიგონებ ახალ ინსტრუმენტს. არსებობს ეგზოტიკური დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელსაც ტამი ჰქვია. დიდი სურვილი მაქვს, მსგავსი საკრავი შევქმნა, ოღონდ — ჩვეულებრივი კვახისგან. კვახს ამოვაცლი შიგთავსს, გავახმობ, ზევიდან გადავჭიმავ ტყავს, შიგ კი თავისსავე გამხმარ კურკებს ჩავყრი და ვფიქრობ, ძალზე ძლიერი ხმა ექნება. მისი ჟღერადობა უკვე წარმოდგენილიც მაქვს. როდესაც „ბარაბანშიკი“ რიტმს უკრავს, ტამით ხდება ამ რიტმის შევსება. კვახისგან დამზადებულს კი ექნება „ბას-ბოჩკის“ ხმა და წამყვან ინსტრუმენტად მოგვევლინება.

— ახლა გვითხარი, როგორი გოგონები მოგწონს.

— ხშირად მიფიქრია — ნეტავ, ჩემი ცოლი როგორი იქნება-მეთქი? — მაგრამ ვერასოდეს წარმომედგინა. ყველანაირი გოგო მომწონს, მაგრამ მეუღლის კანდიდატურას ალბათ უფრო, ხასიათის მიხედვით შევარჩევ. მახსოვს, ერთხელ ზღვაზე მოვხვდი უცხო საზოგადოებაში. იქ გამაცნეს ერთი გოგო, რომლისთვისაც ყურადღება არც კი მიმიქცევია, მაგრამ რამდენიმე დღე რომ გავიდა, მერე მომეწონა. სულ თავისთვის იჯდა, კითხულობდა, წყნარად იყო... მაგრამ ზოგჯერ ისე ხდება, რომ ცელქი და ახტაჯანა გოგო მომწონს. საერთოდ, ერთი რამ დავაფიქსირე: უფრო ხშირად, ლამაზი გოგო ძალზე ცარიელი და უინტერესოა. ერთხელ გავიცანი ულამაზესი გოგო. მართლაც, საოცარი გარეგნობა ჰქონდა. ერთად ვიყავით, ერთმანეთი მოგვწონდა. მაგრამ იმ პერიოდში სულ ცარიელი ვიყავი, სულიერად ვერ მავსებდა. უბრალოდ, ეს იყო გოგო, რომელთან ერთადაც ქუჩაში გახვიდოდი და გეამაყებოდა, რომ გვერდით მაგარი ქალი მოგყვებოდა — ეგ იყო და ეგ, სხვა მხრივ, შინაგან დისკომფორტს ვგრძნობდი და რომ შევხვდებოდი, ერთი სული მქონდა, როდის დავცილდებოდი. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგივე ვრცელდება ყველა ლამაზ გოგოზე. შესაძლოა, შემხვდეს ლამაზი, ჭკვიანი და ჩემთვის ძალზე სასურველი...

იცით, ვერასოდეს ვხვდები, რა არის მზითვი. მე მირჩევნია, ევროპული ტიპის ოჯახი შევქმნა...

— რა უნდა მოიტანოს მზითვად შენმა მომავალმა მეუღლემ?

— იცით, ვერასოდეს ვხვდები, რა არის მზითვი. მე მირჩევნია, ევროპული ტიპის ოჯახი შევქმნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ საყვარელ ადამიანთან ერთად გარკვეული ხანი ვიცხოვრო ვთქვათ, ნაქირავებ ბინაში და თუ ერთმანეთს შევეწყობით, შემდეგ შეეუღლდეთ. განათხოვარ გოგოზეც დავქორწინდები, თუ შემიყვარდება. ჩემთვის ეს არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს...

— ქონებრივი დეკლარაცია რომ შეავსო, რას ჩაწერ? საკუთარი ქონება თუ გაქვს?

— არაფერსაც არ ჩავწერ, რადგან არაფერი გამაჩნია. ბინა, სადაც ახლა ვცხოვრობთ, წესით ჩემი ძმის გახლავთ. სოფელში თუ რამ გაგვაჩნდა, ყველაფერი გავყიდეთ... ასე რომ, ჩემი საკუთარი არაფერი მაქვს.

— ფინანსურად დამოუკიდებელი ხარ?

— წინათ მამაზე ვიყავი დამოკიდებული. ახლა უკვე აღარ.

— მამა რას საქმიანობს?

— აქვს მცირე ოჯახური ბიზნესი: ტომატს ამზადებს და შემდეგ მის რეალიზაციას ახდენს. მისი კლიენტები უმეტესად, უცხოელები არიან. როგორც გითხარით, დედაჩემი მეგრელია. ეხერხება სხვადასხვა ცხარე საწებლის დამზადება და ორივე ერთად აკეთებს ამ საქმეს...

— ხშირად თუ სვამ და როგორი სიმთვრალე გაქვს?

— ვსვამ მაშინ, როცა საჭიროა. თუ დავთვრები, აუცილებლად ვმღერი ხოლმე. ერთხელ, მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიყავი. რომ შევთვერი, მუსიკოსებთან ერთად რამდენიმე სიმღერა შევასრულე. იქ მყოფი საზოგადოების მოწონებაც დავიმსახურე. მეორე დღეს მეგობარმა მითხრა, რომ ერთ-ერთ გოგონას უთქვამს: — ეს ბიჭი ძალზე კარგად მღერის, ცოდვაა, ასეთი ტალანტი რომ იკარგება, აუცილებლად ბევრს მიაღწევდა, ამ საქმეს სერიოზულად რომ მისდგომოდაო... ჩემს მეგობარს აუხსნია, რომ არცთუ ისეთი საცოდავი ვიყავი, როგორიც მას ვეგონე. თურმე იმ გოგოს თავში ხელი შემოურტყამს, — ზურა როგორ ვერ ვიცანიო?!. არ ვიცი, მართლა ასე იყო თუ ჩემი გულის მოსაგებად მითხრა, მაგრამ თვითონ ირწმუნება, რომ ასე იყო.

— მუსიკალური ნიჭი მამისგან ხომ არ გამოგყვა მემკვიდრეობით?

— ახლავე მოგიყვებით, როგორი მუსიკალური ნიჭი აქვს მამაჩემს. უნივერსიტეტში სწავლის დროს, ის და მისი მეგობარი თემურ ტაბატაძე, რომელიც

რაც შეეხება გარეგნულ იერს – დედა უფრო მიგებს, მამაჩემი კი, ნამდვილი კახელი მიხოა. სახელიც მიშა ჰქვია და სრულად ამართლებს...

ახლა ჩემი ნათლიაა, თურმე, კაპელაში მღეროდნენ. გაგეხსენებათ, კაპელა 30-ზე მეტი მომღერლისგან შედგება. რეპეტიციის დროს, პედაგოგს შეუწყვეტინებია სიმღერა და უთქვამს: მენთეშაშვილო და ტაბატაძევ, თქვენ გაჩუმდითო... მამაჩემს ახლაც უკვირს და მთელი სერიოზულობით კითხულობს ხოლმე: მაინც ვერ გავიგე, ამდენ ხალხში როგორ გაიგო, რომ არასწორად ვმღეროდიო... ისე, ჩემი წინაპრები კარგი მომღერლები ყოფილან. ბაბუაჩემის (მამაჩემის მამის) სიმღერის ჩანაწერები დღესაც არსებობს საქართველოს ტელევიზიაში. დედის მხრიდანაც ყველა მღერის.

— მეგრული თუ იცი?

– კი, მეგრული ძალზე კარგად ვიცი. ამის გამო რამდენჯერმე კურიოზულ სიტუაციაშიც აღმოვჩნდი. ერთხელ, სამეგრელოში ვიყავი და მოვხვდი სუფრასთან, სადაც ძალზე ბევრი გოგონა იყო. ყველა მეპრანჭებოდა, თან მეგრულად ერთმანეთს ჩემზე ელაპარაკებოდნენ. მე ვითომ არ მესმოდა, ისე ვიქცეოდი. კითხულობდნენ, ნეტავ, ვის გააცილებს? ნეტავ, რომელი ჩვენგანი მოვეწონეთო?.. წამოსვლისას, ერთ-ერთ, ყველაზე წყნარ გოგოზე ვთქვი მეგრულად – ამ გოგონას შინ მე გავაცილებ-მეთქი. ეს ძალზე მოულოდნელი იყო მათთვის. ისე შერცხვათ, ერთმანეთს ასწრებდნენ გაქცევას... სხვა დროსაც ხშირად მქონია მსგავსი შემთხვევა და მიყვარს, როცა ბოლოს ვხსნი ხოლმე კარტს.

— მშობლებს თუ მოსწონთ შენი საქმიანობა, სტილი, ბლანჟე, გრძელი თმა?..

– სიმღერით ჩემს გატაცებას თავიდან, არასერიოზულად უყურებდნენ, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ ძალზე დაინტერესებული ვიყავი ამ საქმით, თავი დამანებეს. რაც შეეხება გარეგნულ იერს – დედა უფრო მიგებს, მამაჩემი კი, ნამდვილი კახელი მიხოა. სახელიც მიშა ჰქვია და სრულად ამართლებს... ანეკდოტებს რომ ჰყვებიან მიხოზე, სულ მგონია, მამაჩემზე ჰყვებიან. გარეგნობაც ისეთი აქვს – ღიპიანი, ულვაშიანი კაცია... ამიტომაც მასთან ვერაფრით მოვაგვარე ურთიერთობა. სულ მემუქრება – მაგ თმას მაკრატლით მოგჭრი ძირშიო. მაგრამ ჩემს საქმეს ასე სჭირდება და რა ვქნა?.. თავდაპირველად თმის გაზრდა რომ დავიწყე, ქიმიურად დავიხვიე. მაშინ თმას არ ვიკრავდი. გავიქნევდი თავს და მორჩა – თმა მშვენივრად მქონდა. ერთხელ, მამამ ძალზე რომ გამიჭირა საქმე, ძველი სურათები მოვქექე, სადაც თვითონ გრძელი თმითა და გიტარით ხელშია გადაღებული და ვუთხარი – ეს რა არის? შენ ხარ თუ მეჩვენება-მეთქი?.. თავი ვეღარაფრით იმართლა და შემეშვა.

— „ჩიტმა“ ამბავი მომიტანა, რომ ქალის მოტაცება გიცდია...

– კი, ერთხელ მქონდა ამის მცდელობა... ჩემი მეგობარი, თაზო გუგეშაშვილი და მე ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს და ვმეგობრობდით კიდეც. შემდეგ, როგორღაც ისე მოხდა, რომ წლების განმავლობაში აღარ ვკონტაქტობდით. ერთხელ, შემთხვევით შევხვდი. გაუხარდა ჩემი დანახვა, მითხრა: სწორედ შენ მჭირდებოდი ახლაო. ერთი გოგო ჰყვარებია, მის მოტაცებას აპირებდა და ისეთ ადგილზე უნდოდა მიყვანა, სადაც ვერავინ მიაგნებდა. მისი ოჯახის წევრებს მე თითქმის დავიწყებულიც ვყავდი, ამიტომ ჩემთან, სოფელში წავიყვანდით და უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა... დავთანხმდი, მაგრამ საქმის ვითარებას დაწვრილებით რომ გავეცანი, მივხვდი – ეს გოგო მასთან დამრჩენი არ იყო და ვუთხარი: მოდი, მოსატაცებლად მოგროვილი ფულით სიმღერა ჩავწეროთ-მეთქი. იდეა თაზოსაც მოეწონა, სიმღერა ჩავწერეთ და თაზომ მთელი სულითა და გულით უმღერა იმ გოგოს. ტექსტიც შესაფერისი ჰქონდა, სათაურიც – „სიყვარულის ფერია“ ერქვა... ამის შემდეგ შევქმენით ჯგუფი და დავიწყეთ სიმღერა...

— შენს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს თუ გაეცნობი? იქნებ, რომელიმე გოგონასთან შეხვედრაც მოახერხო?

– ეს ყველაფერი ძალზე საინტერესოდ მეჩვენება. სიამოვნებით შევხვდები ერთ კარგ გოგოს და თუ მომეწონება, შესაძლოა, ჩვენს გაცნობას სერიოზული გაგრძელებაც მოჰყვეს...

დღევანდელ „სასიძოსთან“ შეხვედრის მსურველებს შეუძლიათ დამიმესიჯონ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ზურა შემპირდა, რომ უეჭველად მოიცლის სასურველ გოგონასთან შესახვედრად. ვინ იქნება მისი რჩეული, ამას „გზის“ შემდეგ ნომერში მოგახსენებთ.

■

ცნობილია, რომ ქართველ კაცს ყოველთვის უჭირს საკუთარი ქალიშვილის გათხოვებასთან შეგუება, მაგრამ რომელმა მამამ არ იცის, რომ ეს გარდაუვალია?.. ჩვენ მიერ წინა ნომერში წარმოდგენილი „საპატარძლოების“ — ია და ეკა მანიუაშვილების მამას ორჯერ მოუწევს ამ განცდის გადატანა... მათ ინტერვიუზე მოსული გამოხმაურებების სიმრავლითა და შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ეს სულ მალე მოხდეს...

„ძმები ვართ და დებს ცოლად ხომ ვერ მოვიყვანთ?!.“

მარი ჯაფარიძე

„ეკა, შენი თვალები და ტუჩები მაგიჟებს, სხეული — მთიშავს! დამიკავშირდი...“

„ია, ჩემი ოცნების მთა ხარ. ისიც ვიცი, რომ ბოროტი არ ხარ, ყველაზე კარგი ჩემთვის შენა ხარ, იცი, რას გეტყვი? — მე შენ მიყვარხარ“;

„ძალიან მაგარი გოგოები არიან, მომწონს, ასეთი დობა რომ აქვთ. მათ ინტერვიუს რომ ვკითხულობდი, სახეზე ღიმილი არ გამქრობია. ბედნიერებას გისურვებთ, ძალზე საყვარლები ხართ. ბათუმი“.

„წავიკითხე თქვენი ინტერვიუ და ვწუხვარ, რომ გაცილებით უფროსი ასაკის ვარ. არადა, ხელოვანი ვარ სულით, გულით და არსებით“.

„ვაჟკაცი ვარ, ქედს ვერავინ მიხრის, მაგრამ შენ წინ დავეცემი მუხლზე და გამისკდეს მაშინ ფეხქვეშ მიწა, თუ შენს მონად ყოფნა მე არ მსურდეს. ეკა, რა ვქნა, ქერა რომ ვარ?“

„ია, ვარ ქერა, მაქვს გრძელი, ხვეული თმა. ჩემი თავი რომ წარმოვიდგინე ვარდისფერ კოსტიუმში, მოხიბლული დავრჩი. თუ გამომეხმაურები, ქორწილში ზღაპრული პრინცის გვერდით აღმოჩნდები. ეგ არის მხოლოდ, რომ საგონებელში კაბრიოლეტმა ჩამაგდო: ვარდისფერი კაბრიოლეტი სად ვიშოვო?..“

„ეკას ვეხმაურები. წყნარი და სათნო გოგონები მხიბლავს და არც ახტავჯანა ცოლისდაზე ვიტყვი უარს. თანაც, გემრიელი კერძები მიყვარს. შენი ხელით მომზადებულ საცივს რა ემჯობინება?“

„აღარ ვიცი, არჩევანი რომელზე გავაკეთო. ორივე კარგები ხართ. ისე, ეკა უფრო ვნებიანი და სექსუალური ჩანს. ამიტომ არჩევანს მასზე შევაჩერებდი“.

„ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს კიდევ, მღვდლის ცოლიო, ხომ გაგიგონიათ?.. ჰოდა, მეც ახტავჯანა, ჯიუტი და ქალი- „შოკი“ ია მომწონს. საინტერესოა, რა სიურპრიზები აქვს მოფიქრებული? ია, დამირეკე და სიურპრიზები ჩემზე იყოს“.

„ჩემო ეკა, ჩაალაგე შენი ბარგი-ბარხანა და გაემზადე ჩემთან წამოსასვლელად. უარი არ გამაგონო! ჟურნალი ხომ გამოვა ხუთშაბათს?.. ჰოდა, იმავე შაბათს მოვდივარ შენს წამოსაყვანად. იცოდე, მაინც ჩემი გახდები და ბევრს ნულარ გაჯიუტდები. შაბათს, ხუთ საათზე, თემქაზე გელოდები. გაიგე?“

„ძალიან მინდა ეკას გაცნობა. ასე მგონია, ერთმანეთისთვის დავიბადეთ. საოცარი ის გახლავთ, რომ სწორედ ასეთი ხასიათის გოგონები არ მომწონს, მაგრამ ეკა სულ სხვაა, თითქოს სითბოს ასხივებს. ახტავჯანავ, შენ ნუ გეწყინება...“

„ია, არ მინდა შენი საწოლი. მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ცულის ტარზეც დაეტევა, მე კი დიდი, ორსაწოლიანი,

ფრაზებ

ის, ვისაც გონიერი აზრი ელევა, გააფთრებულ ჩხუბსა და ყვირილზე გადადის.

ლეონარდო და ვინჩი

გენიალური

არაბული ტახტი მაქვს, ვარდისფერი გადასაფარებლით. ნამდვილად ვერაფერს დაუწუნებ. ფეხებიც გამძლე აქვს! მარტო ვარდისფერი პიჟამო ან ღამის პერანგი წამოიღე და მოდი, გელოდები...“

„ია მომეწონა, საინტერესო ქალია. მასთან ალბათ არასოდეს მოიწყენს კაცი“.

„ია, შენი კრიტიკის არ მეშინია. ვერაფერს დამიწუნებ, თუნდაც, მიკროსკოპით გამსინჯო. არ გჯერა?.. რომ მნახავ, დაიჯერებ. ფრთხილად იყავი, მე არ დაგიწუნო, ჩემო სიცოცხლევ. თუ ჩემს მკლავებში მოგიმწყდიე, ველარ გამექცევი, იცოდე. ვარდისფერი სათვალე, ცხოვრების საყურებლად, ჩემზე იყოს...“

„ეკას უთხარით, ასე ცხოვრება არ შეიძლება. შეხედოს თავის დაიკოს, ცოტა რამ მისგან ისწავლოს, თორემ, დაჩაგრება“.

„შავი საპატარძლო კაბა რა მოსატანია?! მუქ ფერებში გეჩვენება ქორწინება?!. ეკუნა, ძვირფასო, მე რომ შემხვდები, დარწმუნებული იყავი, ყველაფერი უცებ გალამაზდება. მე შემიძლია, შენს მშობლებს ვთხოვო შენი ხელი. მაგრამ რად გვინდა ზედმეტი ხლაფორთი? მოდი, გავიპაროთ...“

„წარმოდგენა არ მაქვს, რა ვქნა. ეკაც მომწონს, იაც... კაცმა არ იცის, ცხოვრებაში როგორი ქალი უფრო გამოდგება. რაღაც, ასე მგონია, რომ ეკასთან მოვიწყენ, სულ მინორული განწყობილება მექნება, იასთან კი, ხალისიანი ცხოვრება მელის... თუმცა, ხასიათს გააჩნია... ოჰ! დები მაინც არ იყოთ, თქვე კუდრაჭებო, მერე მე ვიცოდი და ჩემმა კაცობამ“.

„მყავს ბავშვობის მეგობარი, რომელიც ყოველთვის პრობლემებს ეძებს. ხან ერთ შარშია გახვეული, ქალის გამო, ხან მეორეში. უყვარს ჯიუტი, ახტაჯანა გოგონების მორჯულება და მერე მათზე მბრძანებლობა – როდესაც მათ კატის კნუტებად გადააქცევს ხოლმე... ჩემო ია, დარწმუნებული ვარ, შენს მორჯულებასაც შეძლებს. ისეთი თბილი, რბილი და თვინიერი გახდები, რომ შენ თვითონ გაგიკვირდება... მე კი ეკასნაირი, დამყოლი გოგონები მომწონს, ზედმეტ პრობლემებს რომ არ გიქმნიან კაცს. ეტყვი: – ასე გააკეთე, – ასე გააკეთებს, ეტყვი – ისე, – ისე მოიქცევა. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ დამდგარ წყალში მეტი ბაცილაა. როდის მოიქნევს კუდს ეს ჭკვიანი გოგო და როდის გაგიმწარებს სიცოცხლეს, ღმერთმა იცის... მოკლედ, სულსა და გულს გთავაზობთ და რისკზე მივდივართ... გია და თაზო“.

„ერთი ცოლი უკვე მყავდა. სწორედ იასნაირი ხასიათი ჰქონდა. მაგრამ მაინც ია მომწონს, რადგან შეჩვეული ჭირი მირჩევნია და უკვე გამოცდილებაც მიღებული მაქვს, როგორ უნდა მოვიქცე ასეთი ხასიათის ქალთან. თუ მოვიყვან ჩემს ჭკუაზე, ხომ კარგი, თუ არა და, ეგ ორი და... სხვა მრავალი“.

„გოგონებო, ძალზე კარგები ხართ. მე და ჩემს ძმას ჩხუბი მოგვივიდა. არა, არ იფიქროთ, რომ ერთი გოგო მოგვეწონა. მე ია მომწონს, მას – ეკა, მაგრამ ძმები ვართ და დებს ცოლად ხომ ვერ მოვიყვანთ?!. ამიტომ დავცხეთ ერთმანეთს: არა – მე უნდა მოვიყვანო მანიჟაშვილების ქალი, არა – მეო... არ ვიცი, რომელი ვაჯობებთ. უახლოეს მომავალში, პასუხს შეგატყობინებთ. ისე, ჩემი ძმა ერთ დროს კრივში ვარჯიშობდა... ეჰ...“

■



ზრაგედია ოჯახში – საძინებელში ჩაცხრილული ბავშვების და მათი მშობლების გვამები იპოვეს

ვერაგული მკვლელობის დეტალები და ვერსიები

ტრაგედია, რომელიც თიანეთის რაიონის სოფელ არტანში 8 წლის წინ დატრიალდა, ადგილობრივ მოსახლეობას დღემდე ზარავს. სამართალდამცავები ამბობენ, რომ მსგავსი სისასტიკის მომსწრენი არასდროს გამხდარან. ბოროტმოქმედებმა მთელი ოჯახი და კიდევ — ორი სტუმარი — სულ შვიდი ადამიანი ამოხოცეს, მათგან ერთი — მცირეწლოვანი ბიჭი და ორი — არასრულწლოვანი გოგონა... დამნაშავეები (თუ დამნაშავე — ეს ჯერ კიდევ დასადგენია) ღამით დაესხნენ მათ თავს და ავტომატით პირდაპირ საწოლებში, მძინარეები ჩაცხრილეს...

1996 წლის 25 სექტემბერს ჩადენილი შემზარავი დანაშაულის დეტალები უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანი ახლა ხდება...

გარდაცვლილები მკვლელობიდან რამდენიმე საათში, დილით აღმოაჩინეს. 40 წლის პავლე ბერიანიძე, მისი მეუღლე – 35 წლის სონია წიკლაური, მათი შვილები: 14 წლის ნინო, 12 წლის მაია და 9 წლის გიორგი, ასევე ბერიანიძეების ოჯახში იმ ღამით სტუმრად დარჩენილი, 45 წლის შოთა წიკლაური (სონია წიკლაურის ძმა) და მეზობელი ქალი – 70 წლის ევა პაპიაშვილი სახლის მეორე სართულზე, სხვადასხვა ოთახში იწვნენ. არც ერთ მათგანს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. არც დამნაშავის კვალი ჩანდა სადმე...

პავლე ბერიანიძის მეზობლის, აწ გარდაცვლილი **ეკატერინე თეთრაულის** ჩვენებიდან:

„1996 წლის 24-25 სექტემბრის ღამეს, ერთდროულად ტკივილმა და ეზოში დაბმული ძაღლის გაავებულმა ყეფამ გამაღვიძა. ღამის 2 საათი იყო. ძაღლის ყეფა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ამასობაში, თავსხმა წვიმა დაიწყო. წამლის მიღების შემდეგ, ისევ დავწექი და დავიძინე. დილით გავიგე, რომ ბერიანიძეების ოჯახი ამოეხოცათ...“

არც ამ ქალბატონს, არც რომელიმე სხვა მეზობელს, როგორც თავად ამბობენ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა არ გაუგონიათ. არაფერი შეუნიშნავთ არც პავლე ბერიანიძის ხანში შესულ მშობლებს, რომლებიც რძალთან ერთად ცალკე, მოშორებით ცხოვრობენ. იმ ტრაგიკული ღამის შემდეგ, პირველი სწორედ მიხეილ ბერიანიძე მივიდა შვილის ოჯახში. როგორც მისმა ქალიშვილმა გვითხრა, იგი დილაუთენია ყანის გასათიბად მიდიოდა და გზად შვილთან შეიარა, რათა მისთვის ქილით ხორცის კონსერვი მიეტანა. ოთახში შესულმა, ქილა მაგიდაზე დადო და მშვიდად გაბრუნდა უკან. იმ დროს, იმავე ოთახში შოთა წიკლაური, გვერდით საძინებლებში კი, მისი შვილი, რძალი და შვილიშვილები სისხლში ცურავდნენ. მაგრამ ამის შესახებ მიხეილ ბერიანიძისგან არავის შეუტყვია. მოგვიანებით, როცა ყველაფერი გაირკვა, მან თქვა, რომ სახლში საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. „კარგად არ იყო გათენებული და ოთახებში ბნელოდა. იქ შესულს, არავინ რომ არ გამომეხმაურა, ვიფიქრე, სძინავთ-მეთქი. გაღვიძებას მოვერიდე და მაშინვე წავედი“, – აღნიშნა მიხეილ ბერიანიძემ.

პავლე ბერიანიძე

სონია წიკლაური შვილთან გიორგისთან ერთად

ლია ბადრახიშვილი (პავლე ბერიანიძის აწ გარდაცვლილი ძმის ცოლი):

„მამამთილის შემდეგ, ჩემი მაზლის ოჯახში მე მივედი. დილით, უკვე კარგად იყო გათენებული, როცა პავლეს სახლისკენ გავეშურე. თხილისთვის ვაპირებდით წასვლას. წინადღეს ნინომ და მაიკომ მითხრეს – ჩვენც წამოვალთო და სწორედ მათი გაფრთხილება მინდოდა, რომ მომზადებულიყვნენ. ჭიშკართან მეზობელი – სერგო დულუხაური დამხვდა. სახლში არ არიან, რამდენი ხანია, ვეძახი და არავინ გამომეხმაურა, შეიძლება, სძინავთო, – მომიგო. – რა დროს ძილია-მეთქი? – გავიკვირვე და ეზოში შევედი. სახლში შესასვლელი კარი მიხურული იყო. შევაღე და პირველი, რაც თვალში მომხვდა, კომოდის გადმონგრეული უჯრები გახლდათ. ტანსაცმელი გარეთ იყო გადმოყრილი. დღის შუქი ოთახს კარგად ანათებდა. იქვე საწოლზე შოთა წიკლაური იწვა. გავიფიქრე – სძინავს-მეთქი. მისკენ გახედვის მომერიდა, რადგან უცხო კაცი იყო და პირდაპირ ბავშვების საძინებლისკენ წავედი. ბავშვებიც იწვნენ, მაგრამ მათი ფერი არ მომეწონა. გულმა რეჩხი მიყო, ძალიან უცნაურად გამოიყურებოდნენ. გიორგის მივუახლოვდი. თვალები ოდნავ ღია, ენა კი კბილებში ჰქონდა მოყოლილი... აღარც ნინო იყო ცოცხალი... მაიასთან მისვლა ვეღარ გავბედე... კივილით გავვარდი ოთახიდან და მაშინღა შევნიშნე შესასვლელში, სონიას ძმის საწოლის ქვეშ, სისხლის გუბე. ყვიროდი – სერგო! სერგო! ყველანი დახოცილები არიან-მეთქი!“

შეშინებული და თავზარდაცემული ლია ბადრახიშვილი მაზლისა და რძლის საძინებელ ოთახში აღარ შესულა. ნანახმა კოშმარმა მცირე იმედიც კი არ დაუ-

ნინო ბერიანიძე

მაია ბერიანიძე

ტოვა და იმაში დაარწმუნა, რომ ცოლ-ქმარიც მკვდრები იყვნენ...

შემთხვევის ადგილზე იმავე დღეს გამოცხადდნენ სამართალდამცავები. დაადგინეს, რომ შვიდივე გვამი „ა-კა-ესის" სისტემის ავტომატით იყო დაცხრილული. თუმცა, ამაზე შორს გამოძიება არ წასულა. მთელი სოფელი დაჭკითხეს. მოგვიანებით, კონკრეტულ პირებზე ეჭვიც მიიტანეს, თითოეულ მათგანს ჩვენება ჩამოართვეს, მაგრამ – ამაოდ. მტკიცებულებების არარსებობის გამო, საქმე არ იხსნებოდა და ეს სიტუაცია წლების მანძილზე უცვლელი რჩებოდა.

ძიების ძირითად ვერსიას, ყაჩაღური თავდასხმა წარმოადგენდა. ბერიანიძეების ოჯახი დიდი სიმდიდრით არასდროს გამოირჩეოდა, მაგრამ იმ პერიოდისთვის გარკვეული თანხა (მაშინდელი დროისთვის საკმაოდ სოლიდური) 2-წლიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად ცოლ-ქმარს მართლაც ჰქონდა მოგროვილი. მძიმე მატერიალური მდგომარეობით შეწუხებულმა, სამი შვილის მშობლებმა გადაწყვიტეს, 1994 წელს რუსეთში, კერძოდ მოსკოვში გამგზავრებულიყვნენ სამუშაოდ. პავლე ბერიანიძე ლუდს ასხამდა, მისი ცოლი კი, ხინკალსა და ღვეზელს აცხობდა...

1996 წლის სექტემბერში, მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე, ისინი სოფელ არტანში დაბრუნდნენ. თან ჩაიტანეს მოგროვილი თანხა – 7.000 დოლარი, რომელიც სახლის გასარემონტებლად და ტრაქტორის შესაძენად ჰქონდათ განკუთვნილი. ეს ამბავი, ნათესავების გარდა, მეზობლებშიც მალე გახმაურდა.

ელენე ბერიანიძე (პავლე ბერიანიძის და):

„დროდადრო ჩამოდიოდა სოფელში. უკანასკნელადაც მცირე ხნით ჩამოვიდა. მალე ისევ მოსკოვში აპირებდა ცოლთან ერთად გამგზავრებას. არა მარტო ოჯახს, არამედ ნათესავებსაც ეხმარებოდა მატერიალურად. პირადად ჩემთვის, არაერთხელ უჩუქებია გარკვეული თანხა. შემთხვევამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, სახლში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. რემონტს მეზობელი – მიშა ივანური უკეთებდა.

გარკვეული სამუშაოს შესრულების შემდეგ, ივანურმა ჩემს ძმას 600 დოლარის გადახდა მოსთხოვა. მართალია, წინასწარ ფასზე არ შეთანხმებულან, მაგრამ ამდენს პავლე ნამდვილად არ მოელოდა. თვლიდა, რომ ივანურის მიერ გაწეული შრომა 200 დოლარს არ აღემატებოდა და ამიტომაც, უარი თქვა მის მიერ დასახელებული თანხის გადახდაზე. ივანური თავისას არ იშლიდა და ამის გამო, მათ შორის შელაპარაკებაც მოხდა. თუმცა, ყოველივე ეს მწვავე უსიამოვნებაში არ გადაზრდილა".

გავრცელდა ხმა, თითქოს უკმაყოფილო ივანურმა პავლე ბერიანიძეს საქმის გასარჩევად ქურდული სამყაროს წარმომადგენლებიც კი მიუგზავნა. მაგრამ ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ ბერიანიძის ახლობლები. მათი თქმით, ვერსია, თითქოს პავლე ბერიანიძისა და მიშა ივანაურის დაპირისპირებას მომხდარ ტრაგედიასთან კავშირი აქვს, უსაფუძვლოა. ამ ვარაუდის არარეალურობაზე საუბრობს პროკურატურაც, მით უმეტეს დღეს, როცა ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით გამოკვეთილი პოზიცია აქვს და ამ პოზიციის დათმობას არც აპირებს:

პროკურატურის განცხადებით, საქმეს 7 წლის შემდეგ – 2003 წელს მოეფინა ნათელი, მაშინ, როცა ქურდობისთვის პასუხისგებაში მიცემულმა, №5 საპყრობილის პატიმარმა გიორგი იმერლიშვილმა ბერიანიძეების ოჯახში მომხდარი მკვლელობის შესახებ სამართალდამცავებს ჩვენება მისცა და დანაშაულში მონაწილე პირები ამხილა.

სწორედ მისი ჩვენების საფუძველზე, 3 ადამიანის დაპატიმრების სანქცია გაიცა. სამივე სოფელ არტანის მკვიდრი გახლდათ: 1965 წელს დაბადებული ზურაბ ქუშხეველი, 1955 წელს დაბადებული გენადი (ლუხუმი) პატარაშვილი, 1967 წელს დაბადებული ნიკო ჭამაშვილი. ქუშხეველი წარსულში ნასამართლევი გახლდათ. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 1980 წელს ის გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისთვის გაასამართლეს. 1997 წელს კი, სატრანსპორტო საშუალების გატაცებისთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

წინასწარი გამოძიების შემდეგ, პროკურატურამ ქუშხეველი, პატარაშვილი და ჭამაშვილი ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებად და შემსრულებლებად გამოაცხადა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 1996 წლის 19 სექტემბერს, ქუშხეველი ცოლთან და ნათესავთან ერთად თბილისიდან ტაქსით ჩავიდა არტანში. ისინი მეორე დღეს, ისევ თბილისში დაბრუნებას აპირებდნენ. არტანში ჩასულებს, სახლში ქუშხეველის და და სიძე დახვდათ. გაშალეს სუფრა. ქუშხეველის ჩასვლის ამბავი მეზობლად მცხოვრებმა პავლე ბერიანიძემაც შეიტყო, თავის სტუმართან – ცოლისძმასთან ერთად მასთან გადავიდა და მოიკითხა. საუბრისას ქუშხეველმა შეიტყო, რომ ბერიანიძე რუსეთიდან ახალი ჩამოსული იყო, თან ჩამოტანილი ჰქონდა გარკვეული თანხა და მისი დაყაჩაღება განიზრახა. ამიტომ, გადაიფიქრა მეორე დღეს თბილისში დაბრუნება. 20 სექტემბერს, ნათესავი და ტაქსის მძღოლი გაისტუმრა, თავად კი, ცოლთან ერთად, არტანში დარჩა. ამის შემდეგ, დაუკავშირდა თანასოფლელებს – გენადი პატარაშვილსა და ნიკო ჭამაშვილს, გაანდო მათ განზრახვა, ისინიც დათანხმდნენ და შეადგინეს გეგმა...

1996 წლის 24 სექტემბერს, ქუშხეველი და პატარაშვილი თბილისში გაემგზავრნენ. გუმათჰესის ქუჩაზე ქუშხეველი თავის ნათესავს – დედის დეიდაშვილს გიორგი იმერლიშვილს შეხვდა (პროკურატურის ინფორმაციით, სწორედ იმერლიშვილთან ერთად ჰქონდა ქუშხეველს ჩადენილი სატვირთო ავტომანქანების აკუმულატორების არაერთგზის ქურდობა). უამბო მას ყოველივე და დანაშაულში მონაწილეობა შესთავაზა. სადარბაზოში საუბრისას უთხრა, რომ გარეთ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ელოდებოდა, რომელიც საქმის კურსში იყო, მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე და დანაშაულში მხილების შემთხვევაში, მათ დაიფარავდა.

მიუხედავად ამისა, იმერლიშვილი შეთავაზებულ წინადადებას არ დათანხმდა. რადიკულიტით ვარ ავად, მოძრაობა მიჭირსო, – ასეთი იყო მისი პასუხი. მაშინ ქუშხეველმა ავტომანქანა სთხოვა. იმერლიშვილმა ამაზე უარი ვეღარ უთხრა და თავისი „ვაზ-2105" გაატანა

მას. ამის შემდეგ, ქუშხეველმა და პატარაშვილმა კაპრონის წინდები შეიძინეს, რათა მისგან ნიღბები დაემზადებინათ და გვიან ღამით, ისევ არტანში დაბრუნდნენ.

მანქანა ბერიანიძის სახლიდან დაახლოებით 200 მეტრში, მიფარებულ ადგილზე გააჩერეს. იქ მათ ჭამაშვილიც შეუერთდა. ავტომანქანის ნომერს ქსოვილი ჩამოაფარეს და „ა-კა-ესის“ ავტომატით (რომელიც პროკურატურის ინფორმაციით, სამივემ ერთად დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინეს) შეიარაღებულები, ბერიანიძის სახლში შეიჭრნენ. გეგმის თანახმად, თუკი ოჯახის წევრები რომელიმე მათგანს მაინც შეიცნობდნენ, უკლებლივ ყველა უნდა დაეხოცათ. აღსანიშნავია, რომ გენადი პატარაშვილი ბერიანიძის უმცროსი ვაჟის – გიორგის ნათლია გახლდათ. ბოროტმოქმედები სახლში შესვლისთანავე, ფულის ძებნას შეუდგნენ. ხმაურზე გამოღვიძებულმა ოჯახის წევრმა (თუმცა, საბრალდებო დასკვნაში არაა მითითებული, თუ კონკრეტულად რომელმა) ისინი, ნიღბების მიუხედავად, მაინც იცნო და თავდამსხმელებმაც არ დააყოვნეს... ფულს მაინც ვერ მიაგნეს. ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, დანაშაულის გამჟღავნების შეეშინდათ და იქაურობა საჩქაროდ დატოვეს. ავტომანქანით დაბა თიანეთისკენ გაემართნენ. იქიდან, კვალის დაფარვის მიზნით, მანქანა იმერლიშვილთან 18 წლის ჯარჯი ჯაბანიშვილს გაატანეს, თან დააბარეს ეთქვა მისთვის, რომ მანქანა აუცილებლად დაემალა. ჯარჯიმ იმერლიშვილს უთხრა, რომ ღამით მკვლელობა მოხდა. ისიც მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და შეშინებულმა, საკუთარი მანქანა ნაწილებად დაშალა. ნაწილები გაყიდა, მანქანის ტექნიკური პასპორტი კი დაწვა. ალიბის შექმნის მიზნით, ქუშხეველი, პატარაშვილი და ჭამაშვილი 25 სექტემბერს, გამთენიისას, დაბა თიანეთში გივი ბაღიაშვილის სახლში მივიდნენ და სმა დაიწყეს. დაახლოებით 11 საათისთვის იქ ბერიანიძის ოჯახის ამოხოცვის ამბავი მიიტანეს. მაგრამ მათ ქეიფი განაგრძეს, არტანში მხოლოდ 17.15 საათზე ჩავიდნენ და შეკრებილ მეზობლებს შეუერთდნენ...

აღსანიშნავია, რომ საბრალდებო დასკვნაში მოყვანილ ამ ფაქტებს ქუშხეველი, პატარაშვილი და ჭამაშვილი კატეგორიულად უარყოფენ. დღეს ისინი უზენაესი სასამართლოს წინაშე დგანან და აცხადებენ, რომ თავს უდანაშაულოდ ცნობენ. პატარაშვილისა და ჭამაშვილისგან განსხვავებით, ქუშხეველს ძიებისთვის აღიარებითი ჩვენება ჰქონდა მიცემული, სადაც ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობას ადასტურებს და აღნიშნავს, რომ სახლში მყოფ შვიდივე ადამიანს ავტომატიდან პატარაშვილმა ესროლა. ამჟამად ქუშხეველი ყველაფერს უარყოფს. მისი თქმით, აღიარებითი ჩვენება შს სამინისტროს თანამშრომლებმა მისგან არაადამიანური წამების შედეგად მიიღეს.

განსასჯელების ადვოკატები არაობიექტური გამოძიებისა და მტკიცებულებების არარსებობის გარდა, არტანში მომხდარ, როგორც თავად ამბობენ, ძალზე უცნაურ და საეჭვო ფაქტებზე ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, ქუშხეველის, პატარაშვილისა და ჭამაშვილის დაკავების შემდეგ, იდუმალ ვითარებაში გარდაიცვალა გივი ბაღიაშვილი. სამართალდამცავებმა დადგენილად

ამერიკელი ბანდიტები უშუქობამ დააბნია

ზუსტად ერთი წლის წინ, ამერიკაში მომხდარი დიდი ენერგეტიკული კრიზისი, რომლის დროსაც ერთბაშად 8 შტატს შეუწყდა შუქის მიწოდება, სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში მოქმედმა კრიმინალებმა წარმატებულად გამოიყენეს. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებმა ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ „საქმეს“.

იმ პერიოდში დაფიქსირებული კრიმინალური ფაქტებიდან ყველაზე გახმაურებული, 18 წლის ამერიკელის – ჯოზეფ ტაილერის მიერ ჩადენილი დანაშაული გახლდათ. რამდენიმე მეგობარსა და მეზობელთან ერთად ჯოზეფი ნიუ-იორკში, ფლეტბუშის რაიონში მდებარე ყველაზე დიდი მაღაზიის – "Foot Locker" სახურავზე აძვრა. მათ ერთობლივი ძალებით გააკეთეს სახურავიდან ქვემოთ ჩასასვლელი ხვრელი და იქიდან პირდაპირ სავაჭრო დარბაზში შეაღწიეს.

ის-ის იყო, პროდუქტებითა და სხვა საქონლით დატვირთულები, მაღაზიიდან უკვე გასვლას აპირებდნენ, რომ პოლიციის გაბმული სირენა გაისმა. ამ ხმით დამფრთხალი და შეშინებული ყაჩაღები ისევ სახურავზე აძვრნენ, იქ კი ნამდვილი პანიკა ატყდა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ დაბნეული ჯოზეფი სახურავიდან გადავარდა და მიწას დაენარცხა. როცა შემთხვევის ადგილას „სასწრაფო დახმარება“ მივიდა, ის უკვე გარდაცვლილი იყო.

პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მძარცველებმა მიზნის მისაღწევად არასწორი გზა აირჩიეს. „რა საჭირო იყო სახურავზე აძრომა? შეეძლოთ, ვიტრინები ჩაემსხვრიათ და ისე შესულიყვნენ მაღაზიაში. როგორც ჩანს, ბოლო მომენტში მაინც დაავიწყდათ, რომ შუქი არ იყო და სიგნალიზაცია არ ჩაირთვებოდა“, – ამბობდნენ პოლიციელები.

შოკირებული ბანდიტი

გამოცდილი კრიმინალი, ლივერპულელი ჯონ დ. ერთ-ერთი თანამოქალაქის, მხატვარ რიჩარდ მორისონის საცხოვრებელი სახლის კარს მიადგა, რა თქმა უნდა, გასატეხად. კარი, როგორც ყოველთვის, წარმატებით გააღო. ქურდმა ჰოლი გაიარა და პირდაპირ სამზარეულოში ამოყო თავი. პირველი, რაც თვალში მოხვდა, სამზარეულოს მაგიდაზე უზარმაზარი ქილა იყო. წყლიან ქილაში ადამიანის მოჭრილი თავი ცურავდა.

გაოგნებულ ჯონს ბინის გასატეხი ხელსაწყოები ხელიდან გაუვარდა, გატრიალდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა იქიდან. მოგვიანებით, როცა მთელი კოშმარი გადაიტანა და ყველაფერი გაანალიზა, პოლიციისკენ გასწია. მან არა მარტო ნანახის შესახებ აუწყა სამართალდამცავებს, არამედ საკუთარი ბრალიც აღიარა, კერძოდ – ქურდობის მცდელობა.

ჯონი, რა თქმა უნდა, დააპატიმრეს. ამჟამად ის სასამართლო პროცესს ელოდება. ბინისა და „თავის“ პატრონი, მხატვარი მორისონი გაოცებული იყო: „ბეკონისგან დამზადებული ნიღაბი, რომელიც ფორმალდეჰიდიან ქილაში მქონდა მოთავსებული, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულოა ჩემს ნამუშევრებს შორის, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ის ასეთ მძაფრ რეაქციას გამოიწვევდა...“

ყაჩაღობა ელექტროხერხით

ფლორიდის შტატის ქალაქ ლეიქ-სიტის მკვიდრს, 20 წლის კარენ ლი ჯოხიმის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ოფიციალური ნებართვა არ ჰქონდა. ამიტომაც, როცა საყაჩაღოდ წასვლა გადაწყვიტა, მის სახლში არსებული სხვადასხვა იარაღიდან ყველაზე მომაკვდინებელი – ელექტროხერხი აირჩია.

შეიარაღებული კარენი მოტელში – "Howard Jonson" – შევარდა და სასტუმროს ადმინისტრატორს სეიფის გახსნა უბრძანა. მისთვის სრულიად მოულოდნელად, სასტუმროს თანამშრომლებს სულაც არ შეშინებიათ. პირიქით, ადმინისტრატორი სიცილს ძლივს იკავებდა, როცა ხედავდა გოგონას, რომელსაც ხელში ელექტროხერხი ეჭირა, მისი სადენი კი ჰაერში აქეთ-იქით ქანაობდა. „როგორც ჩანს, მან არ იცოდა, რომ ელექტროხერხი მხოლოდ მაშინაა საშიში, როცა ის დენზეა მიერთებული“. – აღნიშნავდნენ პოლიციელები მოგვიანებით. ■

მიიჩნიეს, რომ მან თავი ჩამოიხრჩო. მაგრამ მეზობლები ამბობენ, რომ მომხდარი ამბავი თვითმკვლელობას ნაკლებად ჰგავდა. ქუშხეველის, პატარაშვილისა და ჭამაშვილის ნათესავები მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ბაღიაშვილს შეეძლო მათი ალიბის დადასტურება. განსასჯელთა ადვოკატების თქმით, გამორიცხული არაა, რომ ის დაინტერესებულ პირს ჩამოეშორებინა გზიდან...

მეორე ფაქტი, რომელსაც ადვოკატები ხაზგასმით აღნიშნავენ, პავლე ბერიანიძის მამის – მიხეილ ბერიანიძის საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკაა. პოლიციამ იქიდან საბრძოლო მასალა, კერძოდ – ავტომატის 3 ვაზნა ამოიღო. ბერიანიძის მეუღლე და რძალი ამბობენ, რომ მათ ოჯახში სანადირო თოფები იყო, მაგრამ ავტომატი არასდროს უნახავთ.

ლია ბადრახიშვილი:

„ეს ვაზნები შინ ჩემმა დედამთილმა მოიტანა, მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე. თქვა, რომ ქუჩაში გადაგდებული იპოვა. მას შემდეგ, წლები გავიდა. ჯარჯი ჯაბანიშვილი რომ დააკავეს, დედამთილი მაშინ გამომიტყდა – ის ტყვიები მართლა ქუჩაში კი არ ვიპოვე, ჯარჯიმ გადმომცაო. როცა ვკითხე – თავის დროზე რატომ არ თქვი სიმართლე-მეთქი? მიპასუხა: ჯარჯი შემეცოდა, ჩვენი ტრაგედიის გამო ისედაც ძალიან გაწვალდა, პოლიციამ ვისზე არ მიიტანა ეჭვი და ეს ბავშვიც რომ არ გახვეულიყო შარში, ტყვიების ამბავი დავმალეო. მართალია, ჯაბანიშვილი სულ სხვა დანაშაულზე დააკავეს, მაგრამ ამ ფაქტმა ჩემს დედამთილზე მაინც იმოქმედა, მის მიმართ ეჭვები გაუჩნდა და ამიტომაც გადწყვიტა სიმართლის თქმა“.

ადვოკატების აზრით, მოკლული პავლე ბერიანიძის დედა ცრუობს. მომხდართან დაკავშირებით, დაცვის მხარეს საკუთარი, ძიებისგან სრულიად განსხვავებული და ალბათ, ყველაზე შემზარავი ვერსია აქვს. ვერსიის თაობაზე ერთ-ერთი განსასჯელის – გენადი პატარაშვილის ადვოკატს, **ძეთი ბეჟაურს** გავესაუბრეთ:

– საქმე გვაქვს უმძიმეს და თანაც, იდუმალებით მოცულ დანაშაულთან. პროკურატურამ, იმის გამო, რომ საქმე გაუხსნელი არ დარჩენოდა, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს დასდო ბრალი. არც პატარაშვილს, არც ქუშხეველსა და არც ჭამაშვილს მომხდარ მკვლელობასთან კავშირი არა აქვთ. მთელი ბრალდება იმერლიშვილის ცრუ-ჩვენებაზეა აგებული, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მისგან ზემოქმედების შედეგად მიიღო გამოძიებამ. არანაირი სხვა მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, არ არსებობს თვითმხილველი... მხოლოდ იმერლიშვილის დაუდასტურებელი ცნობები კი ნამდვილად არ გახლავთ საკმარისი ამ ადამიანების დამნაშავეებად გამოსაცხადებლად.

ეჭვს ბადებს ბევრი რამ – თუნდაც, მიხეილ ბერიანიძის სახლიდან ავტომატის ტყვიების ამოღების ფაქტი. არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება მისი ცოლის სიტყვები – თითქოს ვაზნები მან ქუჩაში იპოვა ან 18 წლის ჯარჯიმ გადასცა. საინტერესოა, რისთვის გადასცემდა ამ ხნის ქალს ჯაბანიშვილი ტყვიებს?.. ან რატომ ენდობოდა მაინცდამაინც მას?.. ცხადია, ის ტყვიები არც ქუჩაშია ნაპოვნი და არც ვინმეს მიერ მისთვის გადაცემული. ჩემი ვერსიით, ის მიხეილ ბერიანიძეს ეკუთვნოდა. მით უმეტეს, რომ მისი სახლიდან სხვა ცეცხლსასროლი იარაღიც იქნა ამოღებული.

— თქვენი ვერსიით, ამ ფაქტს მომხდარ მკვლელობასთან რაიმე კავშირი აქვს?

– საერთოდ, ოჯახის წევრებს ერთმანეთთან არაჯანსაღი ურთიერთობა ჰქონდათ. ეს მოწმეების ჩვენებებიდან ირკვევა. მაგალითად, ბერიანიძის რძლის – ლია ბადრახიშვილს წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში ვკითხულობთ, რომ მისი მამამთილი შვილებს ხშირად ეჩხუბებოდა, გელას გაუთავებელი სმის, პავლეს კი – განათხოვარი ქალის, სონიას შერთვის გამო. ამავე ჩვენების მიხედვით, მიხეილ ბერიანიძემ ერთხელ, ჩხუბისას გელას სანადირო თოფიდან ესროლა კიდეც – ანუ შვილი სასიკვდილოდ გაწირა... ყოფილა შემთხვევა, როცა შელაპარაკებისას პავლეს მამამისისთვის ბოთლიც უსვრია და დაუზიანებია... ამასთანავე, ძალზე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა გელა ბერიანიძე. ეს ამბავი ტრაგედიამდე გაცილებით ადრე მოხდა. იგი სოფელში, წყალთან უკვე მკვდარი, თავგატეხილი იპოვეს. ოჯახის წევრებმა ყოველივე უბედურ შემთხვევას მიაწერეს – ისევე, როგორც სამართალდამცავებმა. მოგვიანებით, ბერიანიძეებმა სახლში ანონიმური წერილი მიიღეს. წერილში ეწერა, რომ გელა ბერიანიძეს მანქანა განგებ დააჯახეს. მიუხედავად ამისა, ოჯახის არც ერთი წევრი არ დაინტერესდა, თუ რა მოხდა და არც პროკურატურას მიმართა, რათა სიმართლე დადგენილიყო. მათი საქციელი მხოლოდ იმით აიხსნება, რომ დაინტერესებული არ იყვნენ, ამ ამბისთვის ფარდა აეხადათ. ვფიქრობ, თითოეული ამ ფაქტის გაანალიზების შემდეგ, იმ 7 ადამიანის ვერაგული მკვლელობის ძიების საქმეში ყველანაირი ვერსიაა დასაშვები.

— მიგაჩნიათ, რომ ბერიანიძეების სახლში დატრიალებულ ტრაგედიაში ოჯახის რომელიმე წევრია გარეული?

– გამორიცხული არაფერია.

— ამ ვერსიის თანახმად, მკვლელობა მიხეილ ბერიანიძეს შეიძლებოდა ჩაედინა?

– არ გამოვრიცხავთ. ვფიქრობ, ყველაფერზე ღირს დაფიქრება. ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი რამაა აშკარა: სასამართლოზე დღეს წარმოდგენილი განსასჯელები სრულიად უდანაშაულონი არიან, სამივე მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის უკანონობის მსხვერპლი გახლავთ. არც ერთი მათგანი არ წავიდოდა ამ საზარელ მკვლელობაზე და მით უმეტეს – გენადი პატარაშვილი, რომელიც აწ გარდაცვლილი გიორგის ნათლია გახლდათ. მისი ბუნების ადამიანს, წარმოუდგენელია, მკვლელობა დასწამო. ჯარჯი ჯაბანიშვილსაც პროკურატურა სრულიად დაუსაბუთებლად სდებს ბრალს.

ადვოკატების ვერსიას დაზარალებულის მხარე კატეგორიულად უარყოფს და მას აბსურდულს უწოდებს. *„თავდაპირველად, ჩვენც გვეჭირდა იმის წარმოდგენა და დაჯერება, რომ რომელიმე თანასოფლელი გარეული იქნებოდა ამ საქმეში და ჩვენს ოჯახს ამოსაწყვეტად გაიმეტებდა. მაგრამ ბოლო დროს, სულ უფრო ვრწმუნდები განსასჯელების დანაშაულში, რადგან პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, მზად არიან, ნებისმიერ, ყველაზე ბინძურ ცილისწამებაზეც კი წავიდნენ“*, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას პავლე ბერიანიძის დამ **ლუიზა ბერიანიძემ**. რაც შეეხება ლია ბადრახიშვილს, მისი თქმით, მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ანონიმური წერილის მიღების შემდეგაც კი, არანაირი ეჭვი არ გასჩენია. წერილი სერიოზულად არ აღიქვა...

ამ ვერსიისგან შორს დგას პროკურატურაც. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, არც იმერლიშვილისთვის, არც ქუშხეველისთვის ჩვენებების დაწერა არავის დაუძალებია. *„შეუძლებელია, პოლიციას დანაშაულის ის დეტალები სცოდნოდა, რაზეც ჩვენებებშია მითითებული“*, – განაცხადა მან. თუმცა, ფაქტია: საქმე მტკიცებულებების ნაკლებობას ნამდვილად განიცდის. რაც შეეხება პატარაშვილსა და ჭამაშვილს, ძიებისას მათ დუმილის უფლება გამოიყენეს. განსასჯელებს ჯერჯერობით, არც სასამართლოსთვის მიუციათ ჩვენება. ისინი თავ-თავიანთ პოზიციას მოწმეების დაკითხვის შემდეგ დააფიქსირებენ.

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ტიციანი შავმა ჭირმა იმსხვერპლა.

2. ზვიგენები ჩვეულებრივ, ღამით ნადირობენ.

3. ნაჯახი რომის პაპის ძალაუფლების სიმბოლოა.

4. დედა ტერეზა ნობელის პრემიით იყო დაჯილდოებული.

5. თეთრი დათვი ნადავლის სუნს 30 კილომეტრზე გრძნობს.

6. მდინარე რაინს ევროპის საკანალიზაციო თხრილს ეძახიან.

7. მარტორქის რქა პოტენციის გამაძლიერებელ კომპონენტს შეიცავს.



8. ვენეციელი პოლიციელები ლურჯი ფერის ნავებით გადაადგილდებიან.

9. „ჩვენ ღმერთმა სიმინდისაგან შეგვქმნა“ – ამბობდნენ მაიას ტომის ინდიელები.

10. ტროას ომიდან დაბრუნებული აგამემნონი, საკუთარმა ცოლმა აბაზანაში მოკლა.

11. თანამედროვე აზერბაიჯანული, უკრაინული, ქართული და მოლდავური ფული საფრანგეთშია დამზადებული.

12. ატომური ბომბის ჩამოგდების შედეგად ჰიროსიმაში 140000 ადამიანი დაიღუპა, ნაგასაკიში – 135000.

13. ჩრდილოამერიკელ ინდიელებს ევროპელთა ჩასვლამდე მხოლოდ ძაღლი და ინდაური ჰყავდათ მოშინაურებული.

14. ანტარქტიდაში ამერიკული ექსპედიციის წევრებისთვის გაზეთები მუყაოზე იბეჭდება, რათა შესაძლებელი იყოს ქარში მათი კითხვა.

15. ლეგენდის მიხედვით, სახელგანთქმული ჯვაროსნის, გოტფრიდ ბულონელის ხმლით შეუძლებელი იყო ქრისტიანის მოკვლა.

16. „სახარების“ ტექსტს მხოლოდ მთავრული ასოებით ყოველგვარი სასვენი ნიშნების გარეშე წერდნენ. ტექსტში ყველა სიტყვა ერთმანეთზე იყო მიბმული. თავებად იგი კარდინალმა ჰუგომ დაყო XIII საუკუნეში, ლექსებად XVI საუკუნეში – პარიზელმა ტიპოგრაფმა რობერტ სტეფანმა.

17. დეტროიტის ერთ-ერთ კინოდარბაზში ყველა სავარძლის ზურგზე პატარა ვაზა კიდია, რომელშიც ქათმის ბუმბული დევს. ამ ბუმბულს ერთი მხრივ, პრაქტიკული და მეორე მხრივ, გასარ-

მეოთხე ბყუკისცალი...

ინგა ჯაყელი

შვიდი გოგოს პატრონ ვანოია ჟორჟოლაძეს ცოლმა ხმადაბლა რომ შეაპარა – გონია ორსულად უნდა ვიყვეო!.. – თავზარი დაეცა და თეთრად გაათენა ის ღამე: ვაითუ, ისევ გომბიო დეიბადოს, სულ აღარ გამომეყოფა ბიჭებში ისედაც მოჭრილი თავიო! – მაგრამ ვერც ბიჭზე ოცნებას ელეოდა ოთხ ათეულს მიღწეული... თუმცა დიდი ქონების პატრონი არასოდეს ყოფილა, მაინც სულ იმის ბოღმა ახრჩობდა – სიძეებისთვის რავა ვწვალობ?.. მე შენ გეტყვი და, რომელიმეს დევენანები, დამზოგავს და ან არ შემაგინებს ჩემი ენაგატლეკილი გომბიოების პატრონსო!..

– რა ვქნათ?! – შეახსენა ცოლმა დილით თავისი სადარდებელი.

– ვითომ ბიჭი იქნება?! – დაუბრუნა შეკითხვა თანამეცხედრეს და ირონიული შენიშვნაც მიიღო:

– მე რას მეკითხები? არ გაგიგია – რასაც დასთეს – იმას მეიმკიო?!.

ე-ეჰ, ბარე, ბიჭის სურვილით კაცი კი ინდომებდა, მაგრამ...

– საღამომდე მადროვე! – დაიბარა და ისეთი საქმიანი იერით გავიდა შინიდან, ვითომ სამსახურში დაგვიანების ეშინოდა...

„ბირჟაზე“ უბნის ბიჭები შეკრებილიყვნენ და რაღაცაზე ყაყანებდნენ.

– რა იყო? კიდო რევოლუცია ხომ არ მოდის?.. – ისე იკითხა, ზრდილობისთვის, თორემ, თავისი „საწუხარის“ გადამკიდეს, არაფერი აინტერესებდა ქვეყანაზე...

– რევოლუციაცაა და ქვეყნის დაქცევაც: წუხელის, რაჟდენიას გოუთხოვარმა ქეთინიემ ტყუპი ბიჭი დაყარა...

ბიჭების ხსენებაზე, დამდუღრულივით დასცხა, იფიქრა – ან დამცინიენ, ან მომეყურაო!..

– ქეთინიეს ორსულობა არ გამიგია და რას ბჟუტურობთ?.. – აიწია ხელი.

– გაკრული ჰქონია მუცელი. ტკივილი რომ დასწყებია, მაშინაც არ გოუმხელია სირცხვილი და ფეხსაბან ტაშტზე დოუყრია ბოვშები, აპა!..

– არ გადამრიოთ!.. მერე, რაჟდენიე რავარ ჭკვაზეა?!.

– მოკვლა უნდოდა შემარცხვენლის, მარა ინფარქტმა დაარტყა და ვედარ მოასტრო. ეს წუთია, ერთი „სასტრაფოთი“ წეიყვანეს რაჟდენია უბედური და ქეთინიეც ბოვშებით...

– ვიზე ეჭვობენ, რას უბნობენ – ვისი არიენო ბაღნები?

– რომ მომკლათ, ვერ მათქმევინებთო! – წყალი დოუგუბებია გოგოს პირში და მორჩა...

კიდევ უფრო დაიბოღმა და ლამის, ღმერთი შეაჩვენა ვანოიამ, მწარედ გაიფიქრა: „იმას ბოზობაში ტყუპი ბიჭი და მე, პატიოსნად „მომუშავეს“ შვიდი გოგო?!.“

იმ ღამეს ჯავრი სიზმარშიც ჩაჰყვა – გარდაცვლილი ბაბუა ჯოტია ესიზმრა, რომელმაც ზურგი აქცია, გაბრაზებულმა – ფუჰ, შევარცხვინე შენი კაცობა და ვაჟკაცობა, ამოაგდე და გადააშენე ოჯახიო!..

— რა ვქნა? — სულთამხუთავივით წამოადგა თავს დილაადრიან ცოლი.

— დეიტოვე, მარა ახლაც რომ გოგო გააჩინო, სამშობიაროში დაგტიებთ, იცოდე!

— შენ ხვარ გადარეულხარ?! შენ უჯიშო იყო და ლოთობაში ხარჯავდე ძალას, მე ბიჭებს საიდან გაგიგორებ?.. ბოზობას ხვარ დევიწყებ?!. — გადაირია ქალი და ძლივს გაასწრო უბედურმა ვანოიამ გარეთ.

...ტანჯვაში გავიდა ცხრათვიანი მოლოდინი. სამჯერ გაუშვა ცოლი ექოსკოპიაზე. პირველად უთხრეს — ძალიან პატარაა ნაყოფი და ჯერ ვერ გეტყვითო! მეორედ: მომილოცავს, ტყუპია! მარა ისე არიან, სქესი არ ჩანსო!.. მესამედ: ორი კი არა — სამი უნდა იყოსო! — და ქალი საგანგებოდ, ცალკე აღრიცხვაზე აიყვანეს, მერე კლინიკაშიც წინასწარ მოათავსეს...

„ღმერთი ისე რავა გამწირავს, სამიდან ერთიც არ იქნება ბიჭი?!“ — ფიქრობდა თავისთვის ვანოია...

როგორც იქნა, ასტკივდა მუცელი მაყვალას და შეიყვანეს სამშობიაროდ.

— თუ ბიჭს მახარებ, ას დოლარს გაჩუქებ! — ისე შეიპირა კარისქალი, ვითომ მისი საქმე ყოფილიყო ბავშვების სქესი... იმანაც „მოინდომა“ და „კა-გე-ბეს“ აგენტივით ჩაუსაფრდა ბავშვებს, მშობიარე ქალის ფეხებთან...

— გოგოა! — დაიძახა ექიმმა და ბებიაქალს პირველი ტყუპისცალი გადააწოდა.

— ერთი მაინც გამოიყვანე, ექიმო, ბიჭი! ცოდვაა მამამაგათი, სახლში შვიდი გოგო ჰყავს...

— არ გადამრიოთ!.. — მართლა შეწუხდა ექიმი, ექთანს მეორე გოგო გადააწოდა და მესამე ბავშვს სანამ თავში წაავლებდა ხელს, პირჯვარი გადაიწერა: — რა იქნება, ღმერთო, ბიჭი ამომაყვანინე!..

ისიც გოგო იყო — ვანოია ჟორჟოლაძის მეათე გოგო!..

წელმოწყვეტილი წაჩანჩალდა კარისქალი — ჩემი იღბალი დეიწვაო! — ჩაიქნია ხელი.

ამასობაში, კიდევ ერთმა ქალმა იმშობიარა, ბიჭი გააჩინა და ექიმს შეეხვეწა ატირებული: დევიღუპები, ჩემმა ახლობლებმა რომ გეიგონ, ნაბიჭვარი გავაჩინე. ოღონდ, ეგ ბავშვი მომაშორეთ და დამალეთ, მთელი ცხოვრება მოსამსახურედ დაგიდგებითო!..

— რავაა ჩემი საქმე! — აკანკალებული ხმით ჰკითხა ჩანჩალ-ჩანჩალით გამოსულ კარისქალს ვანოიამ.

— გოგოებია სამივე, — დამნაშავესავით მოარიდა ქალმა თვალი, მერე კი, იქვე მდგომს, უთხრა: — აგი რაფერი სამართალია?.. კაცს ათი გოგო ჰყავს და ვინცხა ჩათლახმა ბიჭი გააგორა! დატიება უნდა...

„ბიჭს ტოვებს ის ღმერთგამწყალი?!“ — გაიფიქრა მობუზულმა ვანომ და... ისეთი სიშმაგით შეგლივჯა მიმღების კარი, რომ ვერავინ შეაჩერა, კარისქალის „არ შეიძლებას“ თანხლებით აირბინა კიბე და სამშობიარო ბლოკიდან გამომავალ ექიმს მუხლებში ჩაუვარდა: ურიის ვალს ვეიღებ, თელი ცხოვრება შენთვის ვიმუშავებ, ოღონდ, მიტოვებული ბიჭი მომეცი — ხმა დააგდე, რომ ოთხი ტყუპისცალი დეიბადაო!..

მხოლოდ წამიერად შეცბა ექიმი. მერე, ბედნიერი ღიმილი გადაეფინა სახეზე, ვანოს ადგომაში შეაშველა ხელი და გულში ჩაიკრა: კაცი ყოფილხარ, ალალია შენზეო!..

...ზუსტად ექვს დღეში კი, მთელი ქუჩა დახვდა სამშობიაროს კართან ვანოია ჟორჟოლაძის ოთხ ტყუპისცალს: თინათინ, ქეთევან, თამარ და გიორგი ჟორჟოლაძეებს...

გოგონები ახლობლებს მიაწოდა ბედნიერმა მამამ, ბიჭი კი თავად მიიკრა მკერდზე, არავის ანდო...

P.S. ეს ამბავი 4 წლის წინ მოხდა და შესაბამისად, ტყუპიც ოთხ-ოთხი წლისაა. პატარა გიორგი ისე ჰგავს გარეგნობით ვანოს, რომ ცოლიც კი არ იჯერებს მის პატიოსნებას და სისხლს უშრობს ეჭვიანობით: შენი „ნაკეთებია“ მაი ბოვში და იმიტომ მეიკალი თავი — უნდა ვიშვილოო!..

ვანოიას კი ისე ახარებს მსგავსება, ლამისაა, თავადაც დაიჯეროს, რომ მისი „ცელქობის“ ნაყოფს უცქერის — რაც სიმთვრალეში ბოზები მითრევია აქეთ-იქით, რა იცი, რა მოხდაო?.. — ფიქრობს. ხმამაღლა კი, იქით უტევს თანამეცხედრეს: რას ბეუტურობ, ქალო, თუ იციო?! ■

ფრაზები გენიალური

როცა მოვლენების მართვას ალარ ვახერხებ, მაშინ მათ ვნებდები და თვით მოვლენებს ვამართვინებ თავს.

ჰენრი ფორდი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

თობი დანიშნულება აქვს: მისი მეშვეობით მაყურებელი ცხვირში უღიტინებს კინოსეანსის დროს ჩაძინებულ და მხვრინავ მეზობელს.

18. ეკატერინე მეორე და ფრიდრიხ მეორე თავიანთ თავს ვოლტერის მოწაფეებად მიიჩნევდნენ. ვოლტერს მიმოწერა ჰქონდა ეკატერინე მეორესთან, ხოლო ფრიდრიხ მეორის კარზე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა.

19. „დაწვით მისი სახლი, ნაცარი ჰაერში გაფანტეთ, ნასახლარზე მიწა მოხანით, დაფარცხეთ და მარილი დაყარეთ, რათა აღარაფერმა გაიხაროს“ — ასეთი ბრძანება გასცა ეკატერინე მეორემ ემელიანე პუგაჩოვის სიკვდილით დასჯის შემდეგ.

20. 1776 წლის 4 ივლისს დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ მესამემ საკუთარ დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „დღეს ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა“. ამ დღეს კი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დაიბადა, რომელმაც მომავალში მარცხი აწვნია დიდ ბრიტანეთს.

21. „ატარეთ ნაცრისფერი ტანისამოსი, იდექით ჩრდილში და ნურასოდეს გამოიჩენთ რაიმე ინიციატივას“ — ასეთი იყო ტალეირანის მიერ შექმნილი უნივერსალური რეცეპტი იმ ადამიანთათვის, ვინც კარიერის გაკეთებას აპირებდა.

22. მფრინავები, რომელთაც პოლარულ ზონებში უწევთ ფრენა, დაჯდომამდე, საკვამლე კოლოფებს ისვრიან ასაფრენ ბილიკზე, რათა წინასწარ განსაზღვრონ ქარის მიმართულება.

23. უელსელები თანამემამულეთა გვარების წარმოთქმისას ხშირად მათ პროფესიას ამატებენ: დიდი ბრიტანეთის ამ კუთხეში ძალზე ბევრი მოგვარეა.

24. მომთაბარე ხალხი ურუ ფაქტობრივად, წყალზე ცხოვრობს და გადაადგილდება. ნავებისა და ხომალდების გარდა, მათ ჰყავთ ბარჟა, რომელზეც ქრისტიანული ეკლესია დგას.

25. „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული ეპიგრამის სრული ტექსტი ასეთი გახლავთ: „კაკ ატნაშუს ია კ კარალიუ? და ტაკ ჟე, კაკ ი ვსე ნა სვეტე: ია ოტ დუში ეგო ლიუბლიუ, იზაბრაჟონნიმ ნა მანეტე“.

საჩუქარი: ვის, რა, როდის და რისთვის ვინდა ვაჩუქოთ

რა როლი აკისრია საჩუქარს ადამიანების ურთიერთობებში? როდის და ვის უნდა მივართვათ საჩუქარი? რა უნდა გავითვალისწინოთ საჩუქრის შერჩევისას? ამ ერთი შეხედვით მარტივ კითხვებს ჩემი რესპონდენტები განსხვავებულად პასუხობენ.

ლელა ჭანკოტაძე

ზაალ კუპატაძის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი, ეროსი მანჯგალაძის ფოტოსურათია, რომელიც დიდმა მსახიობმა თავად აჩუქა. ბატონ ზაალს არასდროს დაავიწყდება ის დღე, როცა მხარბეჭიანმა და უცნაურად მოღიმარმა მსახიობმა უთხრა: ისეთი რა გაჩუქო, რომ ჩემი თავი სამუდამოდ დაგამახსოვროო?

ზაალ კუპატაძე:

– 1979 წელი იყო. უცოლო კაცი ვიყავი და თავგადასავლებს ვეძებდი. ქობულეთის სანაპიროზე გვიან ღამემდე გიტარას ვუკრავდი და მეგობრებთან ერთად ლირიკულ სიმღერებს ვასრულებდი. ეროსი მანჯგალაძეც ქობულეთში ისვენებდა. ყველამ ვიცოდით, რომ ის სანატორიუმ „საქართველოს“ პირველ სართულზე ცხოვრობდა. ისიც გვქონდა გაგონილი, რომ ზოგჯერ, სანაპიროზე ფეხით სეირნობდა ან ღამით რესტორანში ქეიფობდა. რას წარმოვიდგენდი, თუ ბედი ერთმანეთს შეგვახვედრებდა. ერთხელ დილით, მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ერთმანეთს ცურვაში გავჯიბრებოდით. როგორც კი პლაჟზე გავედით, თავჩაღუნული ეროსი დავინახეთ. იდგა და ზღვას გაჰყურებდა. დაახლოებით დილის 5 საათი იქნებოდა. ასე ადრე ეროსის დანახვა, თანაც პლაჟზე, ძალიან გაგვიკვირდა. ყველას გვიყვარდა, ამიტომაც ვიფიქრეთ – მივალთ და გავიცნობთ, ხელს ჩამოვართმევთ-თქო. მაგრამ ისეთი გახევებული იყო და იმდენად მოწყენილი ჩანდა, რომ გამოლაპარაკება ვერ გავუბედეთ. უფრო მეტიც – საკმაო მანძილითაც დავცილდით, განმარტოებული რომ არ შეგვეწუხებინა... ზღვაში შევედით. არც მახსოვს, რამდენ ხანს ვიცურავეთ. უცბად, საშინლად ავფორიაქდი. კარგი მოცურავე ვიყავი. ასეთი რამ არასდროს დამმართნია. ცურვა შევწყვიტე და ზღვის ზედაპირს გადავავლე თვალი, ჩემი მეგობრები რომ დამენახა. სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ ჩემგან შორს ერთ-ერთი მათგანი უმწეოდ იქნევდა ხელებს. სასწრაფოდ მისკენ გავცურე. ცხადი იყო, რაღაც უჭირდა. ალბათ, სხვებმაც შენიშნეს, რადგან დროდადრო, ყვირილის ხმა მესმოდა: ზაალ, დაუჩქარეო! – მეძახდნენ მეგობრები. ყველამ იცოდა, რომ ზღვის ტალღებს ბევრჯერ შევჭიდებივარ

თავისი ფოტოსურათი გამომიწოდა – შენნაირ ვაჟკაცებს დაფნის გვირგვინებს უძღვნიან...

და ადამიანები დახრჩობისგან გადამირჩენია. ამჯერად ძალიან გამიჭირდა: ნამთვრალები ვიყავი და ამან შემიშალა ხელი. სხვებიც რომ არ მომშველებოდნენ, ვერაფერს გავხდებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, ზღვის ტალღებს თავი დავაღწიეთ, გონდაკარგული მეგობარი ძლივს მოვასულიერეთ, ის იყო, შვებით ამოვისუნთქე, რომ ნაცნობი ხმა ჩამესმა: „ყოჩაღ, შენმა ვაჟკაცობამ გადაგვარჩინა!“ ხმა იმდენად ნაცნობი იყო, რომ ვიფიქრე – რომელიმე ბავშვობის მეგობარია-მეთქი. უკან მივიხედე და ეროსი დავინახე. მოულოდნელობისგან ადგილზე გავქვავდი. „ყოჩაღ, ყოჩაღ, ნამდვილი ვაჟკაცი ხარ! ყველანი გადაგვარჩინე“, – იმეორებდა ეროსი... მალე მეგობრები შემოგვეხვივნენ. სიტყვაც ვერ ვთქვი, ძალიან დავიბენი. ეროსიმ ჯიბეზე გაიკრა ხელი: რა გაჩუქოო? – მკითხა. ჯიბეები მოიჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. მერე გულის ჯიბიდან რაღაც ქაღალდები, ოთხად გაკეცილი გაზეთი და კიდევ რაღაც საბუთები ამოიღო, გულდასმით გადაათვალიერა და თავისი ფოტოსურათი გამომიწოდა – შენნაირ ვაჟკაცებს დაფნის გვირგვინებს უძღვნიან... არაფერი მაქვს, ჩემი სურათის გარდა, ზოგჯერ დახედე, რომ ყოველთვის გახსოვდეს შენი მადლიერი ეროსიო! – მითხრა და პასპორტის სურათი მომცა... მას შემდეგ, 25 წელი გავიდა. ეს სურათი დღემდე შენახული მაქვს და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. რა იცოდა დიდმა მსახიობმა, რამხელა საჩუქარი გამიკეთა, როცა სურათს უკან დააწერა – „შენი მადლიერი ეროსი“?!. ეს სურათი ჩემს შემდეგ, ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს მათი წინაპრის ვაჟკაცობისა და კაიკაცობის უტყუარ საბუთად დარჩებათ... ამ სურათმა და წარწერამ იცით, როგორ შემცვალა?.. ჩემს ყოველ ნაბიჯს ვზომავდი. თითქოს უფლება აღარ მქონდა, შეცდომა დამეშვა: ხომ შეიძლებოდა, ეროსის შეეტყო, რომ ჩემში შეცდა?!. ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარწერა სანთელ-საკ-

მეველივით გამყვა ცხოვრების გზაზე. ნეტავ, ეროსის სიცოცხლეში შეეტყო თავისი საჩუქრის მაგიური ძალის შესახებ.

ანა ვერასდროს იფიქრებდა, თუ საჩუქარი მას უახლოეს დაქალს დააკარგვინებდა. ანა და მარიკა ბავშვობიდან მეგობრობდნენ. მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ... მარიკა უიმედოდ იყო შეყვარებული: ვაჟი, რომელზეც ის ოცნებობდა, სხვაზე დაქორწინებას აპირებდა. მარიკამ ანას ტირილით უთხრა: ვანში ერთი ქალი ცხოვრობს, თურმე, ცალმხრივად შეყვარებულ ადამიანებს ეხმარებაო... ანა მაშინვე ვანში წავიდა, ის ქალი მოძებნა და მეგობარს ავგაროზი ჩამოუტანა.

ანა:

— იმ ქალმა ქაღალდის ფურცელზე დამიწერა: „წყარო ნაკადულს შეუერთდება, მთა მთას შეხვდება, ტყე ტყეს შეეზრდება, ფერი ფერს შეერწყმება, ბალახი გაიზრდება, იმ ბალახიდან ყვავილს მოვწყვეტ, წავიღებ, გავალ მინდორზე, უზარმაზარ ველზე, გავიხედავ ოთხივე მხარეს, ხომ არ მოდის მონა ღვთისა კახა და გადავაგდებ ბალახებში ყვავილს და როგორც მთა მთას შეხვდება, ისე მონა ღვთისა კახა მე შემხვდება“ — ეს ტექსტი დაიზეპიროს და ყოველ საღამოს, მზის ჩასვლის დროს და ძილის წინ გაიმეოროს; მაგრამ ფურცელი ისეთ ნივთში უნდა მოათავსოთ, რომ ყოველთვის გულს ხვდებოდესო... რა უნდა მექნა? მარტო ფურცლის მიტანას რა აზრი ჰქონდა?.. ამიტომ დავიწყე ისეთი გულსაკიდის ძებნა, რომელშიც ამ მაგიური წარწერის მოთავსება იქნებოდა შესაძლებელი. ბოლოს აღმოვაჩინე ძველი გულსაკიდი, უწინ სუნამოს შესანახად რომ გამოიყენებოდა. ფურცელი დავკეცე, შიგ მოვათავსე და მარიკას ვაჩუქე. ძალიან გაუხარდა. იმდენი მკოცნა, რომ მეგონა, დამახრჩობდა. შენს პატივისცემას ვერასდროს გადავიხდი, ასეთი საჩუქარი ჩემთვის არავის მოურთმევიაო, — ამბობდა მარიკა... მართალია, კახამ ცოლად მაინც არ შეირთო, ჩვენმა ავგაროზმა მაგიური თვისებები ვერ გამოამჟღავნა, მაგრამ მარიკა მაინც სულ აღნიშნავდა, რომ ჩემი საჩუქარი მის ცხოვრებაში ყველაზე განსაკუთრებული იყო. ამის შემდეგ, დაახლოებით 3 წელი გავიდა. მე გავთხოვდი და ქორწილში ხელისმომკიდედ მარიკა წავიყვანე. უამრავი საჩუქარი მივიღე. ზოგი მომეწონა, ზოგი — არა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებდა, მარიკა რას მაჩუქებდა. რატომღაც მეგონა, რომ მისი საჩუქარი განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმედი გამიცრუვდა: მან ყვავილები და ვერცხლის სამაჯური მომიტანა. თვალებს არ დავუჯერე. მერე ვიფიქრე — სამაჯური ნამდვილად ანტიკვარული იქნება-მეთქი... მეორე დღესვე გავიქეცი იუველირთან და შევამოწმებინე. მითხრა: თუ გაგიჭირდებათ, 30 ლარად გაყიდითო. საშინლად გავბრაზდი.

— **რატომ?**

— მარიკასგან უკეთესი საჩუქარი მეკუთვნოდა. მან არაფრად ჩამაგდო, ჩემ გამო თავი არ შეიწუხა, თორემ შეეძლო, ძვირფასი ბეჭედიც კი ეყიდა.

— **ნუთუ, საჩუქრის გამო მეგობარს ეჩხუბეთ?**

— თავი ვერ შევიკავე და ვუსაყვედურე. მე ხომ შენ გამო ვანში წავედი და ფული ყველა ნაცნობისგან ვისესხე, შენთვის ავგაროზი რომ მეჩუქებინა-მეთქი?!. ამას არ მოელოდა. — ხომ იცი, რომ მატერიალური პრობლემები მაქვსო? — იმართლა თავი... ამის შემდეგ, მასთან ურთიერთობა გავწყვიტე. შვილი რომ შემეძინა, აღარ მოვანათვლინე... თუმცა, ახლა ვფიქრობ, რომ ძალიან მკაცრად მოვექეცი. რას ვიფიქრებდი, თუ ბავშვობის მეგობარს საჩუქრის გამო დავკარგავდი?..

რა მნიშვნელობა ენიჭება საჩუქარს დიპლომატიურ წრეებში, სამთავრობო დელეგაციების ვიზიტების დროს? როგორ უნდა შეირჩეს საჩუქარი, თუ ის რომელიმე სახელმწიფოს უმაღლესი პირისთვისაა განკუთვნილი?

გივი გოლოთაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— დიპლომატიური ვიზიტების დროს საჩუქრების გაცვლა, ელემენტარული დიპლომატიური წესია. მაგრამ საჩუქარი დიდი მონდომებით და სიზუსტით უნდა შეირჩეს. წინასწარ განისაზღვრება, თუ ვისთვისაა ის განკუთვნილი. მაგალითად, არ შეიძლება, საგარეო საქმეთა მინისტრს ან მის მოადგილეს ერთნაირი საჩუქრები მიართვა... ევროპელები და ამერიკელები შედარებით თავისუფლად უყურებენ საჩუქრების საკითხს. მაგრამ მას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით იაპონიასა და ჩინეთში. იქაურები მტკივნეულად განიცდიან ხოლმე სუბორდინაციის დარღვევას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საჩუქრის შეფუთვას. შეიძლება, ძვირფას ნივთს ყოველგვარი ფასი დაეკარგოს, ცუდ ყუთში მისი მოთავსებით ან უგემოვნო შეფუთვით... სასურველია, საჩუქრად შეირჩეს ქართული ჭედურობის ნიმუში ან ცნობილი მხატვრის ტილო... აუცილებელია, რომ ხელისუფლების აპარატში აწარმოებდნენ საჩუქრების აღრიცხვას: არ შეიძლება, სხვადასხვა დროს, ერთნაირი საჩუქარი მივართვათ ერთსა და იმავე სახელმწიფოს მოღვაწეს. ხომ შეიძლება, „ვეფხისტყაოსანი“ რომელიმე სახელმწიფოს მეთაურისთვის ედუარდ შევარდნაძეს მიერთმია, წლების შემდეგ კი, იგივე წიგნი მას მიხეილ სააკაშვილმაც მიუძღვნას?.. ეს ძალზე უხერხული იქნება. აღმოსავლეთის ქვეყნების ლიდერებმა შეიძლება, ეს შეურაცხყოფადაც კი მიიღონ... თუმცა შესაძლებელია, განმეორებით მივართვათ ვთქვათ, ქართული ღვინო.

— **თუ შეიძლება, დიპლომატიურ წრეებში საჩუქრად იარაღის მირთმევა?**

— საჩუქრად მიართმევენ ხოლმე ძვირფას სანადირო თოფებს, ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ხანჯლებს, თუ ისინი ისეთ დონეზეა შესრულებული, როგორსაც მაგალითად, დაღესტნელი ოქრომჭედლები აკეთებენ.

— **ისრაელში მიხეილ სააკაშვილს ოქროს თაიგული მიართვეს. მსგავსი ძვირად ღირებული საჩუქრები პრეზიდენტების პირად საკუთრებაში გადადის?**

— აშშ-ში დადგენილია, თუ რა თანხის საჩუქარი ითვლება პირად საჩუქრად და რა რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. ჩვენში კანონმდებლობით არ ფიქსირდება, თუ რა არის პირადი და რა — სახელმწიფოსი. მახსოვს, ბრეჟნევის ავტომანქანების კოლექციაში უამრავი ძვირად ღირებული მანქანა იყო. ყველა სახელმწიფოს მეთაურმა იცოდა ბრეჟნევის ამ გატაცების შესახებ და ავტომანქანას უძღვნიდა... ეს მანქანები მის პირად საკუთრებად ითვლებოდა, რადგან კანონი ამის ნებას აძლევდა. მაგრამ სტალინს რასაც უძღვნიდნენ, ყველაფერს მუზეუმში აგზავნიდა. თუმცა, ისინი საცავებში ინახებოდა და მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოფინეს.

დღეს შემორჩენილ მონარქიულ სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებული ადგილი დიდ ბრიტანეთს უკავია. ელისაბედ II მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქალია და პლანეტის მონარქებს შორის პირადი ქონებით მეოთხე ადგილი უკავია — ბრუნეის სულთნის, საუდის არაბეთის მეფისა და ნიდერლანდების დედოფლის შემდეგ. დედოფლის პირადი ქონება 2000 წელს, 2 მლრდ გირვანქა სტერლინგად იყო შეფასებული. რა ადგილი უჭირავს საჩუქრებს დედოფალ ელისაბედ მეორის ცხოვრებაში? რას უძღვნიან მის უდიდებულესობას? ვინ იღებს დედოფლისგან საჩუქრებს? ვის არა აქვს უფლება, საჩუქარი მიართვას მას?

გია ჭანტურია, *თბილისის 55-ე საშუალო სკოლის დირექტორი:*

— დედოფლის პირად საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავია დედოფალ ალექსანდრას რუსულ ტიარას. ეს ტიარა ალექსანდრას ვერცხლის ქორწინების იუბილის აღსანიშნავად, 1888 წელს მიართვეს, ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ქალბატონების სახელით. ტიარა 488 ბრილიანტს შეიცავს. ელისაბედ მეორის საკუთრებაა დედოფალ მერის

„დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გოგონების ტიარა“. ეს ტიარა დედოფალ ელისაბედ მეორეს 1947 წელს, მისი ქორწინების დღეს გადაეცა საჩუქრად. 1953 წელს, ბრაზილიის პრეზიდენტმა დედოფალს ბივრილის, ძვირფასი ცისფერი თვლებისა და ბრილიანტებისგან დამზადებული ტიარა უსახსოვრა. აღსანიშნავია საუდის არაბეთის მეფის – ფეისალის მიერ ბოძებული ყელსაბამი, რომელიც მან დედოფალს დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს მიართვა.

— კიდევ რა მიუძღვნიათ საჩუქრად ელისაბედ მეორისთვის?

– მაგალითად, გამეფების ვერცხლის იუბილეზე 1978 წელს, მის უდიდებულესობას აჩუქეს „როლს-როისი“ – „ფანთომ VI“. 2002 წელს, გამეფების ოქროს იუბილესთან დაკავშირებით, კომპანია „ბენტლი მოტორზისგან“ საჩუქრად გადაეცა „ბენტლის“ ახალი მოდელი, რომელიც 5 მლნ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული.

— როგორც ცნობილია, მაღალი საზოგადოების ბევრ წარმომადგენელსაც არა აქვს უფლება, საჩუქარი მიუძღვნას დედოფალს...

– დედოფალი უცხო პირებისგან საჩუქრებს არ იღებს. ამას ეტიკეტი უკრძალავს. მის ფანებსაც კი არ შეუძლიათ მისთვის ძვირფასი საჩუქრების მიძღვნა. როგორც მის ფანსა და მისი ბიოგრაფიის მცოდნეს, მიმოწერა მქონია მასთან. ჩემმა მეგობარმა მერაბ ჯალაღონიამ დახატა ელისაბედ მეორის 2 პორტრეტი: ერთი ჩემი კოლექციისთვის დავიტოვე, ხოლო მეორე, ლონდონში ყოფნისას, დედოფალს გავუგზავნე. მისგან კი, სამადლობელი წერილი მივიღე... ელისაბედ მეორეს წლების წინ, პირადად მივართვი წმინდა გიორგის ხატი. მან გამიღიმა და მადლობა გადამიხადა.

როგორ უნდა შევარჩიოთ საჩუქარი? ვის და როდის უნდა ვაჩუქოთ ყვავილები, წიგნები, ძვირად ღირებული ნივთები? რა უნდა გავითვალისწინოთ საჩუქრის შერჩევისას?

თეა კუპრეიშვილი, *ფსიქოლოგი:*

– გემოვნებიანი ადამიანებიც კი, ყოველთვის ვერ ახერხებენ იმას, რომ სწორად შეარჩიონ საჩუქარი. ვფიქრობ, მთავარი მაინც ისაა, რომ საჩუქრის მირთმევის სურვილი გულიდან მომდინარეობდეს და მასში ადამიანისადმი თქვენი დამოკიდებულება იყოს გამოხატული.

— მაშ, რა უნდა ვიცოდეთ საჩუქრის შერჩევისას?

– კარგად უნდა გავაცნობიეროთ, თუ ვის, რა, როდის და რატომ უნდა ვუსახსოვროთ. ზოგი თავს ვალდებულად თვლის, რომ ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და ახლობლებს დაბადების დღეზე მიართვას საჩუქარი. ეს რასაკვირველია, კარგია. მაგრამ მოულოდნელად მირთმეულ საჩუქარს გაცილებით მეტი ეფექტი აქვს – ისევე, როგორც ნებისმიერ სიურპრიზს... განსაკუთრებულ მნიშვნელობას საჩუქარს შეყვარებული ქალები ანიჭებენ. ამიტომ მამაკაცებს ვურჩევ – ნუ დაელოდებიან საადღესასწაულო დღეებს და გაანებივრონ თავიანთი რჩეულები მოულოდნელი საჩუქრებით. ზოგჯერ საკმარისია, პირველი იების კონა ან ყვითელი ფოთლებიც კი მიართვათ, რომ გულის სწორს სიხარული მიანიჭოთ...

ჩემმა მეგობარმა მერაბ ჯალაღონიამ დახატა ელისაბედ მეორის 2 პორტრეტი: ერთი ჩემი კოლექციისთვის დავიტოვე, ხოლო მეორე, ლონდონში ყოფნისას, დედოფალს გავუგზავნე

— ინტიმური საჩუქრების შესახებ რას იტყვით?

– ინტიმური საჩუქარი ძალზე დიდი სიფრთხილით უნდა შევარჩიოთ. რადგან შესაძლოა, შეყვარებული შეურაცხყოთ, თუ ავჩქარდებით და ამით ურთიერთობაც გავიფუჭოთ. რასაკვირველია, ინტიმური საჩუქრის მირთმევა იმ ადამიანისთვისაა დასაშვები, ვისთანაც სექსუალური ურთიერთობა გვაქვს...

ლია ჭილაშვილი, *ფსიქოლოგი:*

– საჩუქარს ადამიანების ცხოვრებაში უმნიშვნელო ადგილი როდი უჭირავს. საჩუქრით ხომ, ადამიანები ერთმანეთისადმი თავიანთ დამოკიდებულებას გამოხატავენ. როცა ისეთ რამეს გიძღვნიან, რაც გახარებს და გსიამოვნებს, ე.ი. კარგად გიცნობენ, იციან, თუ როგორია შენი სულიერი სამყარო და რამ შეიძლება სიხარული მოგანიჭოს. ზოგჯერ საჩუქრით იმედიც გაგვცრუებია. ერთხელ შეურაცხყოფილიც კი ვიყავი საჩუქრის გამო... მაგალითად, არ შეიძლება, მამაკაცმა სხვის ცოლს ან შეყვარებულს საცურაო კოსტიუმი, საცვალი ან ბიუსტჰალტერი მიართვას... საჩუქრის შერჩევისას დიდი სიფრთხილე და ზომიერება უნდა გამოვიჩინოთ. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, თუ ვისთვის ვყიდულობთ საჩუქარს და რა დამოკიდებულება აქვს ამ ადამიანს ჩვენ მიმართ.

— ეი. საჩუქარმა შეიძლება, ორ ადამიანს შორის ურთიერთობა გააფუჭოს...

– რასაკვირველია. საჩუქრით ზოგჯერ ადამიანი ვიღაცის გულის მოგებას ცდილობს, უძღვნის რაღაცას და თან ფიქრობს, რომ საპასუხო საჩუქარს მიიღებს... საჩუქრის შერჩევა საკმაოდ რთულია. პირადად მე, ისეთ ნივთს ვუძღვნი ხოლმე სხვებს, რომელსაც მე თვითონ მივიღებდი სიამოვნებით... ჩვენ გვინდა, რომ საჩუქრით ჩვენი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატოთ. მაგრამ ვერ ავცდებით საჩუქრის უარყოფით დატვირთვასაც. შეიძლება ადამიანი საჩუქრით მოისყიდო კიდეც, დაავალდებულო, რომ შენთან ურთიერთობა გაამყაროს. მაგალითად, ვიცნობ ვაჟს, რომელსაც გოგონამ იმდენი რამ აჩუქა, იმდენად ძვირად ღირებული საჩუქრები მიართვა, რომ თავი ვალდებულად ჩათვალა, ის გოგონა ცოლად შეერთო...

— უპირველეს ყოვლისა, რა უნდა გავითვალისწინოთ, როცა საყვარელი ადამიანისთვის ვარჩევთ საჩუქარს?

– უნდა ვიცოდეთ, მისი ასე ვთქვათ, პატარ-პატარა ოცნებები. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ ოდესმე, ხომ არ უთქვამს, რისი შეძენა სურდა. თუ გვიყვარს, „ჩასაფრებული“ უნდა ვიყოთ, რომ გავიგოთ, რა ესიამოვნებოდა. მაგრამ საჩუქარი არ უნდა იყოს ძვირად ღირებული. ასეთი საჩუქრები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს ხშირად ართულებს: ძვირფასი საჩუქრებით ისინი ერთმანეთს თითქოს ყიდულობენ და ნამდვილი გრძნობები შეიძლება უკანა პლანზე გადავიდეს...

— რა უნდა ვაჩუქოთ ბავშვს და რამდენად ხშირად?

– ბავშვს, როცა ის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს, სჯობს, აჩუქოთ რაღაც ნივთი – მაგალითად, ჭიქა. გარდატეხის ასაკში გოგონას მიართვით სუნამო, ვაჟს – პირის საპარსი, რათა აგრძნობინოთ, რომ ის უკვე მამაკაცია... ბავშვები ყოველთვის იმახსოვრებენ საჩუქარს. რაც უფრო იშვიათად მივართმევთ, მით უფრო დასამახსოვრებელი და აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც სწორი იქნება. არავითარ შემთხვევაში არ უთხრათ ბავშვს: თუ კარგად ისწავლი, ველოსიპედს გიყიდი ან – თუ ლამაზად დაწერ, თოჯინას გაჩუქებო. ეს ბავშვის მოსყიდვის ტოლფასი იქნება...

■

უძრავი ქონების სეზონი დაიწყო

ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალია — ორი სუპერრუბრიკა



ყველაზე რეალური ინფორმაცია

50 წელია, რაც ევროპის არც ერთ ქვეყანაში ბავშვთა სახლი აღარ არსებობს. შექმნილია სპეციალური დეპარტამენტები, რომლებიც უპატრონო ბავშვებს ოჯახების მოძებნაში ეხმარება, შემდეგ კი უზრუნველყოფს სოლიდური ყოველთვიური დახმარებით. სახელმწიფოს ასეთი ბავშვის შენახვა იგივე თანხა უჯდება, რაც გაშვილება. საქართველოში საკმაოდ ბევრი ბავშვი ცხოვრობს იმ ტიპის ინტერნატებში, რომელიც კომუნისტური მმართველობის დროს, 85 წლის წინ შეიქმნა. ხელისუფლება იცვლება, ბავშვთა სახლების აღსაზრდელების ყოფა-ცხოვრება კი უცვლელი რჩება...

„ჰომ გავიზრდები, ჩემს შვილს ბავშვთა სახლში არ ჩავაბარებ“...

ლელა ჭანკოტაძე

თბილისის №1 ბავშვთა სახლში **მარი პავლიაშვილს** *წერილმა მიმიყვანა. „სარაჯიშვილის“ მეტროსთან ვცხოვრობდით. მაშინ ძალიან ბედნიერები ვიყავით, – წერს მარი. – თუმცა, 12 წლის რომ გავხდი, ეს ბედნიერება უმალვე გაქრა. ზაფხულში მე და დედა თბილისის ზღვაზე წავედით საბანაოდ. სახლში რომ დავბრუნდით, დედამ დაიძინა, მე კი ეზოში ჩავედი სათამაშოდ. დაახლოებით ერთ საათში შინ დაბრუნებულმა, დედა ვეღარ გავაღვიძე... მერე მამამ ბინა გაყიდა, აქ სამსახური ვერ იშოვა და სამუშაოდ რუსეთში წავიდა. უკვე ორი წელია, ბავშვთა სახლში ვარ. ხანდახან მირეკავს ხოლმე. მეუბნება – ფულს რომ დავაგროვებ, შენც წამოგიყვანო. თუმცა ვფიქრობ, მას შეეძლო, აქ არ დაეტოვებინე და თან წაეყვანე... რაც აქ ვარ, სახლში ერთხელაც არ წავსულვარ. არდადეგებზე ყველა ბავშვი მიჰყავთ მშობლებს, მე კი სულ მარტო ვრჩები... დედა რომ ცოცხალი იყოს, აქ არავითარ შემთხვევაში არ დამტოვებდა. გულქვა ადამიანები ტოვებენ შვილებს ბავშვთა სახლში... ამ ბოლო დროს, ხშირად მესიზმრება დედა. ის მუდამ სევდიანია და სულ ერთსა და იმავეს მიმეორებს: ნუ გეშინია, მე შენთან ვარ და არასოდეს მიგატოვებო... აქედან რომ წავალ, პირველ რიგში, მამაჩემს მოვძებნი და პასუხს მოვთხოვ, ბავშვთა სახლში რომ ჩამაბარა“...*

რა პრობლემები აქვთ თბილისის №1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს? როგორ ცხოვრობენ? რა აწუხებთ? რა უხარიათ?.. მათ გასაცნობად მისულს, საშინელი სურათი დამხვდა. მინდოდა, მხოლოდ ბავშვებთან საუბრით შემოვფარგლულიყავი, მაგრამ ისინი ჟურნალისტებს გაურბიან, ემალებიან. როგორც ამიხსნეს, საკუთარი მდგომარეობის გამო რცხვენიათ. არ უნდათ დუხჭირ ყოფაზე საუბრით, თანატოლებში თანაგრძნობა გამოიწვიონ...

დირექტორის კაბინეტის კარი შეკეტილ. ჩვეულებრივ, ასეთი სახლების დირექტორები ყველანაირად ცდილობენ ხოლმე რეალობის მიჩქმალვას. მაგრამ №1 საბავშვო სახლის (ე.წ. დიღმის ბავშვთა სახლის) დირექტორს **ნინო ყანდარელს** *შავის თეთრად წარმოჩენა არ უცდია, პირიქით – საოცარი სიზუსტით აღმიწერა იქაური სასტიკი რეალობა.*

– 5 თვეა, რაც ამ ბავშვებთან ვმუშაობ. პროფესიით მხატვარი ვარ. ორი შვილი მყავს. 18 წელი ლექტორადაც ვმუშაობდი. მეგონა, ბავშვთა სახლში მუშაობა არ გამიჭირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის გამოცდილება არ მქონდა. მაგრამ აქ იმხელა ტკივილი და იმდენი პრობლემა დამხვდა, რომ ვერც აღგიწერთ... ბავშვებს წითელა ბატონები ჰქონდათ, ყველანი ავად იყვნენ. წითელამ რომ გაუარათ, ყველას ჩუტყვავილა შეხვდა. წარმოიდგინეთ, 103 ავადმყოფი ბავშვი!.. ჩვენთან გათბობა არ არის. ფანჯრებიც იმდენად დაზიანებულია, რომ სიცივეს ვეღარ აკავებს. ამიტომაც აქვთ აქ მცხოვრებ გოგონებს სერიოზული გინეკოლოგიური პრობლემები. მათი მკურნალობისთვის კი, თვეში სულ 150 ლარია გამოყოფილი. არადა, ეს თანხა ხშირად, ერთი ბავშვისთვის საჭირო მედიკამენტებსაც არ ჰყოფნის... შენობაში სრული ანტისანიტარია იყო. ისეთი სუნი იდგა, რომ სუნთქვა ჭირდა. იძულებული გავხდით, ერთი ტუალეტი დაგვეკეტა...

პრობლემები ერთმანეთზე ისეა გადაჯაჭვული, რომ ვერც კი გაიგებ, რომელი მათგანია უპირველესი. მძიმე პირობებს კიდევ უფრო აუტანელს ბავშვების სულიერი მდგომარეობა ხდის. ზაფხულობით ყველა მშობელს შეუძლია, შვილი თავისთან წაიყვანოს. მაგრამ მშობლების უმეტესობა ამ უფლებას არ იყენებს და ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა ყოველი დღე ლოდინით იწყება და მთავრდება. ბავშვები სატელეფონო ზარებს თვეობით ელოდებიან. ზოგი მათგანის დედა უცხოეთშია წასული. ეს ქალები სხვის შვილებს უვლიან, თავიანთს კი, ყველაზე მთავარს – დედის სითბოსა და სიყვარულს აკლებენ... პატარა თიკოს ლოდინით თვალები ამოუღამდა. ჰგონია, რომ დედამისმა გზა არ იცის, ეძებს და ვერ მიაგნო. ეს აზრი უფროსი ასაკის ბავშვებმა მაწოდეს. ალბათ, წლების წინ, თვითონაც ამით ინუგეშებდნენ თავს... გთავაზობთ ნაწყვეტებს ორი მათგანის წერილებიდან.

შალვა, *10 წლის:*

„უკვე სამი წელია, აქ ვარ. მხოლოდ ზაფხულში წამიყვანეს სოფელში ორი

ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა ყოველი დღე ლოდინით იწყება და მთავრდება (იმ დღეს ბავშვთა სახლს პრეზიდენტის ვაჟი, ედუარდ სააკაშვილი (მარცხნიდან მესამე) სტუმრობდა)

კვირით... აღარ მინდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ დედას გაუჭირდა და სხვა გზა არ ჰქონდა. მამა დიდი ხანია, უკრაინაშია. იმდენი ხანი არ მინახავს, სასწაული რომ მოხდეს და მოვიდეს, შეიძლება ვერც ვიცნო... დედა ბოლოს როდის ვნახე, აღარ მახსოვს. 10 აპრილს ჩემი დაბადების დღე იყო და მეგონა, მოვიდოდა. მინდოდა, დაბადების დღე ჩემთვისაც გადაეხადათ, ყველა ბავშვს დავპატიჟებდი და ძალიან კარგი იქნებოდა. მხოლოდ ჩემმა ამხანაგმა კახამ მომილოცა და ერთი ლარი მაჩუქა...“

...ზოგს ჰგონია, რომ დედამისმა გზა არ იცის, ეძებს და ჯერჯერობით ვერ მიაგნო

დიეგო, *9 წლის:*

„უკვე სამი წელია, რაც აქ ვცხოვრობ. ძალიან დავიღალე. დედაჩემთან მინდა. ხშირად მნახულობს. თუ რამე დამჭირდება ხოლმე, მეც ვურეკავ და მოდის. მაგრამ მაინც სულ მენატრება. როცა სახლში მივყავარ, მასთან ძალიან ბედნიერი ვარ, აქ კი აღარაფერი მიხარია. თუმცა, მაინც არ ვთხოვ, წამიყვანოს. თვითონ ისედაც კარგად იცის, ყველა ბავშვს რომ დედასთან ყოფნა უნდა. როგორც არ უნდა გამიჭირდეს, რომ გავიზრდები, ჩემს შვილს ბავშვთა სახლში არ ჩავაბარებ. უფროსი ბავშვები პატარებს სულ გვცემენ, გვეჩხუბებიან, უხეშად გვექცევიან. ამიტომ იზრდებიან ბავშვთა სახლებში გაბოროტებული ბავშვები“.

სექტემბრიდან, შვილობლობის ექვსთვიანი პროგრამა იწყება. სახელმწიფო ბავშვს ბიოლოგიურ ოჯახში აბრუნებს და მშობლებს 60 ლარს უხდის. ისეთ დედებს, რომლებსაც 3-4 ბავშვი ჰყავთ ბავშვთა სახლებში, შეეძლებათ, ყოველთვიურად 180-240 ლარი მიიღონ და შვილებს გვერდიდან აღარ მოშორდნენ. მაგრამ ამ მშობლების უმეტესობას ამის გაგონებაც არ სურს – ეი მათ შვილები მხოლოდ სიდუხჭირის გამო არ მოუგლეჯიათ გულიდან...

არადა, ბავშვთა სახლში მოზარდებსაც და მათ აღმზრდელებსაც თავზე საყრელად აქვთ პრობლემები. იმის საშუალებაც კი არ არის, რომ ვაჟებისა და გოგონების საძინებლები სხვადასხვა ფლიგელში განთავსდეს, რადგან II ფლიგელი დევნილებს აქვთ დაკავებული, რამაც ბავშვთა სახლს უამრავი ახალი საზრუნავი გაუჩინა.

ნინო ყანდარელი:

– ამ ბავშვებს ისედაც მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ. ან კი როგორები შეიძლება იყვნენ ის პატარები, რომლებიც

ირა უთხრა პატრიარქმა ირაკლი ლომაიას,

რომელსაც სხეულზე ჯვრები ესახება და მირონი სდის

სენაკელი ირაკლი ლომაიას ამბავი, რომელსაც ჯვრები ესახება და სხეულიდან მირონი სდის, მთელმა საქართველომ შეიტყო. მკურნალი, ექსტრასენსი და ნათელმხილველი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს, წინასწარ ხედავს, ვის რა უბედურება უნდა დაატყდეს თავს და ცდილობს, დაიფაროს განსაცდელისგან. ირაკლი ხედავს გარდაცვლილთა სულებს. მას მაღალჩინოსნებიც ხშირად სთხოვენ დახმარებას.

– შვიდი წლის ასაკში ყველანაირი სახადი (ბატონები) ერთდროულად შემეყარა. მოგვიანებით, წამერთვა მარჯვენა ხელ-ფეხი, თავში აღმომაჩნდა ლიმფური ჯირკვლის სიმსივნე, ეპილეფსია და სხვა დაავადებები. 2000 წლამდე, ასე ვიტანჯებოდი. ექიმებმა ვერაფერი მიშველეს. ჩემს მეზობლად ცხოვრობს მორწმუნე ქალი, რომელმაც შემომითვალა, შეგილოცავო, მაგრამ სანამ ძალიან არ გამიჭირდა, მანამდე არ წავედი მასთან. დამინახა თუ არა, დაიჩოქა და მითხრა, – დიდი ძალა გაქვს ღმერთისგან ბოძებულიო. იმავე დღეს, 23 საათზე გონება დავკარგე, ყველას თვალწინ ჰაერში ავედი და უგონოდ მყოფი, ვწინასწარმეტყველებდი. პირველი, ვინც გამომეცხადა გონს მოსულს, წმინდა ნიკოლოზი იყო. იმ პერიოდში, უმძიმესი ავადმყოფები განკურნე.

— პირველად რომელ ხატს გადმოედინა მირონი თქვენს სახლში?

– ღვთისმშობელს... მერე, თანმიმდევრობით, ერთ კვირაში 7 ხატს გადმოედინა მირონი. მოგვიანებით, კედლებიდანაც დაიწყო მირონდენა, სხეულზე ჯვრები და წარწერები გამომესახა და მეც გადმომედინა მირონი, რომლითაც სნეულებს ვკურნავ.

— ჯადოს თუ ხსნით?

– რა თქმა უნდა. მაგრამ სანამ ჩემთან მოვა ჯადოს მსხვერპლი, ორ თაფლის სანთელს ოცთეთრიანი უნდა დააკრას, ღამე სასთუმალქვეშ ამოდოს და ოჯახის წევრების ფოტოებთან ერთად მეორე დღეს მოიტანოს, ხოლო ვინც სამკურნალოდ მოდის, თან მოაქვს ახალგადაღებული სურათი (პასპორტისთვის). დიაგნოზს მე თვითონ ვსვამ – სანთელს ვანთებ, ვლოცულობ და მეცხადება სნეულის მფარველი ანგელოზი, რომელიც მკარნახობს, თუ რა აწუხებს ავადმყოფს.

— ირაკლი, ვიცი, რომ საზღვარგარეთიდან მოწვევა მიიღეთ. რატომ არ წახვედით?

– გამგზავრება ცოტა ხნით გადავდე, მალე წავალ...

— როგორ განიკურნეთ სხვადასხვა სენისგან?

– ხილვით მეუწყა, რომ სოფელ ქვალონში ცხოვრობს ნათელმხილველი და შემლოცველი ელისო ტორჩინავა. სწორედ მან გამომიყვანა უმძიმესი მდგომარეობიდან. როცა განვიკურნე, ჩვენმა მფარველმა ანგელოზებმა გვიკარნახეს, ერთმანეთის ბედი ხართო და ვიქორწინეთ.

— პატრიარქისგან თუ გაქვთ კურთხევა?

– უწმინდესმა და უნეტარესმა დამლოცა და კურთხევა მომცა, ხალხის სამსახურში ჩასადგომად. „შენ ღვთის შვილი ხარ, შვილო!..“ – მითხრა პატრიარქმა.

P.S. ირაკლი ლომაიას მისამართია: მეტრო „დელისთან“, თამარაშვილის 13ა, იპოდრომი, კოტეჯი №17. მიღების დღეებია: სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი, კვირა, 13-დან 17 საათამდე. ტელეფონი: 8(99) 15.17.39.

ხშირად მალულად, თითქოს ქურდულად აკვირდებიან გვერდით ეზოში ხის სკამებზე მსხდარ ქალებს, რომლებსაც კალთაში ჩაუსვამთ პატარები და ეალერსებიან...

მშობლებმა გულიდან მოიგლიჯეს და ფაქტობრივად, უარყვეს. მზრუნველობას მოკლებული, ტრავმირებული ბავშვები ყოველდღიურად ხედავენ, თუ როგორ ანებივრებენ მათ გვერდით მცხოვრებ ბავშვებს მშობლები. ხშირად მალულად, თითქოს ქურდულად აკვირდებიან გვერდით ეზოში ხის სკამებზე მსხდარ ქალებს, რომლებსაც კალთაში ჩაუსვამთ პატარები და ეალერსებიან... ამ დროს ჩვენი აღსაზრდელები საკუთარ უბედურებას მთელი სიცხადით გრძნობენ. მერე, უფრო პატარები მთელი ღამის მანძილზე ტირიან ხოლმე... იქნებ, კარგიც ყოფილიყო, ერთ შენობაში ლტოლვილთა ოჯახებისა და მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვების თანაცხოვრება, მომავალში საზოგადოებასთან მათი ინტეგრირების თვალსაზრისით, თუ ერთმანეთთან თბილი და მზრუნველი ურთიერთობა ექნებოდათ. მაგრამ ყოველდღიურად, უცენზურო სიტყვებით ლანძღავენ ერთმანეთს და ჩვენს თანამშრომლებსა და აქ ჩასახლებულ ოჯახებს შორის კონფლიქტიც ხშირად ხდება. ამასთან, ჩასახლებულ ოჯახებს დღის განმავლობაში უამრავი სტუმარი ჰყავს. შესაბამისად შემოსასვლელი ჭიშკარიც გვიანობამდე არ იკეტება, რაც ბავშვებზე სათანადო კონტროლის დამყარებას უშლის ხელს... ჩვენი აღსაზრდელები იოლად ახერხებენ გაქცევას. ჩვენც სულ უფრო ხშირად ვუკავშირდებით პოლიციას დახმარებისთვის. წარმოგიდგენიათ ბავშვთა სახლი, რომლის ჭიშკარიც არ იკეტება?!.

არადა, გაქცევის სურვილი თითქმის ყველა აღსაზრდელს უჩნდება. 10 წლის ***მიშიკო მარგეგაძე*** *წერს:* „სანამ დედა არაბეთში წავიდოდა, კაკბეთში ვცხოვრობდით. სკოლაშიც იქ დავდიოდი და ძალიან ბედნიერი ვიყავი. მერე ბებომ აქ მომიყვანა. თავიდან მეგონა, აქედან ვერასდროს გავაღწევდი. მერე ნელ-ნელა შევეჩვიე აქაურობას და ახლა დღეებს ვითვლი, როდის გავიზრდები, რომ აქედან წავიდე... აქ ყველაფერი ყინულივით ცივია. ხანდახან გაქცევაზეც ვფიქრობ. ერთხელ დიდმა ბიჭებმა მითხრეს, — უნდა გავიპაროთ და თუ გინდა, წამოდიო. — წამოვალ-მეთქი, — გამიხარდა. მაგრამ ღობემდე რომ მივედი, შემეშინდა. მივხვდი, გაქცევას აზრი არ ჰქონდა, რადგან დამიჭერდნენ, დამსჯიდნენ და ისევ აქ ამომაყოფინებდნენ თავს... ხშირად ვფიქრობ — დედა ასე რატომ მომექცა? ან ბებიამ ამ ყინულივით ცივი სახლისთვის როგორ გამიმეტა? მაგრამ პასუხს ვერ ვპოულობ. თუმცა, მინდა, მიზეზი ვიცოდე...“

მართალია, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ჩივიან — აქ დრო უსასრულოდ იჭიმება და ძალზე ნელა გადისო, მაგრამ ხომ დადგება დღე, როცა მიშიკოს ოცნება ახდება?!. გაიზრდება, ცხოვრების ასპარეზზე გასვლას მოინდომებს. რა იქნება მაშინ? ბავშვთა სახლის ჭიშკარს ადმინისტრაცია სიამოვნებით გაულებს. მაგრამ მოუნდება კი მიშიკოს ჭიშკრის მიღმა გასვლა?.. სად წავა? ვისთან? რას შესთავაზებს მას ქვეყანა, რომელმაც ბავშვთა სახლის კედლებშიც ვერ შეუქმნა ცხოვრების ნორმალური პირობები?.. რა ელოდებათ ღია ცის ქვეშ, მხოლოდ საკუთარი, ბავშვობაწართმეული წარსულის ამარა დარჩენილთ — იმ წარსულისა, რომლის გამოც უკვე რცხვენიათ...

ნინო ყანდარელი:

— ეს ბავშვთა სახლი 16 წლამდე ასაკის მოზარდებისთვისაა განკუთვნილი. მაგრამ ჩვენთან ყველაზე უფროსი „ბავშვი“ 27 წლისაა... აქ უკვე 12 სრულწლოვანი ცხოვრობს. არც კი ვიცი, მათ რა დავარქვა. ისინი ბავშვთა სახლში აღიზარდნენ. არც განათლება აქვთ, არც ხელობა — ბინებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!.. ისინი საზოგადოების დაკარგულ ნაწილად იქცნენ. მათი ბედი არავის აინტერესებს. როცა ჩვენი აღსაზრდელი 16 წლის ხდება, მშობელი უნდა მოვიდეს და ბავშვი წაიყვანოს. მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი ამას არ აკეთებს. მათ თავიანთი შვილების ბედ-იღბალი აღარ აინტერესებთ. ჩვენ რა ვქნათ? კარი გავუღოთ და ქუჩაში, ალალბედზე გავყაროთ?.. ოთხი ჩვენი აღზრდილი დავასაქმეთ. ერთი გოგონა ძიძა გახდა, მეორე — მრეცხავი, მესამე — დამლაგებელი. 27 წლის ბიჭი კი დარაჯად დავაყენეთ. მას წასასვლელი არა აქვს. თავის დროზე, კასპის ბავშვთა სახლიდან მოიყვანეს. სხვათა შორის, წლების წინ, ამერიკაშიც მოხვდა: მისი გაშვილება უნდოდათ, მაგრამ მერე უკან დააბრუნეს. წესიერი ყმაწვილია. პარიკმახერობაც ისწავლა და მეწაღეობაც. ერთი ოთახი მივუჩინეთ, სადაც შეიძლება, წყნარად დაიძინოს ღამე. დღისით იმ ოთახში სხვა აღსაზრდელები მეცადინეობენ. იმის გამო, რომ ბავშვთა სახლში დევნილები შესახლდნენ, აღსაზრდელებს ოთახები სამეცადინოდ და სათამაშოდ კი არა, დასაძინებლადაც აღარ ჰყოფნით.

ყველაზე რთული წუთები მაშინ დგება, როცა ბავშვთა სახლს წყვდიადი ეფინება და პატარები საწოლებში წრიალებენ. ზოგს ძილბურანში სახლი ეზმანება, ზოგს — დედა. უმეტესობას დედა იმდენი წელია, არ უნახავს, რომ გონებაში მისი სახის აღდგენაც კი უჭირს... ასეთ დროს, შვება მათთვის, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ ხატებს მოაქვს, რომლებსაც ბავშვები ბალიშების ქვეშ საგულდაგულოდ მალავენ — სალოცავი კუთხე ბავშვთა სახლში ჯერ არ არსებობს... რას სთხოვენ ეს მოზარდები ცრემლებით უთვალავჯერ დასველებულ წმინდანთა სურათებს?.. ალბათ, მხოლოდ დედის სითბოს, სხვას არაფერს.

P.S. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თბილისის №1 ბავშვთა სახლის ლიკვიდაციას და მის ბაზაზე ახალი ტიპის საბავშვო დაწესებულების შექმნას გეგმავს. მოსალოდნელია, რომ მიმდინარე პროცესის შედეგად, თანამშრომლებს შეუწყდებათ შრომითი ხელშეკრულება, მაგრამ სამაგიეროდ, საშუალება მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, რომელიც ამ ახალი დაწესებულების ყველა პოზიციის დასაკავებლად გამოცხადდება. ■

ყველაზე რთული წუთები მაშინ დგება, როცა ბავშვთა სახლს წყვდიადი ეფინება

როცა ეშმაკი შეგიჩნდა...

„ეშმაკი რომ შეგიჩნდება, რას არ გაგაკეთებინებს?! ქურდობას, ღალატს ჩაგადენინებს, ტყუილს გათქმევინებს, ბოლოს დაგცინებს და მიგატოვებს“, — ასეთი მესიჯი მივიღე ერთ-ერთი მკითხველისგან, წინა ნომერში გამოცხადებული თემის პასუხად. „თუ ვინმე შეგიჩნდება და ცდილობს, თავისი აზრი მოგვახვიოს თავს, ვეუბნებით ხოლმე: ეშმაკივით ნუ შემომიჩნდიო... — გვიზიარებს აზრს მეორე. „თუ გრძნობთ, რომ ეშმაკი შეგიჩნდათ, პირჯვარი უნდა გადაიწეროთ და დამიჯერეთ, აღარ მოექცევით მისი გავლენის ქვეშ“, — გვმოძღვრავს მესამე. შემდეგი რესპონდენტი კი, კბილის ექიმთან ვიზიტის შესახებ გვიამბობს...

„მე და ჩემი მეგობრის ქმარს ერთმანეთი შეგვიყვარდა“

მარი ხაფარიძე

მანიაკი თუ კბილის ექიმი?..

„ერთხელ კბილი ამტკივდა. ვიცი, რომ კბილის ტკივილის დროს, უებარი საშუალება გახლავთ ნიორი, რომელსაც მტკივან ადგილზე დაიდებ და მორჩა! მაგრამ შემიჩნდა ეშმაკი – ბატკანივით დავადე თავი და ექიმთან წავედი. ვზივარ, რიგს ველოდები. კაბინეტიდან კი მესმის კბილის საბურღი მანქანის ზუზუნი. შემიჩნდა ეშმაკი და წარმოვიდგინე, რომ კარს იქით, თეთრ ხალათში გამოწყობილი მანიაკი ზის, რომელიც საცოდავ მსხვერპლს თავს წამოსდგომია და ბურღავს... მოვა ჩემი რიგი, მეც ჩამსვამს სავარძელში, იძულებით გამაღებინებს პირს, ბამბებს ჩამიტენის, რომ საშველად ვერავისი მოხმობა ვერ შევძლო, შემდეგ უკვე ყველაფერი მის ხელში იქნება – თუ მოინდომებს, ადგება და ტკინსაც გამიბურღავს, გამაყუჩებლის ნაცვლად კი, გამიკეთებს რაიმე ვიტამინს იმისთვის, რომ გულიანად იცინოს... მერე ვიფიქრე – არა, ასეთი რამ გამორიცხულია, თუნდაც ერთი მანიაკი კბილის ექიმი რომ არსებობდეს, ჟურნალ-გაზეთები ქვეყანას შეერიდნენ-მეთქი... ამ დროს, ისევ შემიჩნდა ეშმაკი: – ადექი და წადიო, – მეუბნებოდა. მეც ავდექი და შინისაკენ წავლასლასდი... ერთი კვირა ვიტანჯებოდი კბილის ტკივილით. ბოლოს, ისევ ექიმთან მივედი. სულაც არ იყო მანიაკი და კბილი ისე ამომიღო, არც მტკენია. მეც დავისვენე და ჩემმა ეშმაკმაც. რას მოვაკვლევინე თავი ტკივილს ის ერთი კვირა?.. გოგი“.

ისევე, როგორც ძლიერი სქესის ყველა წარმომადგენელმა, ჩვენმა მომდევნო რესპონდენტმაც იცის, რომ დედამიწა ბრუნავს, რომ თავის დახრჩობის შესანიშნავი საშუალებაა წყალი და კაცია მუნჯაძესავით რელსზე თავის დადება არ შეიძლება... რომ ღვინო აფუჭებს მაგიდის გადასაფარებელს, რეპუტაციას და ხასიათს, მაგრამ ეშმაკი რომ შეუჩნდება...

„მკვდარი მესიჯს ვერ მოგწერდათ...“

„28 წლის მამაკაცი ვარ. ცოლი მე არ მყავდა, შვილი, მშობლები და დედამიშვილები, სრულიად მარტო ვიყავი. რისთვის მოვედი ამქვეყნად და საით მივდიოდი, არ ვიცოდი... 19 წლის ასაკში პირველად გავუსინჯე გემო ღვინოს. იმ დღეს დავრწმუნდი, რომ დედამიწა ბრუნავს... მალე დავიწყე სმა. თითქმის გავლოთდი. მერე შევუძახე ჩემს თავს და როგორც იქნა, აზრზე მოვედი... მთელი თვე ისე გავიდა, წვეთიც არ დამილევია. მაგრამ ისევ შემიჩნდა ეშმაკი და ისევ დამეწყო „ზაპოი“. მივხვდი, რომ გადაბმული სმით, ყველგან სახელს ვიფუჭებდი. აღარავის უნდოდა ჩემთან ერთად ყოფნა, ყველა თავს მარიდებდა, ჯუჯღუნა და აუტანელი გავხდი... ამას რომ გავაცნობიერებდი, ვანებებდი ლოთობას თავს. მერე ისევ „შემიძვრებოდა“ ეშმაკი და ისევ ვიწყებდი.... ამასობაში, ერთ გოგოს შევუყვარდი (რა შესაყვარებელი მე ვიყავი?..). ისე თბილად მექცეოდა, ისე მევლებოდა თავს, რომ უზომოდ შემიყვარდა. ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, თუმცა, ცოლ-ქმარი არ ვიყავით. მივლიდა, მეფერებოდა, მიყვავებდა, მაგრამ ვერ გამომასწორა. საკმაოდ დიდხანს მებრძოლა და რომ ვერ მოერია ჩემს მავნე სენსა და ეშმაკს, მიმატოვა და წავიდა... იმ საღამოს, შინ ნასვამი დაბრუნდი. ზამთარი იყო, ციოდა. ოთახში რომ შევედი, ჩვეული სითბო და სიმყუდროვე ვეღარ ვიგრძენი. ბარათი დამხვდა – მშვიდობითო, – მწერდა... ნამდვილი, დიდი ცრემლებით ვიტირე. წავედი, კიდევ ერთი ბოთლი არაყი ვიყიდე და მარტომ დავლიე. თან ვტიროდი, თან ვსვამდი... თითქოს ქვეყანა თავზე დამემხო. გადავწყვიტე, თავი მომეკლა. დავიწყე მეთოდის შერჩევა... ჯერ ვიფიქრე – მეტროს მატარებელს შევუვარდები-მეთქი, – მაგრამ რაღაც, ეს იდეა არ მომეწონა. შემდეგ გადავწყვიტე – თერმომეტრს გავტეხ და ვერცხლისწყალს დავლევმეთქი. ესეც უარვყავი. ბოლოს გადავწყვიტე, მტკვარში დამეხრჩო თავი. ბევრი აღარ მიფიქრია. ტაქსით მივედი ხიდთან, შემდეგ, კარგა ხანს ვიყოყმანე, მაგრამ ისევ ეშმაკმა მძლია და... გადავხტი. როგორც ხვდებით, გადავრჩი, რადგან მკვდარი ამ მესიჯს ვეღარ მოგწერდათ.

ამომიყვანეს წყლიდან გაწუწული, გაყინული. კბილს კბილზე მაცემინებდა... არც გავცივდი, არც რამე წამომტკენია. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. იმ დღიდან დავანებე თავი სმას. ჩემი ელისო მოვძებნე, ცოლად მოვიყვანე და ბედნიერად ვცხოვრობთ. პატივისცემით, ბადრი".

თუ მისტიკის გწამთ და ფიქრობთ, რომ ჯადო გაგიკეთეს, მკითხავებში სირბილს ნუ დაიწყებთ – ჯობს, პირდაპირ დაუკავშირდეთ ჩვენს შემდეგ რესპონდენტს და შედეგი გარანტირებული გექნებათ, ოღონდ – ცოტა ძვირი დაგიჯდებათ...

„რესტორნის ეზოში ჯადო ჩავმარხეთ..."

„ვცხოვრობ ქალაქის გარეუბანში. სამსახური კი, ცენტრალურ რაიონში მაქვს. ამიტომ ყოველდღე, ერთი და იმავე მარშრუტით სიარული მიწევს. გზად უნდა გავიარო ავტოგასამართი სადგური, რომლის გვერდით რესტორანიც მდებარეობს. როგორც ჩანს, ორივე ობიექტს ერთი უფროსი ჰყავს. ეზოში მუდამ იდგა ბოლო მარკის „მერსედესი", რომელიც ისეთი ლამაზი იყო, რომ ყოველთვის თვალი ზედ მრჩებოდა. ნომერიც საკმაოდ პრესტიჟული და ადვილად დასამახსოვრებელი ჰქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ხანდახან ეს მანქანა რესტორნიდან 1-2 კილომეტრის მოშორებით, ერთ-ერთი ეზოს ჭიშკართან იდგა. ცოტა ხანში იმ ადგილზე ახალი ღობე და დიდი ჭიშკარი გაჩნდა, შემდეგ კი, სახლის აშენებაც დაიწყეს. მივხვდი, რომ ახალი შეძენილი კარმიდამო ჰქონდა ჩემი „ნაცნობი" მანქანის პატრონს. გავიდა ხანი... ახლობლის დაბადების დღეზე მივედი, მაგრამ ცოტა ხნით ეზოში გავჩერდი, რადგან მეგობრებს შეხვედრა გვქონდა დათქმული. მოვიდა ჩემი „ნაცნობი" „მერსედესი", იქიდან კი მისი პატრონი გადმოვიდა, უზარმაზარი თაიგულით ხელში. მივხვდი, ისიც დაბადების დღეზე მიდიოდა და ეშმაკი სწორედ მაშინ შემიჩნდა... სუფრასთან ერთმანეთი გაგვაცნეს, შემდეგ, ყავის დალევის დრო რომ მოვიდა, გამოვაცხადე – ფინჯნები გადააბრუნეთ, გიმკითხავებთ-მეთქი. ამ კაცის ჭიქა ავიღე და დავიწყე: – ქალაქგარეთ ვხედავ რესტორანს... საკუთარ საქმეს... იქვე, შორიახლოს ვხედავ მაღალ კედელს, ლურჯ ჭიშკარს და მშენებარე სახლს... ამ კაცს ნელ-ნელა გაუფართოვდა თვალები... გულში მეცინებოდა, თან ვაგრძელებდი: – ჯადო გაქვს გაკეთებული, ძალიან ცუდი ჯადო, აუცილებლად უნდა მოიხსნა, თორემ, საქმე ცუდად წაგივა-მეთქი... – თან ვასწავლე, ვისთან უნდა მისულიყო ჯადოს მოსახსნელად და ჩემი მეგობარი გოგონას ტელეფონის ნომერი მივეცი... შემდეგ, მისი რესტორნის ეზოში, სადაც ფაცხები იდგა, ერთ ადგილას ჩუმად ჩავმარხეთ „ჯადო", რომელიც ძაფებისა და თმისგან გავაკეთეთ; ბუნებრივია, ნამდვილი ჯადო კი არა – ჩვენი „მობურდული". ჩემს მეგობარ გოგოს რომ დაურეკა, მან ძალიან იოლად „მიაგნო" ჯადოს და ეს კაცი ლამის გააგიჟა. შემდეგ 100 დოლარი გამოართვა, იმისთვის, რომ ჯადო მოეხსნა და კარგად ვიმხიარულეთ იმ ფულით... მოკლედ, თუ ის კაცი (ნუგზარი) თქვენს ჟურნალს კითხულობს, მიხვდება, რომ ეშმაკი მყავდა შეჩენილი და ცოტა ვიმაიმუნე... „დიდი მკითხავი".

სკოლაში ვის არ უვლია?.. საყვარელი მასწავლებელიც ბევრს გვყოლია. მაგრამ მეათეკლასელ ბიჭს თავისი მასწავლებელი „სხვანაირად" რომ შეუყვარდება, ეს ნამდვილად იშვიათი მოვლენაა. აი, ამას ჰქვია – ეშმაკი შეუჩნდაო...

„ირმა მასწავლებელი ჩემთან დაწოლაზე დავითანხმე..."

„ახლა 23 წლის ვარ. მინდა მოგიყვეთ ის ამბავი, რომელიც 16 წლის ასაკში გადამხდა თავს. ერთი სკოლიდან მეორეში გადავედი. მაშინ მე-10 კლასში ვსწავლობდი. პირველსავე დღეს, ინგლისურის გაკვეთილი გვქონდა. მასწავლებელი რომ შემოვიდა, კინაღამ ხმამაღლა ამოვიგმინე – 25 წლის, ანგელოზივით გოგო იყო... იმ დღიდან, გულში ჩამივარდა და „სხვანაირად" შემიყვარდა. გათხოვილი იყო, შვილი არ ჰყავდა. მასზე ფიქრში ვიძინებდი და ვიღვიძებდი... მე-10 კლასი რომ დავამთავრეთ, ექსკურსიაზე წავედით. ირმა მასწავლებელიც თან გვახლდა. მინდვრის ყვავილები დავუკრიფე, მივართვი და სიყვარულში გამოვუტყდი. უხმოდ დამტოვა და წავიდა... სექტემბრიდან ავიჩემე – ინგლისურში უნდა მოვემზადო-მეთქი. მშობლებმაც უარი არ მითხრეს და კვირაში სამჯერ ირმა მასწავლებელი ჩემთან სახლში მოდიოდა და გაკვეთილს მიტარებდა. მერე ნელა-ნელა შევაპარე და ჩემთან დაწოლაზეც დავითანხმე... როცა ირმა ჩემთან მოდიოდა, შინ არავინ იყო, მშობლები მუშაობდნენ, ამიტომ აუჩქარებლად ვეფერებოდით ხოლმე ერთმანეთს. ერთხელ კი, დედა ცოტა ადრე დაბრუნდა სამსახურიდან, კარი თავისი გასაღებით გააღო და ალერსში გართულებს მოგვისწრო... ჩემი ირმა მასწავლებელი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ქმარმა გამოაგდო, მე კი ვეხვეწებოდი – ცოლად გამომყევი-მეთქი, – მაგრამ უარი მითხრა. შემდეგ ერთმანეთს დავცილდით და ასე დამთავრდა ეს ამბავი... როგორც ჩანს, ორივეს ეშმაკი გვყავდა შეჩენილი..."

„არ ვაპატიე, ახლა კი ვნანობ..."

„აღარ ვიცი, საიდან დავიწყო ჩემი ამბის თხრობა. არ ვიცოდი, რომ მოულოდნელი სიყვარული დიდ სიურპრიზებს სთავაზობს ხოლმე კაცს... მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი. გარშემო უამრავი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მე არავინ შემყვარებია. ერთხელ, გაკვეთილზე ვიყავი, როდესაც საკლასო ოთახის კარი მასწავლებელმა შემოაღო, ვარდებით ხელში... დამიძახა და თაიგული გადმომცა. შიგ ბარათი იდო, სადაც ეწერა: არასდროს ვინანებ, რომ შენი შეყვარება გავბედე... ვერ მივხვდი, ვინ იყო ავტორი. ის ვარდები შინ ვერ წავიღე, დედა რომ არ გამბრაზებოდა. ამიტომ ჩემი ბავშვობის მეგობარს ვაჩუქე. იმ საღამოს, მობილურზე ბიჭმა დამირეკა. დღემდე ვერ ვხვდები, საიდან გაიგო ჩემი მობილურის ნომერი. იმ ბიჭს ზურა ერქვა. შემპირდა, რომ მეორე დღეს სკოლაში მნახავდა... სკოლაში ყველაზე ადრე მივედი. უცებ, უკნიდან ვიღაც მომეპარა და ჩამეხუტა. შიშისგან შევხტი... შავგვრემანი, ცისფერთვალება, მაღალი, სიმპათიური ბიჭი შემრჩა ხელში... იმ დღიდან, ყველაფერი შეიცვალა. თითქოს ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. უზომოდ შემიყვარდა. ზურა ძალზე მანებივრებდა, მაგრამ როგორც ჩანს, თავბრუდახვეული, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდი. ის, რაც ასე უცებ დაიწყო, ძალზე მალე დამთავრდა... ერთ დღეს, ის სკოლაში არ მოვიდა. არ გამკვირვებია. მაგრამ ასე გაგრძელდა ორი კვირა. თვითონ არ მირეკავდა. მე რომ დავურეკე, აღმოჩნდა, რომ ის ნომერი მისი აღარ იყო. ვერ ვხვდებოდი, რა მოხდა, რატომ გაუჩინარდა... მაშინ დავიფიცე – როცა გამოჩნდებოდა, არ ვაპატიებდი. ასეც მოვიქეცი. ეშმაკი შემიჩნდა და არ ვაპატიე, ახლა კი ვნანობ".

„კუბიკას" აღარ ვახსოვარ..."

„გავიზარდე იმერეთის ერთ-ერთ სოფელში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავბარე ტექნიკურ სასწავლებელში და საცხოვრებლად ქალაქში გადმოვედი. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. იქვე მეზობლად, ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრობდა, ისიც ქირით. სულ მალე ეს ბიჭი შემიყვარდა, თუმცა, მისი სახელიც კი არ ვიცოდი და „კუბიკა" დავარქვი, რადგან მუდამ „კუბიკებიანი" „საროჩკა" ეცვა... შემოდგომაზე სოფელში წავედი,

მაგრამ ჩემი „კუბიკა“ მომენატრა და ორ კვირაში უკან დავბრუნდი. ის კი ადგილზე აღარ დამხვდა. გავიკითხ-გამოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურში წასულა. რამდენიმე წლის განმავლობაში, იმ სახლში ვიცხოვრე, იმ იმედით – იქნებ, ჩემი „კუბიკა“ გამოჩნდეს-მეთქი, – მაგრამ ამაოდ ველოდი... შემდეგ გავთხოვდი. მყავს 3 შვილი. ერთი წლის წინ, მუშაობა დავიწყე საკონდიტრო „ცეხში“. იმავე შენობაში „კოკა-კოლას“ საწყობია. „კუბიკა“ კი ერთ-ერთ მანქანაზე მძღოლად მუშაობს. ყოველდღე ვხვდები ჩემს ძველ სიყვარულს და ჩემი გრძნობა ხელახლა გაღვივდა. ეშმაკი მყავს შეჩენილი – მიდი და მიდი, უთხარი და უთხარიო!.. გული 15 წლის გოგოსავით მიცემს ხოლმე, როცა მის მანქანას დავინახავ. ახლა ვიცნობ, მაგრამ ბუნებრივია, სულაც არ ახსოვს, რომ წინათ ნანახი ვყავდი. თუ არაფერს ვეუბნები, მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინია, სულ არ დავკარგო. მაცაცო, 38 წლის“.

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„ჩაიხადა და ტატუირებული უკანალი მაჩვენა...“

„როცა ეშმაკი შემიჩნდა, ჩემი შეყვარებული მოვატყუე, თითქოს „ისეთი“ არ ვიყავი, როგორიც მას სურდა. იცით, რა მითხრა?.. – პატარა თავნებავ, ნუ მატყუებ, ვიცი, რა უმანკოც ხარ; რომ გნახავ, მაგ სიტყვებისთვის ქვედა ტუჩზე მწარედ გიკბენ, შემდეგ კი, პირველ კოცნას გაჩუქებო... – ჰო, სულელო, მართალი ხარ, მაპატიე ჩემი სულელური შეცდომები. მიყვარხარ და გელოდები. უფრო ხშირად შემეხმიანე, OK?.. შენი პატარა, თავნება ნი“.

„როცა ეშმაკი შემიჩნდა, ჩემს საუკეთესო მეგობარს სასიყვარულო მესიჯი გავუგზავნე. ბესო, მაპატიე, არ მინდა, გული გატკინო. ძალიან მენატრები. თამუნა“.

„როცა ეშმაკი შემიჩნდა, სიგარეტის მოწევა დავიწყე და თავს ველარ ვანებებ. მაფრთხილებდა დედაჩემი, მაგრამ... დღეს უკვე, დღეში 1 კოლოფი აღარ მყოფნის“.

„ეშმაკი მაშინ შემიჩნდა, როცა მახოს მივწერე მესიჯი და ვუთხარი, მიყვარხარ-მეთქი. მაგრამ მან პასუხი არ დამიბრუნა. „ცუნცულა“.

„ეშმაკი შემიჩნდა, გიოს უარი ვუთხარი და პატიმარს გავყევი ცოლად. „06“.

„როდესაც ეშმაკი შემიჩნდა, მაშინ დავანებე სწავლას თავი, არადა, შეიძლებოდა, დიდი მსახიობი გამოვსულიყავი“.

„ეშმაკი შემიჩნდა – აბა, რა ჯანდაბაა?.. ვიცი, რომ ცოლი მოჰყავს, ისიც ვიცი, ცუდ გზას ადგას, მაგრამ მაინც მიყვარს“.

„ვარ 16 წლის გოგო და ძალიან მიყვარს სვირინგები. ჰოდა, ავდექი და ზურგზე კარგა მოზრდილი ტატუ გავიკეთე. რა თქმა უნდა, ვმალავდი. განსაკუთრებით ჩემს ძმას ვუმალავდი, რადგან ის ძალზე სხვანაირი ტიპია... ზაფხულში, ზღვაზე წასვლის დრო რომ დადგა, დავიწყე ყველას „დაგოიმება“ – ეს ტატუ კი არა, „ნაკლეიკა“ არისმეთქი. ერთხელ, პლაჟზე ამ ჩემი ტატუთი თავს ვიწონებ და „გამეჩითა“ ჩემი ძმა, ჩემს „ტატუიროვშიკთან“ ერთად: აღმოჩნდა, რომ ახლობლები იყვნენ. რა თქმა უნდა, იმ ბიჭმა მიცნო და ჩემს ძმას ყველაფერი მოახსენა. ძმამ მიყურა, მიყურა, უცენზურო სიტყვებით შემამკო, შარვალი ჩაიხადა და მოსვირინგებული უკანალი დამანახვა... თუ გული არ წამივიდოდა, არ მეგონა. თურმე, სულ ტყუილად ვმალავდი და ტყუილად მეძინა მთელი ზაფხული „მაიკით“. ფუ, ჩემი ბედი რა ვთქვი!..“

„როცა ეშმაკი შემიჩნდება, ალბათ ჩემს შეყვარებულს მოვკლავ, რადგან არ მირეკავს... ფრთხილად, მიშკა! ნინო“.

„ეშმაკი „შემიძვრა“ და ჩემი უახლოესი ძმაკაცის და თავდავიწყებით შემიყვარდა. მასაც ვუყვარვარ, მაგრამ არ მყოფნის ძალა, რომ ჩემი ფარული სიყვარული გამოვამჟღავნო. ირა, გთხოვ, მაპატიო უსუსურობა, ნიკალა“.

„ჩემმა ბიძაშვილმა თავისი ძმაკაცი გამაცნო. პირველსავე წუთებიდან ვიგრძენი, რომ მოვეწონე. თუმცა, არ იმჩნევდა. მეც „შემიძვრა“ ეშმაკი და ისე ვიქცეოდი, რომ უზომოდ შევაყვარე თავი. მერე სიყვარული ამიხსნა. – მეც მიყვარხარ-მეთქი, – ვუთხარი, მაგრამ არ მიყვარდა. ერთი თვის შემდეგ კი, უარი ვტკიცე და ჩემი მაიმუნობით გული ვატკინე. მართლაც რომ, ეშმაკი „შემიძვრა“, თორემ, რატომ მოვიქეცი ასე? ს.ხ.“

„ეშმაკი არა, მაგრამ ქალი მყავს შეჩენილი (რამ განასხვავა?..): ხან – ზღვაო, ხან – კაფეო, ხან – სარფიო და.. რომ ჰკითხოთ, მხოლოდ ვუყვარვარ და მეტი არაფერი. ყველას სინსილა გაწყდა... 1 კვირით მაინც...“

„როცა ეშმაკი შემიჩნდა, იცით, რა გავაკეთე?.. თაყვანისმცემელმა მომიტაცა 27 მარტს. არ მიყვარდა, მაგრამ მასთან დავრჩი. 25 აგვისტოს 17 წლის გავხდი. უნივერსიტეტშიც ჩავირიცხე და ულამაზესი ოჯახიც შევქმენი. მოკლედ, ყველაფერი მოვასწარი და ახლა უბედნიერესი ქალი ვარ. ქმარზე ვგიჟდები! ლევანიკო, მიყვარხარ! შენი სოფი-ფისო.“

„როცა ეშმაკი შემიჩნდა, ხან ერთი გოგო შევიყვარე, ხან – მეორე. ახლა სალომე მიყვარს, მაგრამ ის წაღვერშია, მე – ურეკში. ისე მენატრება, ლამის ზღვაში დავიხრჩო თავი... გ.გ.“

„ერთ ბიჭს მოვწონდი. იმდენი იჩალიჩა, რომ გამიცნო და ჩემს ნათესავებს დაუახლოვდა. მე მაინცდამაინც არ მომწონდა, მაგრამ შეხვედრაზე დამითანხმა. ყველა აღფრთოვანებული იყო მისით, მე კი მაინც ცხვირს ვუბზუებდი. მოკლედ, ეშმაკი შემიჩნდა და იმდენი ვქენი, რომ აღარ მაკითხავს. ბედის ირონია კი ის არის, რომ ეს ბიჭი მიყვარს! ნეტავ, მიცნო?.. თეო“.

„დღეს ბათუმში მაგარი ღელვა იყო. მე კი ეშმაკი ორჯერ შემიჩნდა და ჩემი შესაძლებლობებისთვის შეუფერებლად შორს შევცურე. კი გადავრჩი, მაგრამ მგონი, ეშმაკი აღარ შემიჩნდება, რადგან მე-2 ჯერზე გვარიანი შიში ვჭამე. ნანკა“.

„ახლა შემიჩნდა ეშმაკი და ჩემი მეგობარი შემაყვარა. მას კი ვუყვარვარ, მაგრამ უკვე უარი მაქვს ნათქვამი. ეშმაკი შემიჩნდა და ვიჩქარე, არა?.. რაღა მეშველება?..“

„ისეთი სასოწარკვეთილი ვარ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. 14 წლის ვიყავი, როცა კახამ პირველად მომიტაცა. წამოვედი, შემდეგ კიდევ ორჯერ მომიტაცა და დავრჩი... ყველა შურის თვალით მიყურებს, მე კი ძალზე უბედური ვარ. მე და ჩემი მეგობრის ქმარს ერთმანეთი შეგვიყვარდა, მაგრამ ადამიანები ხომ ერთმანეთს ბედნიერებას არ აპატიებენ? თემო მთხოვს, რომ ცოლად გავყვე. ეს იქნება ნამდვილი შოკი... არ ვიცი, რა ვქნა...

„მე ხშირად გწერდით იმის შესახებ, რომ ერთი გოგონა მიყვარდა და თქვენი საშუალებით, საპასუხო გრძნობას ვევედრებოდი. არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა, მისი თავი რამ შემაყვარა?.. მისმა სიყვარულმა მხოლოდ ტანჯვა მომიტანა. მაგრამ მადლობა ღმერთს, შევხვდი ადამიანს, რომელმაც ნამდვილი სიყვარული მაპოვნინა. ბორჯომში შემთხვევით გავიცანი ერთი მშვენიერი გოგონა, რომელმაც თეონას სიყვარულისგან გამათავისუფლა. მის მშობლებს საკუთარი შვილივით ვუყვარვარ, არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, ჩვენი ერთად ყოფნისა. ასე რომ, ძალიან მალე დავნიშნავ. ქორწილში კი, აუცილებლად დაგპატიჟებთ. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ლევანი“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად გთავაზობთ: „დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

გულის იშემიური დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

თუ გული კარგად მუშაობს, მის არსებობას საერთოდ ვერც ვგრძნობთ. მაგრამ ერთხელაც შეიძლება დადგეს მომენტი, როცა იგი თავს შეგვახსენებს. ამის მიზეზი კი, შეიძლება, სხვადასხვა დაავადება იყოს. მათ შორის ყველაზე გავრცელებული, გულის იშემიური დაავადებაა.

უჯრედებს სჭირდება, სისხლძარღვებს არ შეუძლია

ყველაფერი ათეროსკლეროზული ფოლაქების მიერ, ძირითადი კორონარული არტერიების დახშობით იწყება. არტერიების შიგნითა კედელზე (რომელიც ნორმაში გლუვი და სწორია) ჩნდება წანაზარდები, რომლებიც დროთა განმავლობაში მრავლდება, იზრდება და როცა სისხლძარღვის სანათური 70-80%-მდე ვიწროვდება, ფერხდება სისხლის მიმოქცევა. გულის კუნთი, რომელსაც კორონარული არტერია ამარაგებდა სისხლით, ჟანგბადის გარეშე რჩება და იწყებს შიმშილს. კუნთის უჯრედები არა მხოლოდ საკვები ნივთიერებების დეფიციტს განიცდის, არამედ მათში ცხოველქმედების პროდუქტები იწყებს დაგროვებას. სისხლით მომარაგების დარღვევათა ეს კომპლექსი იშემიად იწოდება.

ვინ რისკავს ყველაზე მეტად?

იშემიური დაავადების განვითარება ემუქრება მათ, ვინც:

- მოიხმარს დიდი რაოდენობით ცხიმს;
- აქვს ცხოვრების „მჯდომარე“ წესი;
- ეწევა სიგარეტს;
- ძალზე ბევრს იწონის;
- აქვს ჰიპერტონია ან შაქრიანი დიაბეტი;
- ხშირად იმყოფება ფსიქოემოციური გადაძაბვის მდგომარეობაში.

ტკივილი გულის არეში

გულის იშემიური დაავადების ყველაზე გავრცელებული ფორმა სტენოკარდიაა, რომლის დროსაც გულის კუნთი ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს არასაკმარისი რაოდენობით ღებულობს. თუ ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების მიწოდება მთლიანად წყდება, მაშინ ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტი.

სტენოკარდიის კლასიკურ გამოვლინებას წარმოადგენს გულის არეში განვითარებული ტკივილი, რომელიც გადაეცემა მარცხენა ხელს, ქვედა ყბის მარცხენა ნახევარს და მარცხენა მხარს. ადამიანს შეიძლება აგრეთვე აწუხებდეს სიმძიმის ან წვის შეგრძნება მკერდის ძვლის უკან, ჰაერის უკმარისობა; ზოგჯერ მუცლის ტკივილი აღენიშნება. ხანმოკლე შეტევები სხვადასხვა სიხშირით მეორდება. სტენოკარდიული შეტევის პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკურმა დატვირთვამ, ემოციურმა სტრესმა, სიცივემ. შეტევები დღის ნებისმიერ დროს შეიძლება განვითარდეს, თუმცა, ყველაზე ხშირად, დილის საათებში ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ სტენოკარდიის გამოვლინება სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ერთ კონკრეტულ ადამიანში იგი ერთნაირად ვლინდება. სტენოკარდია შეიძლება იყოს სტაბილური და არასტაბილური.

სტაბილური ვარიანტის შემთხვევაში, შეტევები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვლინდება, ერთნაირი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, ერთნაირი სიხშირის და მთლიანობაში ერთნაირი ხასიათისაა.

არასტაბილური სტენოკარდია ვლინდება შეტევების გახშირებით; ისინი მცირე ფიზიკური დატვირთვის შემდეგაც ვითარდება, თანაც — თანდათან უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ხდება. არასტაბილური სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტის შესაძლო განვითარების სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთ დროს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს.

არასტაბილური სტენოკარდიისას ადამიანს ზოგჯერ 100 მ-ის გავლაც კი არ შეუძლია — მას მაშინვე შეტევა ეწყება. ტკივილი ზოგჯერ მოსვენებულ მდგომარეობაშიც იწყება. ნიტროგლიცერინის ჩვეული დოზა ეფექტს აღარ იძლევა და მისი გაზრდა ხდება საჭირო. ეს დაავადების ყველაზე საშიში ფორმაა.

თუ ტკივილი ინტენსიური ხდება და 20-30 წუთზე ხანგრძლივია, ტალღისებურად მეორდება მოსვენებულ მდგომარეობაშიც, ავადმყოფს აქვს ძლიერი სისუსტე და შიშის გრძნობა, უხშირდება პულსი და მკვეთრად უთამაშებს არტერიული წნევა, დაუყოვნებლივ გამოიძახეთ ექიმი — ასეთი სიტუაცია ინფარქტის ეჭვს ბადებს.

დახმარება აფთიაქიდან

გულის იშემიური დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის გამოიყენება სამკურნალო პრეპარატების რამდენიმე ჯგუფი:

სტატინები. ზოგჯერ დიეტის საგულდაგულო დაცვაც კი, სისხლში ქოლესტერინის დონეს მხოლოდ 5-15%-ით აქვეითებს. თუ სწორი კვების შემდეგაც ქოლესტერინის მაჩვენებელი მაღალი რჩება, საჭიროა ლიპიდების დასაქვეითებელი პრეპარატების მიღება. დღეისათვის ასეთი პრეპარატების რამდენიმე ჯგუფი არსებობს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ სტატინები აქვეითებს ათეროსკლეროზის გართულების რისკს. სტატინებია: ფლუვასტატინი, ატორვასტატინი, სიმვასტატინი, პრავასტატინი.

ანტიაგრეგანტები. მწვავე სისხლძარღვოვანი თრომბოზის (დახშობის) პროფილაქტიკა ადამიანს იცავს არასტაბილური სტენოკარდიისა და ინფარქტისაგან. ამიტომ თრომბოზის პროცესზე მოქმედი საშუალებების მიღება, გულის იშემიური დაავადების გართულების პროფილაქტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ძირითადი ანტითრომბოციტური პრეპარატებია: ასპირინი, ტიკლოპიდინი, კლოპიდოგრელი.

ბეტა-ადრენობლოკატორები. ეს პრეპარატები ამცირებს ჟანგბადის რაოდენობას, რომელიც ფიზიკური და ემოციური დატვირთვისას ესაჭიროება გულის კუნთს. ისინი აგრეთვე ანელებს გულის მუშაობას და აქვეითებს წნევას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრე-

პარატები უწყვეტად მიიღოთ. არ შეიძლება მათი შეწყვეტა ექიმის კონსულტაციის გარეშე. ეს წამლები სტენოკარდიის შეტევის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება. ბეტა-ადრენობლოკატორებს განეკუთვნება: ატენოლოლი, ბეტალოკი, ობზიდანი, ეგილოკი.

კალციუმის ანტაგონისტები. ამ ჯგუფის პრეპარატები აფართოებს არტერიებს (მათ შორის კორონარულსაც) და ამით იცავს ორგანიზმს სტენოკარდიის განვითარებისგან. მათი ზემოქმედებით უმჯობესდება მიოკარდიუმის (გულის კუნთის) სისხლით მომარაგება. ამავე დროს, ისინი აქვეითებს არტერიულ წნევას. კალციუმის ანტაგონისტებია: ნიფედიპინი, კორდაფლექს რეტარდი, კარდიზემი, ნორვასკი.

ციტოპროტექტორები. ახალი სამკურნალო საშუალებების ჯგუფია მიოკარდიული ციტოპროტექტორები, რომლებიც უშუალოდ მიოკარდიუმის უჯრედებს იცავს იშემიის ან ჟანგბადის ნაკლებობის მომენტში. ისინი გავლენას არ ახდენს გულის შეკუმშვათა სიხშირესა და არტერიულ წნევაზე და, როგორც წესი, მათი მიღებისას მრავლად ვითარდება გვერდითი მოვლენა.

კარდიოლოგთა კონგრესზე, რომელიც ვენაში ჩატარდა, წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები. მათი ანალიზის საერთო დასკვნა ასეთია: გულის იშემიური დაავადების ტრადიციულ თერაპიასთან ერთად, აგფ-ინჰიბიტორების (კაპოტენი, ენაპი) გამოყენება 20-24%-ით ამცირებს ინფარქტის განვითარების შემთხვევებს.

როგორ მოვხსნათ შეტევა?

ვალოკორდინი, კორვალოლი და სხვა მსგავსი წვეთები სტენოკარდიული შეტევისას ვერაფერს გიშველით. მას მხოლოდ ნიტროგლიცერინისა და სხვა ნიტრატების (არა სასუქის) ეშინია.

პრეპარატი მყისიერად იწყებს მოქმედებას (ადუნებს სისხლძარღვთა კედლებს და აფართოებს სანათურს). ენის ქვეშ მისი მოთავსებიდან წუთის შემდეგ, მოქმედი ნივთიერება უკვე სისხლშია. პარალელურად იწყება თავის ტკივილი და ეს კარგია: თუ არ არის ტკივილი, არ არის სამკურნალო ეფექტიც. მოსვენებულ მდგომარეობაში შეტევა მაქსიმუმ 5 წუთში იხსნება, თავის ტკივილი კი რჩება. თუ თავი ძლიერ გტკივათ, შეგიძლიათ, ანალგინი დალიოთ.

პაციენტებს ხშირად აინტერესებთ, საჭირო თუ არა შეტევის დაწყებისთანავე წამლის მიღება? თუ ტკივილი ფიზიკური დატვირთვის შეწყვეტის შემდეგ თავისით გაივლის, წამალი შესაძლოა, აღარ დაგჭირდეთ. სხვა შემთხვევაში კი, ერთი აბი ნიტროგლიცერინი უნდა ამოიდოთ ენის ქვეშ, ამასთანავე, აუცილებლად გაითვალისწინეთ:

- ნიტროგლიცერინის მიღებამდე დაჯექით: პრეპარატი თავბრუს ხვევას იწვევს.
- აბი ბოლომდე მოწუწნეთ. ნუ დაამტვრევთ მას – პრეპარატი აღარ იმოქმედებს.
- თუ 5 წუთის შემდეგ, შეტევა არ მოგეხსნათ, საჭიროა კიდევ ერთი აბი ნიტროგლიცერინის მიღება. იგივე გაიმეორეთ კიდევ 5 წუთის გასვლისთანავე. თუ შეტევა 15 წუთზე მეტხანს გრძელდება და სამი აბი ნიტროგლიცერინის მიღებით არ იხსნება, ეს საშიშია: შესაძლოა მიოკარდიუმის ინფარქტი ჩამოყალიბდეს, ამიტომ დაუყოვნებლივ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“.

საქმეში ქირურგები ერთვებიან

თუ სწორი მკურნალობის მიუხედავად, სტენოკარდია პროგრესირებს და მნიშვნელოვნად ზღუდავს ადამიანის შრომისუნარიანობას, ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლძარღვები „დახშულია“ საკმაოდ ძლიერად და აუცილებელია ქირურგიული ჩარევა.

მკურნალობის რადიკალური მეთოდია აორტოკორონარული შუნტირება, რომლის დროსაც, დახშული კორონარების მახლობლად ხელოვნურად იქმნება სისხლის შემოვლითი გზები (შუნტები). ამ მიზნით, პაციენტის კიდურებიდან ამოღებული ვენა გამოიყენება. შუნტების რაოდენობა დაზიანებული არტერიების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

კორონარული ანგიოპლასტიკა ანუ ბალონური დილატაცია არის პროცედურა, რომლის დროსაც, შევიწროებულ კორონარულ არტერიაში შეაქვთ სპეციალური გასაბერი ბალონი და მისი მეშვეობით აფართოებენ სანათურს. ბალონის შეყვანა სპეციალური ზონდის გამოყენებით ბარძაყის არტერიიდან ხორციელდება.

თუ სისხლძარღვის კედლები მიდრეკილია შეწებებისკენ, მაშინ არტერიის სანათურში იმავე ზონდის გამოყენებით დგამენ სპეციალურ კარკასს – სტენტს, რომელიც დაზიანებულ არტერიას მუდმივად გაფართოებულ მდგომარეობაში ინარჩუნებს. ამ ოპერაციას სტენტირებას უწოდებენ.

ხუთი ნაბიჯი ჯანმრთელობისაკენ

გულის იშემიური დაავადების ბოლომდე განკურნება შეუძლებელია. თუმცა მისი კონტროლი და სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება ძნელი არ არის, თუ ექიმის ყველა რჩევას გაითვალისწინებთ. მაშ, ასე – 5 მარტივი დავალება:

1. თავი დაანებეთ სიგარეტს. ნიკოტინი მაღლა სწევს წნევას, ავიწროებს სისხლძარღვებს, ზრდის სისხლის შედედების უნარს, აქვეითებს სისხლის ჟანგბადით გაჯერების პროცენტს. ეს ყველაფერი კი, გულის იშემიური დაავადების გართულებათა პროვოცირებას იწვევს.

2. დაიცავით დიეტა. სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის დონე რომ შეამციროთ და ათეროსკლეროზის განვითარება შეაფერხოთ, მკვეთრად შეზღუდეთ რაციონში ცხოველური ცხიმი, მირთვით მეტი ბოსტნეული, უცხიმო რძემჟავა პროდუქტები, ზეთი, უცხიმო ხორცი, თევზეული.

3. დაიკელით წონაში. ყოველი დამატებითი კილოგრამი მკვეთრად აუარესებს სტენოკარდიის მიმდინარეობას.

4. მეტი იმოძრავეთ. ზომიერი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება თქვენთვის. ლიფტის მაგიერ, ფეხით აისერნეთ კიბეზე, ტროლეიბუსის ორი გაჩერებაც ფეხით გაიარეთ ხოლმე.

5. ისწავლეთ სტრესული სიტუაციებისაგან თავის დაღწევა ან მათთან გამკლავება. რეკომენდებულია, შეძლებისდაგვარად მოერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს; ეცადეთ, ყოველ მოვლენაში დადებითი მომენტი აღმოაჩინოთ. კარგ ეფექტს იძლევა საყვარელი საქმის კეთება, აუტოტრენინგი, რელაქსაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

■

შეამოწმეთ მუხრუჭები და ხერხემალი

ერთ-ერთ გერმანულ ავტოსახელოსნოში ასეთი მოწოდება ყოფილა გამოკრული: „შეამოწმეთ მუხრუჭები სულ 10 მარკად. რიტუალური მომსახურების ბიურო ასჯერ მეტს იღებს!“ სწორედ ასეთივე მნიშვნელოვანია ხერხემლის მდგომარეობისთვის ყურადღების დროულად მიქცევა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ცხოვრების დიდი ნაწილის გატარება საჭესთან უხდება. უადგილოა თუ არა „შავი“ იუმორი — თავად განსაჯეთ.



ადამიანის ჩონჩხის წყობა ისეთია, რომ ჯდომისას ხერხემალი გაცილებით მეტად იტვირთება, ვიდრე დგომისას ან წოლით მდგომარეობაში. ამიტომ კისრისა და წელგავის ოსტეოქონდროზი მძღოლების პროფესიონალური დაავადებაა.

ერთ-ერთი ამერიკელი პროფესორი თავისი პრაქტიკიდან ასეთ შემთხვევას იხსენებს: მას ჰყოლია ახალგაზრდა პაციენტი, რომელსაც ცოტა ხნის წინ დაეწყო ტკივილი კისრის არეში. ვაჟი სერიოზულად არ მიუდგა თავის დაავადებას და ყურადღებას არ აქცევდა თავს. მაგრამ მალე ძალიან გაუხშირდა თავის ტკივილი, ზოგჯერ თვალთ უბნელდებოდა. ერთხელ კი, ძლივს გადაურჩა ავტოკატასტროფას: მოულოდნელად საჭესთან ვონება დაკარგა და სასწაულებრივად გადარჩა, ბოლო მომენტში მასწრო დამუხრუჭება — კისრის ოსტეოქონდროზმა კინაღამ უბედურებამდე მიიყვანა.

ეს ყველაფერი კისრის მალების აგებულების თავისებურებებით აიხსნება. მას აქვს მორჩები (წანაზარდები), რომელთაც განივად, მარჯვნივ და მარცხნივ, ხერხემლის არტერიები გასდევს. ის სისხლით ამარაგებს თავის ტვინის ღეროვან ნაწილში მდებარე სასიცოცხლო ცენტრებს, აგრეთვე — ნათხემსა და ტვინის ქერქის კეფის ნაწილს, სადაც მხედველობის ანალიზატორი მდებარეობს. ოსტეოქონდროზის გამო, შევიწროებულ ძვლოვან არხში გამავალი ხერხემლის არტერია ზიანდება, ირღვევა სისხლის მიმოქცევა, ეს კი თავის ტკივილს, ყურებში ხმაურს, მხედველობის დარღვევას, უძილობას, გულყრებს, მხრებისა და ხელის მტევნების ტკივილს იწვევს.

კისრის ოსტეოქონდროზით დაავადებულისთვის არ შეიძლება:

1. დიდი ხნით თავის უკან გადაგდება
2. მტკივნეულ მხარეს ხშირ-ხშირად თავის მიბრუნება
3. სიმძიმის აწევისას თავის დახრა
4. მოხრილ მდგომარეობაში წერა-კითხვა
5. მაღალ ბალიშზე ძილი

წელის პრობლემები

მძღოლთათვის მეორე პრობლემა, წელგავის ოსტეოქონდროზი გახლავთ. წელის არეში ტკივილი მოულოდნელად იწყება ხოლმე. ადამიანი მოიხრება და წელში ვეღარ სწორდება — თითქოს რკინა გაუყარესო. ტკივილი იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება, შოკიც კი განვითარდეს. წარმოიდგინეთ, ასეთი რამ საჭესთან რომ მოხდეს!

ლუმბალგიის (წელის მალების არეში ტკივილის) დროს, ტკივილი ნაკლებია: წელის არეში ადამიანს წიწკნის შეგრძნება აქვს, რომელიც ერთი წუთითაც არ ეშვება.

ტკივილზე უარესი ასეთ დროს, მალების არასტაბილურობაა. დატვირთვისას ზოგჯერ, ხერხემლის წელის ნაწილი „გაცურდება“ გავის ძვალზე და მის ადგილს შეინაცვლებს. ამის შედეგად, შინაგანი ორგანოებისმხრივი გართულებები ვითარდება. მკურნალობის ერთადერთი გზა ოპერაციაა. ქირურგიული ჩარევა აუცილებელია ე.წ. ცხენის კუდის (ნერვული ფესვების კონა, რომელიც ხერხემლის არხის ქვედა ნაწილში გადის) ზეწოლის სინდრომისას, რომელიც მგრძნობელობისა და მამოძრავებელი ფუნქციის გარდა, შარდსასქესო ორგანოთა ფუნქციის მოშლას იწვევს.

სასარგებლო რჩევები:

● ისწავლეთ სწორად ჯდომა არა მხოლოდ საჭესთან, არამედ შინაც, სადილობისას — უეჭველად მიეყრდენით სკამის საზურგეს.

● როდესაც დასასვენებლად ჩამოჯდებით, ფეხები აუცილებლად უნდა ეხებოდეს იატაკს. უკეთესი იქნება, თუ მათ საყრდენზე შემოაწყობთ ისე, რომ მუხლები ბარძაყებზე მაღლა აღმოჩნდეს.

● მგზავრობისას, ყოველ 1,5-2 საათში მაინც შეისვენეთ: ადექით, გაიარ-გამოიარეთ, გაივარჯიშეთ.

გავა-წელის ოსტეოქონდროზის გამწვავებისას, აუცილებლად უნდა ატაროთ საფიქსაციო კორსეტი, რათა ჩასწორებულმა მალებმა შეინარჩუნოს თავ-თავისი მდებარეობა. თუ წინ შორი გზა გელით, ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკისთვისაც კარგია კორსეტის ჩაცმა. იგი წარმოადგენს ელასტიკური და მკვრივი სინთეზური მასალისგან დამზადებულ განიერ ქამარს, რომელიც წელის არეში დამწოლი ჩანართებითაა აღჭურვილი. მისი ჩაცმისას, წელზეც არ დაგიბერავთ და მალებიც ფიქსირებულ მდგომარეობაში გეჭნებათ.

კომფორტი საჭესთან

უნდა ითქვას, რომ საავტომობილო დიზაინერებიც ზრუნავენ მძღოლთა ხერხემალზე. უმაღლესი კლასის მანქანების გამომშვები ზოგიერთი ფირმა იღებს შეკვეთებს სავარძლებზე, კლიენტის გაბარიტების მიხედვით. ასეთი სავარძელი აღარ უქმნის უსიამოვნებებს მძღოლს ხანგრძლივი მოგზაურობისას. სავარძელი აღჭურვილია მიკრომასაჟორებით, ვიბრატორითა და ვენტილაციით. მაგრამ შეკვეთილი სავარძელი ერთეულებისთვისაა. მასობრივი მომხმარებლისთვის კი, რამდენიმე ფირმა მუშაობს, რომელიც მაღალი კლასის პროდუქციას უშვებს. ორთოპედები უპირატესობას ანიჭებენ გერმანული მანქანების მაგარ სავარძლებს, რომლებიც უფრო სიმედო, კომფორტულია და აქვს სარეგულაციო მექანიზმები, რომელთა მეშვეობით მძღოლს შეუძლია, სავარძელი საკუთარ პარამეტრებს შეუსაბამოს. ■

| ვინ აშენებს სახლს? | | |

როგორია ქალი და როგორია მამაკაცი

ქალისა და მამაკაცის ქცევა თუ დამოკიდებულება ერთსა და იმავე ფაქტისა თუ მოვლენის მიმართ, თითქმის არასდროს ემთხვევა ერთიმეორეს. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, მათ ქცევას სხვადასხვა მოტივაცია აქვს. უახლოესი ადამიანებიც კი ერთმანეთთან ბოლომდე გახსნილი არ არიან და სწორედ ეს გაუმხელელი პატარა საიდუმლოებანი ხდის განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს ერთმანეთისთვის საინტერესოს. ქალები და მამაკაცები ერთმანეთს ძირითადად იმას უმალავენ, რაც მათ საკუთარ სისუსტედ მიაჩნიათ. ფსიქოლოგებმა კი მათ რამდენიმე საიდუმლოს ფარდა ახადეს და სააშკარაოზე გამოიტანეს.

ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ ქალები უმეტესად, საკუთარ ***ასაკსა და წონას*** მალავენ. ეს ბუნებრივიცაა. დაკვირვებებმა ცხადყო, რომ მამაკაცი, როდესაც მის მიერ მოწონებული ქალის ასაკსა და წონას ხატავს (იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალი ასაკისა და წონის კვალობაზე საუცხოოდ გამოიყურება), ვერ „სასიამოვნოდ გაკვირვებული“ რჩება, შემდეგ კი ამ ე.წ. „კარგად შენახული ქალისადმი“ ლტოლვა და ინტერესი ეკარგება.

რაც შეეხება მამაკაცებს, ასაკისა და წონის პრობლემა მათ ნაკლებად აწუხებთ. 60 წლის მოსუქებულ მამაკაცს ბევრჯერ დაუხვევია თავბრუ 20 წლის გოგონასთვის. 60 წლის ქალბატონისგან აღელვებულ 20 წლის ჭაბუკს კი, ჰოლივუდის ისტორიაშიც კი ვერ შეხვდებით.

მეორე, რასაც ქალი მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებს და მალავს, ეს არის შავი დღისთვის გადანახული ***ფული***. მიუხედავად იმისა, ჰყავს თუ არა ქალს გვერდით ძლიერი დამფინანსებელი, იგი მაინც ცდილობს, შექმნას თავისი საიდუმლო „ბანკი“. ამაში ჩანს ქალის თანდაყოლილი შორსმჭვრეტელობა. არავის აქვს იმის გარანტია, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს, მას არ მიატოვებენ და „სპონსორი“ მამაკაცის გარეშე არ მოუწევს ცხოვრებასთან შეჭიდება.

მამაკაცი კი ფულს არ მალავს. მას მოსწონს, როდესაც მდიდარ, ძლიერ და გავლენიან ადამიანად თვლიან. მთელი ცხოვრება იმიტომ ათენ-აღამებს სამსახურში, რომ უზრუნველი მომავალი და მარჩენლის სტატუსი ჰქონდეს. ნათქვამია, მამაკაცი ფულითაა ძლიერიო და ამაში არის სიმართლის მარცვალი. დააკვირდით, ვისაც ფული და შესაბამისად, გავლენაც აქვს, რაგინდ ჩია და გალეული ტანისაც არ უნდა იყოს, გოლიათივით უჭირავს თავი. გამოდის, რომ ფული მამაკაცის ფსიქოტიპზეც ახდენს გავლენას. მაგრამ დაკვირვებისთვის ყველაზე საინტერესო ტიპაჟები არიან ადამიანები, ვისაც წარსულში ბევრი ფული ჰქონდათ და მოულოდნელად გაკოტრდნენ. აი, ამ ცხოვრებისეული მაგალითებიდან გამომდინარე, ნებისმიერი მამაკაცი ფიქრობს — როდესაც მას ფული აღარ ექნება, მარტო ერთგული ცოლი კი არა, შინაური ცხოველებიც კი მიატოვებენ.

და მესამე — ***ფიზიკური უძლურება და ავადმყოფობა.*** რა პარალელის გავლება შეიძლება ამ დროს? როგორ იქცევა ქალი და როგორ — მამაკაცი? ქალი, რა თქმა უნდა, თავს ზედმეტად იმკვდარუნებს. სინამდვილეში, მას გაცილებით მეტი ტკივილის ატანა შეუძლია, ვიდრე მამაკაცს. მაგრამ მისი შინაგანი ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მუდმივი მოფერებისა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს. დააკვირდით, ფეხმძიმობის დროსაც კი, როგორ სპეკულირებენ და ჭირვეულობენ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ მშობიარობის დროსაც კი, თუ მას მეუღლე ესწრება, ქალს შემორჩენილი აქვს არტისტიზმის უნარი და ინტუიციით ხვდება, როდის მიაპყროს ცრემლიანი მზერა მეუღლეს, რომ მისი მაქსიმალური თანაგრძნობა მოიპოვოს.

მამაკაცს კი ძალიან უჭირს, გაუმხილოს ქალს, რომ ავადაა. მას მთელი ცხოვრება, თან სდევს შიში იმისა, რომ ოდესღაც დაუძლურდება. მამაკაცები, როცა ავად არიან, „ვაუკაცობანას“ თამაშობენ, მართალია, ავადმყოფობა მათ ძალიან თრგუნავს, მაგრამ ცდილობენ, ქალს ეს არ აგრძნობინონ. ყველაზე დიდი შიში კი მოსალოდნელ სექსუალურ უძლურებას უკავშირდება. ალბათ, ამიტომაა, რომ არც ერთი მამაკაცი საკუთარ თავსაც არ უმხელს, რომ ხანდახან გრძნობს სექსუალური პოტენციის დაქვეითებას. მამაკაცი, თუნდაც ის კაზანოვას მეტსახელით სარგებლობდეს, ყოველთვის წინასწარ ნერვიულობს იმის გამო, რომ ერთხელაც „აღარ გამოუვა“. ამიტომაც მამაკაცი ქალისგან მოითხოვს მხოლოდ ერთს — სექსის შემდეგ უთხრას, რომ ის განუმეორებელია და მასთან გატარებულმა ღამემ საოცარი სიამოვნება მიანიჭა. ■



...ოეს შვილები, ...ბი, ქამი და ...	აბრეშუმის თხელი ნაჭერი	ყურძნის შაქარი	იაპონური ნაციონალური სამოსი	ბოქლომი	ზნე
					

...ი	უსულო საგანი, რომელსაც ეთაყვანებიან	ოტო ... ბისმარკი	ესკიმოსების ყინულის ქოხი	აქლემის შვილი	თვალის ფოსოში ჩასადგმელი მინა	შტატი აშშ-ში	პირველი ორნიშნა რიცხვი

„ანგელოზი“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად „მაცნეს“, „მაუწყებელს“ ნიშნავს. ანგელოზები არიან უსხეულო, გონიერი, თავისუფალი ნების მქონენი, ღვთის მადლით უკვდავნი — ღმერთის ზეციური მსახურნი, რომლებიც გარშემორტყმულნი არიან უფლის საყდარს, განუწყვეტლივ უგალობენ, ადიდებენ ღმერთს და ასრულებენ მის ყოვლადკეთილ ნებას. ეკლესიური სწავლებით, არსებობს ანგელოზთა ცხრა დასი, რომელიც სამსაფეხურიან იერარქიად — ეი. სამ ხარისხად (წოდებად) განიყოფა.

ანგელოზთა ცხრა დასი

მორენა მერკვილაძე

წმინდა დიონისე არეოპაგელის განმარტებით, პირველ ხარისხში ის ანგელოზები იმყოფებიან, რომლებიც ყველაზე ახლოს არიან ღმერთთან, ესენი არიან: სერაფიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი; მეორე ხარისხში არიან: უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი; მესამე ხარისხს ანუ უდაბლეს იერარქიას წარმოადგენენ: მთავრობანი, მთავარანგელოზები და ანგელოზები. „ისინი (ე.ი. ანგელოზთა დასნი) იმ წესით და რიგით არიან დადგინებულნი, რომ უდაბლესი ანგელოზები საღმრთო განათლებასა და კეთილმოქმედებათ უმაღლესთაგან იღებენ. ეს ანგელოზები სამარადისოდ დამკვიდრდნენ საღმრთო მადლში: რამდენადაც ისინი არ დაეთანხმნენ მთიებს ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებაში (საუბარია ანგელოზთა ნაწილის ცოდვით დაცემაზე), ამდენად მიიღეს კიდეც ეს მადლი, ისე რომ უკვე აღარ ძალუძთ შესცოდონ; თუმცა, არა თავიანთი ბუნებით, არამედ საღმრთო მადლით“ — განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარებაში“. თითოეული ანგელოზი, თავისი ხარისხისა და ძალის შესაბამისად ემსახურება უფალს.

სერაფიმები. წმინდა სამებასთან ყველაზე ახლოს ექვს-ექვსფრთენი — სერაფიმები დგანან. სერაფიმები ნიშნავს ცეცხლოვანს, ღვთისადმი სიყვარულით ალმოდებულს. ისინი თავადაც ანთებულნი არიან ღვთის სიყვარულით და ცეცხლოვანი ღვთაებრივი სიყვარულით აღანთებენ ადამიანებს. სერაფიმები გამოიხატებიან ადამიანის სახით და ექვსი ფრთით: ორით იფარავენ სახეს, როგორც ულირსნი უფლის ცქერისა; ორი ფრთით იფარავენ ფეხებს, რომ მათ არ უცქიროს ღმერთმა; ორით დაფრინავენ, რათა შეასრულონ ღმერთის ყველა ბრძანება, თან განუწყვეტლივ გალობენ და ადიდებენ ღმერთს. სერაფიმები უმაღლესი სულიერი არსებანი არიან და იერარქიაში პირველ ადგილს იკავებენ.

ქერუბიმები (ებრაულად — ეტლები). ქერუბიმები ის სულიერი არსებები არიან, რომლებიც წმინდა წინასწარმეტყველმა იეზეკიელმა ადამიანის, ხარის, ლომის და არწივის სახით იხილა. ქრისტიანული სწავლებით, ეს საიდუმლოდ მიგვანიშნებს, რომ ქერუბიმები საკუთარ თავში აერთიანებენ გონიერებას, მორჩილებას, ძალასა და სისწრაფეს. ქერუბიმები წარმოადგენენ ღმერთის სულიერ ეტლს, ამიტომაცაა, რომ ღმერთი ხშირად იხსენიება „მჯდომარე ქერუბიმთა ზედა“ (I მეფ 4,4). ქერუბიმები დგანან მცველად სამოთხის კართან. ისინი ღმერთისგან უდიდესი მცოდნეობის უნარით არიან დაჯილდოებულნი. სწორედ ქერუბიმების მიერ მოგვეფინება სიბრძნე და განათლება იმისათვის, რომ ჭეშმარიტი ღმერთი შევიმეცნოთ.

საყდარნი. უმაღლესი იერარქიის მესამე საფეხურზე დგანან. ანგელოზთა ეს დასი ემსახურება ღვთის მართლმსაჯულებას.

უფლებანი. ანგელოზთა საშუალო იერარქიის უმაღლესი დასის ანგელოზები. ისინი უშუალოდ მფარველობენ იმ ადამიანებს, რომლებიც ღმერთმა ამქვეყნად ხელისუფალთა შორის დაადგინა — ე.ი. მეფეებს, მთავრებს ანუ ხელისუფალთ. შეეწევიან მათ, რათა ბრძნულად და კეთილგონივრულად წარმართონ ადამიანთა ცხოვრება. გარდა ამისა, ადამიანებს შეეწევიან, რათა წინ აღუდგნენ ცოდვილ გრძნობებს, დასძლიონ ცდუნებები და ალაგმონ ხორციელი ვნებები.

ძალნი. ანგელოზთა ეს იერარქია შეეწევა ადამიანებს, რათა მორჩილების ყოველგვარი საქმე კეთილად აღასრულონ. მოიპოვონ მოთმინების უნარი და სულიერი სიმტკიცე. ძალნი ძალმოსილებით ხასიათდებიან.

ხელმწიფებანი. ისინი წინ აღუდგებიან და სძლევენ დემონურ ძალებს (ეშმაკებს). ანგელოზთა ამ იერარქიას ბუნების სტიქიაზე ბატონობის უნარიც აქვთ მომადლებული. როგორც აღვნიშნეთ, ხელმწიფებანი წინ აღუდგებიან ბოროტ ძალებს, ისინი ადამიანებს ეშმაკის ყოველგვარი მახისა და საცდურისაგან იცავენ და ბოროტ გულისთქმებთან ბრძოლაშიც განამტკიცებენ. გარდა ამისა, ხელმწიფებანი მფარველობენ მათ, ვისაც ღვთიური ცხოვრების ღვაწლი უტვირთავს.

მთავრობანი. ანგელოზთა ციური კრებულის უმდაბლესი იერარქიის ანგელოზები არიან. მთავრობანი მონაწილეობენ შექმნილი სამყაროს განგებაში, იცავენ და მფარველობენ ადამიანებსა და ცალკეულ მოდგმებს. ისინი შთააგონებენ წინამძღოლებს, რომ ირგვლივ ყველას შესაბამისი პატივი მიაგონ, ყოველგვარი მოვალეობა ღმერთის სადიდებლად აღასრულონ და არა ანგარებითა და სიხარბით.

მთავარანგელოზები. ისინი ანგელოზთა იმ იერარქიის წარმომადგენლები არიან, რომელიც უფლის სიდიადეს, ბრწყინვალებასა და განგებულებას გვაუწყებენ. მთავარანგელოზები უფლის ნებას უცხადებენ წინასწარმეტყველებს, რათა მათ მიერ ჭეშმარიტება მოეფინოს ქვეყნიერებას. მთავარანგელოზთა მიერ მოეფინა ადამიანთა გონებას სარწმუნოების (რწმენის) ნათელი. მთავარანგელოზები იცავენ და მფარველობენ სამყაროს სულიერ მთლიანობას.

მთავარანგელოზები უშუალოდ ეცხადებოდნენ და ესაუბრებოდნენ ღვთის მიერ გამორჩეულ წინასწარმეტყველებს. ცნობილია ცხრა მთავარანგელოზის სახელი: მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი, ურიელი, ეგუდიელი, ვარაქიელი, სელაფიელი, იერომიელი, ტახნიელი.

ანგელოზნი. ანგელოზთა დასი ზეციური იერარქიის უმდაბლეს საფეხურზე დგას. ანგელოზები (ე.ი. ამ დასში მყოფი უსხეულო არსებები) ადამიანების უშუალო მფარველნი არიან. ისინი ადამიანებს კეთილმსახურ ცხოვრებაში წინამძღოლობენ, მერყევებს — რწმენაში განამტკიცებენ, დაცემულებს — აღადგენენ, მორწმუნეებს — იცავენ. ანგელოზნი მუდამ ადამიანთა გვერდით არიან და ყოველგვარ ვითარებაში შეეწევიან, რისთვისაც ლოცვით უნდა მივმართოთ და მოვუხმოთ მათ. ■

ᲨᲐᲒᲜᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲬᲔᲠᲘ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲚᲣᲗᲣᲚᲘ

,,საკუთარი თავი ის მამა მგონია, რომელსაც ძე შეცდომილი დაუბრუნდა'', — უთქვამს 73 წლის მხატვარს რონი ჰარისონს თავის მიერ შექმნილ სურათზე, რომელსაც ბოლოს და ბოლოს, სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნის ეროვნულ გალერეაში მიუჩინეს ადგილი. შავკანიანი ქრისტეს ჯვარცმის ამსახველი ტილო მხატვარმა 1961 წელს შექმნა. მაცხოვრის პროტოტიპად აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი, ცნობილი სამხრეთაფრიკელი პოლიტიკური მოღვაწე ალბერტ ლუტული მოგვევლინა, მისი მტრებისა კი — იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ჰენდრიკ ფერვურდი და იუსტიციის მინისტრი ჯონ ფორსტერი. აფრიკის ეროვნული კონგრესის ლიდერი და ფერადკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლი ლუტული არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული და გადასახლებული. 1961 წელს მას მიენიჭა ნობელის პრემია — ,,ერებს შორის სამართლიანობის განმტკიცებისთვის'', მაგრამ საკუთარ სამშობლოში პერსონა ნონ-გრატად იყო გამოცხადებული. კანონგარეშე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ აგრეთვე, რონი ჰარისონი და მისი ტილო: მხატვარი ციხეში გაამწესეს, მისი სურათი კი 1974 წელს, ლონდონში გაგზავნეს, სადაც რამდენიმე მუზეუმში მოხვედრის შემდეგ, დაიკარგა. გავიდა 30 წელი და ინგლისელმა ჯულიუს ბეიკერმა სურათი საკუთარი სახლის სარდაფში აღმოაჩინა. თუმცა, ეს დიდი წყალდიდობის დღეს მოხდა, ტილო მას სრულიად უვნებელი დახვდა. ,,მჯერა, რომ ის თვით განგებამ გადაარჩინა'', — თქვა ამ ფაქტის შეფასებისას მხატვარმა რონი ჰარისონმა. ■

nuTu, es marTla ioane naTlismcemlis samyofeli iyo?!.

ბრიტანელი არქეოლოგი შიმონ გიბსონი, რომელიც იერუსალიმის მახლობლად მყოფი ექსპედიციის მეცნიერთა ჯგუფს ედგა სათავეში, ირწმუნება, რომ დაბა აინ-ქერემიდან 4 კმ-ში იოანე ნათლისმცემლის გამოქვაბული აღმოაჩინა. როგორც ისრაელის მასმედია წერს, გამოქვაბული 24 მ სიგრძის, 4 მ სიღრმისა და ასეთივე სიგანისაა. მასში უამრავი კერამიკული ნივთი აღმოაჩინეს. იქვეა ემბაზი, რომელთანაც 30-მდე ადამიანს შეიძლებოდა ელოცა. გამოქვაბულის კედლები იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების ამსახველი ნახატებითაა დაფარული. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია თავად იოანეს კედლის გამოსახულებამ, რომელიც ქრისტიანობის შემოსვლის პირველი წლებით თარიღდება. ერთ-ერთ კედელზე კი, მისი მოკვეთილი თავის სურათიცაა ამოკვეთილი.



საინტერესოა, რომ კედლებზე არც ერთი წარწერა არაა. გიბსონის ვარაუდით, აღნიშნული ნახატები, იოანე ნათლისმცემლის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ბიზანტიელმა ბერებმა ამოკვეთეს. ,,აქამდე იოანე ნათლისმცემელი მხოლოდ ,,სახარების'' ერთ-ერთი პერსონაჟი იყო, — აღნიშნა მეცნიერმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას. — ახლა კი ზუსტად ვიცით, რომ ის რეალური ადამიანიც გახლდათ''.

■

ტაეკვონდოისტი სიკვდილს გადაურჩა

დასრულებული ოლიმპიადის ტაეკვონდოისტთა ტურნირზე კინაღამ სპორტსმენი დაიღუპა. ავსტრიელმა ტანკაი კალისკანმა 22 წლის აფრიკელ გბონგო ლიანგოს 68 კგ-მდე წონით კატეგორიაში ორთაბრძოლისას ფეხით ძლიერი წრიული დარტყმა მიაყენა თავის არეში, რის შედეგადაც ლიანგო მოცელილივით დაეცა. გაოგნებული პუბლიკა გასუსული ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ ცდილობდნენ მედიკოსები სპორტსმენის გონზე მოყვანას, რომელიც ექვსი წუთის შემდეგ, ათენის საავადმყოფოში გადაიყვანეს. „მან დარტყმისგან გონება დაკარგა, მაგრამ ამჟამად უკვე კარგადაა, – განაცხადა მეორე დღეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ტაეკვონდოისტთა გუნდის ექიმმა ჟაკ ნდემანგამ. – საამისოდ მას სარეაბილიტაციო მკურნალობის კურსის გავლა დასჭირდა“. ■

ქომაგობა იტალიურად



როგორ ქომაგს აღარ შეხვდებოდით ათენში!.. მაგალითად, ერთ-ერთი შეზარხოშებული კანადელი, სამმეტრიანი ტრამპლინიდან ჩახტა საცურაო აუზში და ამგვარად ცდილობდა ცოლისადმი ერთგულების დამტკიცებას. ამისთვის იგი კინაღამ ბერძნულ ციხეში გაამწესეს... იყვნენ გულშემატკივრები, რომლებიც „საბრძოლო“ აღკაზმულობით ცდილობდნენ, საყვარელი გუნდისა თუ სპორტსმენის გამხნევებას. ზოგიერთი კი, ისე ქომაგობდა, რომ საკუთარი სხეულით პუბლიკის ყურადღებასაც იპყრობდა. სწორედ ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა ეს იტალიელი გოგონა. სხვათა შორის, აუცილებელი სულაც არ იყო, რომ ამ ლამაზმანს მკერდზე იტალიური და ბერძნული დროშები დაეხატა, რადგან მის მიმზიდველ სხეულს გარშემო მყოფები უყურადღებოდ მაინც არ დატოვებდნენ. ■

ანარქისტები ოლიმპიადის ბოლო დღესაც არ ცხრებოდნენ

საბერძნეთის სამართალდამცავი სტრუქტურები ძალისხმევას არ იშურებდნენ, რათა ოლიმპიურ თამაშებს მშვიდ ვითარებაში, ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაევლო. ბუნებრივია, ისინი „ათენი-2004“-ის დახურვის დღესაც განსაკუთრებულად ფხიზლობდნენ, რაც არც იყო გასაკვირი. კვირას, დილით, საბერძნეთის დედაქალაქში ანარქისტები გააქტიურდნენ. მათ მონასტრაკის რაიონში მცხოვრებ ტურისტებზე მიიტანეს იერიში. წესრიგის დასამყარებლად ადგილზე მისულ პოლიციელებს კი, ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ბოთლებით შეუტიეს. ამის გამო, ძალოვნებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, შემდეგ კი 20 ანარქისტი დააკავეს. საერთოდ, ათენის ოლიმპიადა უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებით გამოირჩეოდა. შეგახსენებთ, რომ ორგანიზატორებმა ამისთვის მილიარდ ევროზე მეტი (ე.ი. ოთხჯერ უფრო მეტი, ვიდრე სიდნეიში) დახარჯეს. ■

ოლიმპიელს ფუტკრებმა შეუტიეს

დანიელ მეტ ანდერსენს ათენში ფუტკრები დაესხნენ თავს. ველორბოლაში მონაწილეობისას მან შენიშნა, რომ გულმკერდის მარცხენა ნაწილი უსივდებოდა, რაც სწორედ ფუტკრების უამრავმა ნაკბენმა გამოიწვია. ამის გამო ათლეტი იძულებული გახდა, ასპარეზობა შეეწყვიტა. ანდერსენს სამედიცინო დახმარება ჰოსპიტალ „მაუნტ პარნიტში“ აღმოუჩინეს. ამით ყველაფერი დასრულდა, თუმცა, არც ის იყო გამორიცხული, რომ მისი მდგომარეობა გართულებულიყო: ყოფილა შემთხვევები, როდესაც ფუტკრებისგან დაკბენილი ადამიანი გარდაცვლილა კიდეც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, 85 წლის ნიგერიელი მამაკაცი სწორედ ფუტკრებმა იმსხვერპლეს. ეს ტრაგიკული შემთხვევა ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე შტატ ონდოში მოხდა. ■

ოლიმპიადა მტრებსაც რგებს

უკვე წელიწადზე მეტია, რაც აშშ ერაყში საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებს. პენტაგონის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2003 წლის 20 მარტიდან, როდესაც ამერიკის ჯარები ერაყში შევიდნენ, იქ 803 ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა, ხოლო დაჭრილთა რაოდენობამ 4 ათას 700 კაცს მიაღწია. 2003 წლის პირველი მარტიდან კი – ე.ი. იმ დღიდან, როდესაც პრეზიდენტმა ბუშმა საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, 665 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე გამოასალმეს სიცოცხლეს. აშშ-ის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ერაყში ჯარების შეყვანას შეცდომად მიიჩნევს, მით უმეტეს, რომ ამერიკამ ამ ომზე უკვე 126 მილიარდი დოლარი დახარჯა. ბუნებრივია, ამ ფონზე, ორი დაპირისპირებული სახელმწიფოს წარმომადგენლები ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანენ, მაგრამ იძულებული არიან, რომ სპორტულ ასპარეზზე შეხვედრისას, ეს დროებით მაინც დაივიწყონ. ჰოდა, ათენში ამერიკელი სტივენ ლორესი და ერაყელი რაიდ რაშენი მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს, თუმცა მანამდე, მათ ერთმანეთი არ დაუზოგავთ, როდესაც ტაეკვონდოისტთა შეჯიბრებაზე 80 კგ წონით კატეგორიაში ხვდებოდნენ ერთიმეორეს. ■

ბექჰემები მესამე შვილს ელოდებიან



The Sun-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დევიდ ბექჰემი მალე მესამე შვილის მამა გახდება. ინგლისელი ნახევარმცველისა და რებეკა ლოოსის სახელების გარშემო აგორებული სექსუალური სკანდალის შემდეგ, ყველას ეგონა, რომ დევიდი და ვიქტორია განქორწინდებოდნენ. მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყვილი ამ მითქმა-მოთქმას ყურადღებას არ აქცევდა. პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ კი, ბექჰემები მაროკოში გაემგზავრნენ, ხოლო 5 წლის ბრუკლინი და 21 თვის რომეო შინ დატოვეს. ამის შემდეგ, ალბათ არავის გაჰკვირვებია, რომ ვიქტორია ადამსის ფეხმძიმობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა. იმავე The Sun-ის ცნობით, ამჟამად „სპაის გერლზის“ ყოფილი ვოკალისტი საკონტრაქტო ვალდებულებებს არ ასრულებს, საკმაო დრო აქვს მშობიარობამდე. თავად დევიდი კი, მესამედ მამობის სურვილს ვერ ფარავს: „ადრე, ორი ვაჟიშვილის ყოლა მსურდა, ახლა გოგონაც მინდა“, – თქვა მან. ■

სექსტოტალიზატორები

ინტერნეტის მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ე.წ. ონლაინკაზინოები, რომლებიც კლიენტებს დიდ მოგებებს სთავაზობენ. ამ ვირტუალური დაწესებულების სტუმრებმა უნდა წარადგინონ თავიანთი საკრედიტო ბარათის ნომერი,

რის შემდეგაც, მათ ანგარიშზე გარკვეული თანხა დაირიცხება. თუმცა, ისინი ვერც კი აცნობიერებენ, რომ ამგვარად, შეიძლება, საკუთარ ფულს საერთოდ გამოემშვიდობონ. როგორც წესი, ინტერნეტკაზინოების მესვეურები მამაკაცებს მომხიბვლელი ქალების მეშვეობით იზიდავენ, ხოლო ამ უკანასკნელთა ვირტუალური გაშიშვლების სურვილი კლიენტებს საერთოდ ჭკუას აკარგვინებს. სწორედ ამ მამაკაცური სისუსტით სარგებლობენ ინტერნეტკაზინოების შემქმნელებიც. სხვათა შორის, იგივე ტენდენცია შეინიშნება ზოგიერთი ბუკმეკერული კანტორის საიტზეც. განსხვავება მხოლოდ ის გახლავთ, რომ ვირტუალური ტოტალიზატორების კლიენტებმა ამა თუ იმ მატჩის ან შეჯიბრების სასურველი შედეგით დასრულების შემთხვევაში, შეიძლება თანხა მოიგონ. ■

ჯიჯას ქალები დალუჯავენ

ცნობილია, რომ რონალდო ქერათმიან ლამაზმანებზე ჭკუას კარგავს, თანაც, არა აქვს მნიშვნელობა, ქალი ბუნებრივად ქერა იქნება თუ შეღებილი. ამჟამად კიჭა იტალიური წარმოშობის ფოტომოდელ დანიელა სისარელიზეა შეყვარებული. ბრაზილიელი სუპერფორვარდი ყოველნაირად ცდილობს, რომ სისარელის თითოეულ ჩვენებას დაესწროს, თანაც, ამავდროულად, მომქანცველ ვარჯიშებსაც თავს არიდებს. „სულ მასზე ვფიქრობ, – ამბობს რონი თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში, – და მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე ტელეფონით 2-3 საათი ვსაუბრობთ, ხშირად მოწყენილიც ვარ. როგორც ხვდებით, ტელეფონი შეყვარებულთათვის დამამშვიდებელ საშუალებად არ გამოდგება“. ■

ლოთბაზარა „ნიუ იორკ ნიკზში“

NBA-ს კლუბმა „ნიუ იორკ ნიკზმა“ კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ ვინ ბეიკერთან. შეთანხმების პირობები არ გახმაურებულა, თუმცა კალათბურთის მიმომხილველები იმედოვნებენ, რომ იგი მოთამაშისთვის არცთუ ისე ხელსაყრელი იქნება. მით უმეტეს, რომ „სიეტლთან“ 1999 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მან 86 მლნ დოლარი მიიღო. ანაზღაურების მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზად, კალათბურთელის ალკოჰოლისადმი მიდრეკილება სახელდება. გასული სეზონი ფორვარდმა „ბოსტონის“ შემადგენლობაში დაიწყო, მაგრამ შემდეგ, ალკოჰოლიზმისგან განკურნების პროგრამის პირობების დარღვევის გამო, გუნდიდან განუსაზღვრელი ვადით გარიცხეს. ■

მფრინავი მაიკლი ბრუნდება?!

მაიკლ ჯორდანი კვლავ მოექცა მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში. ამის მიზეზი ის გახდა, რომ Chicago Tribune-ის რეპორტიორებმა იგი ვარჯიშის დროს იხილეს და უმალვე გააკეთეს დასკვნა, NBA-ში მისი დაბრუნების შესახებ. თუ „მფრინავი მაიკლი“ მართლაც, დაბრუნდება საკალათბურთო მოედანზე, მაშინ NBA-სადმი ინტერესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთიორად გაიზრდება. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც სუპერვარსკვლავი ლიგის მოქმედ მოთამაშეებთან – მაიკლ ფინალისთან და ანტუან უოკერთან ერთად შენიშნეს, ყველას იმედი მიეცა, რომ კვლავაც მიეცემა მაიკლს საკალათბურთო სასწაულების ხილვის საშუალება, მით უმეტეს, რომ მან ადრე უკვე ორჯერ მოასწრო დიდი სპორტიდან წასვლა და ისევ დაბრუნება. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

საფრანგეთში დიდად პოპულარული კინოვარსკვლავი იზაბელ აჯანი ამავე დროს, ბევრისთვის ცნობილია, როგორც საკმაოდ კაპასი ქალბატონი, რომელსაც ხშირად გამოუვლენია თავისი მძიმე ხასიათი. მაგრამ მაინც არავინ ელოდა, თუ ის საკუთარ ინტიმურ ცხოვრებას ქვეყნიერებას მოჰფენდა. მისი განშორება კომპოზიტორ ჟან-მიშელ ჟართან, რომელთანაც რამდენიმეწლიანი რომანი ჰქონდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, თანაც — იზაბელისთვის არცთუ ისე მომგებიანი რაკურსით...

განრისხებული იზაბელ აჯანი ექსაყვარელს თათხავს

ჟან მიშელ ჟარი და ან პარიო

ყველაზე მრავალტირაჟიან ფრანგულ ჟურნალ „პარი მატჩში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში კითხვაზე (რომელიც აშკარაა, თავად რესპონდენტის მიერ იყო ნაკარნახევი) — აპირებს თუ არა მსახიობი, აგვისტოში(!) ცოლად გაჰყვეს კომპოზიტორ ჟან-მიშელ ჟარს, იზაბელ აჯანი პასუხობს: „მე არ გავთხოვდები აგვისტოში... და ეს ძალიან კარგია... ჟარი უნდა მივატოვო!“

საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებს: გასაკვირი არაფერია, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ალბათ, მშვენიერმა ქალბატონმა ახალი სიყვარული იპოვაო... მაგრამ თუ ინტერვიუს ბოლომდე ჩაიკითხავს, აჯანის გაღიზიანების მიზეზსაც შეიტყობს და იმაშიც დარწმუნდება, რომ საქმე სულ სხვაგვარადაა: თურმე, ის კი არ ტოვებს ჟარს, არამედ ჟან-მიშელმა გაიჩინა ახალი საყვარელი და ამას არც თავად იზაბელი მალავს, უფრო მეტიც — აღნიშნავს, რომ შეყვარებულის ღალატის „დამადასტურებელი ფაქტებიც“ აქვს. ის ჰყვება, რომ შვებულების გატარების თაობაზე სიტყვის ჩამოგდებისას, ჟარისგან ასეთი პასუხი მიიღო: ვერც ერთ დღეს ვერ დავისვენებო; სულ ცოტა ხანში კი, „სარდინიაში დააპირა წასვლა თავის ახალ მეგობარ ქალთან ერთად“...

არადა, მხოლოდ 2 წლის წინ, იმავე „პარი მატჩის“ გარეკანზე დაიბეჭდა ჟან-მიშელისა და იზაბელის ფოტო, რომელსაც ასეთი წარწერა ერთვოდა თან: „წლის ყველაზე ბედნიერი და რომანტიკული წყვილი“...

და მაინც, რატომ გადაწყვიტა აჯანიმ, საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა თავისი პირადი ცხოვრების დეტალები? ამ კითხვაზე მისი პასუხი ასეთია: „ყველა შემომცქერის, ყველას აინტერესებს ჩემი ცხოვრება. ვალდებული ვიყავი, ამეხსნა ხალხისთვის, თუ რა

მოხდა“. თუმცა აშკარაა, რომ საქმე არცთუ ისე მარტივადაა. უბრალოდ, ვარსკვლავი ძალზე დამცირებულად გრძნობს თავს და ვერაფრით ფარავს ამას. სწორედ ამიტომ, იმ ზომამდე მიდის, რომ ყოფილ საყვარელს გარყვნილსაც კი უწოდებს – მხოლოდ იმის გამო, რომ კაცმა მასთან დარჩენას, სხვა ქალ-

თან წასვლა ამჯობინა. ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, მშვენიერი იზაბელა იმასაც არ ერიდება, რომ ჟარის ცოლყოფილის – მსახიობ შარლოტა რემპლინგის სახელი მოიშველიოს და ამტკიცოს, რომ ამ ქალმა „ძალზე ბევრი იტანჯა ექსმეუღლის სასიყვარულო თავგადასავლების გამო“... როგორც ჩანს, ავჯანის დაავიწყდა, რომ თავის დროზე, სწორედ მან „ასწაპნა“ ჟან-მიშელი კანონიერ ცოლს...

მსახიობი კომპოზიტორს იმაშიც ადანაშაულებს, რომ საყვარელმა გამოიყენა იგი – უფრო სწორად, მისი პოპულარობა. ვარსკვლავის თქმით, ჟარი მასთან ურთიერთობის გაწყვეტას შემოდგომაზე – თავისი ახალი დისკის გამოსვლის შემდეგ აპირებდა!...

ბუნებრივია, რომ ქალი ძალზე შეურაცხყოფილია, განიცდის იმას, რომ საყვარელ მამაკაცს მის მიმართ გული გაუცივდა და ეს იმდენად სწყინს, რომ ღირსეულად თავის დაჭერაშიც კი უშლის ხელს. ალბათ, ჟან-მიშელ ჟარზე, როგორც ქალების მოყვარულზეც, ბევრი რამ შეიძლება ითქვას, ოღონდ – არა ის, რომ მას სახელი და პოპულარობა აკლია. კომპოზიტორს, რომლის ნაწარმოებთა გაყიდული დისკების საერთო ტირაჟი 60 მლნ-ს აღწევს, ნამდვილად არ სჭირდება სხვისი სახელის გამოყენება. ამას დაუმატეთ ის გარემობა, რომ ჟარი მუდამ უარს ამბობდა ისეთ წვეულებებში მონაწილეობაზე, სადაც აქტიურად დადიოდა თავად ავჯანი...

როგორც ფრანგულ მასმედიაში წერენ, კომპოზიტორი ძალზე განარისხა ექსსაყვარლის გულახდილობამ და მის მიმართ გამოთქმულმა ბრალდებებმა. მან ავჯანის, თავის ინტერვიუში ასე უპასუხა: „არასდროს მიფიქრია მასზე დაქორწინება. ვერ გამიგია, რამ გააცოფა...“ როგორც მისი ნათქვამიდან გაირკვა, ჯერ კიდევ თებერვლიდან, ის უკვე აღარ ცხოვრობდა იზაბელთან ერთ ჭერქვეშ და იმ დროიდან მოყოლებული, გამუდმებით ცდილობდა მასთან ურთიერთობის გაწყვეტას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი გახდა ჟარისთვის, როცა მის ცხოვრებაში ახალი ქალი გაჩნდა, ისიც მსახიობი, თანაც – ავჯანიზე არანაკლებ ცნობილი: ან პარიო. სწორედ ის, რომელიც ყველას დაამახსოვრდა ლუკ ბესონის კლასიკად ქცეული ფილმიდან „ნიკიტა“.

ჟან-მიშელ ჟარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის საკმაოდ მოკრძალებული და გულჩათხრობილი ადამიანია და არც ამჯერად უღალატია საკუთარი თავისთვის – სანამ ავჯანიმ არ გააღიზიანა, კრინტიც არ დაუძრავს მასთან ურთიერთობაში არსებულ პრობლემებზე. ბუნებრივია, ბრალდებებზე პასუხის გაცემა საჭიროდ ჩათვალა. შემდეგ, თავად აუწყა – თანაც, რამდენჯერმე – პაპარაცებს, რომლებიც მის ბინასთან ათენ-აღამებდნენ, თუ როდის აპირებდა პარიზის პარკებში ან პარიოსთან ერთად სეირნობას... ისინი ხალისიანად აჩხაკუნებდნენ თავიანთ ფოტოკამერებს, მეორე დღეს კი, ჟურნალებში წყვილის პაემნების ამსახველი, უხვად ილუსტრირებული რეპორტაჟები ქვეყნდებოდა...

56 წლის ენერგიული და სიცოცხლით აღსავსე კომპოზიტორის ასეთმა პასუხმა ბევრ ფრანგში მისდამი სიმპათია აღძრა. მათი აზრით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: ადამიანები ხვდებიან, უყვარდებათ ერთმანეთი, შემდეგ – იყრებიან ან ერთად ცხოვრებას განაგრძობენ, თუ ამის სურვილი ორივეს აქვს, ხოლო თუ არა – რა გაეწყობა? ასეთია ცხოვრება!..

ფრანგებს ახლა უფრო მეტად ის აინტერესებთ, თუ რა ახალ ნამუშევარს შესთავაზებს მუსიკის მოყვარულთ ე.წ. ელექტრონული „კოსმოსური“ მუსიკის

ფუძემდებელი იმ დისკში, რომელიც სექტემბრის დამლევს გამოჩნდება პარიზის მაღაზიების დახლებზე. დისკის სახელწოდებაა „აერო“. ამბობენ, რომ ეს იქნება არა ჩვეულებრივი კომპაქტდისკი, არამედ ვიდეოდისკი, რომელშიც ჟარის ახალ სიმღერებთან ერთად, პოპულარული ძველი ნამუშევრებიც შევა. ვიდეორიგი კი, მომაჯადოებელია – როგორც ამას ირწმუნებიან მუსიკალური სამყაროს ის წარმომადგენლები, რომლებსაც უკვე ჰქონდათ საშუალება, ენახათ იგი. საინტერესოა, რომ ამ ვიდეორიგის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს თავად ჟარის მიერ სხვადასხვა რაკურსით გადაღებული, ან პარიოს თვალები – იმ დროს, როცა კომპოზიტორის შეყვარებული მისი მუსიკის მოსმენით ტკბებოდა...

■

ჯეი ლო ითამაშებს, მაგრამ სხვა იმღერებს...

ვარსკვლავურმა წყვილმა – ჯენიფერ ლოპესმა და მისმა ქმარმა მარკ ენტონიმ ჩაწერეს ახალი სიმღერა ფილმისთვის – Shall We Dance? („ვიცეკვოთ?"), რომელშიც მთავარ როლს თავად ჯეი ლო ასრულებს. მაგრამ კინოკომპანია Miramax Films-ის მესვეურებმა უარყვეს მათ მიერ შემოთავაზებული კომპოზიცია, რამაც ყველა გააოცა. საქმე ისაა, რომ პროდიუსერებს თურმე ეშინიათ – სიმღერამ არ დაჩრდილოს თვით ფილმი, რომელიც მათი აზრით, შესაძლოა, ფაქტობრივად, მის კლიპად იქცეს... სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს კომპანიის შეფებმა, ფილმისთვის საჭირო სიმღერის მოსამზადებლად სხვა ვოკალისტი მიეწვიათ, რომელიც თავიდან ჩაწერს საუნდთრეკს. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვისზე შეაჩერებენ არჩევანს. „ვიცეკვოთ?" – კლასიკური იაპონური ფილმის რიმეიქს წარმოადგენს. მისი სიუჟეტის მიხედვით, ციფრებისგან გადაღლილი ბუღალტერი (რიჩარდ გირი) გადაწყვეტს, რაღაცით გაიხალისოს ცხოვრება და ამ მიზნით, ცეკვის გაკვეთილებზე სიარულს დაიწყებს. სწორედ მის მასწავლებელს განასახიერებს ჯენიფერ ლოპესი. კინოეკრანებზე სურათი ოქტომბრის დამლევამდე უნდა გამოვიდეს. ■

ნიკოლ კიდმანს ხანდაზმული ქალების დაავადება იმუქრება

ექიმები შიშობენ, რომ 35 წლის კინოვარსკვლავს ძვლების დაავადება – ოსტეოპოროზი აქვს. ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი, კინოგადაღებებით გადატვირთული ცხოვრება და მოუცლელობით გამოწვეული, შეუსაბამო კვების რაციონია, რომლის გამოც, 57 კგ წონის მსახიობს ეს სნეულება შეეყარა. ოსტეოპოროზი ჩვეულებრივ, მასზე 20 და მეტი წლის ქალებს აწუხებთ. ქალებს, რომლებიც ოსტეოპოროზით არიან დაავადებული, იმდენად უთხელდებათ ძვლები, რომ ძალზე იოლად ემსხვრევათ.

კიდმანს ჩაუტარდა ძვლების ქსოვილის გამოკვლევა, რომლის შედეგადაც ექიმებს საბოლოო დიაგნოზი არ დაუსვამთ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ „მულენ რუჟის" გადაღების პერიოდში მსახიობს ორჯერ ჰქონდა ნეკნის მოტეხილობა. ■

ლუკასი სიცოცხლის მოლოდინ ომს აპირებს

„ვარსკვლავური ომების" შემქმნელი ჯორჯ ლუკასი იფიცებოდა, რომ ამ პოპულარული კინოსერიალის მეექვსე ფილმის – „ეპიზოდი მესამე" – გადაღების შემდეგ, ამ ციკლს აღარ დაუბრუნდებოდა. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ, ჰოლივუდურ წრეებში კვლავ ალაპარაკდნენ „ომების" გაგრძელებაზე. ამბობენ, თავისი 60 წლისთავის აღნიშვნიდან რამდენიმე ხანში, ლუკასმა გადაწყვიტა, მეშვიდე, მერვე და მეცხრე სერიებზეც იმუშაოს. კინოს მოყვარულებს შევახსენებთ, რომ მეოთხე ფილმი – „ჯედაის დაბრუნება" (1983 წ.) – თავად ლუკასს არ გადაუღია. ამიტომ ზოგი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, შემდგომშიც ის მხოლოდ პროდიუსერად მოგვევლინოს, რეჟისორობა კი სხვას მიანდოს. როგორც უცნობი წყარო იუწყება, ჯორჯ ლუკასის სპეცეფექტების კომპანიის – ILM-ის თანამშრომლები მკაცრად არიან გაფრთხილებული, რომ დაგეგმილი პროექტის შესახებ არანაირი ცნობა არ გაამჟღავნონ. ■

შერონ სტოუნი თავს ესხმის ქურნალისტებს

ამ ცოტა ხნის წინ, კინოვარსკვლავმა ხმამაღლა თქვა ყველაფერი ცუდი, რასაც ის ჟურნალზე – People ფიქრობს. გულახდილობის „შეტევა" შერონს ლოს-ანჯელესში, შიდსის მსხვერპლთა სასარგებლოდ მოწყობილ საქველმოქმედო ღონისძიებაზე მოუვიდა. „ასაკით, ამ ქალაქში არსებულ ყველა „ნაგავზე" გაცილებით უფროსი ვარ! – განაცხადა სცენაზე ასულმა 46 წლის მსახიობმა. – ამ ძუკნებს უბრალოდ, შური არ აძლევს მოსვენებას. ისინი ჩემი პლასტიკური ოპერაციების შესახებ წერენ?!. ჰოდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ ყველას გასაგონად: ცხოვრებაში არ გამიკეთებია ოპერაცია!" ამ გამოსვლას სრულიად მოულოდნელი რამ მოჰყვა: შერონმა სცენაზე თავის 72 წლის დედას უხმო, რათა დამსწრეთათვის ეჩვენებინა, რომ ასაკისთვის შეუფერებლად ახალგაზრდული გარეგნობა მთელ მის მოდგმას ახასიათებს.

არადა, ვარსკვლავი თურმე, სულ ტყუილად დასხმია თავს People-ს, რადგან ის წერილი, რომელიც იუწყებოდა – შერონ სტოუნმა სახე დაიჭიმაო, – სულ სხვა ყოველკვირეულში – US Weekly-ში ყოფილა გამოქვეყნებული... ■

ჯულია რობერტსი სინჯარის ტუჩს ელოდება

კინოვარსკვლავმა დაადასტურა, რომ დაორსულდა თავისი ქმრის, კინოოპერატორ დენი მოდერისგან მას შემდეგ, რაც ე.წ. ექსტრაკორპორალური განაყოფიერების პროცედურა ჩაიტარა. რობერტსს ქალვაჟი ეყოლება, რომელიც მომავალი წლის დამდეგს უნდა მოევლინოს ქვეყანას. როგორც ჯულიამ აღნიშნა, მას იმდენად უნდოდა დედა გამხდარიყო, რომ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო. რობერტსის თქმით, ამით მისთვის სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყება. ამერიკელთა ერთ-ერთ უსაყვარლეს მსახიობს ამჟამად ფილმში – „ოუშენის თორმეტი მეგობარი" – ჯორჯ კლუნისთან, ბრედ პიტსა და მეთ დეიმონთან ერთად იღებენ. მან განაცხადა, რომ მშობიარობის შემდეგ, თავის კარიერაში შესვენებას აპირებს.

36 წლის ვარსკვლავი შვილის გაჩენას 2002 წელს, დენი მოდერთან დაქორწინებისთანავე აპირებდა. საინტერესოა, რომ რობერტსის გვარს გენეტიკურად მოსდევს ტყუპი: ტყუპი ჰყოლია ჯულიას დიდ ბებიას, შემდეგ კი, ვარსკვლავის რამდენიმე ბიძაშვილს. თუმცა, ექიმების თქმით, თავად მსახიობი ტყუპით არა გენეტიკური მიზეზით, არამედ აღნიშნული პროცედურის შედეგად დაორსულდა. ■

ტაირა მენქსი თხოვდება?

ეს კითხვა „ტუსოვკების" მოყვარულ ბევრ ამერიკელს აღელვებს, რადგან სახელგანთქმული მოდელის გამო უამრავი მითქმა-მოთქმაა – მაგალითად, ის, რომ ტაირა თავის დიდი ხნის მეგობარს, კალათბურთის ვარსკვლავს კრის ვებერს მიჰყვება ცოლად.

სუპერმოდელს მთელი ზაფხული ნიუ-იორკში გაუტარებია და ერთი დღითაც არ მოშორებია ბოიფრენდს. სწორედ ამიტომ არიან მისი მეგობრები დარწმუნებული, რომ ეს წყვილი მალე შეუღლდება. „რა გასაკვირია, რომ ტაირამ და

კრისმა დადინჯება და ერთმანეთისადმი ერთგულების ფიცის მიცემა გადაწყვიტეს?.. – უთხრა ერთ-ერთ კორესპონდენტს მათმა ახლო მეგობარმა. – ახლა ისინი ირჩევენ ქორწინების თარიღს, რომელიც ვფიქრობ, შორს აღარაა..."

ამბობენ, რომ უკვე გათხოვილი ქალის როლში შეჭრილი ტაირა აღარ აპირებს ჟურნალების ფურცლებზე პიკანტური ფოტოსურათებით გამოჩენას და დიდი კმაყოფილებით აღიქვა ის ფაქტი, რომ რეალითი-შოუს – „მორიგი ამერიკული ტოპმოდელი" (ბენქსი ამ შოუს წამყვანია) – პროდიუსერებმა გადაწყვიტეს, მაქსიმალურად შეკვეცონ სექსუალური სცენები ტაირას მონაწილეობით. ■

კვენტინ ტარანტინო საკუთარი თავის განსახიერებაზე დათანხმდა



ეს მოხდება რეჟისორ კირკ ტათჩერის ფილმში – Muppet's Wizard of Oz, სადაც მსახიობსა და რეჟისორს, მისთვის ჩვეული იმიჯისგან განსხვავებით, არც ანეკდოტების მოყოლა მოუწევს და არც ექსტრავაგანტური ქცევით მაყურებლის გაოცების შესაძლებლობა მიეცემა. საქმე ისაა, რომ ტათჩერმა ის საბავშვო ფილმში გადასაღებად მიიწვია, სადაც ტარანტინოს გარდა, ლატიფაც გამოჩნდებიან. ■

მომღერალი ქალი აშანტი და ქუინ

ელტონ ჯონი თაყვანისმცემლებს გაურბის

ამ რამდენიმე ხნის წინ, ლას-ვეგასში მყოფ ელტონ ჯონს ემოციამოძალებული ფანებიგან გაქცევა და სასტუმროს ნომერში გამოკეტვა მოუხდა. ამჟამად მომღერალი ამ „ცოდვის ქალაქში" საკუთარი შოუს განხორციელების შესაძლებლობის გარკვევითაა დაკავებული. აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით, ჯონმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „მე თვითონ მეცინება, როცა ამ სურათს, გვერდიდან დანახულს წარმოვიდგენ: როგორია?.. ჩემი ხნის კაცი თავქუდმოგლეჯილი მირბის და მას ფანების მთელი ჯგრო მისდევს!.." ელტონმა ისიც დასძინა, რომ მისთვის ახლა სრულიად გაუგებარია, თუ ახალგაზრდობაში რატომ მოსწონდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. „ახლა მხოლოდ იმას ვნატრობ, რომ რაც შეიძლება კარგად დავემალო უცხო თვალს..." – დასძინა ვარსკვლავმა. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-35)

მწვანეულის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

რესტორანში მომხდარი სროლის დროს დაღუპული კაცის მკვლელობას ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს აბრალებენ. ამ ამბავში რაღაც იდუმალი როლი მის ბიზნესპარტნიორ შალვა ოშხერელს აკისრია. ანდროს თანამშრომელი და საყვარელი დალი ხაჩიძე მის დაცვას თავის ყოფილ დაქალს, მეგი ლალიძეს სთხოვს, რადგან მათი ფირმის ადვოკატი არჩილ ხომასურიძე მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. ანდროსთან პირველი შეხვედრიდან შინ დაბრუნებულ მეგის კარზე ყოფილი შეყვარებული კახა სუთიძე მიადგება, რომელიც მას, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს...

მეგი არჩილ ხომასურიძის სანახავად ბათუმში წასვლას გადაწყვეტს. ის შემთხვევით კახა სუთიძეს შეხვდება და სრულიად მოულოდნელად, მას სთხოვს, ბათუმში წამიყვანეო. მაგრამ იქ ჩასულებს, ადვოკატი საავადმყოფოში აღარ დახვდებათ, თუმცა, მის დატოვებულ საბუთებს მეგის სხვები გადასცემენ. სასტუმროში მეგის საბუთებს მოჰპარავენ. მეგი მაშინვე კახაზე მიიტანს ეჭვს. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით, საბუთების ნაწილი მისი საწოლის ქვეშ აღმოჩნდება...

თბილისში დაბრუნებული მეგი დაქალის, ლიკას მეუღლის, ვახოს სანახავად გასწევს, რომელიც ასევე ურჩევს მას, თავი დაანებოს ანდროს დაცვას. თუმცა ამავე დროს, მისი წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — ანდროს კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

ერთ დღეს, მეგის კარზე კვლავ კახა მიადგება და ემუდარება — გთხოვ, შინ წამომყევი, ჩემს მომაკვდავ დედას შენთვის რაღაც სათქმელი აქვსო. ქალბატონი მარიკა მეგის აცნობებს, რომ თითქოსდა მშობიაობის დროს დაღუპული, მისი და კახას შვილი ცოცხალია და ანდრო სვანიძის ოჯახში იზრდება... მეგი მომზადებული ხვდება ამ ცნობას, რადგან ვახომ უკვე მიანიშნა ამ ამბავზე...

მათი საუბრის დასასრულ, კახა (რომლისთვისაც დედას დღემდე არ გაუმხელია, რომ შვილი ჰყავს) მოაკითხავს მეგის და ციხეში ანდროსთან შესახვედრად მიჰყავს.

— მე აქ დაგელოდები! — გააფრთხილა კახამ.

— არა მგონია, ეს მაინცდამაინც ვონივრული გადაწყვეტილება იყოს!.. — მანქანის კარი მძიმედ გამოაღო მეგიმ. — შეიძლება, ძალიან დამაგვიანდეს.

— არა უშავს, მაინც დაგელოდები... — გაჯიუტდა კახა.

— როგორც გენებოს! — მანქანიდან მხრების ჩეჩით გადავიდა მეგი.

უცბად, საპყრობილის რკინის კარი ხმაურით გაიღო და გარეთ გამოსული, ძაძებით შემოსილი ხანდაზმული ქალი კიბეს ჩამოუყვა. მეგის რომ გაუსწორდა, მძიმე ჩანთაზე, რომელსაც ბუზღუნ-ბუზღუნით მოათრევდა, ცალი ყური მოუწყდა და მეგის რომ არ შეეშველებინა ხელი, ყველაფერი საფეხურებზე გადმოყრებოდა. წამში, მეგის კახაც ამოუდგა გვერდით და ჩანთა გამოართვა:

— ამას მე მივხედავ, შენ ნუღარ ყოვნდები.

— კარგი! — კიბე სწრაფად აირბინა მეგიმ.

კახამ ჩანთა მანქანამდე მიიტანა და კაპოტზე ფრთხილად დადგა.

— დიდი მადლობა, შვილებო! — მანქანასთან მოქაქანდა ქალიც. — ამათ კი, — დაკოჟრილი ხელი ციხის შესასვლელისკენ გაიშვირა მან, — ღმერთმა არ უნდა გაუმართლოს!..

— რაო, დედი, ასეთი მაინც რა გაწყენინეს? — შინაურულად ჰკითხა კახამ.

— მეტი რაღა უნდა ეწყენინებინათ, გენაცვალოს მარო ძალო?.. — ქალიც სასწრაფოდ გაუშინაურდა კახას. — ჯერ ხომ ბიჭი სულ ტყუილად ჩამიგდეს ციხეში: ნაქურდალ ბენზინსა ყიდდაო...

— ნაქურდალს თუ კონტრაბანდულს? — დაზუსტება სცადა კახამ.

— ჩემთვინ ერთი ჭირია, შვილო, — ხელი ჩაიქნია მარომ. — რა ნაქურდალი და რა კონტრაბანდული თუ რაღაც ეშმაკი!.. ამათი კანონებით, ორივეს ციხე უდგება!

— რამდენი აქვს შენს ბიჭს მისჯილი? — დაინტერესდა კახა.

— სამი წელი... სამჯერ სამი ცეცხლი ეცეს მაგის ადვოკატსა!.. ბოლომდე შემიყოლია: ნუ ნერვიულობ, მოსამართლესთანა მაქვს საქმე „ჩაწყობილი“ და „სროკზე“ არ გავაშვებინებო!.. ფული ხომ ფულად წაიღო და ბიჭიც ციხეში არ დამიტოვა?!. მას მერე, ყოველკვირა აქა ვგდივარ. ხან ვის ველრიჯები — შვილი მაჩვენეთ-მეთქი, — და ხან ვისა — „პერედაჩი“ მაინც გადაეცით-მეთქი!.. დღეს არაფერმა გაჭრა, ხან ვიჩხუბე, ხანაც — ფული ვაძლიე. მაინც უკან მომაყარეს მთელი ხორაგი!.. მაგათ გულზე ვნახე დაყრილი შავი მიწა!..

— უარის მიზეზი არ გითხრეს?

— ამათგან სიმართლეს ვინ გაიგებს, შვილო?.. კარანტინია, პატიმრებს სიყვითლე აღმოაჩნდათო, — კი მითხრეს, მაგრამ „ვახტაზე“ მოვკარ ყური, ერთი ჯარისკაცი ეუბნებოდა მეორეს: რა ბოტკინი, რი ბოტკინი?.. ერთი ფულიანი პატიმარი დაჭრეს ქურდებმა, „აბშეჟიტში“ ფული რატომ არ შემოგაქვსო?!.

— „აბშეჟიტში“ თუ „აბშიაკში“? — ღიმილი ველარ შეიკავა კახამ.

— ხომ გითხარი, შვილო, ჩემთვინ ერთი ჭირია-მეთქი!.. მე ამათ სიტყვებ მაინც არ ვიმახსოვრებ.

— ახლა რას აპირებ? — საკმაოდ მძიმე ჩანთა შეათვალიერა კახამ.

— რას უნდა ვაპირებდე?.. — წამით შეხსნილი შავი თავსაფარი ისევ გულმოდგინედ წაიკრა მარომ. — თუ ერთ საათში ჩემმა მაზლიშვილმა „მაშინით“ არ ამამაკითხა, ამ „სუმკას“ გურჯაანის ავტობუსამდე როგორმე ჩემით მივათრევ — აბა, აქ ხომ ვერ დავტოვებ?!

— თუ შენი მაზლიშვილი არ გამოჩნდება, არ იდარდო: ავტოსადგურამდე ჩემი მანქანით მიგიყვან, — დაამშვიდა კახამ.

— აგაშენებს ღმერთი, შვილო! — გახალ-

ისდა მარო. — მაშინ, იქნებ, ახლავე მიგეყვანე, ჰა?..

— არც მაგას დაგზარდებოდი, მაგრამ შენ რომ კიბეზე გოგო შეგხვდა, იმის გამოსვლას უნდა დაველოდო. თორემ, ეგეც ადვოკატია და თუ ადგილზე არ დავხვდი, რა იცი, რა შარს გადამკიდოს!..

— ადვოკატობისა რა გითხრა, მაგრამ ისე, კი ლაზათიანი გოგო კი იყო!.. ერთმანეთის ვინ იქნებით? — დაინტერესდა მარო.

— ჩვე-ენ? — წამით დაიბნა კახა, მაგრამ მალევე დაუმატა: — სტუდენტობის დროინდელი მეგობრები ვართ.

— ქმარი თუ ჰყავ მაგ შენ ინსტიტუტის ამხანაგსა?

— არა.

— შენ თუ გყავ ცოლი?

— არა, არც მე მყავს.

— აბა, რა ამხანაგობა აგიტყდათ? ჩაისვი „მაშინაში", გააქანე სადმე მყუდრო ადგილზედა და შენც დაისვენებ და ეგეც მაეშვება ციხე-ციხე სიარულსა!..

— მართლა რომ ეგრე ვქნა, შენთან კახეთში თუ შემიკედლებ ცოტა ხნით? — გაეღიმა კახას.

— არა გრცხვენია?!. — იწყინა მარომ. — რა ცოტა ხნითა?!. მაშინ მოკვდეს ველისციხელი მარო, ორ სტუმარს პური ერთ თვეს მაინც ვერ აჭამოს!.. — ლექსივით ჩაარაკრაკა მარომ და მაშინვე სახეც გაებადრა: — აგერა, ჩემი მაზლიშვილიც გამოჩნდა.

გზისკენ ზურგით მდგომმა კახამ უკან მიიხედა და მისკენ ღმუილით მომავალი ძველისძველი „ვოლგა" დაინახა, რომელიც მძღოლმა კახას გალაპლაპებულ „აუდის" თითქმის მიკრით მიაყენა და ისე დაამუხრუჭა. „ვოლგიდან" მზეზე გარუჯული, ჩასკვნილი ახალგაზრდა კაცი გადმოხტა და მაშინვე მაროს ეცა:

— რა ჰქენ, მარო ძალო?

— რა ვქენ და ჯანდაბის ცეცხლი! — ახლობლის დანახვაზე ახალი ენერგიით აქაქანდა გულმოცემული მარო. — აგერა, რა ვქენ! — ჩანთაზე ანიშნა მან. — კიდევ კარგი, აგერ ე ბიჭი მამეხმარა, თორემა... მართლა, რა გქვიან, შვილო? — მიუბრუნდა უცბად მარო კახას.

— კახა.

— შენ ამხანაგ გოგოსა?

— მეგი.

— ჰოდა, კახა და მეგი, მეგი და კახა, ორივეს ჩემთან, ველისციხეში გეპატიჟებით! რომ ჩამოხვალთ, მღებრიშვილი მარო იკითხეთ — მთელი სოფელი მიცნობს!..

— კარგი, ჰო, მარო ძალო! — გააწყვეტინა მაროს ახალგაზრდამ. — დავჯექ „მაშინაში"! ამდენი დრო კი აღარა მაქვს, შუადღის ბაზარი მიცდება!

— „დეზერტირების" ბაზარში საზამთროსა ყიდის... — მანქანაში ჩაჯდომამდე მაზლიშვილის „ბიზნესშიც" ჩახედა მარომ კახა. — რომ შეხვალ, ალიკა იკითხე. ყველაზე კარგი საზამთრო ამასა აქვს, ნაღდი კახური!..

ალიკამ ენერგიული ბიცოლა, როგორც იქნა, მანქანაში ჩასვა, კარი ცხვირწინ მიუკეტა, შემდეგ, მადლობის ნიშნად, კახას ნიჩაბივით ხელი ენერგიულად ჩამოართვა და რამდენიმე წუთში თავისი ჯაბახანა იქაურობას ღმუილით გააშორა...

კახამ მანქანას თვალი ისე დანანებით გააყოლა, თითქოს ვიღაც ძალიან ახლობელი გააცილაო და შემდეგ, თავის გაპრიალებულ მანქანაში ჩაჯდა. ამასობაში, საპყრობილის კარიც გაიღო და ვიღაც შუახნის მამაკაცთან ერთად მეგი გამოვიდა. მამაკაცი ხელების შლით რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ მეგი, უარის ნიშნად, თავს ჯიუტად აქნევდა. კახა მანქანიდან სწრაფად გადავიდა და კიბის ბოლოს შეეგება მეგის:

— როგორაა საქმე?

— ძალიან ცუდად, — მოკლედ უპასუხა მეგიმ და ისევ მამაკაცს მიუბრუნდა: — კარგი, ბატონო შავლეგ, მოვიცადოთ!.. მაგრამ თუ ორ-სამ დღეში არაფერი გაირკვა, მაშინ პირადად მე, მოსამართლეს ახალი შუამდგომლობით უნდა მივმართო!.. შევთანხმდით?

— შევთანხმდით! — მეგის მიერ დასამშვიდობებლად გამოწვდილ ხელს სასწრაფოდ თავისი შეაგება მამაკაცმა და მოშორებით მდგარი მანქანისკენ გაემართა.

კახამ მანქანაში ჯერ მეგი ჩასვა, ცოტა ხანში, თავადაც გვერდით მიუჯდა და ძრავა აამუშავა.

— ახლა საით?

— ჯანდაბაში!.. — ხელჩანთა და საბუთებით სავსე საქაღალდე მანქანის უკანა სავარძელში ნერვიულად მოისროლა მეგიმ.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — მოთმინება დაეკარგა კახას.

— რა უნდა მომხდარიყო?.. უბრალოდ, ანდროს ნახვა კიდევ ერთხელ და თანაც — გაურკვეველი ვადით — გადამიდეს.

— ახლა რაღა მოიმიზეზეს?

— რომელიღაც პატიმარს C ჰეპატიტი აღმოაჩნდა და რამდენიმე დღით კარანტინი გამოვაცხადეთო. ვიცი მე ამათი ხრიკები! საკმარისია, ციხეში რაიმე „ჩე-პე" მოხდეს, რომ მაშინვე ვიღაცას C ჰეპატიტი ანდა ტუბერკულოზის მოურჩენელი ფორმა სრულიად მოულოდნელად აღმოაჩნდება ხოლმე.

— ეს შავლეგო თუ შავლეგი ვინღაა?

— ანდროს ახალი გამომძიებელი... ერთი ეგაა კიდევ, ძალად კანონის დამცველი: როცა საჭიროა, ხმას ვერ ამოაღებინებ!.. თუმცა, მაგას რა ენაღვლება?.. რაც უფრო გაიწელება საქმე, მით უკეთესი!.. სულიკო ყვანიას დაურეკავს — ერთ კვირაში ფეხზე დავდგები და საქმეს ისევ მე დავიბრუნებო. თუ მანამდე ვერაფერი მოვასწარი, მერე ჩათვალე, რომ სვანიძის საქმე მართლა წასულია!.. თუმცა, გიჟი არ ვარ, ამას რომ შენ შემოგჩივი?!. — ბოროტი მზერა ესროლა მეგიმ კახას. — შენც ხომ სწორედ ეს გინდა?!.

— მე ახლა ერთადერთი რამ მინდა, — გზისთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია, ისე უპასუხა კახამ. — სადმე დავსხდეთ და წავიხემსოთ!.. დილიდან პირში ლუკმა არ ჩამსვლია.

— მე კი ახლა პირში ლუკმაც კი არ გადამივა.

— ანდროს უნახაობამ გაგიფუჭა მადა?.. — ბოღმიანად ჰკითხა კახამ.

— არა, შენი და შენნაირების არაკაცობამ!.. — ხმას აუწია მეგიმ.

— კაცობას როცა მიხსენებ, ცოტა ფრთხილად! — კბილებში ავად გამოცრა კახამ. — თორემ, ხომ გაგიგონია — ცხვარი ცხვარიაო?.. მეც მაქვს თავმოყვარეობა! და კაცობაც, რა თქმა უნდა!..

— მართლა?!. — ალმაცერად გახედა მას მეგიმ. — თუ ასეა, მაშინ მიპასუხე, კაცობის რა საზომით მატყუებდი აქამდე — ანდრო სვანიძე ცხოვრებაში პირველად, მცხეთაში ვნახეო?

— არ გატყუებდი! მე და ანდრომ ერთმანეთი პირველად მცხეთაში ვნახეთ.

— მართლა?!. — ცინიკურად გაეღიმა მეგის. — შენ მართლა ჭკუასუსტი ხომ არ გგონივარ?.. გინდა დამაჯერო, რომ კაცი, რომელმაც პირველი სიყვარული წაგართვა, ახლა გაიცანი?!.

— აუ, ჩემი ბედის რა ვთქვა?!. — უცბად მანქანის საჭეს მუშტი გამეტებით დაჰკრა კახამ. — რას ვიფიქრებდი, რომ ეს ტიპი ამდენი წლის შემდეგაც გზაზე გადამიდგებოდა?!.

— მადლობა ღმერთს, აღიარე! — ნიშნის მოგებით შესძახა მეგიმ.

— რა ვაღიარე?

— რა და ის, რომ ანდროს წლების წინ იცნობდი.

უცბად კახამ მანქანა დაამუხრუჭა და კარის სახელურს ჩაფრენილ მეგის ნერვიულობისგან ჩასისხლიანებული თვალები შეანათა:

— ახლა კარგად მისმინე, გოგონი!.. ოღონდ იცოდე, სანამ სათქმელს არ დავასრულებ, აღარ გამაწყვეტინო, თორემ!..

— კი, ბატონო! — თავი ძალად დაიარხეინა დამფრთხალმა მეგიმ. — გისმენ.

კახამ მეგის ცოტა ხანს კიდევ ცოფიანივით უცქირა და დაიწყო:

— არ ვიცი, დედაჩემმა რა და რატომ გიამბო, მაგრამ რასაც ახლა მე გეტყვი, სინამდვილეში ყველაფერი სწორედ ასე იყო!.. დამიჯერებ — კარგია, არ დამიჯერებ და — ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შენ — შენთვის, მე — ჩემთვის!..

— მე უამისოდაც ჩემთვის ვარ!.. — მაინც

პირში მიაფრინდა მეგი კახას. მაგრამ ამ უკანასკნელმა ხელის აწევით გააჩერა:

— გითხარი, არ გამაწყვეტინო-მეთქი!

დამფრთხალმა მეგიმ ხმა სასწრაფოდ გაიკმინდა, კახამ კი ნერვიულად გადააქნია თავი და ისევ განაგრძო:

— მე და ანდროს ცოლი, უფრო სწორად — ცოლყოფილი ლანა ამირეჯიბი ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. ჩვენი დედებიც ბავშვობიდან განუყრელი მეგობრები იყვნენ და დამთმობი ქმრების წყალობით, ეს ურთიერთობა გათხოვების შემდეგაც თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს. რაც თავი მახსოვს, ჩვენ — მე, ლანა, დედაჩემი და ლანას დედა თითქმის სულ ერთად ვიყავით. მე და ლანას განსაკუთრებით აგარაკზე ერთად წასვლა გვიყვარდა, რადგან როგორც წესი, ერთ ოთახში ვცხოვრობდით. მე და ლანას ერთ ლოგინშიც გვეძინა და ერთმანეთს გაუთავებლად ვეტიტინებოდით.

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, მშობლებმა ჩვენს ურთიერთობებში რაღაც-რაღაცები შეცვალეს. მახსოვს, როცა აგარაკზე ერთად ჩასულები ცალ-ცალკე ლოგინებში პირველად დაგვაწვინეს, მე და ლანამ ისტერიკა ავტეხეთ... ამ პირველ აკრძალვას მერე და მერე, სხვა აკრძალვებიც მოჰყვა. ერთ დღეს კი, დედებმა ცალ-ცალკე დაგვიმარტოხელეს და საზეიმოდ გვაუწყეს, რომ ჩვენ უკვე დიდი ბიჭი და გოგო ვიყავით და ამიტომ, ველარც ერთად დავისვენებდით და ველარც ღამის გასათევად დავრჩებოდით ხოლმე ერთმანეთის სახლებში... წინააღმდეგობის მიუხედავად, მე დედაჩემმა მაინც მალე დამიმორჩილა. ლანამ კი დედამისს ნამდვილი ომი გამოუცხადა და მის და განსაკუთრებით დედაჩემის ჯიბრზე, მომენტს არ უშვებდა, კისერზე რომ არ ჩამომკიდებოდა. ერთ საღამოს კი (მაშინ სკოლის დამთავრებამდე სულ რამდენიმე დღეღა გვქონდა დარჩენილი), ჩემს ძმაკაცს დაარეკვინა და არმაზის ციხეზე ღამისთევით წასვლა შემომთავაზა. სხვათა შორის, ის ბიჭი ახლა მღვდელია და ამ ცოტა ხნის წინ, დედაჩემის მოძღვარიც გახდა...

— რაო?.. — მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, თავი ვეღარფრით შეიკავა მეგიმ. — დედაშენს მოძღვარი ჰყავს?.. მე კი ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მაგაზე დიდი უღმერთო და ათეისტი ამქვეყნად საერთოდ არ არსებობდა!..

— მართალი ხარ... — მეგის გამოხდომას ამჯერად მშვიდად შეხვდა კახა. — მაგრამ ეტყობა, სიკვდილის წინ, ღმერთი მაინც ყველას გვახსენდება... მოკლედ, მე, ლანა, ჩემი ძმაკაცი მიშა და მისი შეყვარებული ანა მეორე დილით, არმაზზე ღამისთევით წავედით. ოჯახებში, რა თქმა უნდა, ვინ რა დავიბარეთ, ვინ — რა...

— არ მესმის, ამ ყველაფერს ასე დეტალურად რისთვის მიყვები? — მოთმინებამ კიდევ ერთხელ უმტყუნა მეგის.

— მართალი გითხრა, ბოლომდე მეც არ ვიცი... — საფეთქლები ნერვიულად მოისრისა კახამ. — შეიძლება, იმიტომ, რომ ეს ამბავი დღემდე არავისთვის გამიმხელია და მინდა, პირველად შენთან გამოვთქვა ჩემი გულისტკივილი...

— კარგი, — შერცხვა მეგის. — გააგრძელე.

— მახსოვს, არმაზის ციხისკენ მიმავალი ბილიკი სულ ჟივილ-ხივილით ავიარეთ. წყაროსთან კოცონი გავაჩაღეთ და გემრიელად დავნაყრდით. საღამოს კარვებიც გავშალეთ. ერთ კარავში გოგონები დაბინავდნენ, მეორეში — მე და მიშა. ცოტა ხანში, მიშამ ტუალეტი მოიმიზეზა და გარეთ გავიდა, უკან კი, მის ნაცვლად, ლანა შემობრუნდა. მის დანახვაზე ისეთი თავზარი დამეცა, რომ მანამდე წელამდე შეხსნილი საძილე ტომარა კინაღამ ნიკაპამდე შევიკარი. ამაზე ლანამ ჯერ გულიანად იკისკისა, შემდეგ კი გაშიშვლდა და...

— კმარა! — წამოიყვირა გაღიზიანებულმა მეგიმ და მანქანის კარის სახელურს წაეტანა, მაგრამ კახამ კარის გაღება არ დაანება:

— ტყუილად ცოფდები!.. ჩვენ შორის არც იმ ღამეს და არც მერე, არაფერი მომხდარა. არადა, მანამდე, დღე და ღამე ამ წუთის დადგომაზე ვოცნებობდი.. ვინ იცის, ფიქრში ლანას რამდენჯერ ვხდიდი და ლოგინში გახელებული ვიწვენდი... ახლა ის გვერდით მყავდა და მისთვის ხელის ხლებაც კი ვერ გამებედა... ერთი სიტყვით, იმ ღამეს, ბოლომდე შევირცხვინე თავი. მაგრამ კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ მიშასა და ანასაც ივივე დაემართათ. მიშამ საერთოდაც, იმ ღამის მერე გადაწყვიტა სასულიერო სემინარიაში ჩაბარება... მას შემდეგ, ამ ყველაფერზე ხშირად მიფიქრია და ყოველთვის იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ იმ ღამეს, არმაზის სალოცავმა ან დაგვსაჯა, ან ძალიან დიდ შეცდომასა თუ ცოდვას გადაგვარჩინა... ასე იყო თუ ისე, თბილისში ოთხივე დაბოღმილი დავბრუნდით და შემდეგ, ჩვენი გზებიც ნელ-ნელა გაიყარა... სკოლა რომ დავამთავრეთ, მე და ლანა პირველსავე წელს სტუდენტები გავხდით. პირველი სემესტრი რომ დავხურეთ, მშობლებმა რესტორანში დიდი სუფრა გააშლევინეს და როგორც საცოლე და საქმრო, ერთად პირველად დაგვლოცეს... ლანას მაშინ, საერთო გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. მაგრამ რამდენიმე დღეში, ჩემთან მოვიდა და პირდაპირ გამომიცხადა, რომ მასზე უფროს კაცს, ვინმე ანდრო სვანიძეს მიჰყვებოდა ცოლად... მე, ცხადია, ეს ამბავი გავაპროტესტე, მაგრამ პასუხად კიდევ უფრო მომაკვდინებელი ახალი ამბავი მოვისმინე: დაგავიანდა — ჩემსა და ანდროს შორის უკვე ყველაფერი მოხდა და თანაც, ძალიან ლამაზადო...

ამ სიტყვების შემდეგ, კახამ თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა. მეგიმ კი ცოტა ხანს შეიცადა და შემდეგ ფრთხილად ჩაახველა. კახამ მაშინვე თავი ასწია:

— ვიცი, რაც გაინტერესებს. მაგრამ ლანამ და ანდრომ ისე იქორწინეს, რომ მე ანდრო ერთხელაც არ მინახავს. მაშინ მას რუსეთში ჰქონდა ძირითადი ბიზნესი და ცოლიც მთელი წლით იქ წაიყვანა. ისინი რომ თბილისში დაბრუნდნენ, მერე მე წავედი მოსკოვში. ასე რომ, შენს კლიენტ ანდრო სვანიძეს პირისპირ მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგღა შევხვდი. გასაგებია?..

— გა-სა-გე-ბი-ა!.. — დინჯად ჩამარცვლა შეფიქრიანებულმა მეგიმ. — მაგრამ თუ ფიქრობ, იმასაც დავიჯერებ, რომ მეთერთმეტე წლისთავზე, ანდროს ჩაძირვა მხოლოდ და მხოლოდ ქარაფშუტა ლანას გულისთვის გადაწყვიტე, მაშინ მეც ლანაზე არანაკლები ქარაფშუტა და სულელი გგონივარ...

— უნდა ვაღიარო, რომ საბოლოოდ, არც ერთი გამოდექით ქარაფშუტა და არც მეორე... — ამოიოხრა კახამ.

— რაც შენ ძალიან გწყინს, ხომ?

— არა! — სასწრაფოდ იუარა კახამ. — წყენით ნამდვილად არ მწყინს — უბრალოდ, გული მწყდება, რომ თავის დროზე, ერთსაც და მეორესაც მოუმზადებელი შეგხვდით და ამის გამო, დავმარცხდი კიდეც...

— ვითომ, ჩემთანაც დამარცხდი?.. — კითხვა შეუბრუნა მეგიმ.

— შენთანაც... — მშვიდად უპასუხა კახამ. — როგორ ფიქრობ — მოსკოვში რატომ გაგექეცი?

— ეგ მე კი არა, საკუთარ თავს უნდა ჰკითხო! — გაღიზიანდა მეგი.

— გგონია, არ ვკითხე?..

— მერე, რა პასუხი მიიღე?

— ხომ ატყობ, რომ ამასთანაც მარცხდები, ამიტომ უნდა გაასწრო, თორემ, ეგეც ლანასავით მიგატოვებს-მეთქი!..

— ცოლსაც ამ ავადმყოფური პრინციპის გამო ხომ არ გაეყარე?

— არა. ცოლმა დამასწრო, უახლოეს მეგობართან მიღალატა და შემდეგ, ეს პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშეც, მშვიდად გამომიცხადა...

— ანუ შენი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, იმანაც დაგამარცხა, ხომ?

— რა თქმა უნდა!.. და ამის შემდეგ გინდათ, რომ სიყვარულში სამჯერ დამარცხებულმა კაცმა ვინმე დავინდო?!.

— სხვისი არ ვიცი და პირადად მე, შენგან საერთოდ აღარაფერი მინდა... — მანქანიდან გადასასვლელად მოემზადა მეგი.

— მოიცა! აქ სად გადადიხარ?.. სახლამდე მაინც მიგიყვან!..

— სახლში არ მივდივარ.

— აბა, სად?

— სად და ლანასთან.

— ვისთან?!. — თვალები ჭყიტა კახამ.

— ლანა სვანიძესთან... — კვლავ მშვიდად უპასუხა მეგიმ. — თუ არ ვცდები, ჯერაც ყოფილი ქმრის გვარზეა, ხომ?..

— კი, მაგრამ ლანასთან რა დაგრჩენია?

— პირადად ლანასთან — არაფერი... როგორც ჩემი კლიენტის ცოლს კი, დროა, საფუძვლიანად გავესაუბრო...

მეგის მოულოდნელი გადაწყვეტილებით დაბნეული კახა წამით დაფიქრდა და ისევ შეტევაზე გადავიდა:

— არ მესმის, რაღა მაინცდამაინც ახლა მოგინდა ლანას ნახვა?.. ხვალ მაინც გენახა, ანდა სულაც, ზეგ ან მაზეგ... ეგეც ანდროსავით ციხეში ხომ არ ზის, რომ მასთან შელწევა გაგიჭირდეს. თანაც...

— ახლა კი, შენ ნერვიულობ ტყუილად... — გააწყვეტინა მეგიმ. — ლანასთან წაყოლას ხომ არ გთხოვ?.. უბრალოდ, მის სახლთან ჩამომსვი და დანარჩენს მე თვითონ მივხედავ.

— არა! — იუარა კახამ. — ვერც მაგას ვიზამ!.. ანდროსთან დაშორების შემდეგ, ლანა ისევ მშობლების სახლში დაბრუნდა. იმ უბანში კი ყველა მიცნობს...

— ა-ა!.. — როგორც იქნა, მიუხვდა მეგი. — მეც არ გამიკვირდა, რა თავი გაიგიჟამეთქი?!. ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ლანა მშობლებთან ცხოვრობდა. აბა, დალი რატომღა ირწმუნებოდა — ანდრომ სახლ-კარიც ცოლ-შვილს დაუტოვაო? ეტყობა, იმ გიჟმა ისევ რაღაც აურ-დაურია..

— დალი მართალია, — სასწრაფოდ გამოესარჩლა კახა დალი ხაჩიძეს. — ანდრომ ლანას მართლაც, დაუტოვა სახლ-კარი. უბრალოდ, ლანამ იქ მარტო ცხოვრება არ მოინდომა, გააქირავა და ბავშვთან ერთად მშობლებთან გადავიდა...

— მართლა, ლანას და ანდროს ბავშვს რა ჰქვია? — შეპარვით ჰკითხა უცბად მეგიმ კახას.

— არ მესმის, ეს რაღაში გაინტერესებს? — იშვნეულად ჰკითხა კახამ.

— კარგი, თუ არ გინდა, ნუ მეტყვი, — გაღიზიანდა მეგი.

— მიშა ჰქვია, მიხეილი... ჩემი ძმაკაცის სახელი. წელან რომ გიყვებოდი, დედაჩემის მოძღვარია-მეთქი... ლანამ თავის ბიჭს მიხეილი მის გამო დაარქვა...

— მართლა?.. — გაუკვირდა მეგის. — რას არ გაიგონებ?! მგონი, შენი ლანა მართლა მაგარი გარეკილი უნდა იყოს!..

— რაშია იცი, საქმე?.. წელან აღარ მითქვამს... იმ ღამეს, არმაზზე რომ ვიყავით, ოთხივემ თავიდანვე პირობა დავდეთ — ჩვენ შორის რომელი წყვილიც პირველი დაქორწინდებოდა, მეორე მეჯვარედ გაჰყვებოდა. მაგრამ მერე, ისიც გაგვახსენდა, რომ მეჯვარეებს ერთმანეთზე დაქორწინების უფლება არა აქვთ და მაშინ, ლანას თავში ახალი იდეა მოუვიდა: ერთმანეთის მეჯვარეობა გოგონებს დაგვითმეთ, ჩვენ კი, თუ ბიჭები გვეყოლება, თქვენს სახელებს დავარქმევთ: ანა — კახას, მე კი — მიშასო... ლანას ეშმაკობას სამივე მაშინვე მივხვდით: ლანას მამასაც ხომ მიხეილი ჰქვია... ასე იყო თუ ისე, ლანამ თავის შვილს მართლა მიხეილი დაარქვა...

— რა საოცარი დამთხვევაა!.. — შესძახა უცბად მეგიმ. — მეც ყოველთვის მინდოდა, ჩემს შვილს მიხეილი რქმეოდა, იმიტომ, რომ მამაჩემსაც ასე ერქვა...

— ჰო, მახსოვს... — ამოიოხრა კახამ. — ბოდიშს გიხდი, რომ მამაშენის გასვენებაში ვერ მოვედი...

— მართალი გითხრა, ეგ ამბავი დიდად არ მწყენია: მანამდე ხომ, ჩემს „გასვენებასაც“ არ დასწრებიხარ!.. — ხმა გაებზარა მეგის...

— კარგი, რა! — შეწუხდა კახა. — საწყენად და დასაბოღმად ნადვილად არაფერი მითქვამს...

— არც — მე! — ფანჯრისკენ დემონსტაციულად იბრუნა პირი მეგიმ.

მანქანაში ერთხანს, უხერხული სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ბოლოს კახამ დაარღვია:

— რას ვეტყვი, იცი?.. მოდი, დანაშაულს ცოტათი მაინც გამოვისყიდი და პირდაპირ ლანას სახლთან მიგარბენინებ! გინდა?..

— არა, ნამდვილად აღარ მინდა! — დაფიქრდა მეგი. — მოდი, ღღეს ლანას ხსენებას საერთოდაც მოვეშვათ!.. მიყვანით კი, დალი ხაჩიძის სახლამდე მიმიყვანე. ცოტას იმასთანაც წავიჭორავებ...

— ვისზე? ჩემზე?.. — ხმაში გაღიზიანება დაეტყო კახას.

— არა, შენზე — არა...

— აბა, ლანაზე?

— ლანაზე ალბათ, შეიძლება... მართალია, დალი ძირითადად, ანდროზე მეჭორავება ხოლმე, მაგრამ ვფიქრობ, ლანასაც სიამოვნებით გაჰკრავდა კბილს!..

— რას გეტყვი, იცი?.. — ბოღმიანად დაიწყო კახამ. — შენ — ჰო, მაგრამ ბოზანდარა დალის კი ის ურჩევნია, თავის ბნელ საქმეებს მიხედოს!..

— ოჰო! — გაეღიმა მეგის. — შენ და დალის ასეთი ლანძღვა?!. სულ ცოტა ხნის წინ არ იყო, ჩახუტებულები რომ მომადექით კარზე?!.

— იყო, მაგრამ მერე, ბევრი რამ შეიცვალა...

— კერძოდ?

— კერძოდ, გავიგე, რომ დალი ანდროს ფულს „უტეხავდა“...

— რას მეუბნები?!. და ეს შენ ნამეტანი გეწყინა, ხომ?

— მეწყინა თუ გამიხარდა, ფაქტი ხომ ფაქტად რჩება?!

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვითომ, მარტო დალი ატყუებდა ანდროს?..

— აბა, კიდევ ვინ?

— ვინ და ის შარაგზის ყაჩაღიც, ვინც შენ ამ ამბებს გიზიდავს!

— შენ რა იცი, მე ვინ რას მიზიდავს?!.

— ძალიან კარგად ვიცი! — თვალები ბრაზიანად დააკვესა მეგიმ. — შენი მთავარი ინფორმატორი და ხელის დამცლელი არაკაცი, შალვა ოშხერელია! ნავთობის ამბავიც სწორედ იმან გითხრა!

— რა ნავთობის?!. — თავი შორს დაიჭირა კახამ. — რაებს იგონებ?!.

— ძალიან გთხოვ, ახლა მაინც ნუღარ თვალთმაქცობ! — ხმას აუწია მეგიმ. — შენ ანდროსთან ლანას დაკარგვის ბოღმამ კი არა, ანდროს მიწის ნაკვეთში აღმოჩენილი ნავთობის, ხელში ჩაგდების სურვილმა მიგიყვანა!.. იქნებ მითხრა, რომ ასე არ არის?!.

— რა თქმა უნდა, არა! — რამდენადაც შეეძლო, მაინც მშვიდად უპასუხა კახამ. — ეს ამბავი პირველად შენგან მესმის!

— მართლა?

— მართლა!

— მაშინ დაიფიცე!

— რა დავიფიცო?

— რა კი არა — ვინ!

— კი, ბატონო, მითხარი, ვინ დავიფიცო და მაშინვე დავიფიცებ! — სიმშვიდე ბოლომდე შეინარჩუნა კახამ.

— შენი შვილი დაიფიცე!.. — მეგი თავადაც კი ვერ მიხვდა, ეს სიტყვები მის ბაგეებს როგორ მოსწყდა და თავზარდაცემული, მაშინვე ფანჯრისკენ შებრუნდა.

— ვი-ინ?! — წამოიძახა გაოგნებულმა კახამ, რომელმაც მეგის მხარში ხელი ჩაავლო და თავისკენ ისე შემოაბრუნა. — რა თქვი?! ვინ დავიფიცო?! რომელი ჩემი შვილი?.. ახლავე მითხარი ყველაფერი! — და ქალს გამეტებით დაუწყო ნვჯრევა.

გაგრძელება იქნება

ელენე ყიფშიძე — ქალბატონი, რომელიც მართლაც, გამორჩეული იყო, თავისი ნიჭით, პროფესიონალიზმით. არაერთი წარმატებული სპექტაკლის სული და გული გახლდათ. მას შეეძლო განესახიერებინა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული გმირები, ყოფილიყო ძუნწი კარაპეტა და სოფლელი დედაკაცი კეკელა, კნიჟნა სოფო და ნუსკია, გმირი მაია წყნეთელი და სასაცილო მოსამსახურე. ყველაფერს კი ერთი რამ აერთიანებდა: რომელ როლშიც არ უნდა გენახათ, იფიქრებდით — ეს მისი საუკეთესო სახეა, ამაზე მეტად არც ერთი სხვა სახე არ მოერგებოდაო, — იმიტომ, რომ ის მართლაც ასეთი იყო სცენაზე — ერთადერთი და განუმეორებელი.

„ეჩქარები ღაქს ღაჭრო ქუა ღაკრეფილიუკი – ჟის ბოლო ღაქს...“

ლელა ჯიყაშვილი

8 სექტემბერს, ელენე ყიფშიძის გარდაცვალებიდან 40 დღე გადის. რა საოცარია, რომ სულეთში მისი დამკვიდრების დღე, დედამისის დაბადების დღეს დაემთხვა!.. მას ყოველთვის გამორჩეულად უყვარდა მშობლები, დედმამიშვილები, წინაპრები, თუმცა ხშირად, ვერც ვატყობდით, როგორი დარდით ჰქონდა სავსე გული: სულ იღიმებოდა და იმიტომ.

გიგა ყიფშიძე, ქ-ნი ელენეს ძმა:

— ჩემს დედ-მამას ხუთი შვილი ჰყავდა. პირველი გარდაეცვალათ, ზურაბი ერქვა. მერე, ზურა რომ გაუჩნდა ლენას, ძმის სახელი დაარქვა... ლენა ძალიან ნიჭიერი იყო. ჯერ კიდევ სულ პატარა, კოტე მახარაძესთან ერთად ოპერის თეატრში, ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნაში“ გამოდიოდა სცენაზე. ყველა ამბობდა — ისეთი მონაცემები აქვს, აუცილებლად ბალერინა გამოვაო. მაგრამ ლენაში დრამატული თეატრის მსახიობის ნიჭმა სძლია. ეს მონაცემები ჩვენი დიდი ბებიის — ბაბო კორინთელისაგან გამოჰყვა. პირველი პროფესიონალი მსახიობი იყო. პაპაჩემი — გიგა ყიფშიძე კი, ერთი პერიოდი, მოკარნახედ მუშაობდა თეატრში. ყველანი ვანებივრებდით ლენას...

ისეთი გარდასახვის უნარი ჰქონდა, სახლში ისეთ „ფოკუსებს“ გვიტარებდა ხოლმე — სულ არ მიკვირს, რომ სცენაზე არაჩვეულებრივად გამოსდიოდა თამაში. მახსოვს, ერთხელ, კოჭლობდა, ძლივს დადიოდა სახლში; ყველანი დაგვარწმუნა, რომ ავად იყო. თურმე, არაფერიც არ სტკიოდა...

ჩვენს ოჯახში რუსულიც და ქართულიც თანაბრად ვიცოდით, მაგრამ ლენას კარგი ქართულით ლაპარაკი შეეძლო. ეს კი იშვიათობაა დღეს... თეატრში სესილია თაყაიშვილის, ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო გოძიაშვილის გვერდით იზრდებოდა. სხვანაირ კულტურას იყო ნაზიარევი.

სულ მოუცლელი გახლდათ. ნინოს და ქეთოს — ჩვენს დებს უტოვებდა ხოლმე ზურას.

სულით და ხორცით არტისტი იყო და ბევრი რამ შეეძლო შეეწირა თეატრისათვის. მშვენიერი ცხვირი ჰქონდა, მაგრამ დაიჩემა — ოპერაცია უნდა გავიკეთო, მეუბნებიან — როლს იმიტომ ვერ გაძლევთ, რომ ცხვირი გიშლის ხელსო... ვთხოვე ჩემს მეგობარს — წოპეს და გაუკეთა ოპერაცია... გამოიძახეს როლის სინჯებზე და რომ მისულა, — ეს რა არის? ჩვენ ის ცხვირი მოგვწონდაო!.. კინაღამ გაგიჟდა: თქვენ ვინა ხართ?.. ხან ცხვირით გინდივართ, ხან — უცხვიროდო!..

დედმამიშვილები ვმეგობრობდით, ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ როცა ლენას გაუჭირდა — საკუთარ თავში ჩაიკეტა, ცდილობდა, საერთოდ აღარ ელაპარაკა... სრული სიმართლე იცოდა საკუთარი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არ იმჩნევდა, ვაჟკაცურად იტანდა ავადმყოფობას... მაია წყნეთელს რომ თამაშობდა, თვითონაც ისეთი იყო — ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ამჟღავნებდა თავის ვაჟკაცურ ბუნებას, ვერავინ გაუბედავდა დაჩაგვრას... ბოლოს, ავადმყოფობამ დაჩაგრა, მაგრამ იმასაც არ შეეპუა — ბოლომდე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა...

მე გადასახლებული ვიყავი, „ანტისაბჭოთა საუბრებისთვის“. სანახავად ჩამომაკითხა. უნდა გენახათ, როგორ ამაყად მოვიდა — ერთი ცრემლი არ ჩამოვარდნია!..

ქეთო ყიფშიძე, ქ-ნი ელენეს და:

— ლენა დედმამიშვილებში ყველაზე უმცროსი იყო და ყველანი ვანებივრებდით. ახლაც მახსოვს — დედამ ხორცისფერი კოსტიუმი შეუკერა, როცა ვაჟაფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობიდან“ შვლის მონოლოგი უნდა წაეკითხა. დედაჩემმა ქართული არ იცოდა და როგორც ჩანს, შინაარსს რუსულად გაეცნო. არიგებდა ლენას: როცა იტყვი — ადამიანო, ამას რას შვრებიო? — ყველა გრძნობა სიტყვაში „ადამიანი“ უნდა ჩააქსოვოო.

სულ პატარა იყო, მაგრამ უბრალოდ კი არ წაიკითხავდა ლექსს — თან არტისტობდა...

მამაჩემს ჯიბეში მხოლოდ ლენას სურათი ედო — სხვისი არავისი...

საღოლაშენში პაპისეული სახლი გვქონდა. ვერ მოვუარეთ — სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, შუშაბანდში იატაკი ჩაინგრა... რამდენჯერმე ნათესავებმაც შეგვიგროვეს ფული... ლენას მოეგროვებინა 200 მანეთი და მოგვცა — საღოლაშენს მივხედოთო... ვიცოდით — თვითონ მცივარი არ ედგა შინ, უჭირდა, ამიტომ იმ ფულით მაცივარი ვუყიდეთ და მივუტანეთ...

ნინა ყიფშიძე, ქ-ნი ელენეს და:

— ძალიან ყურადღებიანი იყო. ხომ ავადმყოფობდა, მაგრამ ჩვენს სანახავად მოდიოდა. ზოგჯერ ფეხით ამოსულა

მარცხნიდან მარგარიტა (ბიძამვილი) და ელენე ყიფშიძე; უკან: ქეთო, გიგა და ნინა ყიფშიძეები

მერვე სართულზე... ერთხელ, ჩვენი ნახვა მოისურვა, მძიმედ რომ იყო. ზურაბმა წაგვიყვანა. თავისი ლამაზი თვალებით შემოგვხედა, — მადლობთო, — გვითხრა... მე და ქეთომ კერძი მოვუმზადეთ. კარგად მიირთვა. იმედი მოგვეცა — იქნებ, უკეთ გახდეს-თქო?.. — მაგრამ — არა: მეორე დღეს, ზურამ დაგვირეკა და გვითხრა — ისევ მძიმედაა...

ზურას ფილმში — „წუთისოფელი" — იღებდნენ. უნდა შევარდნილიყო ოთახში და ეთქვა: „ლენინი მოკვდა". რამდენჯერაც ეს სცენა გაიარეს, იმდენჯერ სიცილი აუვარდა. დედამისს უთხრა: არაფრით არ გამომდის, რა ვქნაო?.. — ლენამ უპასუხა: წარმოიდგინე, რომ მე მოვკვდი და გამოგივაო... მართლაც, ამან უშველა. ძლივს თქვა სერიოზული სახით — ლენინი მოკვდაო...

თქვენ არ იცით, რა ყურადღებიანია ზურა. თავისი ხელით უკეთებდა ნემსებს ლენას, სულ თვალებში შესცინებდა დედას... მასთან დარჩენა უნდოდა, მაგრამ ლენა არ ტოვებდა: არ დარჩეო! — ყვიროდა... ზურაც, ნერვებს ხომ არ მოუშლიდა?! — მიდიოდა. მეორე დილით მიაკითხავდა. უკანასკნელ ღამეს დარჩა ზურა... 4-ის ნახევარზე, ლენა აღარ იყო... ზურას არც კი გაუღვიძებია მეზობლები გათენებამდე, მარტო იყო გარდაცვლილ დედასთან... ამაზე რომ ვფიქრობ, ახლაც თვალზე ცრემლი მადგება ხოლმე...

ზურაბ ყიფშიძე:

— მე და დედა ვგავართ ერთმანეთს ხასიათით... ვეუბნებოდი ხოლმე — მიამიტი ხარ, ყველაფერს ზედმეტად განიცდი-მეთქი... ახლა, ჩემს თავს რომ ვაკვირდები, ვხვდები: მეც ასეთი ვარ. დედა კი მსაყვედურობდა: რა არის, ყველაფრის პირში თქმა იცი, ადამიანს გულს ტკენო!.. ამ დროს, თვითონაც



სიმართლის თქმა იცოდა... რაღაცნაირად, მარტო იყო. პირადი ცხოვრება ვერ აიწყო, თეატრით ცხოვრობდა. თეატრიდან კი, ბოლოს, ბევრი გულისტკენა ჰქონდა...

მის სპექტაკლებზე რომ დავდიოდი, ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი. „მაია წყნეთელის" შემდეგ უკითხავთ ჩემთვის *(მაშინ ზურაბი სულ პატარა იყო. — ავტ.)*: აბა, რა მოგეწონაო? — ორი ხმლითა-მეთქი, კაცო, ორი ხმლითა?! — წამომიძახია გაოცებულს: მიკვირდა, დედას ორი ხმლით „ბრძოლა" რომ შეეძლო.

არაჩვეულებრივად უკრავდა ფორტეპიანოზე. მე „დიპლიპიტოს კომპოზიტორს" მეძახდა, რაკი „ჯეჯილში" ვუკრავდი დასარტყამ ინსტრუმენტებზე.

თავს იტვირთავდა: თეატრის სეზონი რომ დაიხურებოდა, „ბრიგადებში" დადიოდა *(საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საგასტროლო კონცერტებზე. — ავტ.)*. ეს ტიტანური შრომა იყო. მაგრამ მე მინახავს, როგორ ხვდებოდა ხალხი იქ დედას, როგორ უყვარდათ... ღირდა წვალებად. თან, ცოტა თანხაც რჩებოდა ოჯახისთვის...

დედა უყვარდა ძალიან და მისი სახსოვარი, რელიკვიაც ჰქონდა: დედის ნაქონი „ბროში". ხშირად ატარებდა. მოხდა ისე, რომ სახლი გაუტეხეს, გაქურდეს და ეს „ბროშიც" წაიღეს. ძალიან განიცდიდა დედის სახსოვრის დაკარგვას...

მოსკოვში ვსწავლობდი. ხშირად ჩამოდიოდა ჩემთან. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის შემდეგ, აეროპორტამდე გავაცილე. ცუდი არაფერი მეტყობოდა, კაცი ვერ იფიქრებდა, თუ შეუძლოდ გავხდებოდი... ჩამოფრინდა ლენა თბილისში და სიზმარი უნახავს — თითქოს ვეძახდი. მეორე დილითვე გადაფრინდა უკან, მოსკოვში. 40 გრადუსი სიცხით დავხვდი... რაღაც გუმანით იგრძნო ჩემი მდგომარეობა...

ყველა ჩემს ნათესავს აქვს სიამაყის გრძნობა, რომ ყიფშიძეების სახლი იქ იდგა, სადაც დღეს, უნივერსიტეტის მეორე კორპუსია. მოგეხსენებათ, ისეთი წინაპრები მყავდა, სიცოცხლეს შესწირავდნენ სამშობლოს. უყოყმანოდ დათმეს ადგილი უნივერსიტეტისათვის... სანაცვლოდ, ყაზბეგის ქუჩაზე მისცეს ბინა. ომი რომ დაიწყო, პლეხანოვზე გადავიდნენ. უჭირდათ. ბებია ავადმყოფობდა, ბაბუა ფიზიკოსი იყო — დიდი შემოსავალი საიდან ექნებოდათ?.. სიამაყის გრძნობა დედასაც ჰქონდა, მაგრამ არავის აბეზრებდა თავს ამით. სხვანაირები იყვნენ... მახსოვს, ერთხელ, ბებიამ თქვა: Я могу скоро уйти из этой жизни и я должна перед смертью перечитать Диккенса... შინ 30 ტომი გვქონდა დიკენსის და არც ვიცი, მერამდენედ კითხულობდა... დედასაც უსაზღვროდ უყვარდა კითხვა. თვალის ოპერაცია რომ გავუკეთეთ და ვეღარ კითხულობდა, ამაზე იყო გაგიჟებული...

ბოლოს, ძალიან რომ უჭირდა, აღარავის იკარებდა, სულ მარტოობა უნდოდა... ერთადერთ ღამეს დამრთონ ნება, დავრჩენილიყავი — ეს იყო მისი ბოლო ღამე... ■

ცოტა ხნის წინ, სრულიად შემთხვევით სხვადასხვა ასაკის ორი მამაკაცის გულახდილ საუბარს შევესწარი. ერთი მეორეს სთხოვდა, აფხაზეთსა და სოხუმზე მოეთხრო, ეკითხებოდა ომის შემდგომ ყველა დეტალზე... აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მათგანი აფხაზეთის ომის მონაწილე ქართველი მეომარი იყო, მეორე კი — აფხაზეთიდან დევნილი, ეროვნებით აფხაზი ახალგაზრდა.

თავიდან, ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, დამაბნია. შემდეგ ვაუმა ამიხსნა, რომ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა აფხაზეთში, ახლა სოხუმში ცხოვრობს, პერიოდულად კი, დედისა და ახლობლების მოსანახულებლად, თბილისს სტუმრობს ხოლმე. იმ პირობით, რომ მის ვინაობას არ გავამჟღავნებდი, ახალგაზრდა მამაკაცი ინტერვიუზე დავითანხმე. პირობითად, გიორგი აჩბა დავარქვათ...

გიორგი აჩბას თბილისში დედა ჰყავს, სოხუმში კი — მამის სული...

ემა ტუხიამვილი

— სოხუმში დავიბადე და ბავშვობის ნაწილი იქ გავატარე. მამაჩემი აფხაზი იყო, დედა კი ქართველი მყავს. ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც მამა გარდამეცვალა და მე და დედა მარტონი დავრჩით. დედა სოხუმის ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშად მუშაობდა. მისი ჯამაგირი ჩვენთვის ერთადერთი საარსებო წყარო იყო. როდესაც ომი დაიწყო, ნათესავებთან საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში ვისვენებდი. დედამ ყველაფერი მიატოვა, მხოლოდ რამდენიმე ხელი სამოსი წამოიღო და ჩემთან ჩამოვიდა... ყველაზე ძვირფასი, რაც სოხუმში დავტოვეთ, მამაჩემის საფლავი იყო. მაშინ გვეგონა, რომ მის საფლავთან ველარასდროს მივიდოდით. გარკვეული პერიოდი ნათესავებთან ვცხოვრობდით. იმ დროს, სტუმარს კი არა, საკუთარი ოჯახის წევრებს ვერ არჩენდა ადამიანი. ამიტომ მე და დედა, როგორც აფხაზეთიდან დევნილები, რაღაც დაწესებულების პაწაწინა ოთახში გადავედით საცხოვრებლად. სივიწროვეს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ დევნილებისთვის განკუთვნილი დახმარების სიმცირე გვიღებდა ბოლოს. 12 წლის განმავლობაში, დედამ სამსახური ვერაფრით იშოვა. შემდეგ ჯანმრთელობაც შეერყა და დამატებით შემოსავალზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მინდოდა, ოჯახის ტვირთი საკუთარ თავზე ამეღო. მაგრამ ჯერ სკოლაში ვსწავლობდი და დედა სწავლისთვის თავის დანებების უფლებას არ მაძლევდა.

— აფხაზური გვარის გამო, თანატოლებთან უსიამოვნებები ხომ არ შეგხვედრია?

— მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა, არავის უთქვამს: აფხაზი ხარ და გზიდან ჩამომეცალეო! ბავშვობაში, ვფიქრობ, ის უფრო თამაშობს თავმოყვარეობაზე, როდესაც სხვისი ნაცვამი ფეხსაცმლით დადიხარ და თანატოლ გოგონებს თავს ვერაფრით მოაწონებ... იმას კი არ ვამბობ, რომ ან ვაუკაცობა მაკლია, ან გარეგნულად ჩამოვრჩები სხვებს. უბრალოდ, მაშინ, როდესაც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფები, ყველანაირი კომპლექსი ერთად იჩენს ხოლმე თავს.

— დედის ნათესავები არ გეხმარებოდნენ?

— რა თქმა უნდა, გვეხმარებოდნენ. სხვანაირად, თვეში 12 ლარად სულიც ამოგვხდებოდა, მაგრამ სისტემატურად ვერავის დაავალდებულებ, რომ გარჩინოს... ერთი-ორჯერ მუშად მოვეწყვე მშენებლობაზე. ჯიბის ფული რომ გამიჩნდებოდა, ვფიქრობდი, — ცხოვრება ახლა იწყებამეთქი. მაგრამ ამის გაფიქრებისთანავე, ან ის მშენებლობა ჩერდებოდა, ან ზედმეტი მუშახელი აღარ სჭირდებოდათ ხოლმე. უკიდურესმა გაჭირვებამ გადაგვაწყვეტინა მე და დედას, რომ აფხაზეთში დარჩენილ ჩემს ბიძაშვილებს დავკავშირებოდით. ისიც უნდა გითხრა, რომ მაშინ, როდესაც დედაჩემი, როგორც დევნილი, აფხაზეთიდან გამორბოდა, მისი მაზლიშვილი ომში აფხაზების მხარეს იბრძოდა... ჩემი ბიძაშვილები სოხუმში „წითელი ჯვრის“ დახმარებით ვიპოვეთ და 3 წლის განმავლობაში, მხოლოდ ტელეფონით ვურთიერთობდით. ისინი გამუდმებით მთხოვდნენ, რომ საცხოვრებლად სოხუმში გადავსულიყავი, სადაც სტაბილურ სამსახურსა და ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს მთავაზობდნენ. დედაჩემი კატეგორიული წინააღმდეგი იყო: აფხაზური ენა უკვე მივიწყებული მქონდა, თანაც, მე ხომ აფხაზეთიდან დევნილი ვიყავი, ამიტომ შიშობდა, რომ ჩემი ერი ამას არ მაპატიებდა... დაახლოებით ერთი წლის წინ კი, გადაწყვეტილება მივიღე, ბიძაშვილებს ვთხოვე, ჩემთვის მგზავრობის

აფხაზებს ჯავრი მოსდით ასლან აბაშიძეზე — როგორ დათმო აჭარაო?.. — მაგრამ იმასაც ამბობენ:ასლანი რუსეთმა გაყიდაო. ვერ ვიტყვი, რომ აფხაზებს ომი სწყურიათ, მაგრამ სწამთ, რომ რუსები მათ არ გაყიდიან...

ფული გამოეგზავნათ და შინ დასაბრუნებლად გავემგზავრე... ენგურის ხიდზე ჩემი ბიძაშვილი დამხვდა, რომელიც იქ წაღებული ბავშვობის დროინდელი სურათით ძლივს ვიცანი... სხვათა შორის, ენგურის ბლოკ-პოსტს ყოველდღიურად უამრავი ადამიანი გადის. ძალიან ბევრი დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ სახლს გალში. ერთადერთი პრობლემა, სოხუმია: იქ შესვლას ყველა ვერ ბედავს.

— წელან შენ და ის მეომარი „შავ სიას“ ახსენებდით. იქნებ, განმიმარტო, რაზე გქონდათ საუბარი?

— აფხაზებს დღემდე აქვთ ე.წ. „შავი სია“, სადაც შესულია იმ ადამიანთა მონაცემები, ვინც აფხაზეთში ცხოვრობდნენ და კონფლიქტის დროს, იარაღით ხელში მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ. როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს „შავი სია“ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროშია შედგენილი. სწორედ ამ სიით



რამდენიმე ადგილას ქართველების მიერ მიტოვებული ტანკები ვნახე. ისევ ისე დგას, როგორც წლების წინ მიუტოვებიათ

მოწმდება საზღვარზე გადასული თითოეული მოქალაქე. აფხაზებს დღემდე ვერ უპატიებიათ დევნილებისთვის, რომ სამშობლო მიატოვეს და საქართველოს სხვა კუთხეებს შეაფარეს თავი. ხოლო ის, ვინც ომში აფხაზების წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც აფხაზები ამბობენ, დაუსჯელი არ დარჩებაო... როგორც უკვე გითხარით, ჩემი ბიძაშვილიც ნაომარია. მისგან მსმენია, რომ ომში თურმე, ყველა მეომარი თავისი მოწინააღმდეგის სახეს კარგად იმახსოვრებს. ჩემი ბიძაშვილი ამბობს, რომ ბევრი ქართველი მეომრის სახე ახლაც თვალწინ უდგას...

— ახლა სოხუმში ცხოვრობ?

— სოხუმში ჩვენი სახლი გაპარტახებული დამხვდა, მაგრამ ბიძაშვილმა სხვა სახლი დამითმო. სოხუმი და საერთოდ, მთელი აფხაზეთი ისეთი გამოცარიელებულია, რომ საცხოვრებლის პრობლემა იქ ნამდვილად არ დგას. მადლობა ღმერთს, რომ მამაჩემის საფლავი მხოლოდ ერთი ნატყვიარით გადარჩენილა — მაშინ, როდესაც ბევრი ჩვენი ახლობლის საფლავი და ზედ დადგმული მონუმენტი განადგურებული დამხვდა... მთელი აფხაზეთი შემოვიარე, ისეთი ადგილებიც ვნახე, სადაც ადრე დასახლებები იყო, ახლა კი იქაურობა მიუვალ ტყედ არის ქცეული... რამდენიმე ადგილას ქართველების მიერ მიტოვებული ტანკები ვნახე. ისევ ისე დგას, როგორც წლების წინ მიუტოვებიათ. სხვათა შორის, მითხრეს, რომ სოხუმის აეროპორტში დღესაც დგას ედუარდ შევარდნაძის თვითმფრინავი, სადაც თურმე, სათუთად არის შენახული ექსპრეზიდენტის პიჯაკი. იმასაც ამბობენ, რომ სოხუმის დაცემის დღეს, შევარდნაძეს ძლივს გამოუსწრია იქიდან, მისი ლიკვიდაციის ბრძანება ელცინის ჩარევით ყოფილა გადაწყვეტილი და უკვე გაცემული ყოფილა...

— დღევანდელი სოხუმი როგორია?

— სოხუმის ცენტრალური უბნები აღდგენილი და გალამაზებულია. რამდენიმე, მაღალი კლასის სასტუმროა აშენებული, რამდენიმე სასტუმროს მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ამბობენ, რომ ამ ყველაფრის მეპატრონეები რუსი ოლიგარქები არიან. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან მიმოსვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, ხოლო იმპორტ-ექსპორტი მეზობელ ქვეყანასთან, აფხაზეთის მოქალაქეების შემოსავლის ძირითადი წყაროა. მშვიდობიანსა და სტაბილურს იქ შექმნილ ვითარებას ვერ უწოდებ. საღამოს 10 საათის შემდეგ, სოხუმის ქუჩებში თითქმის აღარავინ მოძრაობს. ხშირია ქურდობის, ყაჩაღობისა და მკვლელობის ფაქტი. ისმინება აბსოლუტურად ყველა საქალაქო ტელეფონი, ამიტომ ვცდილობ, რომ ნათესავებს თბილისში იშვიათად ვესაუბრო... სოხუმში მეგრელებიც და სვანებიც ცხოვრობენ. უნდა ნახოთ, როგორ ავიწროებენ მათ აფხაზები. მათ კი, ხმის ამოღების უფლება არ აქვთ... თბილისში გაცილებით თავისუფლად სუნთქავს ადამიანი, ვიდრე სოხუმში. თუ ქუჩაში ქართული საუბარი გაგიგონეს, დაუსჯელს ნამდვილად არ დაგტოვებენ. სოხუმში „ტელე-იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მაუწყებლობა უფრო კარგი ხრისხით მოდის, ვიდრე ადგილობრივი ტელევიზიისა და ეს აფხაზებს საშინლად აღიზიანებს.

ისმინება აბსოლუტურად ყველა საქალაქო ტელეფონი, ამიტომ ვცდილობ, რომ ნათესავებს თბილისში იშვიათად ვესაუბრო...

— პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებზე სოხუმში როგორ რეაგირებენ?

— სოხუმში არც სააკაშვილი უყვართ და არც არძინბა. მთელი იმედები მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსა და რაულ ხაჯიმბაზე აქვთ დამყარებული. როდესაც სააკაშვილი ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა — აფხაზეთში აუცილებლად დავბრუნდებითო, — დე ფაქტო ხელისუფლებამ კაზაკთა რაზმები ჩამოიყვანა და საომრად მზადყოფნა გამოაცხადა. მოგვიანებით კი, როდესაც ჩათვალეს, რომ საფრთხე ჩავლილი იყო, კაზაკებს სოხუმის ქუჩებში საზეიმო აღლუმი გაუმართეს... აფხაზეთის ტელევიზიით ხშირად ატრიალებენ დოკუმენტურ კადრებს აფხაზეთის ომისა და დაღუპული მეომრების შესახებ, რომ ხალხს ტკივილი და შესაბამისად, შურისძიების ჟინი არ გაუნელდეთ. ცოტა ხნის წინ ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს. პირადად ვიცნობ იმ ადამიანებს, ვინც ნებაყოფლობით იბრძოდა კოკოითის ინტერესების დასაცავად, რადგან გაჭირვების ჟამს, აფხაზებსაც აქვთ ოსების იმედი... აფხაზებს ჯავრი მოსდით ასლან აბაშიძეზე — როგორ დათმო აჭარაო?.. — მაგრამ იმასაც ამბობენ: ასლანი რუსეთმა გაყიდაო. ვერ ვიტყვი, რომ აფხაზებს ომი სწყურიათ, მაგრამ სწამთ, რომ რუსები მათ არ გაყიდიან.

— საკურორტო სეზონმა როგორ ჩაიარა აფხაზეთში?

— როგორც ვიცი, ბიჭვინთასა და გაგრაში საკმაოდ ბევრი დამსვენებელი იყო ჩასული, მათ შორის — უცხოელებიც. ისინი ძირითადად, სოჭიდან შემოდიან. სოხუმში კი, გაცილებით ნაკლები ხალხი იყო, ამბობენ: სააკაშვილის მუქარამ

დამსვენებლები დააფრთხოო. სამაგიეროდ, ბატონი ჟირინოვსკი იყო ჩასული, სანაპიროზე ახალგაზრდებს ფრენბურთი გვთამაშა, შემდეგ — აფხაზეთის პარლამენტარებთან ერთად განაგრძო თამაში. მოგვიანებით კი, ზღვაში გემით გაისეირნა და თან ისიც დააყოლა: აბა, თუ მაგარი ბიჭია სააკაშვილი, ახლა მესროლოსო!..

— აფხაზეთში შერეული ოჯახები ალბათ აღარ იქმნება. ქორწინებისას, ეროვნებას დიდი ყურადღება ექცევა?

— ნამდვილად ასეა: აფხაზები ცდილობენ, რომ თავიდან აიცილონ ზედმეტი პრობლემები. როგორც გითხარით, სოხუმში ბევრი შერეული ოჯახი ცხოვრობს და მათ გამუდმებით უხდებათ, თავიანთი ქართველი ოჯახის წევრების დაცვა. მართალია, მე შემომთავაზეს ნათესავებმა — ამდენი წელია, აფხაზეთში ცხოვრობ და თუ გულის სწორი ქართველი გყავს, შეგიძლია, აქ ჩამოიყვანოო, — მაგრამ ჯერ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება არ მიმიღია. ქართველი ცოლი კი არა, დედა ძლივს დავითანხმე, რომ ორი კვირით სოხუმში ჩამეყვანა. მართალია, მისთვის არავის არაფერი დაუშავებია, მაგრამ გამუდმებით შიშის ქვეშ იმყოფებოდა და ისევ თბილისში დაბრუნება მთხოვა. არ ვიცი, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები. სოხუმში უკვე მოვიწყვე ცხოვრება, ვაჭრობით ფულსაც ვშოულობ და დედასაც ვეხმარები აქ, თბილისში. ალბათ, სამუდამოდ სოხუმში დავმკვიდრდები... სხვათა შორის, მე ერთადერთი არ ვარ, ვინც სოხუმიდან თბილისში სისტემატურად მგზავრობს. რამდენიმე სოხუმელი აფხაზი გავიცანი, ვინც თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელა სწავლა იმის გამო, რომ უმაღლესი განათლების მიღება სოხუმში საკმაოდ ძვირი ჯდება.

— ალბათ ვალდებული იქნები, აფხაზეთის ჯარშიც იმსახურო. შენ ბიძაშვილების მსგავსად, ქართველების წინააღმდეგ იარაღის აღმართვა რომ მოგიწიოს?..

— მინდა გითხრა, რომ ამჟამად, აფხაზეთის ჯარში მეგრელები და სვანებიც მსახურობენ. რაც შემეხება მე — ეროვნებით აფხაზი ვარ, მაგრამ აფხაზების მიერ დევნილი „ქართველიც“ ვიყავი. მართალია, როდესაც იქ ვარ, მთელი სულით ვგრძნობ, რომ აფხაზი ვარ; ქართველებში კი, განსაკუთრებულ სილაღეს ვგრძნობ. ეს ორი ერი ჩემი სისხლი და ხორცია. აქ დედა მყავს, იქ კი — მამის სული... ამიტომ ვაჟკაცურ სიტყვას გეუბნებით: უმალ მოვკვდები, ვიდრე ქართველის წინააღმდეგ ხელში იარაღს ავიღებ!..

■

წინამდებარე წერილი
იხ. „გზა“ №34

იმ შენობების ძირას, სადაც «თავისუფლების დეკლარაცია» ინახება, მანანალები თავშესაფარს ინყობენ...

უცხო ქვეყანაში ყოფნისას, ყოველთვის რაღაც გამორჩეულის და განსაცვიფრებლის მოლოდინში ხარ. მეტიც — სრულიად ჩვეულებრივი გოგონა, რომელსაც თბილისში შეიძლება ზედაც არ შეხედო, იმ ქვეყანაში ლამის ანგელოზად მოგეჩვენება.

მეც ასე დამემართა... ერთი ჩვეულებრივი ტურისტული სააგენტოს წითურთმიანი კლერკი, ჩემი შთაგონების წყაროდ ქცეულიყო... ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ვაშინგტონის დათვალიერებას მირანდასთან ერთად ვაპირებდი. მე — პირველად, ის კი, ვინ იცის, მერამდენედ შემოივლიდა ნაცნობ ადგილებს მორიგ ტურისტულ ჯგუფთან მორიგი კავალრის თანხლებით... და ეს კავალერი მე გახლდით...

აკაკი გეგენავა

ექსკურსია ვაშინგტონში

დილაადრიან წამოვვარდი საწოლიდან. თუმცა რა, მთელი ღამე თითქმის არ მიძინია. ათჯერ მაინც შევამოწმე მაღვიძარა. ცხრას რომ 10 წუთი დააკლდებოდა, სასტუმროსთან უნდა ვყოფილიყავი, სადაც ტურისტები მოიყრიდნენ თავს და ავტობუსიც იქვე იდგებოდა... მე კიდევ იმავე სასტუმროში ვცხოვრობდი და ბუნებრივია, დიდი დრო არ სჭირდებოდა მესამე სართულიდან ეზოში ჩასვლას. მაგრამ მთავარი ახლა ჩემთვის დაგვიანების პრობლემა კი არა, სულ სხვა რამ იყო — ძალიან მინდოდა, ამერიკელი გოგონასთვის თავი მომეწონებინა. ამისათვის საჭირო იყო, ელეგანტურად ჩამეცვა და სარკის წინ საკუთარი თავისთვის ამერიკული მანერები „მესწავლებინა“... საამისოდ კი თითქმის მთელი ორი საათი მქონდა!

უგემოვნო სასიძოსავით ხან რა ჩავიცვი და ხან — რა. მართალია, ჩემი გარდერობის პატრონს, დიდი არჩევანი არ მქონია, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვცდილობდი, თავი არ შემერცხვინა. ერთი ხუთი წყება ტანსაცმელი რომ გამოვიცვალე და არჩევანი ვერც ერთზე ვერ შევაჩერე, ჩემს თავზე გავბრაზდი! რაც იქნება იქნება-მეთქი და ჯინსის შარვალი და თხელი, ნაცრისფერი პოჯაკი მოვირგე. ღია ფერის პერანგზე ნაცრისფერივე ძვირად ღირებული ჰალსტუხი (საკმაოდ ელეგანტური) მოვირგე და ასეთივე ფერის მოდური ფეხსაცმელი ჩავიცვი. თმის დავარცხნაზე დრო არ დამიკარგავს (სხვათა შორის, ძალიან ადრე გავმელოტდი და მას აქეთ დარჩენილ თმასაც ვიპარსავ. იმასაც გაგიმხელთ,ვოგონებს ასეთი უფრო მოვწონვარ)...

მაგრამ რად გინდა, სულ ტყეილად გავისარჯე — ავტობუსთან მისული სახტად

დავრჩი, როცა ექსკურსანტების უმეტესობა შორტებში, ბოტასებსა და ჭრელ-ჭრელ მაისურებსა თუ ქურთუკებში გამოწყობილი დავინახე. ფოტოაპარატებიც კი არ ჰქონდათ თან, მე კი ორი მიმქონდა ერთის მაგივრად. როცა მითხრეს, ინსტრუქციის მიხედვით ექსკურსანტებს ვაშინგტონში ფოტოაპარატით სიარული ეკრძალებათო, გული ძალიან დამწყდა. კიდევ კარგი, შორს წასასვლელი არ ვიყავი – სასტუმროში შევირბინე და ადმინისტრატორს ფოტოაპარატები ჩავაბარე. მაშინ კი მართლა გულზე შემომეყარა, როცა ნახევრად შიშველი მირანდა დამადგა თავს. თანაც ისე გახალისდა ჩემი ჩაცმულობის შემხედვარე, რომ „კომპლიმენტიც“ არ დაიშურა:

– აკაკი, შშვენივრად გამოიყურები. ეტყობა, ექსკურსიის შემდეგ სადმე ბანკეტზე აპირებ წასვლას...

– არა, ბანკეტზე არა, მაგრამ ბილ კლინტონთან აუდიენცია მაქვს დანიშნული, ინტერვიუ უნდა ჩამოვართვა ერთ-ერთი ქართული გაზეთისთვის!.. – არ დავიბენი და ჩემს სიტყვებს მირანდას კისკისი მოჰყვა.

წითურმა ლამაზმანმა ხელი ჩამჭიდა და ავტობუსისკენ წამიყვანა. მძღოლის მოპირდაპირე მხარეს პირველივე სავარძლები დავიკავეთ და დანარჩენ ექსკურსანტებს დავუწყეთ ლოდინი.

სულ მალე ავტობუსი დაიძრა. მულატი ექსკურსიამძღოლი უინტერესოდ გვიყვებოდა ვაშინგტონის ღირსშესანიშნაობათა შესახებ. აშკარად ჩანდა, მობეზრებული ჰქონდა ყოველდღე ერთი და იმავე ფრაზების გამეორება...

მოკლედ, ჩვენ წინ ვაშინგტონი იყო – თეთრი სახლით, კაპიტოლიუმით, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმით, ნაციონალური გალერეით... მიუხედავად ზაფხულის ცხელი დღისა, ამერიკის სხვა შტატებიდან ჩამოსული ტურისტები ინტერესით ათვალიერებდნენ თავიანთ დედაქალაქს. რომ იტყვიან, მოგზაურობის ყოველი წუთი გათვლილი იყო, ყველაფერი – საათის მექანიზმივით აწყობილი... ყველაფერ ამას კი ერთგვარად ჩრდილს აყენებდა ის გადამეტებული კონტროლი, რომლითაც თავი მოგვაბეზრეს პოლიციელებმა. ყოველი ახალი შენობის თუ ძეგლის დათვალიერებისას მორიგ შემოწმებას (უფრო სწორად ჩხრეკას) გვიტარებდნენ: მამაკაცებს – მამაკაცი, ხოლო ქალებს ქალი პოლიციელები უფათურებდნენ ხელებს. როცა მორიგ შემოწმებაზე გავედით, ჩემი ჭკუით, ხერხი ვიხმარე და ქალ პოლიციელს, რომელიც სხვებისგან აშკარად გამოირჩეოდა მომხიბვლელი გარეგნობით, წინ დავუდექი – ვიფიქრე, მირჩევნია ამან მიფათუროს ხელები-მეთქი. მან კი ცივად მიმითითა თავისი კოლეგა მამაკაცისკენ. როდესაც საპირისპირო მხარეს გავიხედე, მივხვდი, რომ ფერი დავკარგე. მთასავით ვეებერთელა პოლიციელი ისე მიყურებდა, როგორც ნადირი მორიგ მსხვერპლს. რაღას ვიზამდი, ბედს დავმორჩილდი!

– აკაკი, გატყობ, რომ არცთუ ისე ცუდი გემოვნება გაქვს, თანაც მაღალი ქალები მოგწონს... – მირანდა აშკარად ეჭვიანობდა.

– მართლა? მე კიდევ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია... ისე, თუ გაინტერესებს, შენ მაღალიც ხარ და იმ პოლიციელ ქალზე ბევრად ლამაზიც... – და მირანდას ისე ავხედე, თითქოს ახლა შევამჩნიე, რომ გრძელ ფეხებზე იდგა.

კომპლიმენტი მიზანს მოხვდა! მირანდამ გულიანად გადაიკისკისა და ნაციონალური გალერეისკენ გამიძღვა.

ეს უდიდესი საგამოფენო კომპლექსია, რომელშიც დარბაზიდან დარბაზში გაგნებული გადადიხარ. ერთ შთაბეჭდილებას მეორე ცვლის. მსოფლიო ხელოვნების შედევრები კიდევ ერთხელ გაცებენ და ხშირად დიდხანს ჩერდები ამა თუ იმ ნამუშევართან. მოგეხსენებათ, ამერიკა უმდიდრესი ქვეყანაა, თანაც ყოველთვის ყიდულობდა და ყიდულობს მსოფლიო კლასიკოსების შედევრებს. აქ შეხვდებით რუბენსის, გოიას, რაფაელის, რემბრანდტის და უამრავი ცნობილი მხატვრის ფერწერულ ტილოებს...

ამჯერად ჩემი ყურადღება ერთმა დარბაზმა მიიპყრო, რომელსაც ახლაც დიდი სიამაყით ვიხსენებ. ამ დარბაზში ის საბრძოლო არსენალი იყო წარმოდგენილი, რაც კაცობრიობას გამოუყენებია თავისი არსებობის მანძილზე. გამოფენა სექციებად იყო დაყოფილი. თითოეული სექცია იმ ქვეყანას წარმოადგენდა, რომელმაც ასე თუ ისე გამოიჩინა თავი სამხედრო ხელოვნებაში: ბერძენი მეომრების აღჭურვილობას მოჰყვებოდა რომაელი ჯარისკაცების საბრძოლო აღკაზმულობა. აქვე იყო მონღოლთა თუ თურქ-სელჩუკთა მიერ გამოყენებული შუბები, ხმლები, ხანჯლები... შთამ-

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!

19 სექტემბრიდან ყოველ კვირადღეს ტელეკომპანია „მზეზე“,
„ეტალონი“ – ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი“,
შეავსეთ „ცოდნის კუპონი“ და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

*პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა
და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.*

შეხვედრამდე „მზეზე“

ბეჭდავად გამოიყურებოდა შუა საუკუნეების რაინდების აბჯარ-სამოსელი. განცვიფრებას იწვევდა ის ფაქტი, თუ როგორ შეეძლო ძველ რაინდ მეომარს ამხელა სიმძიმე ეტარებინა და თანაც გასაოცარი სისხარტით ებრძოლა. აღფრთოვანებას ვერ ვფარავდით. მარტო მამაკაცებს კი არ გვიზიდავდა საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები, ქალებიც გატაცებით უყურებდნენ ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ექსპონატებს. სექციებს ნელ-ნელა მივუყვებოდით. ის-ის იყო დარბაზის გასასვლელს მივუახლოვდით, რომ შევამჩნიე ფირნიში, რომელზეც ეწერა „კავკასია“. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ტყუილად არ ავღელვებულვარ. სექციაში ქართულ-კავკასიური საბრძოლო იარაღები გამოეფინათ. აქ იყო რკინით მოწნული აბჯარი, უზარმაზარი და უმშვენიერესი ხმლები, დახვეწილი გემოვნებით ნაჭედი ხანჯლები და დანები, ფარები და იარაღასხმული ქამრები... და ყველაზე საამაყო ის გახლდათ, რომ ასომთავრული შრიფტით იარაღის ფონზე ეწერა, რომ კავკასიელთა შორის ქართველები გამორჩეული მეიარაღენი იყვნენ, და რომ ისინი ხმალ-ხანჯლებს ისეთი საიდუმლო მეთოდით ამზადებდნენ, რომ მათ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვებათ; და რომ ბევრს მოუნდომებია ამ საიდუმლოს ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ მოუხერხებია...

— შენ მართლა ამ ქვეყნიდან ხარ?! — გაუკვირდა მირანდას.

— როგორ, არ მეტყობა თუ?! — თავი გამოვიდე.

— მე კიდევ ამერიკის ჯორჯიიდან მეგონე... — ჩაილაპარაკა მირანდამ და დანარჩენ ექსკურსანტებს განუმარტა, რომ მე სწორედ იმ ქვეყნიდან ვიყავი, სადაც, ჯერ კიდევ უძველეს დროში, ასეთი ძლიერი საბრძოლო აღჭურვილობა ჰქონდათ.

ერთბაშად პოპულარული გავხდი. ამერიკელები ისე მილოცავდნენ, თითქოს ეს ხმალ-ხანჯალი ჩემი ნახელავი ყოფილიყო... მეც შევიფერე და თავი მართლა მოვიწონე წინაპრების სწორუპოვარი ხელოვნებით.

სულ სხვა განწყობით დავტოვე ამერიკის ისტორიის მუზეუმი, რომლის პირველ სართულზე, გამორჩეულ ადგილას გამოეფინათ იმ ატომური ბომბების მაკეტები, რომლებიც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოვარდა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს და რომლის ავბედითი კვალი ახლაც ემჩნევა იაპონიას. ეს გახლდათ მუქი მომწვანო ფერის, ლამის ადამიანისხელა ბომბები, რომლებიც ურიკაზე დაეწყოთ. ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში, ავისმომასწავებელ სიჩუმეში ტურისტები ისე უვლიდნენ ამ ურჩხულს, იფიქრებდი, პანაშვიდზე არიანო... შემაძრწუნებელი განცდა იყო. შვებით ამოვისუნთქე, როდესაც ამ „სიკვდილის დარბაზიდან“ გარეთ გავაღწიე...

რითი ამაყობენ ამერიკელები...

გამოჩნდა ნაციონალური არქივი! ამ არქივში ინახება „თავისუფლების დეკლარაცია“, რითიც ასე ამაყობს ამერიკა. ეს არის ამერიკის დემოკრატიისა და თავისუფლების სახე... აუარებელი დამთვალიერებელი — შორტებსა და მოკლე კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდა თუ ხანში შესული — დგას რიგში. უმეტესობას ბეისბოლის კეპი ახურავს და საღეჭ რეზინს აგემოვნებს. „კოკა-კოლა“ ხომ ყველას უჭირავს ხელში... დგანან და უცდიან, როდის მოუწევთ რიგი, რომ წუთით მაინც შეავლონ თვალი „თავისუფლების დეკლარაციას“... იმ დეკლარაციას, რომელმაც ამერიკელებს განუსაზღვრელი თავისუფლება მიანიჭა!

— მირანდა, „კოკა-კოლა“ არ გინდა? — შევთავაზე ჩემს თანამგზავრს.

— ლუდს ვარჩევდი! თანაც, შენ მგონი, ბავშვი გგონივარ, ხან „ჩიპსებს“ მთავაზობ, ხან „კოლას“... — მაცდურად გამიღიმა მირანდამ.

— სამაგიეროდ, საღამოს სიურპრიზით გაგიმასპინძლდები... — უკვე გავთამამდი...

პენსილვანიის ავენიუ ყველაზე ფართო და მნიშვნელოვანი ქუჩაა ვაშინგტონში. ამ ქუჩის ბოლოს თეთრი სახლია, ამერიკის პრეზიდენტის რეზიდენცია. ზღვა ხალხი მიდის მის სანახავად ყოველდღიურად. ჩვენც მივყვებით ხალხის ტალღას. გენერალ პერშინგის ძეგლი გვხვდება გზად. იმ პერშინგისა, რომლის სახელსაც ატარებს განთქმული ამერიკული რაკეტები, რომლითაც წარსულში ევროპიდან გვაშინებდნენ (საბჭოთა კავშირისკენაა პირდაპირ მიშვერილიო!). არადა, ამერიკელი გენერლის სკულპტურა სულაც არ ჰგავს ისეთი კაციჭამიასას, როგორიც წარმომედგინა.

თეთრ სახლში ტურისტებს შეზღუდვით უშვებენ. ეს იმაზეა დამოკიდებული, არის თუ არა პრეზიდენტი იქ. ამ მხრივ გამიმართლა — ჩემი იქ ყოფნისას ბილ კლინტონი საერთოდ არ იმყოფებოდა შტატებში!

შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე თანამშრომელთა კაბინეტებია განლაგებული, აქვეა პრეზიდენტის სამუშაო და მისაღები ოთახები. შენობის დასავლეთ მხარეს ოვალური კაბინეტია — აშშ-ის პრეზიდენტის სამუშაო ოთახი. აქვეა ე.წ. ბროლის, ცისფერი და საჩუქრების დარბაზები...

რაც ამერიკის სახელმწიფო შეიქმნა, იმ დროიდან ყველა პრეზიდენტი ვალდებული იყო, აქ ეცხოვრა და აქედან ემართა ქვეყანა. ყოველი ახალი პრეზიდენტის მოსვლისას თეთრ სახლს არემონტებენ. ოღონდ ეგ არის, რომ ორ ოთახს ხელუხლებელს ტოვებენ ხოლმე. ეს ის ოთახებია, სადაც შტატების პირველი პრეზიდენტი ცხოვრობდა...

ის დრო იყო, მთელი ამერიკა კი არა, მთელი მსოფლიო ბილ კლინტონისა და მაცდური მონიკა ლევინსკის „რომანით“ რომ იყო დაინტერესებული. იფიქრებდი, ქვეყანას ამაზე მეტი პრობლემა არა აქვსო. ტელევიზორს ჩართავდი და პოლიტიკოსები, განსაკუთრებით რესპუბლიკელები, ბილ კლინტონის გადაყენებას მოითხოვდნენ. გაზეთს გადაშლიდი და ყველგან მონიკა ლევინსკის მოგონებები შეგხვდებოდა წინა პლანზე. ამ თემამ ჩვენი ჯგუფიც ააფორიაქა.

— ვერ გამიგია, რა უნდათ მონიკასგან. ქალს შანსი მიეცა და ხელიდან არ გაუშვა. თანაც ბილ კლინტონი ძალზე მომხიბვლელი მამაკაცია!... — აღშფოთებას ვერ ფარავდა ერთი ლამაზმანი.

— ვის არ ჰყოლია საყვარელი, მაგრამ ამის საქვეყნოდ აფიშირება რა საჭირო იყო?! — აპროტესტებდა ხანში შესული ქალბატონი.

— მაგრამ თქვენ გავიწყდებათ, რომ კლინტონი ჩვეულებრივი, რიგითი ამერიკელი კი არა, ქვეყნის პრეზიდენტია!

— მაგრამ ისიც ხომ გასარკვევია, ვინ არის „დანაშავე“ — პრეზიდენტის მომხიბლავი თანაშემწე თუ პირიქით? — ჩავერიე კამათში.

— ფაქტია, რომ მონიკამ სახელი გაითქვა! თან დიდი ფულიც იშოვა! გამომცემლები წინასწარ უხდიან კოლოსალურ თანხას, ოღონდ კი ლევინსკიმ რაიმე დაწეროს!.. — ეს კი მირანდა იყო.

სკანდალურ ამბავზე კამათმა კიდევ დიდხანს გასტანა. ჩვენი ექსკურსიაც დამთავრდა. ამასობაში მოსაღამოდა კიდეც და თვალსაჩინო გახდა ამერიკული ცხოვრების კიდევ ერთი ნიუანსი: აშკარად შესამჩნევი გახდა, თუ როგორ ემზადებოდნენ ქუჩის მაწანწალები ღამის გასათევად სწორედაც რომ იმ შენობების ძირას, სადაც სათუთად ინახავენ „თავისუფლების დეკლარაციას“ და ამერიკის კონსტიტუციას, რომელშიც ხალხს, პირველ ყოვლისა, კეთილდღეობასა და თანასწორუფლებიანობას ჰპირდებიან!

..ჩვენი ავტობუსი სასტუმროს მიუახლოვდა. ჩამოვედით დაქანცულები და ემოციებისგან დაღლილნი. სასტუმროს გვერდით მდებარე ღამის ბარი წინადღის შერჩეული მქონდა, მირანდას ხელი უცერემონიოდ მოვხვიე:

— მირანდა, იქნებ ღამის ბარში შევსულიყავით...

— რატომაც არა! ახლა ცივი ლუდი და ყინულიანი ვისკი ყველაფერს მირჩევნია!..

...

ღამის ბარში ლამის შემოგვათენდა...

მშვენიერი იყო ვაშინგტონში გატარებული ის ერთი დღე!

P.S. დრო იყო,ჩემს კომპანიას დავბრუნებოდი და ახალ მოგზაურობებზე მეფიქრა. მათ შესახებ კი მომავალ, 38-ე ნომერში გიამბობთ. ■

ავტოპილოტით აღჭურვილი Land Rover

ამ შემოდგომაზე, ყველგანმავლის – Land Rover Discovery – ოფიციალური პრეზენტაცია შედგება. ეს ავტომობილი აღიჭურვება სისტემით – Terrain Response, რომლის მეშვეობითაც მძღოლს მიეცემა შესაძლებლობა, მართვის ყველაზე ოპტიმალური რეჟიმი აირჩიოს. როგორც „ლენდ როვერის“ გენერალურმა დირექტორმა მეთიუ ტეილორმა განაცხადა, ფაქტობრივად, საუბარია ელექტრონულ „ავტოპილოტზე“: ცენტრალურ კონსოლზე მოთავსებული სპეციალური გადამრთველის მეშვეობით, მძღოლი ირჩევს ხუთიდან ერთ რეჟიმს: „ნორმალური გზა“, „ბალახი/თოვლი“, „ტალახი“, „ქვიშა“, „კლდოვანი საფარი“; კონკრეტული რეჟიმის გააქტიურების შედეგად, ელექტრონიკა ცვლის 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფის, პნევმატური საკიდრის, „გაზის“ პედლისა და ზოგიერთი სხვა აგრეგატის პარამეტრებს; სისტემის მოქმედების შესახებ ინფორმაცია დისპლეიზე აისახება. Terrain Response არა მარტო მძღოლის ბრძანებებს ასრულებს, არამედ მასთან დიალოგსაც კი მართავს. მაგალითად, განურჩევლად იმისა, თუ რომელი რეჟიმია გააქტიურებული, შეიძლება ურჩიოს მას, გაზარდოს კლირინგი, თუ ვთქვათ, მანქანა რთული რელიეფის გზის მონაკვეთზე შევიდა. ■

Hummer აღმოსავლეთისკენ მიემართება

კალინინგრადში მდებარე ავტოქარხანა „ავტოტორში“, სადაც ორი მარკის – Kia-სა და BMW-ს მანქანებს აწყობენ, დაიწყო კორპორაცია General Motors-ის პროექტის განხორციელება. ამიერიდან, რუსეთში ყველგანმავალ Hummer H2-საც გამოუშვებენ. H2 ამერიკული სამხედრო ავტომობილის – Humvee-ს სამოქალაქო მოდიფიკაციის მეორე თაობის ნიმუშია. თუ მისი წინამორბედი – H1 ძირითადად, სამხედრო ვარიანტს ეფუძნებოდა, H2 საგრძნობლად დახვეწილია კომფორტულობის თვალსაზრისით, თუმცა ამავე დროს, ყველგანმავლისთვის აუცილებელ ყველა მახასიათებელს ინარჩუნებს.

მანქანის მაკომპლექტებელ ნაწილებს კალინინგრადში ქალაქ მიშავაკში (ინდიანა) მდებარე ქარხანა AM General-იდან აგზავნიან. ამერიკული ქარხნის წარმადობა წელიწადში 40 ათასი ავტომობილის გამოშვებას ითვალისწინებს. H2 აღჭურვილია 8-ცილინდრიანი, 6 ლ სამუშაო მოცულობის, V ტიპის ძრავათი, რომლის სიმძლავრე 321 ცხ.ძ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი 10 წმ-ში ავითარებს. H2-ს 4-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფი აქვს. რაც შეეხება საწვავის ხარჯვას – ტექნიკურ დოკუმენტაციაში ეს მონაცემი კორპორაციას შეტანილი არა აქვს. GM-ის მესვეურთა თქმით, ამ კლასის მანქანებისთვის მსგავსი ნორმატივები დადგენილი არაა. გამომცდელი მძღოლების ვერსიით, საწვავის ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე, 23-დან 27 ლ-მდე მერყეობს. ცხადია, ამ ავტომობილის მთავარი ღირსება, არა ეკონომიურობა, არამედ გავლადობაა. ამ მხრივ კი, „ჰამერს“ ვერ დაიწუნებ: მანქანას შეუძლია, 65 კმ/სთ სიჩქარით 15 სმ-მდე სიღრმის წყალში გაიაროს, 20 კმ/სთ სიჩქარით კი, ნახევარმეტრიან სიღრმის წყალსაც არ შეუშინდება; მისთვის არც 40-სანტიმეტრიანი ბორდიური წარმოადგენს რაიმე პრობლემას.

„რუსული ჩამოსხმის“ Hummer H2-ის ფასები 86.500 დოლარიდან (საბაზო ვერსია) იწყება. ყველაზე ძვირად ღირებული კომპლექტაცია – Luxury – 94.090 დოლარი ეღირება. პირველ წელს, „ავტოტორში“ 200 ერთეულის წარმოებაა დაგეგმილი. ■

პირველი სექტემბრიდან, ინგა გრიგოლია „ტელე-იმედზე“ ახალ პოლიტიკურ ტოქშოუს — „რეაქციას“ შემოგვთავაზებს. გადაცემა „პირველები“ კი, პირდაპირი ეთერის ფორმატით გავა. სანამ ინგას მაყურებელი კვლავ იხილავს ეკრანზე, გადავწყვიტეთ, მისი სასიყვარულო ამბები გამოგვერკვია...

„...დაქალის შეყვარებული შემიყვარდა

_ იმ მართლაც სამარცხვინო ფაქტი იყო“

_ მერი კობიაშვილი

— ინგა, ასეთი დაკავებული, სიყვარულისთვის დროს თუ პოულობ?

— სამწუხაროდ, ამ ეტაპზე შეყვარებული არ ვარ. ამის სურვილი არ მაქვს-მეთქი, — ვერ ვიტყვი. როცა შეყვარებული ვარ, გაცილებით უკეთ გამოიყურება ყველაფერი და უფრო მიზანდასახული ვარ.

— როგორ ფიქრობ — მამაკაცებს შენი ენერგიულობით ხომ არ აშინებ?..

— ჩემთვის მეგობარ ბიჭებს ხშირად უთქვამთ — საშინელება იქნება, ინგა გრიგოლიასთან რომანი რომ გვქონდესო. ეტყობა, მათზე ძალზე ენერგიული და დაუოკებელი ემოციების მქონე ქალის შთაბეჭდილებას ვტოვებ. თუმცა, არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც აქტიური ქალები მოსწონთ. იმისათვის, რომ ვიღაცას მოვეწონო, ჩუმი და მოკრძალებული ქალის როლს ვერ ვითამაშებ. პირადად ჩემთვის, ასეთი ქალები სამეგობროდაც კი არ არიან საინტერესონი. ყველა ჩემი მეგობარი გოგო ჩემნაირი ან ჩემზე უარესი „გიჟია“.

— პირველ სიყვარულს როგორ იხსენებ ხოლმე?

— საბავშვო ბაღიდან მოყოლებული, ყოველთვის ვიღაც მომწონდა. სერიოზულად კი, დაქალის შეყვარებული შემიყვარდა. ეს მართლაც სამარცხვინო ფაქტი იყო. მთელმა სკოლამ გაიგო. იცოდნენ ოჯახის წევრებმაც. დედაჩემი სკოლაში დაიბარეს და უთხრეს, რომ აღარ ვმეცადინეობდი... მოკლედ, ჩემს თავს ძალიან სამარცხვინო რამ ხდებოდა. მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. რუსულის გაკვეთილზე რომ მიძახებდა მასწავლებელი, ვეუბნებოდი, რომ გაკვეთილი არ ვიცოდი, მაგრამ ესენინის და ცვეტაევას ლექსებს წავიკითხავდი... მე თვითონაც დავიწყე ლექსების წერა, ოღონდ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ არავინ იცოდა (დღემდე, მხოლოდ ერთ ჩემს დაქალს აქვს ის ლექსები წაკითხული). რაც ყველაზე მთავარია, მე და ჩემს დაქალს იმ ბიჭის გამო არ გვიჩხუბია და დღემდე ვმეგობრობთ. იმ წლებს კი, სიცილით ვიხსენებთ ხოლმე.

— მაინც როგორ შეგიყვარდა დაქალის შეყვარებული?

— არ ვიცი, ეს რატომ დამემართა. მერვე კლასში რომ ვიყავი, ჩემს დაქალს ერთი ბიჭი შეუყვარდა და მთელი დღეები მთელ სადაქალოს გვიყვებოდა, თუ როგორი კარგი ბიჭი უყვარდა. ერთ დღეს კი, მის გასაცნობად წამიყვანა. ის ბიჭი რომ ვნახე, უკვე იმდენად ახლობელი იყო ჩემთვის, რომ პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა და დავიწყე კეკლუცი. იმავე დღეს, ის ბიჭიც დაინტერესდა ჩემით და ფარულად ვხვდებოდით, ვიდრე ჩემმა დაქალმა არ გაიგო, ერთ მშვენიერ დღეს... მისი ძალზე მადლიერი ვარ, რადგან ეს ყველაფერი მან „გვერდზე ჩაატარა“, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

— პირველი პაემანი იმ ბიჭთან გქონდა?

— ჩემი პირველი პაემანი პირველ სიყვარულს საერთოდ არ უკავშირდება. ჩემს ბავშვობაში, მთელ ქალაქში გაბატონებული იყო ტელეფონომანია, როგორც ახლა — მესიჯომანია. ვურეკავდით ხოლმე გოგონები ბიჭებს, ბიჭები — გოგონებს. ბიჭები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ შეხვედრაზე დავეთანხმებინეთ. ერთ-ერთ მათგანს პაემანზე დავთანხმდი, რადგან ძალიან კარგი ხმა ჰქონდა, თან ტელეფონით საინტერესოდაც ვსაუბრობდით. მე და ჩემი დაქალი გამოვიპრანჭეთ და დანიშნულ ადგილას, სპორტის სასახლესთან მივედით. მანამდე, როგორც რომანტიკოს ადამიანებს სჩვევიათ, უკვე წარმოვიდგინე, თუ როგორი იქნებოდა კარგი ხმის მქონე ბიჭი. მაგრამ რომ შევხვდი, სრული შოკი განვიცადე: ის ბიჭი ნამდვილი კოშმარი იყო. მართალია, მას ყავის დასალევად გავყევით, მაგრამ ურთიერთობის გაგრძელება აღარ მოვინდომე. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ როგორც შემდეგ გაირკვა, ის ბიჭი არ იყო ის, ვისაც უნდა შევხვედროდით.

— პაემნებზე მშობლებისგან მალულად დადიოდი?

— არ ვიცი, როგორ ვახერხებდი ერთდროულად კარგად სწავლასაც და პაემნებზე სიარულსაც. ქართულის მასწავლებლის მეშინოდა, ბევრ დავალებას გვაძლევდა ხოლმე და ხშირად, ბიბლიოთეკებში ვიჯექი. მერე მოვდიოდი შინ, ვიპრანჭებოდი და გავდიოდი. მამაჩემის ფაქტორიც უნდა გამეთვალისწინებინა: გარკვეულ დროზე აუცილებლად სახლში უნდა მოვსულიყავი. მახსოვს, ერთხ-

რომ შევხვდი, სრული შოკი განვიცადე: ის ბიჭი ნამდვილი კოშმარი იყო

ელ, ძალიან დავგვიანე შინ მოსვლა. მამაჩემს არ ვუცემივარ, მაგრამ ძალიან გამლანძღა. მამაჩემის ძალიან მეშინოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მე-10 კლასში მაინც გავთხოვდი... ამიტომ ჩემს შვილს არაფერს ვუშლი. მე 33 წლის ასაკში 15 წლის შვილი მყავს. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია.

— პირველად ბიჭს როდის აკოცე?

— მე-10 კლასში გავთხოვდი და შესაბამისად, ჩემს ქმარს ვაკოცე პირველად.

— მე-10 კლასში გათხოვება რატომ გადაწყვიტე? თან, იმ პერიოდში ხომ დაქალის ყოფილი შეყვარებულიც გიყვარდა?..

— ხომ გითხარით — „გიჟი“ ვარ-მეთქი *(იცინის)*?!. არ ვიცი, რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. ძალიან ექსცენტრიკული ვარ და ალბათ, ამიტომ გავთხოვდი 16 წლის ასაკში, თან — იმ დროს, როცა სხვა მიყვარდა... ახლა ვფიქრობ, რომ მაშინ ძალიან დიდი სისულელე ჩავიდინე. თუმცა, ჩემს შვილს რომ ვუყურებ, აღარ ვნანობ ჩადენილ შეცდომას. ერთი კი ვიცი: ჩემს შვილს არაფრით მივცემ იმის ნებას, რომ 16 წლის ასაკში გათხოვდეს.

— პოპულარობამ ბევრი თაყვანისმცემელი შეგძინა?

— პოპულარობას ნამდვილად მოსდევს მამაკაცების ყურადღება. მყავს ისეთი მეგობარი ბიჭებიც, რომლებიც თავიდან, ჩემი თაყვანისმცემლები იყვნენ. მეუბნებიან — ძალიან გვინდოდა შენი გაცნობა, ეკრანზე ისეთი აგრესიული იყავიო... ამასაც, ეტყობა, გარკვეული ხიბლი აქვს. მქონია ისეთი შემთხვევა, როცა არჩევანი უნდა გამეკეთებინა — ან საყვარელი ადამიანი, ან — საქმე და მე საქმე ამირჩევია, რითიც დამიზარალებია ჩემი სასიყვარულო ურთიერთობა. მაგრამ არ ვნანობ. სიყვარული ისეთი რამეა, რომელიც მოდის, მიდის, რა დროს დაგტოვებს, არავინ არ იცის, საქმე კი ჩემთვის ყველანაირ სიყვარულზე მაღლა დგას.

— შენს სახელს ბოლო დროს, ზურა ხაჩიძეს უკავშირებენ. ეს ჭორი სიმართლეს მოკლებულია?

— ეს იყო ჩემთვის შემაწუხებელი ჭორი. საახალწლოდ, ჩავწერე სიმღერა „ქუჩის ბიჭებთან“ ერთად და მას შემდეგ აგორდა ეს ჭორი. დიდხანს მიწევდა ამ სისულელის გამო თავის მართლება. მერე გადავწყვიტე, რეაქცია აღარ გამომემჟღავნებინა. სხვა თუ არაფერი, ეს ბიჭი ასაკით ჩემზე ბევრად პატარაა. მე კი ასეთ ბიჭებთან სასიყვარულო ურთიერთობები არ მაქვს. ეს არის კრიტერიუმი, რომლითაც მე ვცხოვრობ... ყველა მეუბნება და ჩემი დაც ხშირად მაშაყირებს — ერთი ტიპის მამაკაცები მოგწონსო. ყოველთვის ვეძებ მამაკაცს, რომელიც არის ძლიერი (თუმცა, დღემდე ვერ ვნახე ასეთი მამაკაცი, მაგრამ ილუზიებს ვიქმნი). ასაკით ჩემზე პატარა ბიჭი კი, ვერასდროს იქცევა ჩემთვის სიძლიერის სიმბოლოდ. ვერ იქცევა იმ ძალად, რომელსაც მე დავეყრდნობი...

— გარეგნულად როგორ მამაკაცები მოგწონს?

— მომწონს მაღალი და შავგვრემანი მამაკაცები. ჩემს ცხოვრებაში არ მახსენდება ისეთი მომენტი, რომ დაბალი, გამხდარი და ქერა ბიჭი მომწონებოდა. ჩემი და ხუმრობს ხოლმე — ინგას მსუქანი მამაკაცები მოსწონსო. მსუქანს ის კარგად ნავარჯიშებ ბიჭებს ეძახის.

— ქერათმიანი ინგა უფრო მოსწონთ ბიჭებს თუ შავგვრემანი?

— მეუბნებიან, რომ მუქ ფერებში უფრო მოვწონვარ და მაშინ, როცა „ზაგარი“ მაქვს (ახლა „ზაგარი“ არ მაქვს, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ახლა შეყვარებული არ ვარ). საერთოდ, როცა ძალიან გაპრანჭული ვარ, ეს ყოველთვის იმაზე მიუთითებს, რომ ვიღაც მიყვარს...

— ბოლოს იქნებ, ტინეიჯერ გოგონებს რჩევაც მისცე, რომელიც პირველ პაემანზე წასვლის წინ გამოადგებათ...

— როცა მე სხვისი რჩევა გამიზიარებია, ყოველთვის წამიგია. ამიტომ აზრი არა აქვს, რომ ვინმეს რაიმე ვურჩიო. ჯობია, გულს მიენდონ და პაემანზე ძალიან ლამაზები მივიდნენ.

■

ფრაზები გენიალური

ცნობისმოყვარეობა უბრალო ფუსფუსია: ადამიანები უმეტესად, იმისთვის მიისწრაფვიან ცოდნის შეძენისკენ, რომ შემდეგ ამით იტრაბახონ.

ბლეზ პასკალი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რას ნიშნავს ესპანურად სიტყვა „კუკარაჩა“?

ა) ტარაკანას;
ბ) პოლიციელს;
გ) სამართლიანს.

2. რამდენ ატმოსფერულ წნევას უნდა უძლებდეს შამპანურის ბოთლი?

ა) ექვსს;
ბ) სამოცს;
გ) ერთს.

3. სადაური თამაშია ბადმინტონი?

ა) ინგლისური;
ბ) ინდური;
გ) იტალიური.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დიზაინერი ზალიკო ბერგერი (ხეცურიანი) შეიძლება მალე ლექტორად ან სოციოლოგად მოგვევლინოს. თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, რაც არ უნდა მოხდეს, თავის საყვარელ საქმეს არ მიატოვებს. მისი ინტერვიუდან შეიტყობთ — რატომ აირჩია ფილოსოფოს-სოციოლოგმა დიზაინერობა, რა ფერები ან საცურაო კოსტიუმებია მოდაში, რა უნდა შევიძინოთ შემოდგომისთვის; ვინ იყო ზალიკოს პირველი სიყვარული და როგორ საცოლეს ეძებს. თანაც, შესანიშნავი კერძის რეცეპტსაც გვთავაზობს. მას საკუთარ სახელოსნოში შევხვდი, რომლისთვის ჯერ სახელი არ შეურჩევია.

თამადობაში მამობრძმედილი დიზაინერის მაჭანკლობაც ეხერხება

რატომ არ შოჭყავს ცოლი ზალიკო ბერგერს?

ლიკა ქაჯაია

— ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდი. რატომ შეიცვალე პროფესია?

— ხელოვნებისადმი მიდრეკილება თავიდანვე მქონდა. მოდის სფეროთი უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში დავინტერესდი. ჩემი სპეციალობით არასოდეს მიმუშავია. თუმცა ის ცოდნა, რაც უნივერსიტეტში მივიღე, ინტელექტის ამაღლებაში დამეხმარა. ისე, თუ რომელიმე სოციოლოგიურ კომპანიას დავჭირდი, სიამოვნებით ვითანამშრომლებ მათთან ერთთვიანი კონტრაქტით.

— რა იყო მოდის სამყაროში შენი პირველი ნამუშევარი და როდის გხვდა წილად პირველი წარმატება?

— პირველად, ავანგარდული მოდის ასამბლეაში მივიღე მონაწილეობა და ეს იყო კონკურსი, რომელშიც გავიმარჯვე. ჩემმა მხატვარმა მეგობრებმა — ოლეგ ტიმჩენკომ, ნიკო ცეცხლაძემ, მამუკა ჯაფარიძემ მაჩუქეს თავიანთი ძველი ტილოები, რომლებისგანაც შევქმენი კოლექცია — ე.ი. ნახატებიც გავაცოცხლე და II ადგილიც დავიკავე. იმავე კოლექციით მოსკოვში მოდის ფესტივალში ვმონაწილეობდი, სადაც საუკეთესო კოლექციისათვის დიპლომი მივიღე...

— საზაფხულო კოლექციაში საცურაო კოსტიუმების როგორი მოდელები გაქვს?

— საცურაო კოსტიუმებზე მუშაობა ძალიან მიყვარს. უპირატესობას ღია საცურაო კოსტიუმს ვანიჭებ. მთლიან საცურაო კოსტიუმს არ ვქმნი, თუმცა მას გარკვეული ასაკის მანდილოსნები მაინც იცვამენ.

— რა ფერები დომინირებს შენ მიერ შექმნილ საცურაო კოსტიუმებში?

— კაშკაშა სალათისფერი, კაშკაშა სტაფილოსფერი, შაბიამნისფერი — ისეთი ფერები, როგორიც ზღვას, მზეს და გარუჯულ სხეულს შეეფერება.

— როგორ შეიძლება ქალმა თავისი ნაკლი დაფაროს, როცა მას საცურაო კოსტიუმი აცვია?

— მან მთლიანი საცურაო კოსტიუმი უნდა ჩაიცვას. მიმაჩნია, რომ ადამიანი თავისი ნაკლის გამო დაკომპლექსებული არ უნდა იყოს. არსებობს რაღაც ტექნოლოგიები — მაგალითად, თუ „კუპალნიკს“ რეზინისგან დაამზადებენ, მან შეიძლება სილუეტი სხვანაირად გვიჩვენოს. სიმსუქნის დასაფარავად სხვა ელემენტებიც არსებობს...

ადამიანი თავისი ნაკლის გამო დაკომპლექსებული არ უნდა იყოს

— საშემოდგომოდ რას შემოგვთავაზებ?

— შემოდგომაზე ველვეტი, ბუკლე, „პლაშოვკა“ იქნება მოდაში. ფერები: ბაცი ხაკისფერი, სპილოსძვლისფერი და ყვითელი. რადგან ქართველები ვართ, დომინანტი შავი ფერი იქნება. ჩემს კოლექციაში შაბიამნისფერი და ვარდისფერიც იქნება წარმოდგენილი, იმიტომ, რომ მე თვითონ მომწონს ეს ფერები.

— როდის და სად გაიმართება შენი საშემოდგომო კოლექციის ჩვენება?

— 16 სექტემბერს მექნება საშემოდგომო კოლექციის ჩვენება, სადაც ბაქოელი მომღერლები და მოდელებიც მიიღებენ მონაწილეობას. ნოემბერში კი უკვე ზამთრის კოლექციის ჩვენებას გავაკეთებ.

— ჩვენებების დროს, დამწყებ დიზაინერებს ეხმარები ხოლმე. თავის დროზე შენ თუ დაგეხმარა ვინმე?

— მე არავინ დამხმარებია. მე და ჩემა მეგობრებმა — ირა კურმაევამ *(ფოტოგრაფი და მხატვარი. — ავტ.)* და თეონა ჭედიამ *(ფილოსოფოს-სოციოლოგი. — ავტ.)* ნახატებისგან შევქმენით ის კოლექცია, რომელმაც პირველი წარმატება მომიტანა. რაც შეეხება დაფინანსებას — მეგობრები გვეხმარებიან სამოდელო სააგენტოებიდან: „მაქსიმუმი“, „ლეონი“, „ამსა“, „შარმი“. ისინი მოდელებს გვთავაზობენ, რომლებიც

არ მომწონს, როცა აშკარად მეპრანჭებიან

ჩვენებებში უფასოდ მონაწილეობენ.

— **რომელი ქსოვილი არ გადადის მოდიდან?**

— ჯინსი. ისევე, როგორც ტილოს შარვალი. წელს მოდაში საზაფხულო ქსოვილით გაფორმებული ჯინსი იყო. არსებობს ისეთი ჯინსიც, რომლის ჩაცმა წვეულებაზეც შეიძლება.

— **სახელოსნოსთვის სახელი ჯერ არ შეგირჩევია?**

— ჯერჯერობით არა, მაგრამ, როცა მაღაზია ან ბუტიკი მექნება, სახელს ნამდვილად დავარქმევ...

— **სამაგიეროდ თავად გაქვს ორი გვარი. ხეცურიანი, ბერგერობას როგორ შეეგუე?**

— ყველაფერი სპონტანურად მოხდა. თვითონაც ვერ მივხვდი, როგორ შევეჩვიე ამ ფსევდონიმს.

— **სხვა მეტსახელიც ხომ არ გაქვს?**

— როგორ არა? ზოგი ზალბერგს მეძახის, ზოგიც — ზალბერგბურგს.

— **შეყვარებული გყავს?**

— არა. ჯერ კიდევ ვეძებ.

— **როგორია შენი ოცნების ქალი?**

— ლამაზი, შარმიანი, განათლებული, წარმატებული და ა.შ.

— **ყველა ეს თვისება — ერთ ქალში თავმოყრილი?..**

— ძნელია, ხომ, ასეთის პოვნა? ალბათ, ამიტომაც ვერ ვიპოვე.

— **მაჭანკლები არ გაწუხებენ?**

— არა! ისე, მართალი გითხრა, ეს საქმე მე თვითონ მეხერხება, მაგრამ საკუთარი თავისთვის ვერ მოვიცალე.

— **შენი მაჭანკლური ხერხები წარმატებულია?**

— როგორ არა?! მაგალითად, ჩემი ერთი მეგობარი გოგონა ამერიკაში გავათხოვე, მეორე — თურქეთში და ა.შ.

— **რა უნდა გააკეთოს ქალმა ისეთი, რომ შენი სიმპათია დაიმსახუროს?**

— არ მომწონს, როცა აშკარად მეპრანჭებიან. ეს ჩემში უკურეაქციას იწვევს.

— **ქალმა შენ რომ დაგიწუნოს, მაშინ?..**

— ეს საშინელება იქნება.

— **გქონია თუ არა ასეთი შემთხვევა?**

— ბავშვობაში — კი...

— **პირველ სიყვარულს ხომ ვერ გაიხსენებდი?**

— რატომაც არა?! ეს იყო საბავშვო ბაღში. მისი სურათი დღესაც მაქვს. ის ნინო თორაძე იყო. არ მახსოვს, სიყვარულში როგორ გამოვუტყდი, მაგრამ მიყვარდა.

— **როგორი და რა ფერის საქორწინო კაბაა წელს მოდაში?**

— თეთრი, ცისფერი, სპილოსძვლისფერი, „ბეჟი". ქსოვილის ფაქტურას გააჩნია. საქორწინო კაბა ინდივიდუალურია.

ნელი ბიჩიკაშვილი: ძმარს მიჯაფიეული ცოლის დაგრუნება სურს

ნანა სისაური

ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილის მომავლის წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან გადაეცა მემკვიდრეობით. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. თუ რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინვე ნელისთან მიდიან. ნათელხილვის უნიკალური ნიჭის წყალობით, ბევრი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელ უსიამოვნებას, ხალხი მასთან რაიონებიდანაც ჩამოდის.

— ამას წინათ დახმარება მთხოვა 40 წლის მამაკაცმა, რომელსაც სახლიდან მოსიყვარულე და ერთგული ცოლი გაექცა.

— **ვისთან წავიდა?**

— ქმრის უახლოეს ძმაკაცთან გადავიდა საცხოვრებლად. კაცმა ცოლის საქციელს ლოგიკური ახსნა რომ ვერ მოუძებნა, ჩემთან მოვიდა დახმარების სათხოვნელად. იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ გაკვირვებული იყო, რატომ მიღალატაო. ვუმკითხავე და მიზეზიც ვუთხარი — მისმა უახლოესმა მეგობარმა ქალი მოაჯადოვა და ისე დააშორა ქმარს.

— **რას აპირებს გაწბილებული მეუღლე?**

— მთხოვა, თუ შეგიძლია, დამეხმარე, რომ ცოლი დავიბრუნოო. იმდენად უყვარს, თანახმაა მიიღოს, თუმცაღა იცის, რომ მის ძმაკაცთან წევს. მოკლედ, სიყვარულის სახელით ისეთი ამბები ხდება, ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელია. ერთი თვის წინ ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ქმარი ღალატობს და მთხოვა, — დამეხმარეო. ვუმკითხავე და ვუთხარი, რომ მან რამდენიმე წლის წინათ იგივე ცოდვა ჩაიდინა. ჯერ იუარა, მაგრამ როცა შევაშინე, თუ სიმართლეს არ აღიარებ, ვერ დაგეხმარები-მეთქი, ყველაფერი მიამბო.

— **რა ცოდვა ჩაიდინა?**

— პირველი ქმრის სიკვდილის შემდეგ საყვარელი გაიჩინა და ოჯახი მოტყუებით დაუნგრია.

— **როგორ მოახერხა?**

— საყვარელს ცოლი ჰყავდა, მაგრამ უშვილო იყო და აყვანილ ბავშვს ზრდიდნენ. ქვრივი მოგვიანებით დაფეხმძიმდა. კაცი აღფრთოვანებული იყო, იფიქრა, ექიმებს რაღაც შეეშალათო და დიდი ამბით ელოდა შვილს.

— **ქალმა სხვისგან დაიფეხმძიმა თავი?**

— არა, ცრუორსულობა დაუდგინეს, სამშობიაროში მუცელი ჩაეფუშა, მაგრამ არ დაიბნა, საყვარელს სიმართლე დუმალა სამშობიარო სახლიდან მიტოვებული ბიჭი წამოიყვანა. საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა, რათა კაცს ბავშვი თავისი ჰგონებოდა. გახარებულმა მამამ ცოლი მიატოვა და ქვრივი შეირთო, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ახალგაზრდა საყვარელი გაიჩინა, ისიც დაფეხმძიმდა, ოღონდ სხვისგან, კაცს კი ჰგონია, მისგან დაორსულდა, რადგანაც მეორე ქორწინების შემდეგ თავს უშვილოდ აღარ თვლის... ერთი სიტყვით, ქვრივს ღმერთმა სამაგიერო გადაუხადა!

P.S. დარეკეთ და ჩაეწერეთ წინასწარ! 35.29.72; 8(93) 30.65.51; 8(99) 20.37.64. მისამართი: წერეთლის გამზ. №12, II სადარბაზო, II სართული, ბინა №24.

ზოგი ზალბერგს მეძახის, ზოგიც – ზალბერგბურგს...

არ შეიძლება, სხვადასხვა ქალს ერთნაირი საქორწინო კაბა შეუკერო.

— რა ჯდება შენს სახელოსნოში საქორწინო კაბის შეკერვა? არის თუ არა მოდაში ე.წ. ფატა?

– 200 დოლარი. რაც შეეხება ფატას – ესეც ინდივიდუალურია. თუ ფატა არა, რაღაც თავსაბურავი მაინც აუცილებელია ჩვენთვის, რადგან ეკლესიაში ჯვრისწერის დროს, შიშველი მხრის და თავის გამოჩენა აკრძალულია. ახლახან ჩემს მეგობარს, რომელიც ფეხმძიმედ იყო, საქორწინო კაბა შევუკერე – ისეთი, რომ მუცელი არ გამოსჩენოდა.

— შენი აზრით, ფეხმძიმობას დამალვა სჭირდება?

– 2 თვის წინ, მანანა ბურჭულაძესთან (ინდმეწარმეა) ერთად მოვაწყვე ფეხმძიმე ქალების კოსტიუმების ჩვენება. სპეციალურად მათთვის შეიკერა სხვადასხვა ფერისა და სტილის კაბა. თითქმის ყველა ფერი იყო გამოყენებული – წითლიდან დაწყებული – სალათისფრით დამთავრებული. ერთ-ერთ ფეხმძიმე მოდელს ეცვა სალათისფერი, ტანზე მომდგარი, ლიკრის ქსოვილის მოკლე კაბა, რომელსაც ფეხმძიმობის მერეც ჩაიცვამდა. ეს იმდენად ორიგინალური აღმოჩნდა, რომ მაყურებელი აღაფრთოვანა.

— კერძების მომზადება თუ გეხერხება?

– არა. ეს ფუნქცია დედაჩემს აკისრია. ის ძალიან გემრიელად ამზადებს. მე კი კვერცხსაც ვერ შევწვავ ისე, რომ არ დამეწვას. დედაჩემს „ჩინური ქათმის“ რეცეპტი ვასწავლე...

— იქნებ, ჩვენც გვასწავლო?

– სიამოვნებით. მოვხარშოთ ბრინჯი და დავყაროთ ფართო და ღრმა თეფშზე. მოხარშულ ქათამს მოვაცილოთ ძვლები, ხორცი კი დავაქუცმაცოთ. ამ კერძისთვის საჭიროა ჩინური სუნელები, რომლებიც სუპერმარკეტებში იყიდება. თუმცა საკმაოდ ძვირი ღირს, ამიტომ შეიძლება, ქართული სუნელებისგან გავაკეთოთ საწებელი, ოღონდ – აუცილებლად ცხარე უნდა იყოს. ამ საწებელში შევურიოთ მოხარშული სიმინდი ან ბარდა და მწვანილი. ბრინჯს დავაყაროთ ქათმის ხორცი და ზევიდან გადავასხათ ეს საწებელი. ძალიან გემრიელი და ნოყიერი საჭმელია.

— როგორც ვიცი, ღვინოსაც ბლომად სვამ?

– აბა, რა!

— გითამადია კიდეც?

– ბევრჯერ. ბოლოს, ვანო მერაბიშვილის მეუღლის დაბადების დღეზე ვიყავი თამადა.

— როგორი თამადა ხარ?

– ტრადიციების მიმდევარი და დროს ტარების მოყვარული.

— რას ურჩევდი დამწყებ დიზაინერებს?

– საკუთარ თავზე იმუშაონ, რაც შეიძლება მეტი. თუ საშუალება არა აქვთ, გახსნან „ძველი სკივრი“ – იქიდანაც შეიძლება რაღაცის გაკეთება. ბევრი შრომის შედეგად, აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას.

— ქალებს რას ურჩევდი?

– ყველა ქალს ვურჩევდი, რომ სარკეში ხშირად ჩაიხედოს, ნახოს, რა უხდება, რა – არა; ისწავლოს, როგორ დაფაროს ნაკლი და პირიქით – წარმოაჩინოს საკუთარი ღირსება.

— ზღვაზე ხშირად ისვენებ? რაიმე საინტერესო ხომ არ გადაგხდენია?

– ქობულეთში ვისვენებდი მეგობრებთან ერთად. საკმაოდ კარგი კამპანია იყო, მაგრამ მე უმეტესად, საღამოს 7 საათზე ვიღვიძებდი. გაღვიძების მომენტიც განსაკუთრებული მაქვს – ლოგინიდან მთელი საათის გასვლის შემდეგ ვდგები. ამის გამო, ქობულეთში მზე არ მინახავს, ხალხი „გაზაგრული“ დადიოდა, მე კი თეთრი გახლდით. ყველა მეკითხებოდა – ზალიკო, ახლა ჩამოხვედიო?.. როცა ვპასუხობდი – უკვე 2 თვეა, ქობულეთში ვარ-მეთქი, – გაკვირვებულები მიყურებდნენ.

იქ დაძინებას ვერ ვახერხებდი...

— წელს უკვე იყავი დასასვენებლად?

– ამას წინათ, ბაქოში წავედი 2 დღით, მაგრამ 2 კვირა დავრჩი. ცნობილ №1 აზერბაიჯანელ მომღერალს აიგიუნ კიაზიმოვას სოლო კონცერტისთვის კოსტიუმები შევუკერე. ვცხოვრობდი კარგ სასტუმროში – აუზით და ზღვასთან ახლოს. ამასაც შეიძლება დასვენება ვუწოდოთ.

— გარუჯული არ ხარ. იქაც გეძინა?

– არა. იქ დაძინებას ვერ ვახერხებდი. დილით ადრე მაღვიძებდნენ.

— რას ნიშნავს შენთვის კარგი დასვენება?

– კარგ გამოძინებას.

— წელს დასასვენებლად არსად წახვალ?

– ალბათ, ბათუმში წავალ იმ მეგობრებთან, რომლებიც ყოველდღე მელიან. იქ 2 კვირა დავრჩები და შეიძლება, „ბუნგალოში“ კოლექციის ჩვენება ახლაც მოვაწყო. ჯანდაცვის სამინისტრო და დათო გოროზია აწყობენ ფესტივალს სახელწოდებით „ცხოვრების ჯანსაღი წესი“. ფესტივალი გაიმართება მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც მიწვეული იქნებიან მწერლები, პოეტები, „თეატრალური სარდაფი“... ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. მე ჩემი მოდელებით ვიქნები წარმოდგენილი.

— როდის გაიმართება ეს ფესტივალი?

– 13-დან 20 სექტემბრამდე და ეს ღონისძიება იქნება განსაკუთრებით დატვირთული, „შოუბიზნესური“, საინტერესო.

■

ენის გასატეხით დაწყებული „წიდვა-ჭიდვა“ სიყვარული

ირინა უტარაშვილი

სიმონ ჯაფარიძე ერთადერთი პოეტია საქართველოში, რომელმაც პალინდრომული ჟანრის ლექსების წერას დაუკავშირა ცხოვრება. ეს ინტერესი, რომელიც მას ბავშვობიდანვე მოსდევდა, დღესაც არ გაჰქრობია. 63 წლის პოეტმა თითქმის 40 წელი შეალია უჩვეულო ლექსების წერას. ისინი წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება. ბატონი სიმონი მხატვარიცაა და საკუთარი ნახატების გაყიდვით აღებული თანხით მოახერხა, იმერი ხრეველის ფსევდონიმით, პოეტური კრებულების გამოცემა. ინტერვიუმდე, ერთ-ერთ ნიმუშს გთავაზობთ:

სავსე შესვას
ივსე? შესვი!
სავსე გესვას!
თავსა მარად არა მასვათ...
ასიცილდა მადლი ცისა, –
ასადარა „ვარადასა“.
ავს ასვა...
სავსედა ცდაზე გეზად ცად ესვას –
ო, სარეკელა აალე კერასო!
სამგლედ ვერა და... გადარევ დელგმას:
– ოსა! ლეკური ვირუკელასო...

— ბატონო სიმონ, რატომ გაგიჩნდათ სურვილი, ასეთი უცნაური ჟანრის ლექსები დაგეწერათ?

– ამ ჟანრისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე მომყვება. ბებია იყო ის პირველი ადამიანი, რომელმაც ჩემში ეს ინტერესი გააღვიძა. ძალიან ინტელექტუალური ქალი გახლდათ და მახსოვს, ბავშვობაში ხშირად მასწავლიდა ენის გასატეხებს. ვახტანგ მეექვსის პალინდრომი პირველად მან შემასწავლა... უნივერსიტეტში სწავლის დროს, მალევე აღვიდგინე მეხსიერებაში ეს ყველაფერი. ინტერესი უფრო და უფრო გაძლიერდა. სამხატვრო აკადემიაში ვაბარებდი და ვერ მოვხვდი. შემდეგ, იმავე წელს ჩავაბარე ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიის ფაკულტეტზე, რითაც უკვე დავუახლოვდი ამ საქმეს.

— პირველად როდის დაწერეთ პალინდრომი და რამდენად გასაგები იყო ის მკითხველისთვის?

– პირველი ლექსი 1984 წელს დავწერე. მივუძღვენი ჩემს თანამშრომელს, რომელსაც ტყუპი ჰყავდა. ეს იყო ჩემი პირველი ცდა, რომელსაც დიდი წარმატება მოჰყვა. მას შემდეგ, უკვე სერიოზული მუშაობა დავიწყე. საკმაოდ რთული მისია დამეკისრა. ქართული სიტყვა რომ მიიტანო მკითხველამდე, ეს უკვე აწყობილი პროცესია, მაგრამ შებრუნებით – ეს ახალი ენის გამოგონებას ნიშნავს. პირველი გამოხმაურებაც ძალიან კარგი



იყო – კრიტიკოსის, ლევან ბრეგაძისგან. ამან დიდი სტიმული მომცა.

— როგორ იქმნებოდა ამ ჟანრის ლექსები?

– დავინტერესდი ქართული ენის შესაძლებლობებით და თავი მოვუყარე ყველა იმ სიტყვას, რომელიც წაღმა-უკუღმა იკითხებოდა. ეს გარკვეულწილად, მიგნებაც არის. ბუნებაში ასეთი ფორმა არსებობდა, მეც ვეძებე და მივაგენი. ეს ერთეული სიტყვებია და სანთლით საძებნელია. ეს ხდება ისე, რომ ერთ დღეს, კარგ ხასიათზე გაიღვიძო, მუზა გეწვიოს და ლექსი დაწერო... იმ ლექსებს, რომლებიც ჩემს ორ კრებულში შევიდა, 40 წელი ვწერდი. მიკვირს, თუ რა შესძლებია ქართულ ენას...

— ადრე თუ წერდნენ ქართველი მწერლები ამ ჟანრის ლექსებს?

– უკუთქმით დაწერილი ტექსტები – ანუ პალინდრომები მრავალ ენაზე დაწერილა. „პალინდრომი“ ბერძნული სიტყვაა და უკუღმა მოძრავს ნიშნავს. მისი ისტორია კი, უძველესი დროიდან მოდის. სასმისებზე, ლარნაკებსა და სფერული ფორმის სხვა ნივთებზე წარწერილი ასეთი ტექსტების წაკითხვა შესაძლებელი იყო ჭურჭლის შემობრუნებით – ნებისმიერი მხრიდან, საიდანაც მას შეხედავდით ან შემოუვლიდით. საქართველოში ვახტანგ მეექვსეს აქვს დაწერილი რამდენიმე სტროფი. აგრეთვე – იაკობ შემოქმედელს, სვიმონ კოპაძეს, ვახტანგ ჯავახაძეს. მაგრამ ეს პალინდრომები უფრო თავშესაქცევად იყო შექმნილი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც გვხვდება ასეთი ლექსები, მაგალითად – „აი, რა მზის სიზმარია“. სწორედ ამგვარი გრძნობა-გონების სავარჯიშოების წყალობით ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე ზეპირსიტყვიერებაში განსხვავებული სახის ენის გასატეხი და ჩქარასათქმელი, რომელიც დღემდეა შემონახული.

— რატომ გამოეცით კრებულები იმერი ხრეველის ფსევდონომით?

– ჭიათურაში დავიბადე. ხრეითი იმერეთში ერთ-ერთი ლამაზი მაღალმთიანი სოფელია. ჩემი ბიძები და მამიდა, ცნობილი მთამსვლელები იყვნენ – სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები. მამიდაჩემი მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქალი იყო, რომელიც ძმებთან ერთად ურთულეს მწვერვალებს იპყრობდა. მე-3 კურსზე ვიყავი, როცა ქალბატონმა მზექალა შანიძემ წარმომავლობა გამომკითხა. – ხრეველი ვარ-მეთქი, – ვუპასუხე. – ეტიმოლოგიას ხომ ვერ მეტყვით? – მკითხა. წარმოიდგინეთ, ამდენი სტუდენტი ზის და მე არ ვიცი ჩემი სოფლის სახელის წარმოშობა... მაშინ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი და ამან იმდენად იმოქმედა, დავიწყე ძიება. მივედი აკაკი შანიძემდე – ის ამ სოფლის სიძე იყო. მასაც არ ჰქონდა ამოხსნილი სიტყვა „ხრეითი“ და კითხვის ნიშანი ესვა, რომელსაც 30 წლის შემდეგ მე ვუპასუხე... კიდევ ერთმა ფაქტმა მიბიძგა ამ ფსევდონიმის აღებისკენ. ჩემ გარდა, არის კიდევ ერთი სიმონ ჯაფარიძე – პროზაიკოსი და მინდოდა, ერთმანეთისგან გავერჩიეთ.

— ბატონო სიმონ, რატომ მიგაჩნიათ სარეკორდო რიცხვებად თქვენი კრებულების გამოცემის წლები?

– ჩვენი თაობა ათასწლეულის გასაყართან დგას. ორი გაწონასწორებული თარიღია ერთმანეთის სიახლოვეს – 1991 და 2002 წლები. ჩემი წიგნები სწორედ ამ წლებში გამოიცა. ეს უბრალო დამთხვევა არ გეგონოთ. ეს ხდება ათასწლეულებში ერთხელ. ამიტომაა სარეკორდო რიცხვები. ■

ცოლთან და შვილიშვილებთან ერთად

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი
(6 - 12 სექტემბერი)

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: საქმიან პარტნიორებთან პრობლემების მოსაგვარებლად სასიკეთო დღეებია. თქვენს ტალანტსა და შესაძლებლობებს ყველა სფეროში თავისუფლად ავლენთ.

მამაკაცი: საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისათვის სასიკეთო კვირა გელით. მოერიდეთ ხმაურიან გარემოს, ეძიეთ სიმშვიდე და სიმყუდროვე. უარი თქვით აზარტულ თამაშებზე.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: სასიყვარულო ურთიერთობაში გაგიმართლებთ. კვირის მეორე ნახევარში, რომანტიკული თავგადასავლისთვის მოემზადეთ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გსურთ.

მამაკაცი: მოულოდნელმა ამბავმა შესაძლოა, თქვენი გეგმები ჩაშალოს. საქმიანი საუბრებისთვის ეს კვირა არ არის შესაფერისი. აკონტროლეთ ახლობლებთან ურთიერთობა.

მარგალიტი – 22/V-21/VI

ქალი: ინიციატივა და გამომგონებლობა პროფესიონალურ საქმიანობაში უთუოდ მოგიტანთ წარმატებას. კარგი დროა ფინანსების, დაზღვევისა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.

მამაკაცი: ყველაფერი ისე როდი მიდის, როგორც თქვენ გინდათ, მაგრამ რას იზამთ – თქვენ ირგვლივ სიცრუემ და ორპირობამ დაისადგურა. თუმცა, ეს დროებითი მოვლენაა და სულ მალე, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: თქვენი ოპტიმიზმის გამო გაფუჭებულ საქმეს ვერ უშველით. შეეხმიანეთ მეგობრებს და გაითვალისწინეთ მათი რჩევები. ამ ეტაპზე, ისინი უფრო რეალურად აფასებენ შექმნილ სიტუაციას.

მამაკაცი: თავი აარიდეთ ემოციურ გამოსვლებსა და კამათს ოჯახში. თუმცა, საკუთარ სურვილებს წინ არ უნდა აღუდგეთ. შეეცადეთ, მშვიდი ტონით დაარწმუნოთ ოპონენტები თქვენი მოსაზრებების უპირატესობაში.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: სიყვარულში გიმართლებთ. წინ დიდი სიურპრიზი გელით. შეიძლება, სადღესასწაულო სუფრაზეც მოხვდეთ. ყური მიუგდეთ გულის კარნახს, მიენდეთ ინტუიციას და ფულსაც იშოვით.

მამაკაცი: იაქტიურეთ. მანდილოსნები ყოველთვის აქტიური მამაკაცებით იხიბლებიან. იყავით გულუხვი ოჯახის წევრების მიმართ. გაისეირნეთ ბუნებაში მეგობრებთან ერთად.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ახლობელ ადამიანებს თხოვნაზე უარს ნუ ეტყვით. ამ კვირის განმავლობაში, მათ აუცილებლად დასჭირდებათ თქვენი დახმარება. შეეცადეთ, მყუდრო გარემოში დაისვენოთ.

მამაკაცი: ამ კვირას, თქვენს ოჯახში დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი. მოიმარაგეთ ნუგბარი და გამაგრილებელი სასმელები. მეგობრებისგან ბევრ სახალისო ამბავს მოისმენთ.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. მიიღებთ ახალ საქმიან წინადადებებს. ხელმძღვანელობა თქვენს დაწინაურებას აპირებს. მეტი ყურადღება მიაქციეთ ფინანსურ საკითხებს და გამოიჩინეთ ყაირათიანობა.

მამაკაცი: ბიზნესში და ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას, ენერგიულად მოქმედებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და მოერიდეთ დაძაბულ სიტუაციებს. ყველაფერზე მძაფრად ნუ რეაგირებთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: არაჩვეულებრივი განწყობილება დაგეუფლებათ და საქმესაც ბრწყინვალედ გაართმევთ თავს. თქვენს ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს, ადამიანებთან ურთიერთობებიც ნორმალურად გაქვთ აწყობილი.

მამაკაცი: ვიღაც არ შეგისრულებთ დანაპირებს, მაგრამ ამის გამო ნერვიულობა ნამდვილად არ ღირს. შეეცადეთ, აკონტროლოთ საკუთარი ემოციები და თქვენი პრობლემები ახლობლებს არ მოახვიოთ თავზე.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: შესაძლებელია, უსიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც მთლიანად შეცვლის თქვენს გეგმებს. არც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გართულებაა გამორიცხული, მაგრამ ნუ დაიძაბებით – ყველაფერი მალე მოგვარდება.

მამაკაცი: თუ რემონტს ან ინტერიერის შეცვლას აპირებთ, რჩევა მეგობრებსაც ჰკითხეთ. სამსახურში მხოლოდ უფროსობის მფარველობის იმედით ნუ იქნებით – წარმატების მიღწევა დამოუკიდებლადაც უნდა შეძლოთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ამ კვირაში, თქვენს მოქმედებაში ეგოიზმი ჭარბობს. ოჯახში და ბავშვებთან ურთიერთობისას, თითქოს საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ცდილობთ. ასე თუ გააგრძელებთ, პრობლემები არ აგცდებათ.

მამაკაცი: შეეცადეთ, საკუთარი გრძნობები აკონტროლოთ და მკვეთრად გამიჯნოთ საქმე და პირადი ურთიერთობები. ამ კვირაში, დიდი ხნის უნახავი მეგობრის გამასპინძლება მოგიწევთ.

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: საკმაოდ შინაარსიანად გაატარებთ ამ კვირას. შეეცადეთ, იზრუნოთ ახალი იმიჯის დამკვიდრებაზე და შეცვალოთ ცხოვრების სტილი. გააახლეთ გარდერობი და დაელოდეთ „პრინცის“ გამოჩენას.

მამაკაცი: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. სასიყვარულო ფრონტზე ეჭვიანობა და აგრესია ჭარბობს. შეეცადეთ, დაარეგულირეთ ურთიერთობები ადამიანებთან, რომლებსაც წარსულში გული ატკინეთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: ამ კვირაში, მოჭარბებული ენერგია და ბრწყინვალე განწყობა, პროფესიონალურ საქმიანობასა და ბიზნესში თქვენი წარმატების გარანტია იქნება. მოერიდეთ დისკუსიებს კულტურულ და რელიგიურ თემებზე.

მამაკაცი: ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და ეცადეთ, არ იყოთ სხვაზე დამოკიდებული. ახალი ნაცნობებისაგან ყურადღებასა და მხარდაჭერას იგრძნობთ.

- უვარგისი ქაღალ-დები
- კაცი-ჭამია
- საჯარო წარმა-ტება
- დრო
- ახალ-გაზრდა სპორტს-მენი
- აშშ-ის შტატი
- ყარ-ყატის სახეობა
- ზუთხ-ისებრთა ოჯახის წევრი
- აფროდიტეს სატრფო
- ქედმაღ-ლობა, ყოყო-ჩობა
- ტბა სამხრეთ ამერი-კაში
- ავსტ-რალიის დედა-ქალაქი
- წვრილ-მარცვლია-ნი ჯიში ხარისხის ყავა
- ორქმრი-ანობა
- სატანვა-რჯიშო ბადე
- მცირე ჩრდილი
- მეტის-მეტად კაშკაშა მეტეორი
- მდინარე საქართ-ველოში
- ოფიცრის წოდება
- აზნაურის ტიტული ესპან-ეთში
- მინი-რესტო-რანი
- ჯო, დიახ
- იუპიტ-ერის თანამგ-ზავრი
- სას-წორის თეფში
- ამორტი-ზატორი
- რანჩოს მეპა-ტრონე
- ზღვის მეკობრე
- ტკბილი კარტო-ფილი
- ეკიპაჟის საძინე-ბელი გემზე
- ზეთისხი-ლის ფოთლის ფერი
- ჩაპ-ლინის ცოლი
- ინტელიგე-ნციის სა-პატიო ტიტული ინდოეთში
- მინერ-ალური ლურჯი საღებავი
- ტროპიკუ-ლი ხილი
- კვების განაწესი
- მუსო-ლინი
- არაოფი-ციალური მაკლერი ბირჟაზე
- მგალო-ბელი ფრინ-ველი
- ერთი დღის სახნავი მიწა
- უზენაესი ღვთაება სკანდინ. მითოლოგ.



55-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ.

ჭაბორდანილი აღაქიანდების ბოსტრეკეული ჭაბონათქვამები

უცნაური სასჯელი

ერთხელ, გამოჩენილ მუსიკოსს, მსტისლავ როსტროპოვიჩს საბჭოთა კავშირის კულტურის მაშინდელმა მინისტრმა ეკატერინა ფურცევამ მკაცრად უსაყვედურა:

— რატომ უწევთ მფარველობას ანტიკომუნისტსა და დისიდენტ სოლჟენიცინს? გავიგე, მას თქვენს აგარაკზე აცხოვრებთ და საბჭოთა წყობაზე თავისი პასკვილების წერის საშუალებასაც აძლევთ. იცით, ამისთვის როგორ დაგსჯით?.. მთელი წელი, საზღვარგარეთ გასტროლებზე გასვლის უფლებას არ მოგცემთ!..

როსტროპოვიჩმა მშვიდად მიუგო:

— ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ საკუთარი მსმენელის წინაშე კონცერტებით გამოსვლა შეიძლება, სასჯელად ჩაითვალოს...

ბრძნული გადაწყვეტილება

სრულიად უნიჭო კომპოზიტორი, რომელიც მორის რაველის მოწაფედ მიიჩნევდა თავს, სისტემატურად აწუხებდა მას საკუთარი „ნაწარმოებებით“ და მის ავტორიტეტულ შეფასებას ელოდა. მორიგი ვიზიტისას, მან ემოციურად მიმართა დიდ მაესტროს:

— ბატონო მორის, აი, ჩემი ბოლო ნამუშევარი! იმედია, ახლავე მოისმენთ და თქვენს აზრს გამიზიარებთ.

რაველმა მისი ემოციური განწყობა აიტაცა და აქცენტი პირველ ფრაზაზე გააკეთა:

— ნუთუ, მართლა ბოლოა?.. — თქვა მან. — მომილოცავს! ძალზე ბრძნული გადაწყვეტილება მიგიღიათ...

დარბაზთან ერთად ქალაქიც დაინგრა

სან-ფრანცისკოში გამოჩენილი საოპერო მომღერლის, ენრიკე კარუზოს გასტროლების დროს, ძლიერი მიწისძვრა მოხდა. შეშინებულმა მეგობრებმა მას სასტუმროში მიაკითხეს. კარუზო ნახევრად დანგრეულ ნომერში, თავზე პირსახოცწაკრული დახვდათ. მეგობრების დანახვისთანავე, მომღერალმა გაიღიმა და უთხრა:

— ხომ გახსოვთ, ბატონებო, რომ გითხარით — თუ მაღალ ნოტებს ავიღებ, დარბაზი დაინგრევა-მეთქი?.. იმას კი ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ დარბაზს ნახევარი ქალაქიც მიყვებოდა...

ანეკდოტები

* * *

მეგრელი კახელს ეუბნება:

— გეიგე გენაცვალიე, პიანინო 5 ლარი რომ ღირს?

— რას ამბობ, ჯოო... მაგი ტყუილი იქნება.

— ტყვილია, მარა... ხომ იაფია?

* * *

— დეე... დღეს ხუთი ბუზი მოვკალი, — ახარა შვილმა მაყვალას, — ორი მამალი და სამიცა დედალი...

— იი... მართლა?.. მაგრა დედალ-მამალი როგორ გაარჩიე?

— ორი ლუდის ბოთლზე იჯდა, სამიცა — პომადაზე!..

* * *

— ცუცა, ცოლად გამომყვები... მაგალითად?

— კი, კოჩია... გამოგყვები...

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ:

— რატომ აღარაფერს მეუბნები, კოჩია.

— რაღა უნდა გითხრა, მაგალითად... ისედაც ზედმეტი მომივიდა.

* * *

კოწიას ცოფიანმა ძაღლმა უკბინა. საავადმყოფოდან შინ დაბრუნებული, ზის და რაღაც სიას ადგენს.

— რასა წერ? — ეკითხება ცოლი.

— შრატმა თუ არ იმოქმედა, დასაკბენი ხალხის „სპისოკს“...

* * *

ქალაქელი ბიჭი სოფლიდან ახალჩამოსულ ბიძაშვილს „ანათლებს“:

— ფირუზ... იცი, რას ნიშნავს ქალზე გვერდიდან ჩახსნილი კაბა?

— არა, ჯო?..

— „შესაძლებელიაო...“

— ვაა!.. მაგარია!.. უკან ამოჭრილი?..

— „გამომყევიო“...

— წინიდანა?..

— „რაღას ელოდებიო“...

უეცრად მათ გვერდით წინიდან ჩახსნილი კაბით მშვენიერმა ქალმა ჩაიარა...

— მაშ, რაღას ველოდები არა?! — წამოიძახა მიხომ და ხვნეშა-ხვნეშით ქალს დაედევნა...

* * *

შვილი მამას ეკითხება:

— მამი, ჭკვიანები სულელებისგან რით განსხვავდებიან?

— ჭკვიანებს ყოველთვის ეჭვი ეპარებათ თავიანთ შესაძლებლობებში, სულელები კი თავის ნათქვამში ყოველთვის დარწმუნებულები არიან.

— ვაა... დარწმუნებული ხარ?..

— აბსოლუტურად!..

* * *

კომპიუტერულ ცენტრში რაჭველი ტექსტის ამკრეფი ძალიან ნელა კრეფს ტექსტს. კლიენტი ნერვიულად ეკითხება:

— ქალიშვილო, თქვენ სწრაფად რაიმის კეთება შეგიძლიათ?!

— დიახ... ძალიან სწრაფად ვიღლები!

* * *

— ქალიშვილო, რატომ მიყურებთ მთელი საღამო მარტო მე?

— სხვას შევხედავდი, ბატონო, მაგრამ ისინი კიდევ უფრო შეუხედავები არიან.

* * *

ბედიის ირონიით საადვოკატო კანტორის კედელზე ისეთი ნახატი ჩამოკიდეს, რომელიც ზუსტად გამოხატავდა ამ პროფესიის არსს — ორი გლეხი ძროხას ედავება ერთმანეთს. ერთი კუდით ექაჩება თავისკენ, მეორე რქებით. ადვოკატი კი ამასობაში ძროხას მშვიდად წველის...

* * *

ჭიჭიკია ტყეში შეშის საჭრელად წავიდა. შემოაღამდა და გზა აებნა. იარა, იარა... ბოლოს, იმედი გადაეწურა და სასოწარკვეთილი აყვირდა:

— ეჰეე, ეჰეჰეე!..

უეცრად დათვი მიუახლოვდა და ეკითხება:

— რა გაყვირებს, შე კაცო?..

— ... რა და, გზა ამებნა და იქნება ვინმეს გავაგონო-მეთქი...

— აჰა, გავიგონე!.. მოგეშვა გულზე?!..

ვის მეტად აწევს მხრებზე ოჯახის ტვირთი?

1. რომელს უფრო დაძაბული ცხოვრების რიტმი გაქვთ – თქვენ თუ თქვენს მეუღლეს?

2. რომელი თქვენგანი ზრუნავს შვილებზე უფრო მეტად?

3. საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად დახმარების თხოვნით ვის უფრო ხშირად მიმართავენ თქვენი შვილები?

4. რომელი თქვენგანი ესწრება უფრო ხშირად მშობელთა კრებას?

5. ვინ აგვარებს დღესასწაულებზე თქვენი შვილებისთვის მოწყობილი ზეიმების (საბავშვო ბაღში, სკოლაში თუ შინ) ორგანიზაციულ მხარეს?

6. რომელი თქვენგანი ეცნობა უფრო მეტ ლიტერატურას ბავშვის აღზრდის თაობაზე?

7. რომელი თქვენგანი ბრუნდება შინ უფრო გვიან?

8. ვინ ასრულებს თქვენს ოჯახში ფიზიკურ სამუშაოს?

9. რომელ თქვენგანს უფრო ხშირად ეუფლება სევდიანი განწყობილება, აპათია ან ვარდება სტრესულ მდგომარეობაში?

10. რომელ თქვენგანს უფრო მძიმე სამუშაო აქვს?

11. რომელი თქვენგანის სამსახური მდებარეობს შინიდან უფრო მოშორებით?

12. რომელი თქვენგანი ზრუნავს უფრო მეტს ოჯახზე?

13. რომელი თქვენგანია გაღიზიანებული უფრო ხშირად?

14. ვინ ასრულებს იმ ტიპის საოჯახო საქმეებს, რომლის კეთებაც განსაკუთრებულ გულისყურს მოითხოვს?

15. ვის უფრო ხშირად მოაქვს პროდუქტები?

უამრავი ქალი დარწმუნებულია იმაში, რომ საზოგადოება ბევრად უფრო მომთხოვნია სუსტი სქესის, ვიდრე მამაკაცების მიმართ. ზოგიერთი ძლიერი სქესის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ოჯახურ საქმეებზე იოლი საკეთებელი ამქვეყნად არაფერია, ბავშვებისთვის კი, ღვთის წყალობით, ბაგა-ბაღები არსებობს. ზოგიერთი მამაკაცის აზრით, ქალები არ ინტერესდებიან თავიანთი მეუღლეების საქმიანობით და სწორედ ამიტომაა, რომ ვერაფრით იგებენ, თუ საღამოობით რატომ ბრუნდებიან შინ კაცები ასეთი დაღლილები. უამრავი ცოლქმარი დაობს იმაზე, თუ ვინ უფრო მეტად ზრუნავს ოჯახზე... ამის გარკვევაში ქვემოთ მოცემული ტესტი დაგეხმარებათ.

ყოველ კითხვაზე, რომელსაც გულწრფელად შეგიძლიათ უპასუხოთ „მე“, დაიწერეთ 1 ქულა.

16. ვინ რეცხავს და აუთოებს?

17. ვინ ალაგებს სახლს?

18. ვინ ასრულებს სახლში მსუბუქ სარემონტო სამუშაოებს?

19. ძირითადად, ვინ უფრო მეტად ზრუნავს მეზობლებთან თუ მეგობრებთან ურთიერთობების შენარჩუნებაზე?

20. ვინ ზრუნავს ნათესავებთან კონტაქტების შენარჩუნებაზე?

21. ოჯახის სახელით ვინ აწარმოებს მიმოწერას?

22. ვინ იხდის შუქისა და სხვა გადასახადებს?

23. ვინ აჭმევს კატას, ძაღლს თუ თევზებს?

24. ვინ უვლის ოთახის მცენარეებს ან ვინ მუშაობს აგარაკზე ბოსტანში?

25. რომელ თქვენგანს აქვს უფრო მეტი თავისუფალი დრო?

26. ვინ უფრო მეტ დროს უთმობს ბავშვების აღზრდას და ზრუნავს მათ სწავლა-განათლებაზე?

27. ვინ გეგმავს ოჯახის ბიუჯეტს?

28. ვინ გეგმავს, თუ ოჯახის წევრებმა სად და როგორ უნდა გაატარონ თავისუფალი დრო (იგულისხმება უქმეები, არდადეგები, შვებულება)?

დაანჯამეთ ქულები

20 და მეტი ქულა: თქვენს ოჯახში **საზრუნავის იდეალურ გადანაწილებაზე ჯერჯერობით, ლაპარაკიც ზედმეტია. გაარკვიეთ მეუღლესთან, თუ რით შეგიძლიათ დაეხმაროთ მას: იქნებ, ძალზე ხშირად ეუბნებით ცოლს, რომ რაღაც გარკვეული მიზეზის გამო, მისი თხოვნისა თუ დავალების შესრულება არ შეგიძლიათ?.. დაფიქრდით, რამდენად გულწრფელი ხართ ხოლმე ასეთ დროს. ცოლს კი ვურჩევთ — სცადეთ, როგორმე საოჯახო საქმეების კეთების ინტერესი გაუღვიძოთ თქვენს ქმარს. მაგალითად, სულ მცირე დახმარებისთვისაც კი, ქებით წაახალისეთ იგი.**

11-19 ქულა: **შეგიძლიათ დამშვიდდეთ — თქვენს ოჯახში საგანგაშო არაფერი ხდება. შესაძლოა, ზოგჯერ ცოლი მეტად იყოს დატვირთული, ვიდრე ქმარი, მაგრამ ეს არცთუ ისე ხშირად ხდება. ქმარს, როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლევა, მაშინვე უშურველად ეხმარება მეუღლეს.**

10 და ნაკლები ქულა: **შესაძლოა, გეჩვენებათ, რომ თქვენს ოჯახში საზრუნავი მეუღლეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული. მაგრამ სავარაუდოა, რომ თქვენ თავს იტყუებთ. როგორც ჩანს, თქვენი ცოლი საკუთარი მხრებით ბევრად უფრო მძიმე ტვირთს ეზიდება.**

ᲑᲠᲘᲢᲜᲘ ᲡᲞᲘᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲚᲔᲥᲘ ᲠᲔᲖᲘᲜᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ

ინტერნეტაუქციონი იძულებული გახდა, სავაჭრო ნუსხიდან ამოეღო საღეჭი რეზინი, რომელსაც პოპპრინცესა ბრიტნი სპირსის პირის ღრუ მოუვლია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ლოტის აღწერილობაში საგანგებოდ იყო აღნიშნული – რეზინი ბრიტნის დნმ-ს შეიცავსო... აუქციონზე ეს რეზინი მომღერლის ფანს გაუტანია, რომელსაც ის შემთხვევით, ბრიტნის ერთ-ერთი კონცერტის დროს მოუპოვებია: სპირსმა ის გადააფურთხა, ვაჟმა კი აიღო და სათუთად შეინახა... საინტერესოა, რომ ამ ლოტის ფასი უკვე 400 დოლარამდე ყოფილა ასული, როცა საიტის მესვეურებმა გაიხსენეს, რომ არსებობს წესი, რომლის თანახმადაც, ადამიანის სხეულის ნაწილების ან ნაშთების გაყიდვა აკრძალულია. „ლოტის აღწერილობისას, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთ-

და იმაზე, რომ ის ვარსკვლავის დნმ-ს შეიცავს, ეს კი კატეგორიულადაა აკრძალული“, – განაცხადა ინტერნეტაუქციონ eBay-ს წარმომადგენელმა გაზეთის Daily Mirror-ის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში. თუმცა მოგვიანებით, გამყიდველს კვლავ დართეს უფლება, განეთავსებინა თავისი ლოტი აუქციონის საიტზე, ოღონდ – იმ პირობით, რომ ის ამოიღებდა შენიშვნას, ვარსკვლავის დნმ-ის თაობაზე. აღწერილობამ ბოლოს, ასეთი სახე მიიღო: „კვლავ გთავაზობთ ამ ლოტს, გარკვეული შესწორებებით... ეს გახლავთ ორიგინალური საღეჭი რეზინი, რომელიც ბრიტნი სპირსმა გადააფურთხა. მას შემდეგ, რაც ის ვარსკვლავის პირში იდო, მისთვის ხელი არავის უხლია... ეს გაძლევთ შანსს, „პოპისტორიის პატარა ნაჭერი“ შეიძინოთ...“ ■

ᲑᲘᲫᲝᲚᲐ ᲛᲖᲘᲡᲥᲕᲔᲨᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ესპანეთის საკურორტო ქალაქ ალმუნიეკარში გარუჯვის მოყვარულთა რიცხვმა კრიტიკულ ზღვარს გადააბიჯა და ამან ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი საზრუნავი გაუჩინა. საქმე ის გახლავთ, რომ დამსვენებლები, ადგილების შესანარჩუნებლად, პლაჟებზე საკუთარ ქოლგებს ტოვებენ, რაც სხვა დამსვენებელთა გულისწყრომას იწვევს. მათ საჩივარიც კი შეიტანეს ქალაქის საბჭოში, რის შემდეგაც, პოლიცია იძულებული გახდა, პლაჟების „გაწმენდის ოპერაცია“ ჩაეტარებინა – ყველა „უპატრონო“ ქოლგა მოაგროვა და მანქანებში ჩაყარა... საკუთარი ქოლგების უკან დასაბრუნებლად, თითოეულ ადამიანს საკმაოდ სოლიდური თანხის – 36,6 ევროს გადახდა მოუწევს... მაგრამ ახლა ის ტურისტები აღშფოთდნენ, რომლებიც ადგილების დასაკავებლად, ადრიანი დილით გამოდიან პლაჟზე. „ერთ დღეს შევესწარი სცენას, როდესაც გააფთრებული დამსვენებლები გარს შემოეხვივნენ ქოლგებით გამოტენილ პოლიციის მანქანას და მთელი 2 საათის განმავლობაში არ უშვებდნენ მას“, – ჰყვებოდა ახლომდებარე სასტუმროს მეპატრონე ქალი როზა კანო. ■

ᲐᲛ ᲢᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲓᲔ ᲗᲕᲚᲐ ᲐᲰ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐᲗ

ბრაზილიაში ცხოვრობს პირახის ტომი, რომლის წევრებს სამამდე თვლაც კი არ სცოდნიათ. რაოდენობის განსასაზღვრად ისინი მხოლოდ სამ ცნებას – „ერთი“, „ორი“ და „ბევრი“ – იყენებენ. ეს ამბავი ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერმა პიტერ გორდონმა დაადგინა, რომელიც აღნიშნულ ტომს სტუმრობდა. პირახელები ამაზონიის დაბლობზე სახლობენ. „ერთი“ და „ორი“ მათ ენაში ერთი და იმავე სიტყვით, ოღონდ – სხვადასხვა ინტონაციით წარმოითქმის. უფრო მეტიც – ეს სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს აგრეთვე „დაახლოებით ერთს“ და „არცთუ ისე ბევრს“. დოქტორმა გორდონმა სცადა, მცირე ექსპერიმენტი ჩაეტარებინა და სთხოვა ტომის წარმომადგენლებს, რამდენიმე ნივთი დაეთვალათ. მოზრდილი ადამიანები ამ დავალებას წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში ართმევდნენ თავს, როცა ნივთების რაოდენობა სამს არ აღემატებოდა... ■

12 ᲬᲚᲘᲡ „ᲑᲘᲭᲣᲜᲐ-ᲡᲞᲘᲚᲝᲡ“ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲒᲔᲗᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲥᲘᲗᲘᲗᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲜᲣᲧᲕᲔᲢᲔᲜ

ფილიპინელ რასელ ტაკდერანს, რომელსაც პატარაობიდან, „ბიჭუნა-სპილოს“ ეძახიან, იშვიათი დაავადება – ნეიროფიბრომატოზი აწუხებს, რომელიც სახის მზარდი დეფორმაციით ვლინდება. ქსოვილების სიმსივნისებური ზრდა მთელ მის სახეს ფარავს და ამის გამო, ბავშვი ძლივძლივობით მეტყველებს. ცხადია, რასელი გარშემო მყოფთა მისკენ მიმართულ ზიზღიან მზერასაც ამჩნევს... გერმანიის ერთ-ერთი ეკლესიის მრევლს სამკურნალოდ საჭირო თანხა შეუგროვებია, ავიაკომპანია Lufthansa-მ სამშობლოდან მისი უფასო ტრანსპორტირება იკისრა, „ჰანოვერ კლინიკის“ 4 ქირურგი კი, უკვე რამდენიმე თვეა ემზადება ოპერაციისთვის. მათ უარი თქვეს გასამრჯელოზე, ხოლო ოპერაციის შემდგომი მკურნალობის ხარჯები შეწირულობებით დაიფარება. თავად რასელს, ბუნებრივია, მხოლოდ ერთი ოცნება აქვს: „მინდა, ნორმალური ბიჭი ვიყო, რომ ადამიანები ზიზღით აღარ მიცქერდნენ ხოლმე...“ ■

ფოტოკუიიოზები





უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

6 125/30

სექტემბრის ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის